ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN—0132—6053

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1. 1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1987, № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი

ТБИЛИСИ

1. 1987

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გიგინეიშვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), ა. რობაქიძე, გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итонишвили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили,

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 9.I.87; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.III.87;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; პირობ. ნაბეჭდი 16,5;
პირ. საღ. გატარება 16,9; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,5;

უე 04384; შეკ. 246; ტირაჟი 1000;

**ფასი 1 მან. 30 კაპ.**

■

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

■

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## წერილები


ნ. ავალიანი, ადამიანის პრობლემა თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში . . . 5
ი. მერაბიშვილი, ქართული ფერწერის განვითარების ორი გზა 1920-იანი წლების სახვით ხელოვნებაში . . . . . . . . . . 13
მ. ქანთარია, ეთნოგრაფიული პარალელები და მათი კვლევის ზოგიერთი ასპექტი . . . 28
ე. ხოშტარია-ბროსე, ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის" შესწავლისა და საქართველოში მოქმედი ფეოდალური კანონმდებლობის საკითხისათვის . . . 45


## ცნობები და შენიშვნები


შ. ვანიშვილი, XIX საუკუნის 60-იანი წლების ადმინისტრაციული რეფორმა და საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემა 1868—1881 წლებში . . . . . 65
ბ. ანჩაბაძე, „შიდა ლაშქრის" („შიდა სპას") მნიშვნელობის გარკვევისათვის . . . 83
ც. აბულაძე, ოსმალური სიგელები იერუსალიმისა და სინას ქართული კოლონიის ისტორიისათვის . . . . . . . . . . 90
გ. გამყრელიძე, წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში . . . . . . . . . . 97
უ. ერიაშვილი, ბერის ინსტიტუტის საკითხისათვის საქართველოში . . . . 118
ე. ასტახიშვილი, ხალცუს სტრუქტურა და მნიშვნელობა მარისა და ნუზის ლურსმული არქივების მიხედვით . . . . . . . . . 135
დ. ხახუტაიშვილი, მ. კინწურაშვილი, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამეთუნეო სახელოსნო სოფ. ხირსადან . . . . . . . 146


## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია


დ. მუსხელიშვილი, ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები . . . . . . . . . . 163
ნ. ბრეგაძე, პოლონური წყაროები საქართველოს შესახებ . . . . . . . 167
ო. ცქიტიშვილი, ო. ბოლშაკოვი, ახლოაღმოსავლეთის შუასაუკუნეობრივი ქალაქი 170


## ქრონიკა და ინფორმაცია


ლ. დავლიანიძე, შ. ბადრიძე, პროფესორ სარგის კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ქრონიკა . . . . . . . 175
ტ. კინკაძე, საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ქ. ტაშკენტში . . . 179
ზ. ჯამბურია, ახალგაზრდა მეცნიერთა XXI სამეცნიერო სესია . . . . . 183
დ. თუშაბრამიშვილი, მ. ნიორაძე, გიორგი ნიორაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია და სხდომა . . . . . . . 184
ახალი წიგნები . . . . . . . . . . 188


საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ

Н. И. АВАЛИАНИ, Проблема человека в условиях современной цивилизации . . . 5
И. Ш. МЕРАБИШВИЛИ, Два пути развития грузинской живописи в изобразительном искусстве 1920-х годов . . . . . . . . 13
М. В. КАНТАРИЯ, Некоторые аспекты изучения этнографических парллелей . . . 28
Э. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ, К вопросу об изучении т. н. «Законов Баграта Куропалата» и действующем в Грузии феодальном праве . . . 45

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Ш. Н. ВАНИШВИЛИ, Административная реформа 1860 года и система правления Грузии в 1868—1881 гг. . . . . . . . . . 65
Г. З. АНЧАБАДЗЕ, О значении термина «Внутреннее войско» . . . 83
Ц. А. АБУЛАДЗЕ, Османские грамоты по истории грузинской колонии в Иерусалиме и на Синае . . . . . . . . . . . 90
Г. А. ГАМКРЕЛИДЗЕ, Исследования подводно-археологической экспедиции в окрестностях г. Поти . . . . . . . . . . 97
Ж. Г. ЭРИАШВИЛИ, К вопросу об институте «Бери» в Грузии . . 118
Э. К. АСТАХИШВИЛИ, Структура и значение Хальцу по клинописным архивам из Мара и Нузи . . . . . . . . . 135
Д. А. ХАХУТАЙШВИЛИ, М. В. КИНЦУРАШВИЛИ, Хирсская гончарная мастерская первой половины I тысячелетия до н. э. . . . . . . 146

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Д. Л. МУСХЕЛИШВИЛИ, Н. В. Хазарадзе, Этнополитические проблемы древней истории Грузии . . . . . . . . . 163
Н. А. БРЕГАДЗЕ, Польские источники о Грузии . . . . . . . 167
О. В. ЦКИТИШВИЛИ, О. Г. Большаков, Средневековый город Ближнего Востока . . . . . . . . . . . . . . . . 170

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Л. С. ДАВЛИАНИДЗЕ, Ш. А. БАДРИДЗЕ, Хроника мероприятий к 100-летию со дня рождения проф. С. Н. Какабадзе . . . . . 175
Т. В. КИНКАДЗЕ, Всесоюзная научно-практическая конференция в г. Ташкенте 179
З. Г. ДЖАМБУРИЯ, XXI научная сессия молодых ученых . . . . . . 183
Д. М. ТУШАБРАМИШВИЛИ, М. Г. НИОРАДЗЕ, Заседание и научная сессия, посвященные 100-летию со дня рождения Г. К. Ниорадзе . . 184
Новые книги . . . . . . . . . . . . . 188

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები

ნანა ავალიანი

# ადამიანის პრობლემა თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში

ადამიანის შრომა მიმართულია თავისი მოთხოვნილებებისათვის გარემოს შეგუებისაკენ. სწორედ ადამიანის მისწრაფებამ — დაემორჩილებინა ბუნება შექმნა ის რთული სტრუქტურა, რაც ცივილიზაციად იწოდება. ცივილიზაციის ყველაზე დიდი ღირებულებაა ადამიანი. შესაბამისად, ადამიანის შემდგომი ბედი განაპირობებს ცივილიზაციის შემდგომ განვითარებას.

ადამიანის პრობლემით უძველესი დროიდან იყო დაინტერესებული ფილოსოფია, მაგრამ დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როდესაც მასობრივი მოსპობის საშუალებებმა მიაღწიეს უმაღლეს დონეს, ისინი შეიჭრნენ კოსმოსში და განადგურებით ემუქრებიან მთელს ცივილიზაციას, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციაში მოპოვებული მიღწევები უშუალო კავშირშია იმ ბრძოლასთან, რომელიც კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამყაროს შორის მიმდინარეობს იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში (შემთხვევითი არ არის, რომ კომუნიზმის წინააღმდეგ მიმართულ „ჯვაროსნულ ლაშქრობაში“ მთავარი ადგილი ეთმობა „ტექნოლოგიურ ომს“), ადამიანის და მისი სამყაროს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა კაცობრიობის წინაშე. დღეს ადამიანი, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, საჭიროებს ღრმად ჩაუკვირდეს და გააანალიზოს თავისი არსებობა.

ადამიანის ამბივალენტური მდგომარეობა თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში მ. ს. გორბაჩოვმა შემდეგნაირად მოიხსენია: „თანამედროვე მსოფლიო რთული, მრავალფეროვანი, დინამიკურია, გამსჭვალულია საპირისპირო ტენდენციებით, აღსავსეა წინააღმდეგობებით. ეს არის ურთულესი ალტერნატივების, წუხილისა და იმედების მსოფლიო. ჩვენს დედამიწისეულ სახლს წინათ არასდროს განუცდია ასეთი პოლიტიკური და ფიზიკური დაძაბულობა, არასდროს აუღია ადამიანს ბუნებისაგან ამდენი ხარკი და არასდროს ყოფილა ესოდენ უმწეო იმ ძალის წინაშე, რომელიც საკუთარი ხელით შექმნა“[1].

ადამიანის სტატუსი ბიოსფეროში შეიცვალა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებმა შექმნეს პირობები იმისათვის, რომ ადამიანი კი არ შეეგუოს ბუნებას, არამედ თავად მოახდინოს ბუნების მანიპულაცია, რაც ადამიანისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ გონივრულ დამოკიდებულებას.

„სერიოზული დასკვნების გამოტანის საფუძველს გვაძლევს წინააღმდეგობათა კიდევ ერთი ჯგუფის — იმ გლობალური მასშტაბის წინააღმდეგობათა ანალიზი, რომლებიც თავად ცივილიზაციის არსებობის საფუძვლებს ეხება. საუბარია, უწინარეს ყოვლისა, გარემოს, საჰაერო

---

1 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე, თბ., 1986, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუზისა და ოკეანეების გაჭუჭყიანებაზე, ბუნებრივი რესურსების გამოლევაზე. პრობლემებს მარტო ის როდი ამწვავებს, რომ მეტისმეტად ადგება ძალა ბუნებრივ სისტემებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, ადამიანის საქმიანობის მასშტაბით ზრდის შედეგად... სულ უფრო ნათლად იკვეთება მოთხოვნილება ეფექტიან საერთაშორისო პროცედურებსა და მექანიზმებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პლანეტის რესურსების, როგორც ზოგადსაკაცობრიო კუთვნილების, რაციონალურ გამოყენებას“[2], — აღნიშნავს მ. ს. გორბაჩოვი.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობა და შრომის პროდუქტების მითვისების კერძოკაპიტალისტური მეთოდი განაპირობებს ადამიანისა და ბუნების მიმართ არაჰუმანურ, მტაცებლურ დამოკიდებულებას. შრომისადმი, ადამიანისადმი, ბუნებისადმი საგნობრივი დამოკიდებულების წინააღმდეგ გამოდიან თვად ბურჟუაზიული მეცნიერები. ხშირად გაისმის ისეთი მოწოდებები, როგორიცაა ჰუმანიზაცია, დაგეგმვა, შეკავება და სხვ.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ შექმნა ადამიანის ცივილიზაციისათვის საზოგადო ეგრეთ წოდებული ზოგადსაკაცობრიო პრობლემები (გარემო ბუნების გაჭუჭყიანების ზრდა, ზოგიერთი ბუნებრივი რესურსების თანდათანობითი გამოფიტვა, ენერგეტიკული პრობლემა და ა.შ.). პრობლემები ზოგადსაკაცობრიოა, მაგრამ მათი გადაწყვეტა სხვადასხვა სოციალურ სისტემაში სხვადასხვაგვარად ხდება. პლანეტარული, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისადმი დამოკიდებულება ნათლად ჩანს მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებში: „ერთხელ ამერიკის პრეზიდენტმა თქვა — თუ ჩვენს პლანეტას შეექმნება სხვაპლანეტელების გადმოსხმის საშიშროება, სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები სწრაფად გამონახავენ საერთო ენასო. მაგრამ განა ბირთვული კატასტროფა უცნობ სხვაპლანეტელთა გადმოსხმაზე უფრო რეალური საშიშროება არ არის? განა დიდი არ არის ეკოლოგიური საფრთხე? განა ყველა ქვეყანა ერთნაირად არ არის დაინტერესებული, რომ გამოინახოს განვითარებადი სახელმწიფოებისა და ხალხების პრობლემებისადმი გონივრული და სამართლიანი მიდგომა“[3].

ზოგადსაკაცობრიო ამოცანებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება ადამიანის ცივილიზაციის შენარჩუნება დედამიწაზე. ამ პლანში მსოფლიო უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი და განუყოფელი მთელი. დღეისათვის წყალგამყოფი გადის არა ცივილიზაციებს (იგი ერთიანი და ზოგადსაკაცობრიოა) შორის, არამედ მის ტიპებს შორის, რომელთა არსებობა განპირობებულია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემების არსებობით.

მრავალგვარია თეორიები, რომლებშიც ცივილიზაცია დაპირისპირებულია ადამიანთან. ბევრი მათგანი გვიხსნის, რომ ცივილიზაციის განვითარების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოხატვამ შესაძლოა ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, მიიყვანოს დეგრადაციამდე.

სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში აქსელერაციის ფაქტორი იმდენად ინტენსიურად მოქმედებს, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერთა აზრით, იგი არ შეესაბამება ადამიანის ფსიქიკის განვითარების ტემპებს. ადამიანს არ შესწევს ძალა წარმართოს, კონტროლი გაუწიოს ტექნიკას, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ადამიანის ცივილიზაციის განადგურებამდე.

---

[2] მ. ს. გორბაჩოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[3] იქვე, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცივილიზაციის განვითარებამ არ შეიძლება ადამიანი მიიყვანოს დეგრადაციამდე. ადამიანი ერთი მთლიანია. არ შეიძლება მისი ორ ნაწილად გაყოფა, მიუხედავად იმისა, რომ იგი შედგება ორი — მატერიალური და სულიერი — ნაწილისაგან. ცივილიზაციისა და ტექნიკის შეზღუდვამ არ შეიძლება კაცობრიობას უკეთესი მომავალი მოუტანოს. როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში: „თავისთავად მეცნიერება და ტექნიკა როდი უქადიან საფრთხეს მსოფლიოს. საფრთხის მატარებელი არიან იმპერიალიზმი და მისი პოლიტიკა — თანამედროვეობის ყველაზე რეაქციული, მილიტარისტული, აგრესიული ძალების პოლიტიკა. ამ საფრთხეს მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, თუ ავლაგმავთ ამ ძალებს“[4].

„კაცობრიობის პროგრესი უშუალოდ უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას — აღნიშნავს მ. ს. გორბაჩოვი, — იგი უჩუმრად, თანდათან მწიფდებოდა, რათა შემდეგ, საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, დასაბამი მიეცა ადამიანის მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობათა გიგანტური ზრდისათვის.

სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას სხვადასხვაგვარი წახნაგები და შედეგები ახასიათებს. 80-იანი წლების კაპიტალიზმი, ელექტრონიკისა და ინფორმატიკის, კომპიუტერებისა და რობოტების კაპიტალიზმი ქუჩაში ყრის მილიონობით ადამიანს, მათ შორის ახალგაზრდებსა და განათლებულებს. სიმდიდრე და ძალაუფლება კიდევ უფრო მეტად იყრის თავს მცირეოდენთა ხელში“[5].

ტექნიკის განვითარება ადამიანის ბუნებასთან ურთიერთმოქმედების შედეგია, მისი მოძრაობის შედეგია. ამიტომაც არ შეიძლება ამ მოძრაობის შეჩერება, მისი შეზღუდვა. ეს არაჰუმანურია, არაადამიანური და მიმართულია თავად ადამიანის წინააღმდეგ, მისი შემდგომი არსებობის წინააღმდეგ. არ არსებობს ადამიანის განვითარების ზღვარი, ადამიანი თავად არის მოძრაობა.

ხშირად ვხვდებით აზრს, რომ ადამიანის ყველა პრობლემა თანამედროვე დასავლეთის სამყაროში დაკავშირებულია ახალი ცივილიზაციის დადგომასთან, რომელმაც როგორც ტალღამ წალეკა წინარე ინდუსტრიული ცივილიზაციის ექვსი ძირითადი პრინციპი: სტანდარტიზაცია, სპეციალიზაცია, სინქრონიზაცია, კონცენტრაცია, მაქსიმალიზაცია, ცენტრალიზაცია[6].

კაცობრიობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ტექნიკა და ცივილიზაციის მონაპოვარი გამოყენებული უნდა იქნეს მშვიდობიანი მიზნებისათვის. ადამიანს იარაღი ესაჭიროებოდა ბუნებაში თავის დამკვიდრებისათვის. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ეს საშუალებები უფრო სრულყოფილი ხდებოდა, რაც საბოლოოდ აისახა თანამედროვე იარაღის ნაირსახეობაში. იარაღის შექმნამ დაკარგა თავისი საწყისი ფუნქცია. მისი მასშტაბები გაფართოვდა. იგი ემსახურება არა მარტო ადამიანს თავის დასამკვიდრებლად, არამედ მთელ სახელმწიფოებს, რაც საფრთხეს უქმნის ცივილიზაციას.

„...წინათ ადამიანები არასდროს ყოფილან ესოდენ ყოველმხრივ აღჭურვილნი ცივილიზაციის შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ ამასთანავე ეს არის იმ საშიშროებებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე მსოფლიო, რომლებიც

---

4 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1986, გვ. 30.

5 მ. ს. გორბაჩოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

6 იხ.: Toffer A. The Third Wave, USA, 1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვაიძულებენ ვილაპარაკოთ ისტორიის ლამის ყველაზე საგანგაშო ხანის შესახებ“, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, და კიდევ: „...როცა ბირთვული იარაღი შემართულია, ცივილიზაციისათვის დრო და სივრცე კარგავს თავის ჩვეულ მოხაზულობას, ხოლო კაცობრიობა შეიძლება შემთხვევითობას შეეწიროს“[7].

ბევრი მეცნიერი ფიქრობს, რომ ნოოსფეროს შესწავლა, მისი შემოქმედებითი გამოყენება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანაა. ცივილიზაციის ევოლუციური პროცესი დაკავშირებულია ადამიანის გონების, აზროვნების, შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარებასთან. მოთხოვნილებების საფუძველზე ფორმირებული ადამიანის აზროვნება ქმნის ცივილიზაციას. იგი ასახავს სოციალურ რეალობას და მიმართულია ამ რეალობის გაუმჯობესებისაკენ.

საფრანგეთის რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის წარმომადგენელი ტეიარ დე შარდენი ფიქრობდა, რომ ადამიანი სამყაროს ცენტრია, რომელიც გამოცანაა, „ქმნის მეცნიერებას და რჩება მეცნიერების ფსიქიკის მიღმა“[8]. მან წამოაყენა „კოსმოგენეზისის“, „ნოოსფეროს“ მოწინავე იდეები, პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთობის პრობლემა. მაგრამ ყველა ეს იდეა ემყარებოდა არა მეცნიერებას, არამედ მეცნიერულ-რელიგიურ საფუძველს.

ცივილიზაციისა და ნოოსფეროს შესწავლის საკითხები განიხილა აკად. ვ. ვერნადსკიმ[9]. ეს კატეგორიები სხვადასხვაგვარად მოქმედებდნენ იმისდა მიხედვით თუ როგორი იყო კონკრეტულ-ისტორიული, რეგიონალური და სხვა ფაქტორები. ჩვენ არ ვეთანხმებით ბურჟუაზიულ მეცნიერთა ბიოლოგიურ კონცეფციებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სხვადასხვა მაგ., აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებს შორის არსებული განსხვავებები თანდაყოლილია. ცივილიზაცია გლობალური კატეგორიაა და არ შეიძლება მისი დაყვანა საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა სფეროში არსებულ განსხვავებულებამდე. მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ კაპიტალისტურ ცივილიზაციაზე, მხედველობაში გვაქვს არა მარტო დასავლეთი ევროპა და ამერიკა, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებიც, უპირველესად — იაპონია.

მას შემდეგ, რაც მოხდა შრომის განსაზოგადოება, ადამიანები უნებლიეთ აღმოჩნდნენ განსაზღვრულ საწარმოო ურთიერთობებში. როგორც აღნიშნავდა კ. მარქსი, „თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ. მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, — წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება“[10].

ადამიანი უზრუნველყოფს თავის შენარჩუნებას და მის შემდგომ განვითარებას ურთიერთობაში. ქმნის რა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადამიანი თავად გვევლინება ამ ურთიერთობათა პროდუქტად. კ. მარქსმა ადამიანის

---

7 მ. ს. გორბაჩოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15—16 და 33.

8 იხ.: Teilhard de Chardin. L'ésprit de la Terre. Oeuvres, t. 6. Paris, 1957, გვ 26.

9 იხ.: Борисова Т. Ф., Вопросы цивилизации в теории ноосферы В. И. Вернадского. — Цивилизация и исторический процесс, М., 1983, გვ. 145—151.

10 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, თბ., 1963, ტ. I, გვ. 406.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



არსი განსაზღვრა როგორც „ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა“ ერთობლიობა[11]. ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოშობა ემთხვევა ცივილიზაციის წარმოშობას. ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ ცივილიზაცია საზოგადოებრივი ურთიერთობების პრიზმაში. პროფ. ლ. ნოვიკოვამ ცივილიზაცია განსაზღვრა როგორც „საზოგადოებრივი ცხოვრების (საერთო ცხოვრების) და კულტურის საკუთრივ სოციალური ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება ინდივიდების და პირველადი (საბაზისო) ერთობლიობის საყოველთაო კავშირით საზოგადოებრივი სიმდიდრის კვლავწარმოების მიზნისათვის“[12].

ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი განვითარების ისტორიულ პროცესში დაგროვილი მატერიალური კეთილდღეობის მემკვიდრეობითობა, მაგრამ არა მარტო მატერიალური კეთილდღეობის, არამედ, რაც მთავარია, საზოგადოებრივი სიმდიდრის ისტორიული ფორმების მემკვიდრეობითობა, რომლის არსიც, უპირველესად საზოგადოებრივ ურთიერთობებშია.

„საზოგადოებრივი ურთიერთობები“ არა მარტო მრავალფეროვანია ისტორიული ფორმებით. იგი გულისხმობს ადამიანთა ურთიერთობებს სხვადასხვა მასშტაბებში (მსოფლიო, სახელმწიფო, ქალაქი და ა. შ.). როგორც უკვე აღვნიშნეთ კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ისტორიული ფორმებით. დღეისათვის კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები აისახება კაპიტალისტურ ცივილიზაციაში, ხოლო სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები — კომუნისტურ ცივილიზაციაში. ამგვარად, ცივილიზაციისათვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო მატერიალური სიმდიდრე, არამედ ადამიანთა ურთიერთობების შედეგად დაგროვილი სიმდიდრე.

ადამიანის პრობლემების შესწავლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მოცემული ცივილიზაციის სოციალური ორგანიზაციის ძირითადი ფაქტორები: წარმოების წესი და საწარმოო ურთიერთობების თავისებურებანი, სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი, კლასობრივი ძალების განლაგება, საზოგადოების მატერიალური მხარე, გარემო ბუნება, დემოგრაფიული ფაქტორი და ა. შ. მაგრამ სოციალური ორგანიზაციის ყველა ფორმას, იქნება ეს მაღალგანვითარებული თუ ნაკლებად განვითარებული ცივილიზაცია, აქვს ერთი საერთო საფუძველი და როგორიც არ უნდა იყოს განსხვავება ამ ფორმებში, ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ერთი ძირითადი ძაფით; ცივილიზაციის უსასრულო მიზანი — ეს არის ადამიანის სრულყოფა. თუმცა ადამიანის განვითარება კაპიტალისტური და კომუნისტური ცივილიზაციის პირობებში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. მაგრამ ჩვენი ბუნება, ჩვენი გარემო, ჩვენი მიკროსფერო ეს ჩვენი პლანეტაა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ გვერდიგვერდ კაპიტალისტურ საზოგადოებრივ სისტემასთან. ჩვენ არათუ არა ვართ დაცული ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების აგრესიისაგან, არამედ ჩვენ მათი გავლენის ქვეშა ვართ. დასავლეთის ცივილიზაციას დიდხანს ჰქონდა „მოდების კანონმდებელის“ სტატუსი. ეფუძნებოდა რა ცივილიზაციების „სრულყოფილებისა“ და „არასრულყოფილების“ თეორიებს, დასავლეთის ცივილიზაცია

---

11 Маркс К. и Энгельс Ф., ПСС, т. 3, გვ. 3

12 Новикова Л И. Цивилизация, Ее социально-историческая сущность, Цивилизация как проблема исторического материализма, ч. I, М., 1983, გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველმხრივ ცდილობდა დაემყარებინა ბურჟუაზიული ცხოვრების წესი მთელს მსოფლიოში[13]. მართალია, დასავლეთის ცივილიზაციამ დაკარგა უწინდელი სტატუსი, მაგრამ ინერციით შეინარჩუნა თავისებური მიმზიდველობა. ასეთ პირობებში, როდესაც კომუნიკაციის საშუალებები და ინფორმაციის არხები აღწევენ არნახულ მასშტაბებს, სოციალისტური ცივილიზაციის ადამიანის დაცვა, მისი იზოლირება ბურჟუაზიული ცივილიზაციის გავლენისაგან ძალზე რთულია. კაპიტალისტურ და კომუნისტურ ცივილიზაციებს შორის არსებული განსხვავება, მათ შორის მიმდინარე შეჯიბრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში შემდეგნაირადაა დახასიათებული: „...კომუნისტური ცივილიზაციის შენების გზას ადგას ასმილიონობით ადამიანი. სულ ახალ-ახალი ხალხები უარს ეუბნებიან კაპიტალიზმს ნდობაზე, არ სურთ მას დაუკავშირონ თავიანთი განვითარების პერსპექტივები, გულმოდგინედ ეძებენ და პოულობენ თავიანთი ქვეყნების სოციალისტური გარდაქმნის გზებს“[14].

ბურჟუაზიულ მეცნიერთა შორის ხშირად ვხვდებით აზრს, რომ ცივილიზაციების მჭიდრო კონტაქტებმა შეიძლება წაშალონ ეროვნული საზღვრები, რის შედეგადაც ადამიანი დაკარგავს თავის ეროვნულ სახეს და ა. შ. მოხდება მისი დენაციონალიზაცია. რომ მომავალი კაცობრიობის სახე იქნება „კოსმოსური ადამიანი“.

„ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — რომ თანამედროვე პირობებში ბრძოლის მთავარი მიმართულებაა ცხოვრების ღირსეული, ნამდვილად ადამიანური მატერიალური და სულიერი პირობები შევუქმნათ ყველა ხალხს, უზრუნველვყოთ სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე, მისი სიმდიდრეებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება. და უწინარეს ყოვლისა მთავარი სიმდიდრისადმი — თავად ადამიანისადმი, მისი შესაძლებლობებისადმი. და სწორედ აქ ვაყენებთ წინადადებას შევეჯიბროთ კაპიტალიზმის სისტემას. შევეჯიბროთ მტკიცე მშვიდობის პირობებში“[15]. ასეთია ჩვენი პარტიის ამოცანები და არა ის, რომ შევქმნათ დენაციონალიზებული, კოსმოსური ადამიანი.

ადამიანის სრული განვითარების შესაძლებლობას იძლევა კომუნისტური ცივილიზაცია. საზოგადოების ყოველი ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაცია შესაძლებელს ხდის განხორციელდეს პრინციპი — „თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით“. ფიზიკური და გონებრივი შრომის შერწყმა ქმნის პირობებს რათა შრომა გახდეს კმაყოფილების მომტანი ყოველი ადამიანისათვის.

სოციალისტური სახელმწიფოს დაარსების პირველი დღიდანვე სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო ახალი ადამიანის აღზრდა. ჩვენს ქვეყანაში ეს საკითხი ნაწილობრივ გადაიჭრა, მაგრამ, მეორე მხრივ, ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრასთან, გვაძლევენ უფლებას ვთქვათ, რომ ადამიანის პრობლემები შემდგომ დამუშავებას საჭიროებენ. ჩვენი იდეოლოგიური მტრები სარგებლობენ სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმების დარღვევების ფაქტებით. ისინი ამტკიცებენ, თითქოსდა, კომუნიზმი უტოპიაა, რომ ადამიანი თავისი ბუნებით კერძომესაკუთრული არსებაა, აქედან გამომდინარე, კაპიტალიზმი, თუნ-

---

13. იხ.: Авалиани Н. И., Понятие «западная цивилизация» в трудах современных буржуазных историков,—Вопросы идеологии, Тб., 1978, გვ. 7—24.

14 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 16.

15 მ. ს. გორბაჩოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34—35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და(ც არასრულყოფილი, საზოგადოებრივი სისტემის უკეთესი ვარიანტია, ვიდრე კომუნიზმი.

ახალი ადამიანის აღზრდა არ არის კონვეიერული პროცესი. იგი განპირობებულია ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროთი და მოითხოვს დიდ დროს. სწორედ ცხოვრების პრაქტიკა, ცხოვრების გამოცდილება თავისი მრავალწახნაგოვნებით განაგებს ადამიანის აღზრდას. ვსაუბრობთ რა კომუნისტურ ცივილიზაციაზე არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი მოცემული გვაქვს მზა, დასრულებული სახით, ისევე როგორც არ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ დასრულებულია ახალი, კომუნისტური ადამიანის აღზრდა. კომუნისტური ცივილიზაცია ჩამოყალიბების პროცესშია. იგი „კაცობრიობის მოდგმის შემდგომი პროგრესის ობიექტური პირობა და გარდუვალი მოთხოვნაა. იგი სულ უფრო მაღალ ხარისხში გამოხატავს ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს. გამოდის რა მთელი კულტურის მონაპოვრის კანონიერ, მომჭირნე მემკვიდრედ და დამცველად, კაცობრიობის შემდგომი განვითარების გარანტად"[16], — წერს აკად. მ. მჭედლოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვენ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ აზროვნებას. ადამიანის ფაქტორის მნიშვნელობა გარდაქმნისათვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის ახლა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე. პარტია ყველა საკითხის გადაჭრის საფუძველს ხედავს ადამიანში. გარდაქმნა იწყება ადამიანით.

ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციას პარტია განიხილავს როგორც სოციალიზმის წარმატებითი განვითარების ერთ-ერთ საწინდარს. ეს არის სოციალისტური საზოგადოების მიზანი და ამასთანავე აუცილებელი პირობა ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე გადასასვლელად.

ადამიანი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ცდილობდა შეექმნა ისეთი საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. დღეს მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანის განვითარებისათვის წარმოშვა უზარმაზარი შესაძლებლობები. მეცნიერების წინაშე დაისვა რთული ამოცანა: გამოამჟღავნოს ადამიანის რეზერვები, შესაძლებლობები და უნარი, შეისწავლოს მისი განვითარება და მომავალი კომპლექსურად, რამდენადაც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგების მიერ ადამიანის შესწავლა არ იძლევა წარმატებით შედეგს.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ადამიანის კომპლექსური შესწავლის სამეცნიერო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ლომოვი. სამეცნიერო საბჭოს ამოცანაა იმ საკვლევი სამუშაოების კოორდინაცია, რომლებიც ტარდება სხვადასხვა მიმართულებით, მათი გაერთიანება ერთიან კომპლექსურ პროგრამაში, ამ პროგრამის რეალიზაციის გზების დასახვა.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოიშვა გაზრდილი ინტერესი ადამიანის პრობლემის, კერძოდ, ადამიანის ღირებულებების, მოთხოვნილებების, ინტერესების მიმართ[17].

---

16 Мчедлов М. П., Историческая миссия рабочего класса: новые аспекты,— Газ. «Правда», 8 августа, 1986.

17 იხ.: Здравомыслов А. Г., Потребности, интересы, ценности, М., 1986.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი ადამიანის აღზრდა და კომუნისტური ცივილიზაციის ფორმირება ურთიერთდაკავშირებული ორი მიმართულებაა. კომუნისტური ცივილიზაციის პერსპექტივები, მისი წარმატება, განპირობებულია კომუნისტური ადამიანით.

ამგვარად, ადამიანის განვითარება ხდება იმისდა მიხედვით თუ რომელი ცივილიზაციის პირობებში უხდება მას ცხოვრება და მოღვაწეობა — კომუნისტური თუ კაპიტალისტური.

Н. И. АВАЛИАНИ

## ПРОБЛЕМА ЧЕЛОВЕКА В УСЛОВИЯХ СОВРЕМЕННОЙ ЦИВИЛИЗАЦИИ

Резюме

Самая высокая ценность цивилизации — человек. Следовательно, дальнейшая судьба человека обусловливает дальнейшее развитие цивилизации.

Проблема человека занимала философов с древних времен, но сегодня, в эпоху НТР, когда средства массового уничтожения достигли высочайшего уровня, они проникают в космос и угражают истреблением всей цивилизации, проблема человека и его мира встала особенно остро перед человечеством. Человек больше, чем когда-либо, нуждается в глубоком анализе своего бытия.

Изучая проблемы человека, следует учитывать основные факторы социальной организации: способ производства и особенности производственных отношений, классовый характер государства, расстановку классовых сил, материальную сторону общества, природную среду, демографический фактор и т. д. Но все сферы социальной организации, будь то высоко развитая цивилизация или менее развитая, имеют одну общую основу. Формирование человека является бесконечной целью цивилизации.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე მერაბიშვილი

## ქართული ფერწერის განვითარების ორი გზა 1920-იანი წლების სახვით ხელოვნებაში

ქართულ ფერწერაში 20-იანი წლები წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდია. ერთი მხრივ, ნაციონალური ფორმის ძიება, ეროვნული ტრადიციების ახალ თვისობრივ ხარისხში გააზრება და თანადროული უახლესი მიმდინარეობის შეცნობა-ათვისება. XX საუკუნის ევროპული ხელოვნების მონაპოვარს რომ გულისხმობს.

1920-იანი წლები გარდატეხის ეტაპია, მხატვართა ინტენსიური შემოქმედებით ძიებათა დრო, როცა ახალმა სოციალისტურმა ეპოქამ ასახვა პოვა ქართულ ფერწერაში.

ძალზე მნიშვნელოვანია მიღწევები ქართულ ფერწერაში. მასში აისახა ქართველი ხალხის ეროვნული სული, ხასიათის ძირეული ნიშნები, მისი ტემპერამენტი, მეოცნებე ბუნება, შემოქმედებითი ფანტაზია, სიახლის ათვისებისა და განცდის უნარი, თანადროულობის მძაფრი შეგრძნება.

20-იანი წლების ქართული ფერწერის შესწავლა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც განაპირობა იმ პერიოდის დაძაბულმა სოციალურმა ვითარებამ, განსხვავებული ესთეტიკური მრწამსის მქონე არა ერთი ორგანიზაციის მოღვაწეობამ და, პარალელურად, რევოლუციამდელი მხატვრული ტრადიციების არსებობამ, ამ პერიოდის წამყვანი მხატვრების ევროპულ გარემოში ყოფნამ.

1920-იან წლებში ქართულ ფერწერაში შეინიშნება ორი მაგისტრალური გზა — რეალისტური და მოდერნისტული ტენდენცია.

თითოეული გზა მრავალსახოვანი აღმოჩნდა. კერძოდ, 1920-იან წლებში ქართულ სახვით ხელოვნებაში შეიქმნა ექსპერიმენტული, ფუტურისტული, კუბისტური და აბსტრაქტული ნაწარმოებები. რეალისტური გზაც არ იყო ერთგვაროვანი. რევოლუციამდელი რეალისტური ტრადიციების განვითარებასთან ერთად, დამკვიდრდა „ახრ"-ის და „სარმას"[1] ახალი, თანამედროვე თემატიკის მქონე ტრადიციები, აგრეთვე უცხოეთში შექმნილი რეალისტური ნამუშევრები. მხატვრები რიგ მნიშვნელოვან რეალისტურ ტილოებთან ერთად ჰქმნიან სოციალისტური რეალიზმის პირველ წანამძღვრებს.

1920-იანი წლების საქართველოს მხატვრული ცხოვრების წინააღმდეგობრივი ხასიათი, უმთავრესად ამ პერიოდში სხვადასხვა მიმდინარეობათა მიხედვით შექმნილ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებში გამოვლინდა. ამ წლებში ყველაზე ძლიერი გამოვლენა პოვეს მოდერნისტულმა ტენდენციებმა. შეიძლე-

---

1 „ახრ"-ი—АХР—Ассоциация Художников Революции; „სარმა" — საქართველოს რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია — 1920-იანი წლების წამყვანი მხატვრული ორგანიზაციები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბა ითქვას, რომ ამ მიმდინარეობებმა მიიზიდეს თითქმის ყველა თვალსაჩინო შემოქმედის მხატვრული ინტერესები და არამც თუ მიიზიდეს, ერთგვარად განაპირობეს კიდეც ამ უკანასკნელთა უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი ძიებები. საქართველოში ძირითადად მოდერნისტულ გავლენებს არ ჰქონდა დეკადენტური იერი, რაც გაპირობებული იყო ეროვნული ხელოვნების ჯანსაღი ფესვებით, ახლო წარსულის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით და იმ სოციალური ვითარებით, რევოლუციურმა ეპოქამ რომ მოიტანა.

„არც მათ შეხედულებაში, არც სულში არ იყო არაფერი დეკადენტური და გეგონებოდათ, რომ ისინი მიემხრნენ სიმბოლისტურ და დეკადენტურ სკოლას თავით, ვიდრე გულით“[2], გ. ქიქოძის ეს სიტყვები, თქმული ქართველი სიმბოლისტების შესახებ, სავსებით ესადაგება ქართველი მხატვრების მოდერნისტულ გატაცებას. მართლაც, მათი მოდერნისტული მიმდინარეობებით გატაცება „რეალიზმის ჩარჩოების გაფართოებას“ ემყარებოდა. აქ დღის წესრიგში იდგა ახალი ევროპულ-მოდერნისტულის და ეროვნულის თანხვედრა — შერწყმის საკითხი, რაც ეპიგონობას გამორიცხავდა. 1920-იანი წლების ახალგაზრდა ქართველმა მხატვრებმა ლ. გუდიაშვილმა, ე. ახვლედიანმა, შ. ქიქოძემ, მიუხედავად რიგი გადახრებისა რეალისტური ხაზიდან, სახვითი ნატურალიზმის საწინაალმდეგოდ შეიტანეს ქართულ ფერწერაში ახალი ფერწერული ამოცანები, თავისებური დინამიკა და რიტმი, სტილური ერთიანობა და ჰარმონიული დეკორატიულობა[3].

მოდერნისტული გავლენები 1920-იან წლებში, ერთი მხრივ, განაპირობა ქართველი მხატვრების უცხოეთში ყოფნამ (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, შ. ქიქოძე, მ. ბილანიშვილი, ელ. ახვლედიანი), და ახალი მხატვრული ენის ძიებამ, ენისა, რომელიც შეძლებდა თანამედროვეობის, ახალი ეპოქის სრულად გამოსახვას, ახალი სახვითი საშუალებებით.

მოდერნისტული ნამუშევრები პირველად საქართველოში კირილე ზდანევიჩმა გამოფინა. მის შემოქმედებაში სხვადასხვა სტილური ძიებების კვალს ვხვდებით. ეს არის იმპრესიონისტული, კუბისტური და სუპრემატული აბსტრაქცია-კოლაჟები, რომელთა უმრავლესობა შესრულებულია 1920-იან წლებამდე.

შეუძლებელია მხედველობაში არ მივიღოთ XIX საუკუნის ისეთი მძლავრი მიმდინარეობის ზემოქმედება ქართულ ხელოვნებაზე, როგორიც იმპრესიონიზმი იყო, თუმცა 1920-იანი წლების მოღვაწეთა შემოქმედებაში იგი მცირე ძიებების, გამომსახველობითი ცალკეული საშუალელების უმნიშვნელო კვალით აღიბეჭდა[4]. ასეთებია მოსე თოიძის რევოლუციამდე შექმნილი რამდენიმე დეკორატიული ფერწერული ნამუშევარი, რომელთაც იმპრესიონისტული ძიებ-

---

2 გერონტი ქიქოძე „წერილები, ესსეები, ნარკვევები“, თბ., 1985. გვ. 418.

3 ანალოგიური მოვლენა შეინიშნება ქართველ სიმბოლისტ მწერალთა შემოქმედებაში. მათ „ენობრივი ნატურალიზმის“, სტილური შტამპის საპირისპიროდ ქართულ პოეზიაში შეიტანეს ახალი ფორმები, რითმები და თემატიკა“. წიგნში — Чилая С. Очерки истории грузинской советской литературы, Тб., 1960, გვ. 47.

4 ძლიერი გავლენა იმპრესიონისტულმა ფერწერამ მოგვიანებით 1950-იანი წლების ქართველ მხატვართა შემოქმედებაზე იქონია. კერძოდ, ამ წლებში ედ. კალანდაძის, ჯ. ხუნდაძის ზ. ნიჟარაძის ფერადოვანი პალიტრა აშკარა იმპრესიონისტული კოლორიტით ხასიათდება. ეს ტენდენცია დღესაც ირეკლება თანამედროვე ფერმწერთა ნამუშევრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის კვალი ატყვიათ: „ბაზაზხანა“, „მთვარიანი ღამე“, — „ძველი თბილისის კუთხე“ და სხვები, მაგრამ ისინი რეალისტური ხედვის პრინციპებით არიან შექმნილი და როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავს, „რეალისტური მსოფლგაგების ჩარჩოებიდან არ გამოდიან“[5].

დიმიტრი შევარდნაძის რევოლუციამდელი ფერწერული ნამუშევრების შესრულებაში მნიშვნელოვანია პოსტიმპრესიონისტების, სეზანის და ვან-გოგის ფერწერული ხედვისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

ქართულ სახვით ხელოვნებაში 1920-იანი წლების I ნახევარში ზოგი მხატვრის შემოქმედებაში შეიქმნა ექსპრესიონისტული ნამუშევრები.

ექსპრესიონისტული ტენდენციები ქართულ მხატვრულ ცხოვრებაში, საუკუნის დასაწყისში წარმოჩინდა და შემდგომ წლებში გაღრმავდა. აშკარაა მათში სოციალური პროტესტიც, რაც ყველაზე მკაფიოდ ლადო გუდიაშვილის და შალვა ქიქოძის ექსპრესიონისტულ ნამუშევრებში შეიმჩნევა.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ექსპრესიონისტული ელემენტების წარმოშობა, როგორც ჩანს, ნაციონალური ფორმის ძიებებიდან მოდის. იგი ცდილობს წარმოაჩინოს პირობითი სიბრტყობრიობის ელემენტები, ქართული ფრესკის ინტონაციებიდან რომ მომდინარეობს, დაეყრდნოს ევროპულ თანადროულ დაზგურ სურათს და აღმოსავლური მინიატურების მდიდარ ტრადიციას.

აღმოსავლური მინიატურების და, საერთოდ, აღმოსავლური ფერწერის გავლენა მკაფიოდ გამოვლინდა გუდიაშვილის, როგორც ადრეულ, ასევე პარიზული პერიოდის ნამუშევრებში[6], თუმცა ზოგ მათგანში ექსპრესიონისტული ელემენტები ნაკლებად შეინიშნება („გასეირნება“, „თავი მოიმძინარა“, „ნადირობა“).

1920-იანი წლების ფერწერულ ნამუშევრებში ლადო გუდიაშვილის შემოქმედებითი ძიებები ექსპრესიონიზმის ტრადიციებს უკავშირდება. მათ შორის არის ეროვნულ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები: „ხაში“, „კინტოების ქეიფი ქალთან“, „ცოცხალი“, „სადღეგრძელო განთიადისას“, „ავტოპორტრეტი“, „ტიციან ტაბიძის პორტრეტი“ და „ქრისტინე“.

თემის გააზრებით და ფერწერული ამოცანებითაც ფიროსმანაშვილის შემოქმედების გამოძახილია „ხაში“. განსხვავებით ფიროსმანაშვილის მშვიდი, ზვიადი ყარაჩოღელებისა და კინტოებისაგან, გუდიაშვილის ტილოზე დაძაბული და მშფოთვარე ატმოსფერო სუფევს. კოლორიტი ტილოზე მუქი და თითქმის ერთფეროვანია, ექსპრესიონისტული მანერა მხატვარს ეხმარება, მართალია გაზვიადებულად, მაგრამ მძაფრად დაგვანახოს ძველი თბილისის, დაბალი ფენის წარმომადგენელთა, გაუხარებელი ცხოვრება.

სოციალური ჟღერადობა აქვთ გუდიაშვილის ტილოებს „კინტოების ქეიფი ქალთან“ (1919 წ.) და „სადღეგრძელო განთიადისას“ (1919 წ.) ექსპრესიონისტული მიდგომა აქაც უმთავრესად სურათის აზრობრივი დატვირთვიდან მომდინარეობს. მხატვარს იმ სოციალური გარემოს განაჩენი გამოაქვს, რომელმაც განაპირობა ნამუშევარზე წარმოდგენილი ადამიანების სულიერი მდგო-

[5] Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии, 1921—1970 гг. М., 1975, გვ. 21.

[6] მხედველობაში გვაქვს ის ნამუშევრები, რომლებშიც ექსპრესიონისტული ტენდენციის ნიშნები მეტ-ნაკლებად მოიძიება, რაც შეეხება აღმოსავლურ ტენდენციას, როგორც ცნობილია, იგი გუდიაშვილს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მარეობა. აკი თავის „პარიზულ წერილებში“ ლუკომსკი აღნიშნავს, რომ ლ. გუდიაშვილი „კავკასიის ცხოვრების მკაცრი პოეტია“[7].

ფერწერული თუ შინაარსობრივი დატვირთვით იმავე ხაზს აგრძელებენ ფერწერული. ტილო „იდილია“ (1920 წ.) და ძველი თბილისის ბოჰემის ამსახველი „ქრისტინე“.

პარიზში შექმნილ კინტოს სერიის საუკეთესო სურათში „ცოცხალი“ (1920 წ.) ექსპრესიონისტული ელემენტები ნაციონალურ თემატიკას ერწყმის.

„ცოცხალი“ მრავალპლანიანი და მრავალწახნაგოვანი კომპოზიციაა. მას სიმბოლური ჟღერადობაც აქვს. კომპოზიცია ცენტრიდან ვითარდება. ცენტრალურ ღერძზე წარმოდგენილი სამი კინტოს შინაგანი პულსაციით დაძაბული სილუეტი, დედამიწიდან ამოზრდილი ვაზის დახვეული პლასტიკური რტოებით შეკრულია. მათი ელასტიკური ფიგურები სურათის კულმინაციური დომინანტია. სურათის მეტ-ნაკლებად გაწონასწორებულ დინამიკაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს წყლიდან ამოზრდილი მეთევზის მოქნილ ფიგურას. იგი მორიდებით სთავაზობს მოქეიფეებს თევზებს და სარდონიკული სიცილით არღვევს საერთო ლხინის ატმოსფეროს. ფიგურათა ექსპრესიული მოძრაობა თითქოს მწყობრი მუსიკალური რიტმის საფუძველს ემორჩილება და ფორმათა დენადი სილუეტური ლაქებით სურათი დინამიკაში აღიქმება.

სტილური მსგავსებით გამოირჩევიან 1919 წელს შექმნილი ავტოპორტრეტი და ტიციან ტაბიძის პორტრეტები. ტიციან ტაბიძე — „ცისფერყანწელების“ — ქართველი სიმბოლისტების ერთ-ერთი ლიდერი, გუდიაშვილმა სიმბოლური ატრიბუტებით (პერგამენტი, ქალდეას ქალაქები, ჩიტი) წარმოადგინა. ქუფრი, უსიხარულო გარემო, უსიცოცხლო, მჭლე, პირობითი ფორმები, მხოლოდ რამდენიმე ნათელი სიბრტყით ხალისდება.

ფორმას უფრო მეტად არღვევს გუდიაშვილი „ავტოპროტრეტში“. თუ ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა — სწრაფვა სიმახინჯისაკენ[8], გუდიაშვილის ესთეტიკაში ეს ხერხი დიამეტრალურად საწინააღმდეგო დატვირთვას იძენს.

გუდიაშვილი ფორმათა დეფორმაციით ქმნის ადამიანის სახეს, როცა ფორმების დანაწევრება, ძლიერი უტრირება, თითქმის აბსტრაგირებამდე მიდის. აქაც მიმართავს მხატვარი სიმბოლიკას. პორტრეტის საერთო სილუეტი, თავის, ტანის და ხელების პლასტიკა თითქმის ზუსტად იმეორებს ფონად წარმოდგენილი ირემის მოქნილ მოძრაობას, ხაზს უსვამს მხატვრის შინაგან ფაქიზ და მორჩილ ბუნებას. პორტრეტის სახე, შველის ნაკვეთების იმიტირებაა, რაც უჩვეულოა ადამიანისათვის, მაგრამ თუ ღრმად დავაკვირდებით, გუდიაშვილის პანთეისტური ბუნების ერთგვარი გამოვლენაა. იგი მხატვარს თანამედროვე მინდიას სახით წარმოგვიდგენს.

რაც შეეხება გუდიაშვილის წმინდა ექსპრესიონისტულ ტილოებს — „დამნაშავეთა ოჯახი“ (1929 წ.) და „უსახლკარო“ (1930 წ.) — ამ ორ ნამუშევარში ხაზგასმით დეფორმირებული და ჰიპერტროფირებულია ყველაფერი. მათში უიმედობას, უკიდურეს სკეფსისს დაუსადგურებია.

ექსპრესიონისტული ხელწერის ნიშნები უფრო მკრთალად შეინიშნება

---

7 Златкевич Л., Ладо Гудиашвили, Тб., 1981, გვ. 29.

8 ჯერ კიდევ 1915 წ. ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ლიდერი ფრანც მარკი ამბობდა: „მე უკვე ძალიან ადრე შევიგრძენი ადამიანი, როგორც რაღაც სიმახინჯე... ამიტომ ჩემი გამოსახულებები ინსტიქტურად, შინაგანი აღგზნებით, გახდნენ თანდათან სქემატურები“. წიგნიდან: Модернизм (под ред. Вансловa), М., 1980, გვ. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უცხოეთში შექმნილ ნაწარმოებთა ერთ ჯგუფში, აღმოსავლურ თემატიკას რომ უკავშირდებიან („ცხვრის პარსვა“, „ბოკვერის მკურნალი“, „აღმოსავლური ტრიო“, „ქალი კლდეებში“), რაც გამოიხატება პერსონაჟთა დახასიათებასა და ფერწერულ გადაწყვეტაშიც.

თავისთავად აღმოსავლური ელემენტების სიჭარბე, რაც სპარსული მინიატურებიდან მოდის, ექსპრესიონისტულ ხერხებთან მიმართებაში ქმნის უჩვეულო სტილურ მთლიანობას და თვალნათლივ წარმოაჩენს მხატვრის თვითმყოფადობას, მის ორიგინალურ ხელწერას.

ექსპრესიონისტული ნამუშევრები 1920-იან წლებში შექმნა შემდგომში ცნობილმა თეატრალურმა მხატვარმა ირაკლი გამრეკელმა.

გამრეკელის ექსპრესიონისტული ნამუშევრები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

I — ნამუშევრები, რომლებშიც აისახა ადამიანის უკიდურესი მწუხარება, სკეფსისი — მათ რიცხვს მიეკუთვნება — „უიმედობა“ (ორი ვარიანტი) „გოდება“, „მწუხრი“, „ნუგეში“, „აბელი და კაენი“ (უკანასკნელი რელიგიური თემის ერთადერთი ნიმუშია); II — ნამუშევრები, სადაც ექსპრესია გროტესკამდე ადის — „ეშვიანობა“ (ორი ვარიანტი), „ქალი ფორთოხლებით“, „მარჩიელი“; III — ექსპრესიონისტული ნამუშევრები, რომლებიც სიმბოლურ ელემენტებს შეიცავენ — „აჩრდილთა სამყარო“, „სამი ფიგურა“, „ფეერთეულ ღამეს“, „მოცეკვავე სალომე“, „სალომე იოქანაანის თავით“.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამრეკელი მოქნილი, ექსპრესიული ხაზების თავისებური კომბინაციებით, ფერთა ურთიერთდალაგებით, ფორმათა სიბრტყობრივი დეკორატიულობით, ძლიერი ემოციური გამომსახველობისკენ ისწრაფვის.

ირ. გამრეკელის ექსპრესიონისტული ნამუშევრების ძიებები არ იყო ერთნიშნა. ისინი პლასტიკური ფორმის და ემოციური, დაძაბული ფერის ტონალური და ჰარმონიული შერწყმისაკენ იყო მიმართული, რაც დამახასიათებელია ექსპრესიონიზმისათვის საერთოდ.

20-იანი წლების ქართულ სახვით ხელოვნებაში ექსპრესიონისტული ნამუშევრები შექმნა მხატვარმა შალვა ქიქოძემ. ქიქოძის ექსპრესიონისტული ნამუშევრები სამი, შინაარსობრივად სხვადასხვა ხაზით ვითარდება. ერთი — ავტობიოგრაფიულია („სამი მხატვარი“, „უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონებლად“); მეორე — პარიზული ცხოვრების ამსახველი ნამუშევრებია („კაფეში“, „რესტორანი“); მესამე — ქართულ თემატიკაზე შექმნილი ფერწერული ტილოები („ქართველი ქალი“, „ქალ-ვაჟი“, „აჭარელი ქალები“).

თუ ავტობიოგრაფიულ ნამუშევრებში პირადი სულიერი განცდები სიმბოლურ-ალეგორიულ პრიზმაში აირეკლა და გამომსახველობითობამ უკიდურეს შინაგან მღელვარებას მიაღწია, სხვაგან კაპიტალისტური სამყაროს დამახასიათებელი სოციალური უთანასწორობა, მისი საერთო კრიზისი გახდა მხატვრის მხილების ობიექტი. ქართულ თემატიკაზე შექმნილ ნამუშევრებში ექსპრესიონისტული საფუძველი შინაგან დაძაბულ გამომსახველობითობას აძლიერებს, თუმცა დიდი წილი ემოციურ-გრძნობად მხარესაც ეთმობა.

ელენე ახვლედიანის ექსპრესიონისტულ ნამუშევართა მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთში დარჩა. საქართველოში არსებულ ნამუშევართაგან უნდა დავასახელოთ: „საბუე“, „კრება“ (ორივე გრაფიკა), და „შესვენება გზაში“ (ფერწერა), სადაც ექსპრესიონისტულ დატვირთვას უმთავრესად ფერი იღებს.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლ. გუდიაშვილის, შ. ქიქოძის, ირ. გამრეკელის და ელ. ახვლედიანის ექსპრესიონისტული ძიებები, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც, მიმართული იყო, პირველ რიგში, საკუთარი გზის მიგნებისაკენ და და მეორე — ეს ძიებები ნაციონალური ენის, ეროვნული სახვითი ფორმის შექმნის მცდელობა იყო.

რაც შეეხება ფუტურიზმს, იგი საქართველოში, როგორც ცალკე მხატვრული მიმდინარეობა, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა და დამოუკიდებელი არსებობა 1922 წლიდან დაიწყო. მისი წარმომადგენლები არიან ბენო გორდეზიანი და ირაკლი გამრეკელი. მათ ეკუთვნით ფუტურისტული ჟურნალის „$H_2SO_4$“-ის მხატვრული გაფორმება.

ჟურნალის 48 ფურცლიდან 10 ილუსტრაციაა. 8 ეკუთვნის ირაკლი გამრეკელს, ხოლო 2 ბენო გორდეზიანს.

ბენო გორდეზიანის კომპოზიციაში „ლენინის დასაფლავების დღე“ — ცხოვრებისეული ცალკეული ფრაგმენტების კოლაჟური კომპონირებაა, მათი დაპირისპირებით მხატვარი „საგანს ანაწევრებს“. ხოლო მეორე კომპოზიცია „ცოლიანი პოეტი“ სახიერ ასოციაციას არ იწვევს. გორდეზიანი ელიფსურწახნაგოვანი ფორმების განლაგებით, სურათზე დინამიკური მოძრაობის ილუზიას ქმნის[9], კაშკაშა სიბრტყეების თავისუფალი განლაგება, საშუალებას გვაძლევს შეგვექმნას ნებისმიერი ემოციები, თუ აზრობრივი ასოციაციები. მხატვრის თავისუფალი დამოკიდებულება აქ აშკარაა. მისი მიზანია, სხვა ფუტურისტი მხატვრების მსგავსად, „ახალი რეალობის შექმნა“[10], როცა მხატვრის სუბიექტურ სურვილზეა დამოკიდებული, შეიტანს თუ არა ნამუშევარში ცხოვრებიდან აღებულ მხატვრულ ელემენტებს, თუ მოგვცემს მის სრულ აბსტრაგირებულ ვარიანტს.

ირაკლი გამრეკელის წვლილი ჟურნალ „$H_2SO_4$“-ის მხატვრულ გაფორმებაში მნიშვნელოვანია. გარდა საერთო ამოცანებისა, რაც ჟურნალში შრიფტთან[11] დაკავშირებით წამოიჭრა, მან 8 ილუსტრაცია დასტამბა.

---

9 ახლოს დგას უ. ბოჩონის 1913 წ. შესრულებულ ფუტურისტულ — „კუნთების დინამიზმთან“ შუქჩრდილის იგივე პრინციპი გვხვდება რუსსოლისა („აჯანყება“, „სახლი, შუქი, ცა“) და სევერინის („ჯავშნოსანი“) ფუტურისტულ ნამუშევრებში.

10 როგორც ცნობილია, ფუტურისტების ნამუშევრებში ხდება „გამოსახულების „თანდათანობითი აბსტრაგირება“ — ახალი რეალობის შექმნის სურვილი“. Модернизм (под ред. Ванслова), М., 1980, გვ. 125.

11 დიდი ყურადღება მიექცა ჟურნალის საერთო პოლიგრაფიულ მხარეს. თითოეული გვერდის მხატვრული სახის შესაქმნელად ქართული ანბანური შრიფტის თითქმის ყველა ბეჭდური ნიმუში გამოიყენეს. აგრეთვე არაბული რიცხვების კომბინირება სხვადასხვა ზომის და მოხაზულობის ბგერა ასოებთან. თუმცა შინაარსობრივად მათი ახსნა ძნელად ხერხდება. ხშირად ასოები უკუღმა, ვერტიკალურად ან დიაგონალურად იკითხება. დარღვეულია სტრიქონების სიმაღლე, აგრეთვე ასოების თანაფარდობაც, რითაც ჟურნალის მთლიანი სახე ფუტურისტული ხელოვნების ნიმუშს ქმნის. (იხ. ჟურნალი „$H_2SO_4$“ 1924 წ. № 1) თავის წიგნში „ძიება და ექსპერიმენტი“ ლარისა შადოვა „$H_2SO_4$“-ის გაფორმებას მიაკუთვნებს რა სუპრემოკონსტრუქტივისტულ ექსპერიმენტს, სამართლიანად შენიშნავს, რომ „ჩუქურთმოვანი ქართული ანბანი ახალ ტიპოგრაფიულ სტილს თავის სახით, რუსულსა და ლათინურზე ნაკლებად არ ენათესავება“. Shadova Larisa A. Suche und Exsperiment Russische und Sovietische Kunst, 1910, bis 1930. Dresden. 1978, გვ. 93.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ დავაჯგუფებთ ირ. გამრეკელის ყველა ფუტურისტულ ნამუშევარს ფუტურიზმის მთავარი ნიშნის — მოძრაობის მიხედვით, შემდეგ სურათს მივიღებთ: 1. ნამუშევრები, რომლებშიც მოძრაობა ჰორიზონტალურად ვითარდება: „ბაგრი კუკი“, „Table dinamique“ და „მოძრაობა“; 2. ნამუშევრები, სადაც მოძრაობა ვერტიკალურად ვითარდება „Bagnade“, „69 ვარიაცია“, „Moment extatique„; 3. ნამუშევრები, სადაც მოძრაობა წრიულად ვითარდება — „მე და ცირკი“, „Lues“—ანუ „მხატვარი მედიცინაში“.

„Table dinamique“, „Moment extatique“. „Bagnade“. „ბაგრი კუკ“ „69 ვარიაცია“, გრაფიკული ნამუშევრებია, ხოლო „მე და ცირკი“ და „Lues“ — ანუ „მხატვარი მედიცინაში“—ფერწერულები.

ყველა ამ ფუტურისტულ ნიმუშში ირაკლი გამრეკელი ახერხებს ბოლომდე არ დაშორდეს რეალურ სამყაროს.

სხვადასხვა რეალურ ფორმათა კომბინაციურ-რიტმულ დაკავშირებაში მკაფიოდ ჩანს მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა, მისი გემოვნება, მისწრაფებები, თუ როგორ ახერხებს სხეულის ფორმათა ანალიტიკურ დაშლას, რიტმული მოძრაობის გამოსახატავად, ან მკვეთრი ნახატის და ლოკალურ ფერთა მასივების ორიგინალურ შეხამებას, სადაც წმინდა ფუტურისტული ნამუშევრების გვერდით არის კუბისტურ-ფუტურისტული და ნაწილობრივ აბსტრაგირებული ფურცლებიც. 12, 13, 14.

ქართულ სახვით ხელოვნებაში მოდერნიზმის ერთ-ერთი გამოვლენა კუბიზმი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კუბიზმის ორივე[15] პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიმუშები შეიქმნა. პირველად, როგორც აღვნიშნეთ, 20-იან წლებამდე, კუბისტური ნამუშევრები კირილე ზდანევიჩმა გამოფინა.

1920-იან წლებში კუბისტური ნამუშევრები შექმნეს მიხეილ ბილანიშვილმა, ბენო გორდეზიანმა, ელენე ახვლედიანმა, ირაკლი გამრეკელმა და შალვა ქიქოძემ.

მიხეილ ბილანიშვილის პარიზში შექმნილი ტილოები[16] 1926 წ. შესრულებული, „ლამბარაშვილის პორტრეტი“ (დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში) და „მობანავე ქალები“ (დაცულია გ. ნათაძის კერძო კოლექციაში თბილისში) კუბისტური ფორმებით გადაწყვეტილი ნამუშევრებია. თუმცა თითოეული მათგანი აშკარად მინიშნებულ რეალურ საფუძველს შეიცავს და ფერწერული ღირსებებითაც ყურადღებას იმსახურებს.

ბენო გორდეზიანის კუბისტურ ნამუშევრებში „ვაჟა ფშაველა“ და „ცხრა

---

12 „ფუტურისტების ნამუშევრების გამორჩევა კუბისტების ტილოებიდან ზოგჯერ ისევე ძნელია, როგორც განსხვავების მიკვლევა შავი ეშმაკისა თეთრისაგან ან ნებისმიერი ფერის ეშმაკისაგან“. Малахов Н., Социалистический реализм, М., 1970, გვ. 173.

13 ირ. გამრეკელის კუბისტურ ფუტურისტული ძიებები მკაფიოდ გამოვლინდა მის თეატრალურ დეკორაციებსა და კოსტუმების კონსტრუქციულ ბუნებაში.

14 1924 წ. ფუტურისტებმა წამოაყენეს „მსოფლიო ფუტურიზმის“ იდეა. ამ დროისათვის ფუტურიზმს შეგვიძლია ვუწოდოთ „მსოფლიო უსაგნობა“, Модернизм (под ред. Ванслова), М., 1980, გვ. 132.

15 კუბიზმის პირველ — „ანალიტიკურ“ — პერიოდში (1908—1911 წ.) ჯერ კიდევ შენარჩუნებული ფიგურალობა და სიუჟეტი, თანდათან ხდება არაფიგურალური და ბოლოს მიდის სრულ აბსტრაგირებამდე. 1912—1914 წლებში კუბიზმის მეორე პერიოდია — ე. წ. „სინთეზური“ — ჩაისახა და განვითარდა კოლაჟი — ქაღალდის და სხვადასხვა საგნის ჩაწებება-ჩამონტაჟება სურათში.

16 მიხეილ ბილანიშვილი 1922 წლიდან გარდაცვალებამდე, 1934 წლამდე ცხოვრობდა პარიზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყარო“ (ორივე დაცულია რ. გორდეზიანის ოჯახში) მკვეთრი გეომეტრიული ფორმების არასისტემური კომბინაციები მიგვანიშნებენ სიუჟეტურ ჩანაფიქრს, ხოლო ფერწერული გადაწყვეტა თავშეკავებული, თითქმის მონოქრომულია. ირაკლი გამრეკელის კუბისტური ნამუშევრები უმთავრესად გრაფიკულია, მხოლოდ „შალვა ალხაზიშვილის“ პორტრეტი ყველაზე „ფერწერული“ კუბისტური ნამუშევარია. ფონზე ძლიერ დანაწევრებული არქიტექტურული მოტივებია. პორტრეტირებულის წარმოსახვა ასიმეტრიულ ფერადოვან არეებზე ხდება.

1927 წელს შესრულა 20-იანი წლების ერთადერთი კუბისტური კომპოზიცია „ზღაპარი“ ელენე ახვლედიანმა. კოლაჟური პრინციპით აგებს მხატვარი კომპოზიციას და საგნები ჩამონტაჟებული ფრაგმენტების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ახვლედიანი სურათს მონოქრომულად ერთ მოყავისფრო ტონალობაში წარმოსახავს. თითოეული საგანი განსხვავებული ინტენსივობითაა გააზრებული და იქმნება ზღაპრულ-ირეალური სამყარო.

ერთადერთი კუბისტური ნამუშევარი შ. ქიქოძის შემოქმედებაში 1920 წლებში შეიქმნა. „პარიზი“ — ასე ეწოდება ნამუშევარს, სადაც დანაწევრებული არქიტექტურული და ფერადოვანი ლაქების ქაოსური კომბინაციები ავსებენ სასურათო სიბრტყეს. დინამიკურ ხაზთა უსისტემო წრებრუნვაში მკაფიოდ შეინიშნება რამდენიმე რეალური ფორმა. თითოეული სიბრტყობრივად განლაგებადი ფორმა ერთი ფერის სწრაფი დაბალი მონასმითაა შესრულებული.

1920-იანი წლების ქართულ სახვით ხელოვნებაში შედარებით მცირე ადგილი დაეთმო აბსტრაქციონისტული მიმდინარეობის ნიმუშებს. მათ მხოლოდ დ. კაკაბაძის შემოქმედებაში ვხვდებით. მის შემოქმედებით მემკვიდრეობაში კუბისტური და აბსტრაქტული ნამუშევრები განაპირობებენ მხატვრის ცალკეულ ძიებებს.

დავით კაკაბაძე თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზევე (მხედველობაში გვაქვს პარიზამდე პერიოდი) იწყებს ექსპერიმენტებს. 1913 წელს იგი ქმნის პირველ კუბისტურ ნამუშევარს „ავტოპორტრეტს“, ხოლო 1917 წელს კუბისტურ კომპოზიციას „დასაფლავება იმერეთში“.

ეს ადრეული კუბისტური კომპოზიციები ერთგვარი პრელუდიაა იმ ძიებებისა, რომლებიც მხატვარს 1920-იან წლებში ჰქონდა.

1919—1927 წლებში დავით კაკაბაძე პარიზშია. მისი შემოქმედების პარიზული პერიოდი დატვირთულია შთაბეჭდილებებით და ძიებებით. შესრულების მანერით და იდეური ჩანაფიქრით ნამუშევრები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: პირველი—1920 წელს ზეთით შესრულებული კუბისტური ნამუშევრები — 10 ფერწერული სურათი, რომელთაგან ხუთი არქიტექტურული პეიზაჟია, ხოლო 5 ნატურმორტი.

ეს სერია 1920 წელს ნახშირით და საანგინით შესრულებული პარიზის პეიზაჟების ორგანული განვითარებაა. კაკაბაძე განაზოგადებს კონკრეტულ რეალურ გარემოს. ამ ფერწერული სერიის ძიებებმა შემდგომ კაკაბაძის თეატრალურ ესკიზებში პოვეს გამოყენება, პირობით — კონსტრუქციული გარემოს გადმოცემისას.

იგივე ტენდენციებია ნატურმორტების შესრულებაში. თითოეული ნატურმორტი განსხვავებული ამოცანის მატარებელია, აქაც, ისევე როგორც პეიზაჟებში, კაკაბაძე კოლაჟის ილუზიას ქმნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კაკაბაძე მუქ საფუძველზე პროეცირებული სხვადსხვა ნივთის თუ მატერიის ფრაგმენტით ხაზგასმით სიბრტყობრიობას მიანიშნებს.

ამავე სერიის მიხედვით მოგვიანებით შექმნილი ფერწერული ტილო უკვე სრულ აბსტრაგირებას განიცდის, თუმცა ძალიან შორეული და ბუნდოვანი კავშირი რეალურ გარემოსთან მაინც შეინიშნება.

მეორე — ბრეტანის სერიის კუბისტური და აბსტრაქტული ვარიანტები, რომლებიც ამავე სერიის რეალისტური აქვარელებიდან მომდინარეობენ.

I — ბრეტანის რეალისტური პეიზაჟები თემატურად შეიძლება 4 ჯგუფად დაიყოს — სახლების, ქარის წისქვილების, კლდეების და ნავების ამსახველი ფურცლები; II — აბსტრაქტულ-ლაქობრივი — ე. წ. ყვავილოვანი კომპოზიციები რეალისტური პეიზაჟების თავისებური ტრანსფორმაციაა. კაკაბაძე ამ სერიის თემად ნავების და სახლების მოტივების ლაქობრივ განზოგადებას ახდენს. მხატვრის მთავარი ყურადღება ლაქების ფერით დაპირისპირებაზეა კონცენტრირებული, III — ბრიტანის სერიის მესამე ვარიანტი იმავე კონკრეტული პეიზაჟების კუბისტურ-აბსტრაგირებული ასახვაა. მხატვარი სქემატურ ვარიანტს გვთავაზობს. იგი წინასწარ ფანქრით დაფიქსირებულ საფუძველზე, სიბრტყით გეომეტრიულ სხეულთა ისეთ კომბინაციებს სახავს, რომ ძნელია, მაგრამ შესაძლებელია დავინახოთ ერთი და იგივე საწყისი თემა. ზოგჯერ კავშირი ბრეტანის რეალისტურ სურათთან მხოლოდ ფერადოვანი პარალელებითღა ხერხდება.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ბრეტანის ამ სამივე სერიის ფურცლებს, დავინახავთ, თუ რა ტრანსფორმაცია განიცადა ერთმა და იმავე ფორმამ კაკაბაძესთან სხვადასხვა „ზეამოცანის“ (სტანისლავსკის ტერმინი რომ ვიხმაროთ) დროს.

სასურველი ფორმის თუ ფერის ადექვატის ძიებას კაკაბაძე ვარიაციულობის პრინციპებთან მიჰყავს. იგი ქმნის ერთი და იმავე მოტივების რამდენიმე ვარიანტს, რითაც ამდიდრებს პალიტრას, სახვითი ფორმის შესაძლებლობებს.

ბოლოს ამ სერიაში კაკაბაძე ლაქობრივი აბსტრაქციების და კუბისტურ-აბსტრაქტული ფურცლების ფერწერულ ვარიანტებს აკეთებს.

კუბისტური, გეომეტრიულ-სიბრტყითი ნამუშევრების ზეთის საღებავებით შესრულებულ ვარიანტებში აქვარელის ჰაეროვნება დაიკარგა. ფერშიც საერთო ტონუსი მოეშვა, რის გამოც ფერწერული ტილოები შედარებით მშრალია.

რაც შეხება ლაქობრივი აბსტრაქციების ფერწერულ ვარიანტებს, აქ ფორმების განზოგადება უფრო თავისუფალია და მკაფიო. ხატოვანი და მჟღერი ტონების ჭარბი შეტანით (უმთავრესად წითელი, ძლიერი ყავისფერი და თეთრი ტონები) საერთო შთაბეჭდილება აქტიური ხდება. კაკაბაძის ამ მიმართულებით ძიებები, როცა ფერი ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს, ჩვენი აზრით, თანამედროვე ქალაქის რეკლამების და ილუმინაციების კონტრასტული ეფექტებით უნდა იყოს ნაკარნახები.

მესამე — კუბისტურ-აბსტრაქტული ფერწერული კომპოზიციები 1922—1924 წ. ეს სერია ბრეტანის კუბისტური და აბსტრაქტულ-ლაქობრივი ძიებების მომდევნო საფეხურია, როცა ლაქობრივი აბსტრაგირება ხდება სიბრტყობრივ-გეომეტრიული ფორმის დახმარებით (მეორდება აგრეთვე ბრეტანის სერიის ფერწერული ნიმუშებისათვის დამახასიათებელი მომსაზღვრელი გარე კონტურიც). ამ სერიაში, რომელსაც ჩვენ პირობით „ფერწერულ ლაქებს“ ვუწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებთ, კაკაბაძე რამდენიმე სუფთა ფერით (შავი, ყვითელი, ყავისფერი) აღწევს საინტერესო ფერწერულ ეფექტებს. ნამუშევრებს რეალური, ხშირად ურბანისტული, საფუძველი უდევთ. შესრულების ტექნიკით ეს არის „ლაქების კომბინაცია გლუვ ფონზე. ან პულვერიზატორით დაფერილ ფონზე“[17].

მეოთხე — წმინდა აბსტრაქტული ფერწერა (1924—1925 წწ.) თითოეული ნამუშევარი, საერთო სტილური ერთიანობის მიუხედავად, ორიგინალურია დასახულ ამოცანათა სხვადასხვაობით.

ამ სერიაში შეინიშნება რეალური საფუძვლის აბსტრაგირების რამდენიმე ხაზი, როცა ჯერ მთლიანად არ არის დარღვეული ასოციაციური დამაკავშირებელი ძაფები კონკრეტულ თემასთან. თუ ჩავუკვირდებით, შეიძლება გამოვყოთ ნამუშევრები — ბიოლოგიური მიკრო სამყაროს, მცენარეულ და კოსმიურ სხეულთა ასოციაციებს რომ აღგვიძრავენ: ეს არის როგორც ფერადოვანი, ასევე დეკორატიული ხაზებისა და წერტილოვანი, ლაქოვანი ფორმების სხვადასხვა ვარიაცია. საინტერესოა კოლორიტი — ზოგან მუქი ლურჯისა და მოიისფრო წითლის, ხან ხორცისფრის და ზურმუხტისფრის შეხამება.

აქაც ფართოდ იყენებს კაკაბაძე ვარირების პრინციპს. აბსტრაქციონისტების ტერმინები რომ ვიხმაროთ, „რიტმი — დინამიკა — კონტრაპუნქტი“[18] ამ ნამუშევრების მთავარი ღირსებებია.

მეხუთე — ზეთით შესრულებული დიდი ფორმატის დეკორატიული კომპოზიციები 1925—1926 წლებისა, სულ 6 ნამუშევარი. აქ კაკაბაძე ზეთის აბსტრაქციების ემბრიონულ და კოსმოსურ მოტივებს იმეორებს ნაზ პასტელის ტონებში. აბსტრაგირება აქ მეტად სადა და ლაკონური გააზრებითაა მოცემული. თითქოს ყოველივე ზედმეტი დაიმალა და მხოლოდ არსებითი, მთავარი მონახაზებილა დარჩა.

მეექვსე — 1926 წელს შესრულებული აქვარელები, სადაც, ზემოთ განხილული აბსტრაქციების მსგავსად, კაკაბაძე ფაქიზ, ჰაეროვან ტონებს ირჩევს. აქ წერტილოვანი ბუდეები სულ უფრო მცირდება და მიკროსკოპულ ზომებს აღწევს., რომელზეც ისახება გეომეტრიული ხაზების კონსტრუქციები, რომლებიც კონტურული რუქების მოხაზულობებს გვაგონებს. იქმნება სრული ვიზუალური ეფექტი კოსმოსური სივრციდან დედამიწაზე დანახული დასახლებების და მიწის ნაწიბუროვანი ნაკვეთების გეომეტრიულ-გრაფიკული მოხაზულობისა.

შთაბეჭდილებას აძლიერებს და კონცენტრირებას ცენტრისკენ მიაქცევს კიდეებში წერტილოვანი საფუძვლის ჩამუქება. ეს ეფექტური მიგნება სიბრტყეს ცენტრისკენ ამოზნექს. ამით კაკაბაძე სფერული დედამიწის ფორმას მიანიშნებს[19].

კაკაბაძის შემდგომი კვლევის საგანი ხდება ფორმის სივრცეში წარმოსახვის პრობლემა. მხატვარი ცდილობს „დინამიური სივრცის ექსპრესია“ გამოხატოს სასურათო სიბრტყეზე.[20].

---

17 Беридзе В. Езерская Н., Искусство советской Грузии, 1921—1970 гг, М., 1975, გვ. 17.

18 აბსტრაქტული ნამუშევრების შეფასებისას დასავლეთის თეორეტიკოსები უხვად ხმარობენ მუსიკალურ ტერმინოლოგიას.

19 ეს ეფექტი მოგვიანებით გვხვდება ოპ-არტში. იხ. ვ. ვაზარელის „ზეახელი“ 1959—61 წ. ან ჯგუფი IV „დინამიური ხედვა“ 1961 წ.

20 „დინამიური სივრცის ექსპრესია გადმოიცემა ორი საშუალებით: ზეპირის გაბრწყინვალებით და ფერადობით. მაშინიზმის მიერ ნაკვეთი ყოველი საგნის ზედაპირს აბრწყინვალებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდე — სერია, რომელიც კოლაჟების, აბსტრაქტული რელიეფების სახელწოდებითაა ცნობილი, გამოიყენება სწორედ „გაბრწყინვალებული ზედაპირები" — სარკეები, მინები, კერამიკა, რომელთა ფორმები გამოსახავენ „სივრცეს სტატიურ სფეროში".

შესრულებულია კოლაჟები ხის საფუძველზე[21], რომლებზეც დამაგრებულია სფერული ფერადი, ჩვეულებრივი, ხის საავიაციო მინის ბურთულები, კერამიკული სხვადასხვა ფერის და ზომის ფილები, მნიშვნელოვანი აზრობრივი დატვირთვა აქვთ სპილენძის მავთულხლართებს, რომელთა მოხატულობა ისევ ემბრიონული თუ ბიოლოგიური უჯრედების საწყის ფორმებს მოგვაგონებენ. ამ სერიაში ძიებების რამდენიმე ხაზია, ჩვენთვის ცნობილი კოლაჟებიდან ორს აქვს ნათურები განათებისათვის[22].

კაკაბაძის ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ ეს სერია, მსგავსად აბსტრაქტულ-ფერწერული სერიებისა, გამიზნული იყო შენობათა ვიტრინების, ექსტერიერებისა და ინტერიერების გასაფორმებლად. მათ დეკორატიული ფუნქციის გარდა, უტილიტარული, შენობათა განათების ფუნქციაც უნდა შეესრულებინათ.

როგორც ვხედავთ, დავით კაკაბაძის 20-იანი წლების მოდერნისტული ნამუშევრები მისი შემოქმედების არც თუ მცირე ნაწილს შეადგენს და მთელ პარიზულ პერიოდს მოიცავს. პარიზიდან დაბრუნების შემდგომ მისი შემოქმედება რეალისტური გზით წარიმართა, ხოლო ფორმის თუ ფერის პარიზული პერიოდის ძიებანი ნათლად გამოვლინდა თეატრალურ მხატვრობაში.

გარდა მოდერნისტული ნაწარმოებებისა, 1920-იან წლებში შეიქმნა მეტად საინტერესო არა ერთი რეალისტური ფერწერული ნამუშევარი, რომელთაც განსაზღვრეს ქართული საბჭოთა ხელოვნების შემდგომი წინსვლა. ამ პერიოდის მხატვრული ცხოვრების და მხატვართა შემოქმედების შესწავლამ გვაჩვენა, რომ რეალისტური ტენდენციები 1932 წლამდე რამდენიმე კალაპოტში მიედინებოდა. ვგულისხმობთ რევოლუციამდელ რეალისტურ ტრადიციებს, უცხოეთში შექმნილ რეალისტურ ტილოებს და ახალი რეალისტური ტრადიციების დამკვიდრებას, მხატვრულ ორგანიზაციათა მოღვაწეობამ რომ განაპირობა.

1920-იან წლებში საქართველოს რევოლუციამდელი რეალისტური ტრადიციების გაგრძელება უფროსი თაობის რეალისტი მხატვრების მოღვაწეობით განმტკიცდა. გიგო გაბაშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ალექსანდრე

---

რათა რეალური მისი არსებობა განმტკიცებული იყოს. გაბრწყინვალებული ზედაპირი, რომელშიც როგორც სარკეში ჩანს სხვადასხვა მრავალფეროვანი სიბრტყეები, სახეები, საუკეთესო საშუალებაა დინამიური სივრცის გადმოსაცემად. სივრცის განცდისათვის გაბრწყინვალებული ზედაპირი უფრო ძლიერი საშუალებაა, ვიდრე პლასტიური ორნამენტი, რომელიც გამოსახავს სივრცეს სტატიურ სფეროში. გაბრწყინვალებულ ზედაპირზე ორნამენტული გამოსახვა ზედმეტია და შეუძლებელიც ვინაიდან პლასტიური ორნამენტი ქრება გაბრწყინვალებული ზედაპირის სიღრმეში" დ. კაკაბაძე „ხელოვნება და სივრცე", პარიზი, 1924—25, გვ. 13.

21 ამზადებდა მათ კაკაბაძე შემდეგნაირად: „ხის ფირფიტებს ფარავდა ბამბით, ზემოდან გადასჭიმავდა წებოში ამოვლებულ წმინდა აბრეშუმის სუფთა მატერიას, რომელსაც შემდგომ პულვერიზატორით მიასხურებდა საჭირო ფერის საღებავს და უყრიდა მეტალის მავთულებს. გაშრობის შემდეგ მიიღებოდა რელიეფი, რომელიც ტოპოგრაფიულ რუქას წააგავდა" „Die Geshehte der Gollage. Herta Wesher. Verlag. M. Dumoht Schaiberd, Köln, 1974, გვ. 58.

22 ერთი დაცულია დ. კაკაბაძის ოჯახში, ხოლო მეორე იელის უნივერსიტეტში ა. შ. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციმაკურიძე, მოსე თოიძე ქმნიან ამ წლებში მნიშვნელოვან ფერწერულ ტილოებს.

აგრეთვე ამ პერიოდში უცხოეთში მყოფი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში არის არა ერთი მნიშვნელოვანი რეალისტური ნამუშევარი. ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, შალვა ქიქოძის, მიხეილ ბილანიშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედება ამის თვალნათელი მაგალითია, თუმცა ამ პერიოდის ხელოვნებათმცოდნეობითი აზრის შედარებითმა სიმწირემ, გარემოს რეპორტაჟული, დოკუმენტურად აღქმის მოთხოვნამ, რეალიზმის პრინციპების ვიწრო გაგებამ განაპირობა ის, რომ ბევრი დღეს უკვე აღიარებული ნაწარმოები, მაშინ ფორმალისტურად, დეკადანსის გამოვლინებად იქნა მიჩნეული[23].

1920-იან წლებში შექმნილმა პროლეტარულმა ორგანიზაციებმა ერთგვარი გავლენა იქონიეს რეალისტი მხატვრების მსოფლგაგებაზე. ორგანიზაციათა მოთხოვნა ცხოვრება დოკუმენტური სიზუსტით აესახათ, მხატვრების ულიმლამო, რეპორტაჟულ, ზოგჯერ ნატურალისტურ ნამუშევრებშიც გამოვლინდა. იყო შემთხვევები, როდესაც კრიტიკა მძაფრად ილაშქრებდა „ახრ“-ის გამოფენებზე მოხვედრილი სუსტი ნამუშევრების წინააღმდეგ: „განა კარგი ფოტოსურათი ან კინოქრონიკა ვერ შეასრულებს უკეთესად იმ როლს, რა როლსაც საბჭოთა აღმშენებლობის სისტემაში ასრულებს „ახრ“-ი“[24]. — ვკითხულობთ ერთ რეცენზიაში.

პარალელურად, ამ ორგანიზაციების წევრთა რევოლუციურმა მრწამსმა, ენთუზიაზმმა, მომავლის რწმენამ განაპირობეს მათ შემოქმედებაში თანამედროვე თემატიკით, ფერწერული გამომსახველობითობით, იდეურად და შინაარსობრივად ტევადი რეალისტური ტილოები[25], რომლებიც ქმნიან სოციალისტური რეალიზმის პირველ წანამძღვრებს.

20-იანი წლების მნიშვნელოვანი რეალისტური ნაწარმოებებიდან, წარსულის რეალისტური ტრადიციები რომ აირეკლა, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გიგო გაბაშვილის „ავტოპორტრეტი“, ეს პორტრეტი 20-იანი წლების ბოლოს 1932 წელს შეიქმნა და ქართული რეალისტური ფერწერის ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია.

სულ სხვა ამოცანაა დასმული მოსე თოიძის 1920-იანი წლების საინტერესო რეალისტურ ტილოებზე — ავტოპორტრეტში მეუღლესთან ერთად — „სამოვრის მელოდია“ და „მჭედლები“. თუ პირველში ჰოლანდიელი ოსტატების მსგავსად ხდება კომპოზიციის აგება, მეორეში სრულიად ორიგინალურად წარმოსახავს მ. თოიძე შრომის პათოსით ანთებულ უბრალო ადამიანებს. ცხადად

---

23 ამით იყო გამოწვეული ის გულისტკივილი სიცოცხლის ბოლო წლებში რომ ათქმევინა გუდიაშვილს — „იმასაც ამბობდნენ, გუდიაშვილსა და კაკაბაძეს განზრახ არ სურთ ჩვენს პრინციპებს ყური ათხოვონ... და ეს არ იყო სწორი. ჩვენ ჩვენს საქმიანობაში გულწრფელნი ვიყავით“. ლ. გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მოგონებების წიგნი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, № 8, გვ. 83.

24 ჟურნალი „მემარცხენეობა“, 1927. № 1 გვ. 65—66.

25 ერთ-ერთი რეცენზენტის სიტყვებით, 1930 წელს მოწყობილ გამოფენაზე სადაც „ახრ“-ის და „ომახრ“-ის წევრები ერთდროულად მონაწილეობდნენ, თანამედროვე თემატიკით და პროფესიული ოსტატობით გამოირჩეოდნენ ირ. თოიძის, ა. ციმაკურიძის, ი. ვეფხვაძის, გ. შერბაზჩიანის, ზ. ფოგელის, გ. მესხის, ს. კაკაბაძის და სხვათა ნამუშევრები“. Сокол. АХР и ОМАХР. На рубеже Востока., 1930, გვ. 9—10.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოკვეთილი ფერწერული საფუძველი, პასტოზური წერის მანერა, ამ ნამუშევრებს გამოკვეთს მისე თიიძის 20-იანი წლების ფერწერული ნამუშევრებიდან.

1920-იან წლებში მნიშვნელოვანი რეალისტური ნამუშევრები შექმნეს სიდამონ-ერისთავმა და ალექსანდრე ციმაკურიძემ. თუ პირველი ქართულ საბჭოთა ფერწერაში ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის ერთ-ერთი დამამკვიდრებელია, მეორემ თავისი ხელოვნება ქართულ პეიზაჟს მიუძღვნა.

ვ. სიდამონ-ერისთავის 20-იან წლებში შესრულებული „გურული გლეხების აჯანყება“, „ლადო კეცხოველის მკვლელობა“, „კრწანისის ბრძოლა“ აგრძელებს მისი ისტორიული თემატიკის ადრეულ ტილოებს და წარმოაჩენს მხატვრის ლტოლვას გახსნას მთავარი თემა — თემა ბრძოლისა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. პარალელურად სიდამონ-ერისთავი ქმნის ძველი თბილისის ისტორიული ძეგლებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველ რეალისტურ სურათებს, პორტრეტებს.

ალექსანდრე ციმაკურიძე 20-იან წლებში უმთავრესად თბილისის საინტერესო, დამახასიათებელ უბნებს ხატავს. „ბანიანი სახლი“, „სახლი აბას-აბადის ქუჩაზე“, „ქარვასლის ნანგრევები“ და სხვები, სადაც დოკუმენტური სიზუსტით, დიდი გატაცებით გამოსახავს პეიზაჟის ყოველ დეტალს თუ საინტერესო მომენტს. ალ. ციმაკურიძის გამოსახვის საშუალებები „ნათელია და უბრალო“, უშუალო და თავისთავადი.

უფროსი თაობის რეალისტური ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა ქეთევან მაღალაშვილი. „დიმიტრი შევარდნაძის“ და „იაკობ ნიკოლაძის“ პორტრეტებში მკაფიოდ გამოიკვეთა ფორმათა დასრულებულობა, დახვეწილი მოდელირება, კომპოზიციის კლასიკური აგების პრინციპი.

ერთგვარად სიმპტომატურია, რომ უცხოეთში მყოფი ქართველი მხატვრები პარალელურად მოდერნისტულ თხზულებებთან, ქმნიან რეალისტურ ნამუშევრებს.

დავით კაკაბაძის „წურბელების გამყიდველი“ და „ბანანების გამყიდველი“, ლადო გუდიაშვილის „ესპანელი მეგობრები“, ელენე ახვლედიანის როგორც პარიზული „პარიზის კუთხე“, „პარიზის ლათინური კვარტალი“, „სახლები“, „პარიზის ქუჩა“, „სახურავები“ და სხვა, ასევე ქართულ თემატიკაზე შექმნილი „კახეთი — ზამთარი“, „ძველი სამრეკლო“, „ქართველი ქალი ქართული პეიზაჟის ფონზე“, „სამი პორტრეტი“ „ქეიფი გზაში“ და სხვა ნამუშევრები[26]; ქეთო მაღალაშვილის „ირაკლი ორბელიანის“, „სუსანა ლამბაშიძის“, „ელენე ახვლედიანის“ პორტრეტები, მიხეილ ბილანიშვილის პეიზაჟები „ტრიუმფალური თაღი“, „პარიზის ქუჩა“, და „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი“. შალვა ქიქოძის „გურული ქალი დოქით“ და „ხევსურეთი“ ამ ნამუშევრებში თავი იჩინა რეალიზმის ნათელმა ნიშნებმა, ქართველი მხატვრების ჯანსაღმა სულიერმა ხილვებმა და იმ მარადიული სიმართლისადმი ერთგულებამ, რასაც რეალისტური ხელოვნება მსახურებს.

შეიქმნა აგრეთვე ამ პერიოდში მთელი რიგი უმწიფარი, ხშირად პროფესიული დონით უსუსური ფერწერული ნამუშევრები, რომელთაც 1920-იანი წლების მხატვრულ ორგანიზაციათა მოღვაწეობის კვალი ატყვიათ. შეგვიძლია

26 ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის ამ პერიოდის ნამუშევართა უმრავლესობა, პარიზის კერძო კოლექტივებშია დაცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავასახელოთ რომანიშვილის „სესხზე ხელმოწერა“, ლემონჯავას „1905 წ.“ და „არსენა ჯორჯიაშვილი“, გიორგაძის „კოლმეურნეობაში“, კ. სანაძის „1905 წ. გაფიცვა“, უ. ჯაფარიძის „მოსავლის აღება“, კვირიკაშვილის „ომი“ და „ხევსური“, მაისაშვილის „ვინ-ვის?“ და თვით ლადო გუდიაშვილის „ჩინეთი—განწირულნი“, სადაც აქტუალური თემა არაორგანული გამოდგა მხატვრისათვის.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ 1920-იანი წლების იმავე პროლეტარულმა ორგანიზაციებმა ზემოქმედება იქონიეს იმ მნიშვნელოვანი რეალისტური ნამუშევრების შექმნაზე, რომელთაც განაპირობეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემუშავება. მათ შორის გამოირჩევიან: ლადო გუდიაშვილის „ნიკო ფიროსმანი“, და „ნინო გუდიაშვილის“ პორტრეტები, სოციალური ჟღერადობის ფერწერული კომპოზიცია „ძველი და ახალი“, ელენე ახვლედიანის საინტერესო ფერწერული პეიზაჟები: „თელავი“, „ძველი თბილისი“, „მაიდანი“, ქეთევან მაღალაშვილის „ინა ხეჩინაშვილის“, „თინა ვირსალაძის“ და „ელენე ახვლედიანის“ პორტრეტები, კორნელი სანაძის „აჭარელი ქალები“, ირაკლი თოიძის „ილიჩის ელნათურა“ და სხვები.

ამ ნამუშევრებმა განაპირობეს ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი რეალისტური გზა.

როგორც დავინახეთ, 1920-იანი წლების ქართული ფერწერის ორი მაგისტრალური გზა საინტერესო მხატვრულ ქმნილებებში გამომჟღავნდა: ნიშანდობლივია, რომ ქართველმა მხატვრებმა მოდერნისტული მიმდინარეობებიდან აითვისეს დამახასიათებელი მხატვრული გამომსახველობითი ხერხები. სწორედ ამან განაპირობა შესაძლებლობა მოდერნისტული ხერხების შერწყმისა ეროვნულ-თემატიკასთან. ამასთან ერთად, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში ეს სინთეზი განსხვავებული გზით წარიმართა.

ის, რომ ქართველმა მხატვრებმა ძირითადად შემოქმედებითად აითვისეს მოდერნისტული ტენდენციები, მეტყველებს თითოეული მათგანის მკაფიოდ განსხვავებული ხელწერა. ის დადებითი სახვითი ხერხები, დეკორატიული საფუძვლები, სიმბოლიკა, რაც მოდერნისტულმა ტენდენციებმა შესძინეს ქართველ მხატვრებს, შემოქმედებითად იქნა გამოყენებული თეატრალურ მხატვრობაში (კაკაბაძე, გამრეკელი, ახვლედიანი), აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველმა მხატვრებმა არ დაკარგეს შინაგანი კავშირი კლასიკურ ტრადიციებთან, რაც მკაფიოდ ჩანს ქიქოძის და კაკაბაძის მაგალითზე.

არ არის გასაკვირი, რომ 1920-იან წლებში ჯეროვნად ვერ იქნა შეფასებული ქართველ მხატვართა ამ პერიოდის შემოქმედება. ხელოვნების თეორია და მხატვრული კრიტიკა არ იყო დაფუძნებული მყარ პოზიციებზე. ქართული სახელოვნებათმცოდნეო აზრი ახალი ჩამოყალიბების პროცესში იყო და მხატვრული ცხოვრების მრავალფეროვანმა მოვლენებმა წინ უსწრეს კრიტიკული აზრის ჩამოყალიბების პროცესს. გარდა ამისა, საჭირო იყო დროის დისტანცია, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების გათვალისწინებით, იმ პერიოდის გაშუქება, მაგრამ მაშინ გადამწყვეტი როლი მხოლოდ პარტიის მიზანდასახულ სწორ პოლიტიკას უნდა შეესრულებინა. მისმა წარმმართველმა ხაზმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

1932 წლის 23 აპრილს ც. კ.-ის დადგენილებით მოხდა ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების რეორგანიზაცია, გაუქმდა ყველა ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაცია და შეიქმნა საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა და მხატვართა ერთიანი კავშირები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედიშერ ხოშტარია-ბროსე

# ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის" შესწავლისა და საქართველოში მოქმედი ფეოდალური კანონმდებლობის საკითხისათვის

ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი" ქართული ფეოდალური სამართლის წყაროთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთული და ნაკლებად შესწავლილი ძეგლია. მასში მოცემული რეალიების საფუძველზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით სოციალური ისტორიის სფეროში, არსებითი ხასიათის დასკვნები კეთდება და ამიტომ მის საფუძვლიან შესწავლას ამ თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამავე დროს, ძეგლის ხასიათზე, მის შინაარსსა, შედგენილობასა და დაწერის დროზე ზოგ შემთხვევაში დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრებებია წამოყენებული, რაც სწორედ ამ ძეგლის შესწავლის სირთულეზე მიგვითითებს.

წინამდებარე წერილში საგანგებოდ ვეხებით ძეგლთან დაკავშირებულ ზემოთაღნიშნულ საკითხებს, თუმცა მათი საბოლოოდ გადაჭრის პრეტენზია არა გვაქვს. აქ მხოლოდ საკითხების დასმის სახით წინასწარ დაკვირვებებს და მოსაზრებებს წარმოვადგენთ, რაც მომავალში მათი ჩაღრმავებული შესწავლის საწინდარია.

ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შენიშნა, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი" დამოუკიდებელ სამართლის ძეგლს წარმოადგენს და იგი ხელოვნურადაა დაკავშირებული ბექასა და აღბუღას სამართლის ტექსტებთან[1].

მკვლევარი ძეგლის შესავლის განხილვის საფუძველზე შენიშნავს, რომ იგი ბაგრატ კურაპალატის ბრძანებით და „ეპისკოპოზთა, დიდებულთა აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილია"[2]. ამასთან იგი ბაგრატ კურაპალატს მიაწერს მხოლოდ რამდენიმე მუხლს (99—103), სადაც სამართლის წარმოების ზოგადი საკითხებია მოცემული და კათალიკოსთა უფლებრივ სტატუსზეა ლაპარაკი. ეს მუხლები, ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „ისეთი სამართლის წიგნითგან უნდა იყვნენ ამოღებული, რომელიც მთელი სამეფოსათვის იყო საზოგადოდ შედგენილი"[3]. ამავე დროს 101—103 მუხლები, რომელნიც სამღვდელოების პრივილეგირებულ მდგომარეობას ასახავენ, მკვლევრის აზრით, „ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდელოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მაღლა ეჭირა თავი,

---

1 ივ. ჯავახიშვილამდე „ბაგრატის სამართლის" მუხლები ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ნაწილად განიხილებოდა (დ. ბაქრაძე, ნ. ურბნელი). იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 43.

2 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ნაკვ. I, თბ., 1928, გვ. 83.

3 იქვე, გვ. 86.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე. ი. დავით აღმაშენებლის უწინარესი ხანისა უნდა იყოს“[4]. „თვით ამ კანონების შინაარსი გვიჩვენებს, — განაგრძობს მეცნიერი, — რომ ისინი თითქოს უფრო მე-IX-ე საუკუნის საზოგადოებრივი განწყობილების გამომხატველია. ამგვარად, თავისი შინაარსის საერთო თვისებებით და არა ენით, რომელიც დროთა განმავლობაში სრულებით განახლებულ-შეცვლილი ჩანს, კანონთა ეს მუხლები თითქოს უფრო ბაგრატ I კურაპალატის დროინდელად გამოდის“[5]. მაგრამ, ასეთი დასკვნის გამოსატანად ივ. ჯავახიშვილი დაბრკოლებას ხედავს იმაში, რომ ძეგლის შესავალში „ბაგრატი მეფეთ-მეფედ არის წოდებული, ხოლო ბაგრატ I კი მაშინ ცხოვრობდა, როცა მეფობის უფლებაც-კი საქართველოში ჯერ კიდევ აღდგენილი არ იყო“[6]. აქ იგულისხმება შესავლის გამოთქმა ბაგრატ კურაპალატის ხსენების შემდეგ: „და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა“, რასაც მოსდევს ეპისკოპოსების და სხვა დიდებულების მოხსენიება.

საბოლოოდ ივ. ჯავახიშვილი სამართლის დასაწყისი ნაწილის და სხვა წყაროთა მონაცემების განხილვის შედეგად ასკვნის: „ამნაირად, რადგან კურაპალატისა და სხვა ამგვარი ბიზანტიური წოდებულება საქართველოს მეფეებს მე-XII ს. დამდეგითგან აღარ უტარებიათ და ძეგლის საერთო ტენდენცია სამღვდელოების სრული ხელშეუხებლობის შესახებ დავით აღმაშენებლის მეფობაზე უწინარეს ხანას შეჰშვენის, ბაგრატიც მეფეთ-მეფედ იწოდება, ამიტომ, სანამ ამ დებულებათა საწინააღმდეგოდ მტკიცე უთუო საბუთები აღმოჩნდებოდეს, ეს ნაწყვეტი უფრო ბაგრატ III-ის დროისად უნდა მივიჩნიოთ“[7].

ივ. სურგულაძემ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლისა“ და ოპიზართა სიგელის შედარების საფუძველზე ძეგლის პირველი მუხლები (99—103) ბაგრატ IV-ეს მიაკუთვნა, ხოლო მომდევნო მუხლების შედგენა „აღბუღას შემდეგაც“ დასაშვებად მიიჩნია „ეკლესიის მესვეურთა მიერ“[8]. ამავე დროს, მისი გაგებით, ძეგლის შესავლის მიხედვით „მეფთ-მეფე ბაგრატ კურაპალატი იწვევს ეპისკოპოსებს, დიდებულებს, აზნაურებს, „ჭკვიან კაცებს“ და ადგენს კანონებს“[9].

საბოლოოდ, ივ. სურგულაძე იმ თვალსაზრისს ადგება, რომ „როგორც ი. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, 102-ე მუხლის შემდეგი მუხლები სხვადასხვა დროს შედგენილი კანონიკური სამართლის ძეგლებია ან შეიძლება ერთი კანონმდებლის მიერ იყო შედგენილი, მაგრამ შესაძლებელია, მისი ავტორი ბაგრატ კურაპალატი არ იყოს. ამასთანავე, ისიც არის დასაშვები, რომ ნაწილი საერო შინაარსის ნორმებია, ხოლო ნაწილი კანონიკური სამართლის. ყველაფერი ეს შესასწავლია“[10]. მკვლევარი ასკვნის: „როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით საკმარისი მასალა არ არის იმისათვის, რომ საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს საკითხი იმის შესახებ, თუ 99-ე, 100-ე, 101-ე, 102-ე მუხლები რომელ ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ოთხი მუხლი X

4 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1. ნაკვ. I, თბ., 1928, გვ. 87.

5 იქვე, გვ. 87—88.

6 იქვე, გვ. 88.

7 იქვე, გვ. 93.

8 ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 73; მისივე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 1984, გვ. 84.

9 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, გვ. 81.

10 იქვე, გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საუკუნისაა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა და ორი ბაგრატიონიდან ჩვენ უფრო სავარაუდოდ ბაგრატ IV მიგვაჩნია. რაც შეეხება მომდევნო მუხლებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მუხლები ბაგრატ კურაპალატს არ ეკუთვნის, შედგენილია უფრო გვიან და შესაძლებელია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ“[11].

აღსანიშნავია, რომ ეს დასკვნა გაკეთებულია ივ. სურგულაძის 1984 წ. გამოცემულ წიგნში, სადაც იგი ერთგვარად აზოგადებს სხვა მკვლევართა და თვით მის დაკვირვებებს ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ რაობის თაობაზე.

ი. დოლიძე თავის მონოგრაფიაში ძველი ქართული სამართლის შესახებ ვრცლად განიხილავს ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ საკითხებს. იგი ძეგლის შესავლის და მომდევნო მუხლების უპირატესად ტერმინოლოგიის შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ ისინი „ერთი სამართლის წიგნის ნაწილია“[12]. ამასთან, მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნისა და მეფე ბაგრატ IV-ის ოპიზის სიგელს შორის მსგავსებაზე და ასკვნის: „ამ ორი ძეგლის ერთმანეთთან შეჯერება და მათი საერთო ნიშნების აღნიშვნა მნიშვნელოვნად ამაგრებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ორივე ეს ძეგლი ერთი კანონმდებლის მიერ უნდა იყოს შედგენილი და სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი იგივე მეფე ბაგრატ IV უნდა იყოს“[13].

ი. დოლიძის თვალსაზრისითაც, ძეგლის შესავალი ისე უნდა გავიგოთ, რომ „სჯულმდებლობის შესადგენად მეფემ (ე. ი. ბაგრატ IV კურაპალატმა, — ე. ხ.) შეკრიბა უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები, მსხვილი ფეოდალები, აზნაურები და განსწავლული ადამიანები“, ისე, როგორც მოიქცა იგივე მეფე ოპიზის სიგელის შედგენისას[14].

ა. კიკვიძემ სპეციალურ ნაშრომში სცადა დაესაბუთებინა, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ დასაწყისი მუხლები და ზოგიერთი სხვა მუხლიც ბაგრატ I-ს მიეკუთვნება. ამავე დროს, მისივე დაკვირვებით, „ბაგრატ კურაპალატის სამართლად ბოლო დროს მითვლილი მუხლები ამ კანონმდებელს არ ეკუთვნის“ და „აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა ძეგლების კონგლომერატთან, თანაც ეს გასაოცარი სიჭრელე უცნობი კოდიფიკატორებისა თუ გადამწერთა ნახელავად გამოიყურება“[15]. ა. კიკვიძის დაკვირვებით, კონკრეტული ფაქტები (მაგ. სისხლის საფასურის შედარება ბექა-აღბუღას სამართალთან და სხვა) „აშკარად მიუთითებს სამართლის ძეგლის შინაგან წინააღმდეგობებზე. ჩანს, რომ ბაგრატის სამართალში შეტანილია XVI—XVII საუკუნეებში შედგენილ სამართალთა მუხლები“[16]. თავის მსჯელობისას ა. კიკვიძე ე. წ. „კანონიკური სამართლის“ მუხლებსაც გულისხმობს.

მკვლევრის აზრით, ბაგრატ I კურაპალატს მიეკუთვნება არა მარტო 99—103 მუხლები, არამედ 109—115, 153—156; „რედაქციულად შეცვლილი და

---

11 ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

12 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 53.

13 იქვე, გვ. 57.

14 იქვე.

15 ა. კიკვიძე, ვის ეკუთვნის ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელით ცნობილი სამართალი? მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, თბ., 1972, გვ. 239.

16 იქვე, გვ. 239—240.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტესად სრულად გადაკეთებული ჩანს მუხლები 105—111, 116—152, 157—160“.

ა. კიკვიძის თანახმად, „მუხლები 130, 148, 149 შეეხება სისხლის ფასად გლეხების მიცემას. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გლეხების სისხლის ფასად გაცემა გვიანდელი მოვლენაა, არა უადრეს XVI საუკუნისა“[17]. თუმცა ავტორი უფრო ქვემოთ წერს შემდეგსაც: „შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ უკვე ბაგრატ კურაპალატის დროს, IX საუკუნეში, ყმა გლეხის ბეგარის მეტად სიმცირისა და ამ ნიადაგზე სიიაფის გამო იყო დაწესებული სისხლის ასეთი საზღაური, რომელიც დადგენილია სამართლის 130 და 148 მუხლებით“[18].

ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ გარშემო თავისი თვალსაზრისი გამოთქმული აქვს ზ. რატიანს. თავდაპირველად იგი ამ სამართლის ძეგლს ერთდროულად ბაგრატ IV-ს და დავით აღმაშენებელს მიაკუთვნებდა, იმ საფუძველზე, რომ შესავალში გვაქვს გამოთქმა — „ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთა ბრძანებითა“, ხოლო ბოლო დროს ავტორი ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალს“, ანუ მისი სიტყვებით, „ბექა და აღბუღას სამართლის დამატებით მუხლებს“, უკვე ბაგრატ III-ის ბრძანებით შედგენილ საეკლესიო კანონებად („საეკლესიო არაძირითადი სამართალი“) მიიჩნევს, რომელნიც, მისი აზრით, მოქმედებდნენ იმავე დროს შედგენილ „საერო ძირითად სამართალთან“ ერთად. ამ უკანასკნელში იყო განსაზღვრული სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენელთა სისხლი[19].

უკანასკნელ ხანებში ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალს“ საგანგებო წერილი უძღვნა მ. კეკელიამ, რომელშიც მკვლევარი ასკვნის, რომ „ეს სამართლის წიგნი, მთელი ტაო-კლარჯეთის — „ქართველთა სამეფოსათვის“ დაწერილი ბაგრატ (I, ე. ხ.) კურაპალატის სამართლის წიგნი იყო“[20].

მოტანილი შეხედულებებისგან განსხვავებით არსებობს აზრი, თითქოს ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ მთლიანად გვიანდელია. ასეთი მოსაზრება ეკუთვნოდა ს. კაკაბაძეს. მან, მართალია, რამდენჯერმე შეცვალა თავისი თვალსაზრისი ძეგლის შედგენის თაობაზე, მაგრამ XIV—XVI სს. ფარგლებს არ გასცდენია. ავტორი ძეგლს სასისხლო სიგელებს უკავშირებს[21].

ილ. ანთელავა ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალს“ XVI ს. მიაკუთვნებს. იგი ამ ძეგლსა და ბიჭვინტის იადგარს შორის პარალელების გავლებისა და ნიკორწმიდის დაწერილის 1548 წ. მინაწერი საბუთის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ბაგრატის სამართალი“ შედგენილია ბიჭვინტის იადგარის შედგენის ახლო ხანებში და ავსებს მას. ბიჭვინტის იადგარი განსაზღვრავს კათალიკოსისა და მისი პერსონალის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სასჯელებს, ხოლო „ბაგრატის სამართალი“ საერთოდ სამღვდე-

---

17 ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

18 იქვე, გვ. 241.

19 ზ. რატიანი, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV საუკუნეებში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით), თბ., 1970, გვ. 39—42. მისივე, უძველეს ქართულ სამართალთა შესახებ, მაცნე, ისტორიის სერია, 1984, № 4, გვ. 156—172.

20 მ. კეკელია, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესახებ, კრებ.: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1986, გვ. 96.

21 ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, 1912, გვ. 3; მისივე, ეგრეთ წოდებული ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესახებ, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1924, გვ. 244.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სასჯელებს. ორივე ძეგლის ენა და ტერმინები ერთია". უფრო ქვემოთ კი ავტორი წერს: ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი" ენით, ტერმინებით და შიგ მოხსენიებულ „ბაგრატ კურაპალატითაც" უნდა მივაკუთვნოთ XVI საუკუნეს". ამ ბაგრატში ავტორი გულისხმობს ბაგრატ III იმერეთის მეფეს, რომელსაც, მისი მტკიცებით, თანამედროვენი კურაპალატსაც ეძახდნენ[22]. ქვემოთ ი. ანთელავა ამ ძეგლს, ისევე, როგორც ბიჭვინტის იადგარს, უდარებს სასისხლო სიგელებს და ასკვნის: „ვფიქრობთ, „ბაგრატის სამართლის" რეალიები, რომლებიც ახლოს დგანან სასისხლო სიგელებთან ენით, ტერმინებით და სისხლის დიდი რაოდენობითაც, გვიმტკიცებენ აზრს, რომ ეს ძეგლი სასისხლო განაჩენია, დამყარებული სხვადასხვა პერიოდის პრეცენდენტებზე და ამით აიხსნება, რომ იგი „დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა" და შემდეგ საერო და სასულიერო მაგნატთა მონაწილეობით გაჩენილი ჩანს"[23].

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა — თუ კი ავტორს ძეგლი XVI ს-ში ბაგრატ III იმერთა მეფის მიერ შედგენილად მიაჩნია, როდისღა უნდა ვიგულისხმოთ სხვა „აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა" ღვაწლი მის „გაჩენაში", „შემდეგ საერო და სასულიერო მაგნატთა მონაწილეობით"? მით უმეტეს თუ „ეს ძეგლი სასისხლო განაჩენია, დამყარებული სხვადასხვა პერიოდის პრეცენდენტებზე". ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობა უფრო თანამიმდევრული იქნებოდა, ძეგლის შედგენა ავტორს უფრო ადრინდელი დროიდან რომ ევარაუდა.

დ. ქლენტი იერუსალიმის მონასტერთან დაკავშირებული ერთი გვიან გადაწერილი ხელნაწერის საფუძველზე ვარაუდობს, რომ გიორგი V ბრწყინვალე და მისი შვილიშვილი ბაგრატ V კურაპალატებად არიან მოხსენიებულნი და ფიქრობს, თითქოს ეს უკანასკნელი სამართლის შემდგენელი ბაგრატი უნდა ყოფილიყო[23]. ამდენად იგი ძეგლს XIV საუკუნეს მიაკუთვნებს.

დ. ფურცელაძე ძეგლის რუსული თარგმანის პუბლიკაციის შესავალში მის შედგენის დროსა და შემდგენელის ვინაობაზე გადაჭრით არაფერს ამბობს, თუმცა უფრო ბაგრატ I-ისაკენ იხრება. ამასთან, იგი აღნიშნავს არსებით შეხვედრებს სიმონ I-ის სასისხლო სიგელთან და თვლის, რომ გვიანი ხანის კერძო ხასიათის სამართლის ძეგლებში უფრო ადრეული საკანონმდებლო ნორმების შეტანა ბუნებრივი იყო[24].

ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის" ამა თუ იმ პერიოდისადმი მიკუთვნებას ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევასთან დაკავშირებითაც (გ. ჯამბურია, დ. მუსხელიშვილი), მაგრამ, ამას უნდა დავსძინოთ, რომ ლიტერატურაში ხშირად არასწორად არის მოტანილი წინამორბედ მკვლევართა თვალსაზრისი ძეგლის გაგებასა და დათარიღების საკითხებზე. მაგალითად, უმართებულოა განცხადება, თითქოს ივ. ჯავახიშვილი ან ივ. სურგულაძე ამ ძეგლს X საუკუნით ათარიღებენ, ხოლო ა. კიკვიძე IX საუკუნით, მაშინ, როდესაც დასახე-

---

22 ი ლ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 56, 58, 63, 64.

23 დ. ქ ლ ე ნ ტ ი, იერუსალიმის ქართული მონასტრების ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის სერია, 1983, № 2, გვ. 174—176.

24 Д. Л. П у р ц е л а д з е, Из национального законодательства корпуса Вахтанга VI, მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, № 4, 1985, გვ. 86—87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებული მკვლევარნი ამ საუკუნეებს მიაკუთვნებენ მხოლოდ ძეგლის გარკვეულ, უპირატესად დასაწყის მუხლებს, დანარჩენს კი გვიანი საუკუნეებისად მიიჩნევენ.

ჩვენი აზრით, ძეგლის რაობისა და დანიშნულების გასარკვევად თავდაპირველად განხილული უნდა იქნას მისი შესავალი, სადაც შემდეგი წერია: „სახელითა ღმრთისაჲთა დაიწყების სამრთოჲსა გაჩენილი და გასაჩენელი, პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისათა“.

უპირველეს ყოვლისა აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ ძეგლში სრულიადაც არ წერია, თითქოს იგი შედგენილია ბაგრატ კურაპალატის დროს და მაინც და მაინც მის მიერ, როგორც ეს ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაშია გაგებული. უფრო სწორად აქ წარმოდგენილია სხვადასხვა პირთა — კანონმდებელთა „პ ი რ ვ ე ლ ა დ“ ანუ პირველყოვლისა ბაგრატ კურაპალატისა და შემდგომ „აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მ ე რ მ ე ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა „მეფეთა წინაშე“ ანუ მათი სანქციით „ერთბამად გაჩენილი“ კანონები (ანუ იგივე „განჩინებანი“).

მაინც რა სახის „განჩინებანი“ თუ სასამართლოს მიერ გამოტანილი რა დადგენილებანი შეიძლება იგულისხმებოდეს აქ? სპეციალურ ლიტერატურაში სრულიად მართებულად ავლებენ პარალელს მოტანილ ძეგლსა და ბაგრატ IV-ის მიერ ოპიზართა და მიჯნაძორელთა დავის გამო მიღებულ გადაწყვეტილებას შორის, რომელიც, მართალია, კონკრეტული შემთხვევის გამოა გამოტანილი, მაგრამ ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ნორმების დადგენის თვალსაზრისითაც და სასამართლო პრაქტიკის გასათვალისწინებლადაც დიდი მნიშვნელობის საბუთია. ძეგლში ვკითხულობთ: „...შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჴევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი და დავსხენით წინაშე ჩუენთა...

და აწ სალოცველად მეფობისა ჩემისა და შვილსა ჩემისა გიორგი კურაპალატისა და სალოცველად სულისა მათ პირველთა მეფეთასა ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი“.

ქვემოთ კი ნათქვამია: ჩვენაო „და მათ პირველთა მეფეთა, მაშენებელთა და შემწირველთა ულოცვიდენ...“[25].

როგორც ლიტერატურაში უკვე შენიშნულია (ი. დოლიძე, ა. კიკვიძე, ივ. სურგულაძე, ილ. ანთელავა და სხვ.), ბაგრატ IV-ის მოყვანილ სასამართლო გადაწყვეტილებას ბევრი რამ აქვს საერთო ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესავალთან. მართლაც ორივეგან იხსენიებიან სასულიერო და საერო პირნი: აზნაურნი, ჭკუიანნი კაცნი, ერთ შემთხვევაში ეპისკოპოსნი და დიდებულნი, მეორეში კი—მღვდელთ-მოძღვარნი და ერისთავთ-ერისთავნი თუ ერისთავნი. ორივეგან ყველა ესენი გვევლინებიან განჩინების მონაწილეებად „მეფეთა წინაშე“ და რაც, აგრეთვე, მეტად ნიშანდობლივია, ორივეგან გვაქვს მსგავსი გამოთქმები: „აღმაშენებელნი მეფენი“ თუ „პირველნი მეფენი მაშენებელნი“.

---

25 ქართული ისტორიული საბუთები, IX—XIII სს., თბ., 1984, გვ. 33.

მაგრამ, თუკი ბაგრატ IV-ის განჩინება კერძო შემთხვევის გამოა გამოტანილი, ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი" სწორედ ასეთ განჩინებათა შემცველი თუ მათ საფუძველზე შედგენილი ძეგლი ჩანს.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია უფრო მოგვიანო ხანის საბუთი — „სისხლის სამართლის განჩინება", ბოძებული სიმონ I-ის მიერ გედეონ მაღალაძისადმი 1592 წ. საბუთი ორენოვანია (ქართულ-სპარსული) და მისი სინამდვილე ეჭვს არ ბადებს. ნიშანდობლივია, რომ ეს საბუთიც დაწერილია „კითხულობითა ეპისკოპოსთა, თავადთა, დარბაზის ერთა და ვაზირთა ჩვენთა სამართლად და ჯერჩინებითა საქმისათა..."[26].

ბუნებრივია, რომ სასისხლო სიგელში ჯერ მაღალაძეთა გვარის კაცის სისხლია დაწესებული, რაც სამას ათას კირმანეულად არის განსაზღვრული. ამას მოყვება სხვა სახის დანაშაულთა დაურვების განმსაზღვრელი მუხლები — სულ 22. და ჩვენთვის ამჟამად ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ამათგან 14 მუხლი ზედმიწევნით ემთხვევა ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის" შესაბამის მუხლებს, შეიძლება ითქვას, რომ შინაარსობრივად არსებითად იმეორებს მათ. სხვაობა მხოლოდ დეტალებშია. ასეთი დამთხვევა კი, ვფიქრობთ, მარტო იმას არ ნიშნავს, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალმა" „გარკვეული გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე"[27], არამედ იმას, რომ თვით ბაგრატ კურაპალატის სამართლის არსებობა (იმ ნაწილში, სადაც ასეთი დამთხვევა დასტურდება) გასაგები ხდება კონკრეტული სასისხლო სიგელების არსებობით, რადგან თვით ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალში" არც ერთი სოციალური წრის წარმომადგენლის სისხლი არ არის გაჩენილი და აქ მხოლოდ სხვადასხვა დანაშაულის შემთხვევაში ე. წ. „საუპატიოს" ანუ სისხლზე წამატების დაურვებაზეა ლაპარაკი, ან მხოლოდ „საპიროა" განსაზღვრული; საკუთრივ სისხლის განსაზღვრა კი რაღაც სხვა იურიდიულ აქტშია საძიებელი. ამ შემთხვევაში ასეთად სწორედ მაღალაძეთა სასისხლო სიგელი წარმოგვიდგება. თუმცა „ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც" გვაქვს შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ დანაშაულისათვის გადაკვეთილი ფულადი სასჯელი არის დაწესებული (მაგალითად: „თუ უსამართლოდ დიდმან კაცმან თავისსა ამხანაგსა მუქარა სთხოოს, ათი ათასი დაუურვოს" და სხვა).

ამრიგად, ეჭვს არ ბადებს, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი" ნაწილობრივ სასისხლო სიგელებთან არის დაკავშირებული, რაც ლიტერატურაშიც გარკვევით არის აღნიშნული. ხოლო რაში გამოიხატება ეს კავშირი, ამაზე ვეცდებით პასუხი გავცეთ უფრო ქვემოთ.

ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი" სხვადასხვა განჩინებათა შემცველია, რომელნიც გამოტანილია მეფეთა მიერ მაღალი რანგის სასულიერო და საერო პირთა მონაწილეობით. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ აქვე აისახა საკუთრივ ეპისკოპოსთა თუ დიდებულთა მიერ გამოტანილი განჩინებანიც, რომელნიც მეფეთა მიერ იყო სანქციონირებული. ამის გვიანდელი, მაგრამ თვალნათლივი მაგალითია 1470 წ. ახლოს დაწერილი შალვა ქვენიფნეველის მიერ ლარგვისის მონასტრისათვის ბოძებული შეწირულობის წიგნი, სადაც მატერიალურ შეწირულობათა გარდა (სოფლების, ზვრების, გლეხების ბოძება) დადგენილია სამართლებრივი ნორმებიც. ეს

---

26 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 45—47.

27 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963, გვ. 627—628; შედ.: დ. ფურცელაძე, დასახ. ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკანასკნელნი საბუთის ი. დოლიძისეულ პუბლიკაციაში 10 მუხლად არის ჩამოყალიბებული და შეიცავს ეკლესიის მიმართ ე. წ. „საუპატიო“ საქმეთათვის განსაზღვრულ სასჯელს: „ნუმცა ვინ იკადრებს შუღლსა, ანუ სიძვასა, ანუ პარვასა, ანუ ღალატისა მოგონებასა, ანუ მღდელთა, მონაზონთა, დედაბერთა და ენკრატისთა უპატიობასა“ (მუხლი I). აქვეა ლაპარაკი იმაზე, რომ მონასტრის ტერიტორიაზე მესისხლე მესისხლეს არ უნდა ერჩოდეს, კაცის კვლას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და სხვა. და რაც მთავარია, საბუთში წერია: „ესე ასრე გავაჩინეთ, შევსწირეთ და დავამტკიცეთ კითხულობითა და ბრძანებითა ღვთივ-გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისათა“[28]. აქ იგულისხმება ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატი (1466—1478 წწ.). ამგვარად, აქაც საქმე გვაქვს მეფის სანქციით საერო დიდებულის მიერ გამოტანილ განჩინებასთან, რომლის მუხლები პოულობენ ანალოგიას ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალში“.

მოტანილი მასალის შუქზე (და ამას სხვა მასალაც დაუჭერს მხარს, რომელსაც ქვემოთ შევეხებით), ნათელი უნდა იყოს, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალის“ შესავალში ლაპარაკი უნდა იყოს გარკვეულ სამართლის ძეგლის შედგენაზე, სადაც თავმოყრილია ღმრთის მადლით („სალმთოჲ“) „გაჩენილი და გასაჩენელი“, ე. ი. უკვე არსებული კანონები და აგრეთვე იმ დროისათვის გასაჩენელი სამართლებრივი ნორმები. საყურადღებოა, რომ შესავალში პირდაპირ არის ნათქვამი: „სახელითა ღმრთისათა დ ა ი წ ყ ე ბ ი ს სამლთოჲსა გაჩენილი და გასაჩენელი...“ ე. ი. თითქოს აქ გაჩენილ ნორმათა დამთავრება არც იგულისხმება და კრებულის გაგრძელება თუ შევსებაცაა ნავარაუდევი. ყოველ შემთხვევაში შესავალში არაორაზროვნად წერია, რომ ძეგლში თავმოყრილია „პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე გაჩენილი განგებითა ღმრთისაითა“, — ე. ი. საკანონმდებლო აქტები სხვადასხვა რჯულმდებელთა — ბაგრატ კურაპალატიდან დაწყებული, თუნდაც ბაგრატ I-დან ან ბაგრატ III-დან, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი, „მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად, იყო „სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათჳს“[29] (შეად.: ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის სახელწოდება: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“)[30].

სამწუხაროდ, შესავალში არაფერი გვაქვს იმის ზუსტად დასადგენად, თუ როდის დაიწერა იგი, ანუ როდის დაიწყო თვით ძეგლის შედგენაც. ერთადერთ დამათარიღებელ ამოსავალად შეიძლება მივიჩნიოთ აქ ნახმარი ტერმინები გარკვეულ კონტექსტში: „ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა“. ეს კონტექსტი სოციალური ტერმინებით რამდენადმე ცილდება ბაგრატ IV-ის ოპიზართა სიგელის ტექსტს: „მღდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი, და ყოველთა ჭევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი...“, სამაგიეროდ უახლოვდება უფრო მოგვიანო ხანის კონტექსტებს: „ამა ქუეყნისა დიდებულთა და აზნაურთა...“ (1260—

28 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 141—142.

29 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 282.

30 ივ. ჯავახიშვილის ერთადერთ დაბრკოლებად ძეგლის ბაგრატ კურაპალატში ბაგრატ I-ის შესაცნობად მიაჩნდა ის, რომ უკანასკნელი არ ატარებდა „მეფეთ-მეფის“ ტიტულს. მაგრამ, შესავლის თანახმად, არც ეს არის საგულვებელი. აქ ლაპარაკია ბაგრატ კურაპალატზე და შემდგომში კი მეფეთ-მეფეებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1267 წწ. დაწერილი თამარ დედოფლისა გელათისადმი)[31], „რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა...“ (1263 წ. მოხსენება საქართველოს საეკლესიო კრებისა მეფე ულუ-დავითისადმი)[32]. ბექას სამართალში „დიდებული“ და „აზნაური“ ძირითადი პრივილეგირებული სოციალური ფენებია (მუხლები 1, 2, 28, 31 და სხვა), უფრო მოგვიანებით კი ანალოგიურ კონტექსტებში „თავადი“ იჩენს თავს: „კითხულობითა ეპისკოპოსთა, თავადთა, დარბაზის ერთ და ვაზირთა ჩუენთათა...“ (1592 წ. წყალობის წიგნის სიმონ I-ისა გედეონ მაღალაძისადმი)[33], „რამანც გუარმან კაცმან: ანუ მეფემან, ანუ დადიან-გურიელმან, ანუ კათალიკოზმან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ თავადთა და დიდებულთა, ანუ აზნაურიშვილთა ჴელყოს შლად...“ (1525—1550 წწ. „ბიჭვინტის იადგარი“)[34].

ამგვარად ზემოთგანხილული ტერმინების თვალსაზრისით ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესავალი უფრო XIII—XIV საუკუნეებს განეკუთვნება. ე. ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დროს დაიწყო („დაიწყების“) ამ ძეგლის შედგენაც, ანუ არსებულ საკანონმდებლო აქტების შეკრება თუ ახალთა გაჩენაც[35].

ქვემოთ წარმოვადგენთ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ გარჩევას შინაარსობრივი თუ შედგენილობის თვალსაზრისით, რაც უნდა დაგვეხმაროს მისი არსის, მისი ხასიათის გარკვევაში, კერძოდ, იმის დადგენაში, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს ეს ძეგლი — არის იგი მთლიანი, თავიდანვე ერთიანად გააზრებული და შეკრული სამართლის წიგნი, თუ სხვადასხვა დროის შრეების მექანიკური შეერთება („კონგლომერატი“, როგორც მას ა. კიკვიძე უწოდებს), ხოლო თუ ასეა, ვის ან რა დროს ეკუთვნის მისი ცალკეული შრეები, როდის არის ისინი შეკრული და სხვა.

ძეგლის პირველ ორ მუხლში (99—100) ზოგადადაა ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ უნდა წარმოებდეს „მართალი სამართალი“ იმათ მიერ, „ვინცა საბჭოდ ჯდებოდა“. ნათქვამია, რომ სამართალზე გავლენა არ უნდა მოეხდინათ არც ნათესავებს, არც პატრონს და არც „ქრთამის ქადებას“. „ბჭედ“ უნდა დასმულიყო „ვინცა მოძღუარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი... ანუ კარგი დიდ-ვაჭარი ანუ კარგი სოფლისა მამასახლისი“. ასეთი „ჭკუიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობაჲ და უსამართლოს არას იტყჳს“.

ამ ორ მუხლში მოცემული მოტივები თავისთავად ძველიც შეიძლება იყოს და ახალიც, კერძოდ კი ზოგიერთ ანალოგიას ვპოულობთ ბექას სამართლის მე-4 მუხლში, სადაც აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლაზეა ლაპარაკი და სხვათაშორის უადგილოდ არის ჩართული ზოგადი განმარტება სასამართლოს წარ-

---

31 ქართული ისტორიული საბუთები, IX—XIII სს., გვ. 163.

32 იქვე, გვ. 172.

33 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 46.

34 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 183.

35 ი. დოლიძე ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესავლის გარჩევისას ვარაუდობს, რომ მისი ერთი ნაწილი: „პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა...“ ეხება საკუთრივ ბაგრატის სამართალს (მუხლები 99—160), ხოლო გამოთქმა: „და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე...“ ეხება კანონიკური სამართლის ფრაგმენტს (მუხლები 161—170). პირველ ნაწილს ავტორი ბაგრატ IV-ს მიაკუთვნებს, ხოლო მეორეს კი თამარ მეფის წინა ხანას. ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 49, 63.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოებაზე და, კერძოდ, ბჭეთა შესახებ — თუ როგორ უნდა აწარმოონ მათ საქმის გამოძიება („ბჭეთაგან კარგა გამონახვა უნდა...“), ხოლო ბჭეთაგან ქრთამის აღებასთან დაკავშირებით ლაპარაკია აღბუღას სამართლის 90-ე მუხლში („თუ ბჭისაგან ქრთამისა აღება გამოჩნდეს, იგი ნაბჭობი ტყუილი იყოს...“). „ბჭობაში“ მონაწილე „შუა დასხმულნი მოძღვარნი და მეცნიერნი კაცნი“ იხსენიებიან აღბუღას სამართლის 84-ე მუხლში.

„ბჭობა“ და ბჭისგან ქრთამის აუღებლობა ოდითგანვე ცნობილი წესია, მაგრამ ზემოთ დასახელებულ მუხლებში ყურადღებას იქცევს ორი ტერმინი „კარგი დიდვაჭარი“ და „კარგი სოფლისა მამასახლისი“. „დიდვაჭარი“ XII საუკუნიდან დადსტურებული ტერმინია, ხოლო ვაჭართა სასამართლოში მონაწილეობა მხოლოდ 1460 წლით დათარიღებულ გიორგი IX-ის მიერ ჟურულებისადმი ბოძებულ სასისხლო სიგელში გვხვდება. აქვეა მოხსენიებული „ქუეყნისა მამასახლისიც“[36]. საერთოდ „მამასახლისის“ მოხსენებას სხვადასხვა მნიშვნელობით ადრიდგანვე ვხვდებით, მაგრამ ასეთი სპეციფიური ფორმითა და შინაარსითაც (სოფლის მამასახლისი, როგორც სოფლის საქმეების გამრიგე) ეს ტერმინი გვიანდელი იერის მატარებელია: „ჴელმწიფის კარის მოხელეთა ანუ სოფლის მოურავთა და მამასახლისთა...“ (1712 წ. შეწირულობის წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი)[37], „სოფლის მოხელემ, ნაცვალმა, ქევხამ თუ მამასახლისმა...“ (1774 წ. მორიგე ლაშქრის განაჩენი)[38]. ბიჭვინტის იადგარში წერია: „მამასახლისთა, მესტუმრეთა და ჴევისთავთა, ნაცვალ-ჴელისუფალთა და სხვათა მოხელეთა...“[39]. უეჭველია, რომ აქაც სწორედ სოფლის მამასახლისი იგულისხმება, რადგან ამ დოკუმენტში სოფელი, როგორც სამოსახლო ერთეული, სახეზეა: „ვინცა სოფელი და სოფლის კაცი დაარბიოს, ორასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, და ორი ათასორი ათასი, რასდენიცა გლეხნი იყუნენ, იმათ დაეურნენ...“[40].

ამგვარად, ყველა მონაცემი არსებობს იმისათვის, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესაბამის ადგილას გვიანდელი სოფლის მამასახლისი ვიგულისხმოთ, მაგრამ ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ამ ინსტიტუტის წარმომავლობაც. საყურადღებოა, რომ ლეონტი მროველის მიხედვით, ძველად მცხეთის მამასახლისი, როგორც ქვეყნის უზენაესი ბატონ-პატრონი — „იყვის მაზავებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა“[41]. უფრო გვიანაც დასტურდება მამასახლისის, როგორც ანალოგიური ფუნქციის მქონე ხელისუფლის არსებობა. მაგალითად, შიომღვიმისადმი გრიგოლ სურამელის 1247—1250 წლებით დათარიღებულ დაწერილში ვკითხულობთ: „თუ ჩუენი კაცი და მღვმისა ჩამოიკიდნენ, ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს და მღუიმისა კაცისა თჳთ მემღუიმის ჴელისუფალმან აიღოს; თუ საქმე რამ დავარდეს სასაურო მღუიმისა და ჩუენთა კაცთა შუა, მამასახლისმან და მღუიმის ჴელისუფალმან მ ა რ თ ა ლ ი თ ა  ს ი მ ა რ თ ლ ი თ ა  დ ა უ უ რ ვ ო ნ.

36 საქართველოს სიძველენი, I, 1899 წ. გვ. 5. იხ. ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 627.

37 ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 673.

38 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 440.

39 იქვე, გვ. 178.

40 იქვე, გვ. 181.

41 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ სისხლი შეჰკდეს მღუიმის კაცსა ჩუენის კაცისაჲ, მემღუიმის ჴელისუფალმან სისხლის პატრონსა სისხლი გარდასცეს მონასტრისა წესითა...[42].

აქედან ნათლად ირკვევა, რომ სასამართლო ფუნქცია ერთი მხრივ, ერისთავის მამასახლისს ქონდა, რომელიც, ჩანს, ერისთავის, როგორც საქვეყნოდ გამრიგე დიდი მოხელის, სახელით მოქმედებდა, ხოლო, მეორე მხრივ— მღვიმის ხელისუფალს, რამდენადაც მონასტერი სასამართლო შეუვალობით სარგებლობდა, და ეს „სასისხლო“ საქმეზედაც ვრცელდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ დოკუმენტის „მამასახლისი“ სწორედ სოფლის მამასახლისადაც განიხილებოდა, მხოლოდ არა იმ გაგებით, როგორც ეს ადრე იყო, როცა „სოფელი“ ერისთავის საგამგეოდ აღიქმებოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლეონტი მროველის ფრაზა: „მეფემან სპართამან... მოუწოდა მთავართა სოფლებისათა პიტიახშთა და ერისთავთა სოფლებისათა...“[43]. ივ. ჯავახიშვილს ლეონტი მროველის ეს ცნობა „რომელიღაც მასზე შედარებით ძველი წყაროთგან ამოღებულად“ მიაჩნია, წორედ „სოფელსა“ (ე. ი. ქვეყნის ) და მასთან დაკავშირებულ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებზე მსჯელობისას[44].

ამგვარად, თავდაპირველად უძველესი ხანის მამასახლისიდან — სახლის ანუ ქვეყნის „უზენაესი ბატონ-პატრონისაგან“, რომელიც „ბჭე“ და „მაზავებელიც“ იყო, მივიღეთ საქვეყნოდ გამრიგე ჴელისუფლის სახელით მოქმედი სოფლის მამასახლისი, რომელსაც ტრადიციულად შენარჩუნებული ჰქონდა მოსამართლის ფუნქციაც, თუმცა მისი ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და გვიან — XVII—XVIII სს. ჩვეულებრივ სოფლის მამასახლისის მდგომარეობამდე დადის.

XIII—XIV საუკუნეებში „სოფლის მამასახლისი“ უნდა წარმოვიდგინოთ სწორედ ისეთი გაგებით, როგორადაც იგი გვევლინება გრიგოლ სურამელის დაწერილში. და ამდენად, ასეთი პირის დასახელება ბჭედ, როგორც ეს ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ პირველ მუხლებშია აღნიშნული, სავსებით შესაძლებელი იყო (თუ კი ეს მუხლები ამ დროს ეკუთვნის, როგორც ზემოთ ვივარაუდეთ).

როგორც ითქვა, ივ. ჯავახიშვილი ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ პირველ მუხლებს, სადაც სასულიერო პირთა, კერძოდ, ეპისკოპოსის ხელშეუხებლობასა და უფლებამოსილებაზეა ლაპარაკი („რომე მეორე მეფე ეპისკოპოსი არს“ და სხვა) ადრეულად მიიჩნევდა. მისი აზრით, აქ მოცემული ვითარება არ შეიძლება დავით აღმაშენებლის შემდეგრდოინდელი ყოფილიყო. ეს აზრი გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც (ი. დოლიძე, ივ. სურგულაძე, ა. კიკვიძე), თუმცა აზრთა სხვაობაა იმის თაობაზე, თუ რომელ ბაგრატს (I-ს, III-ს თუ IV-ს) ეკუთვნის ეს მუხლები.

ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული პირველი მუხლების სახით ძეგლში შემორჩენილია სწორედ უძველესი სამართლებრივი ნორმები, მაგრამ რაც შეეხება სხვა მომდევნო მუხლებს, რომლებიც საერთოდ სასულიერო პირთა და ეკლესიის უფლებების დაცვას ითვალისწინებენ (ხოლო ასეთები ძეგლში საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი), ისინი უფრო გვიანი უნდა იყოს, სწორედ იმ დროისა, როცა ცენტრალური ხელისუფლება იძულებულია

---

42 ქართული ისტორიული საბუთები,, გვ. 122—123.

43 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 60.

44 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბ., 1928, გვ. 187.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საგანგებოდ იზრუნოს ეკლესიის შელახული უფლებების აღდგენასა და დაცვაზე. აქ არ შეგვიძლია არ მოვიტანოთ 1263 წ. საქართველოს საეკლესიო კრების მიმართვა ულუ-დავითისადმი ეკლესიის შევიწროვებული მდგომარეობის შესახებ, სადაც წერია: „არღარავისგან გუაქუს პატივი, არცა სჯულსა და არცა ეპისკოპოსთა, არცა მონაზონთა, არცა ხუცესთა, არცა მღდელთა, არცა მიჰრონსა, არცა ქორეპისკოპოსთა! ყუელაი ყუელასა უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბასრობით ვჰყავთ!“[45]. ეპისკოპოსთა თუ მონაზონთა შეურაცხყოფასა და შეგინებაზე თუ ეკლესიის სხვა შევიწროვებაზე (მატერიალურზე) ამ საბუთში ბევრია ნათქვამი, რასაც ცენტრალური ხელისუფლების მხრივ რეაგირება უნდა მოჰყოლოდა და შესაბამისად კანონმდებლობაშიც უნდა ეპოვა ასახვა. ამიტომაც არის, რომ თვით „ბაგრატ კურაპალატის სამართალში“ გარდა პირველი მუხლებისა (101—103), ეკლესიის და სასულიერო პირთა უფლებების დაცვას ეძღვნება მუხლები 104, 105, 106, 107, 108, 109—112, 113—116, 121, 122—123. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ ჩვენ გვხვდება შეხვედრები სიმონ I-ის 1592 წ. სასისხლო სიგელთან და ბიჭვინთის იადგართან, მაგრამ არა იმ გაგებით, თითქოს „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ და ბიჭვინტის იადგარი ზოგადი ხასიათის სასისხლო სიგელებია და თუ კი უკანასკნელი განსაზღვრავდა საკუთრივ კათალიკოზის „სასისხლო პრივილეგიებს“, პირველი „საერთოდ ეკლესიის“ უფლებების დაცვას („სასისხლო პრივილეგიებს“) ითვალისწინებს[46]. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ სრულიად დამოუკიდებელი ძეგლია და მას ასე ვერ შევზღუდავთ. სხვა არა იყოს რა, აქ უამრავი საერო ხასიათის ნორმებია, რომელნიც გაცილებით შორს სცილდებიან „ეკლესიის სასისხლო პრივილეგიების“ დაცვის ამოცანას.

„ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ გარდა ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა, ცალკე ჯგუფებად შეიცავს მუხლებს ისეთ დანაშაულთა შესახებ, როგორიცაა სხეულის დაზიანება — „თუალისა ცურა, ჴელ-ფეჴისა დაგერშა, პირისა დალი“ (მუხლები 124, 125, 126), ამხანაგისათვის უსამართლოდ „მუქარის თხოვა“ ანუ დამუქრება (მუხლები 127, 128), უსამართლოდ გინება „ლაშქარსა ზედა“ ან „დიაცისა“, „ულირსისაგან საბატიოსი“ (მუხლები 129, 130, 131), უსამართლოდ „პატრონის წინა შესმენა“ (მუხლი 132), „სალალატოდ წასვლა“ (მუხლები 133—134), „ცოლის წაღება“ (მუხლი 135), მეზობლის გაცემა (მუხლი 136), ძარცვა, პარვა, ჯოგის წასხმა (მუხლები 137, 141).

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ მუხლებს ეძებნება ზუსტი შესატყვისი სიმონ I-ის 1592 წ. სასისხლო სიგელში და ზოგიერთ მათგანს კი ბექასა და აღბუღას სამართალში და „ძეგლის დადებაში“. მაგალითად, პატრონის წინაშე უსამართლოდ შესმენა გათვალისწინებულია ბექას 40-ე მუხლით, ცოლის წაგვრა — ბექას 46—47 მუხლებით, „ძეგლის დადების“ 23—24-ე მუხლებით. სხეულის დაზიანების შემთხვევები ყველა სამართლის ძეგლშია ამა თუ იმ სახით.

მუხლი 138 — „მეკობრისა და ზედა-დამსხმელისა სისხლი არ არს“ — თითქმის ტრაფარეტული გამეორებაა სიმონ I-ის სასისხლო სიგელის შესაბა-

---

45 ქართული ისტორიული საბუთები. IX—XIII სს., თბ., 1985, გვ. 173. შეად. ილ. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

46 ილ. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მისი მუხლის, ბექას მე-12, „ძეგლის დადების“ 43-ე და „კანონიკური სამართლის“ 164-ე მუხლებისა. მუხლები 139 და 140 ითვალისწინებენ „გვირგვინშეუსკვნელი“ ან დასნეულებული ცოლის გაშვების შემთხვევებს, სადაც გვაქვს გამოთქმა: „თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი... თუ გაეყაროს...“ აქ ყურადღებას იქცევს სიტყვა „გაყრა“, რომელიც გვიანდელ ელფერს ატარებს. ბექასთან გვაქვს „ცოლის დაგდება“ (მუხლები 29, 30), „ძეგლის დადებაშიც“ „დაგდებაა“ (მუხლი 21).

საყურადღებოა, რომ 142—143-ე მუხლებში მეორდება სხეულის დაზიანების მოტივი — წინა და უკანა კბილების ჩაგდებინება, რაც ბექას მე-8 მუხლში პოულობს ანალოგიას, 144-ე მუხლში „წვერის მოკვეცაზე“, ხოლო 145 და 146-ე მუხლებში „ცოლის შეყივლებაზე“ და „გრძნეულების შეყივლებაზეა“ საუბარი.

მუხლები 148 და 149 პატრონისა და ყმის ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავენ მიზნად („თუ უსამართლოდ პატრონმა ყმაჲ გაძარცოს...“ „თუ უსამართლოდ პატრონსა ყმაჲ წაუვიდეს...“ ორივე შემთხვევაში 12 გლეხით „დაურვება“ ან „შეკაზმა“ არის დაწესებული).

მუხლი 150 აზნაურისაგან აზნაურის მოკვლას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში აზნაურის ხარისხის განმსაზღვრელი ტერმინები „ტაძრობილი“ თუ „უტაძრო“ ბექას სამართლის მე-2 მუხლში პოვებს ანალოგიას, ხოლო სასჯელის ზომები — სამს წელიწადს მამულიდან გაყენება, მამულის მკვდრი ძმასთვის ჩაბარება, მეოთხესა წელიწადსა შემოშვება, მამულის დაბრუნებით — „ძეგლის დადებაში“ ანალოგიურ შემთხვევებში დაწესებულ ნორმებს მიესადაგება.

მუხლები 151 და 152 კაცისაგან კაცისათვის თვალის დაწვას ითვალისწინებენ. აღნიშნულია, რომ ეს დიდი უბედურებაა და როგორც სასჯელი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (დიდი სალაროს ან ეკლესიის გატეხვა, ჯოგის წასხმა ან ღალატი) შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ „მეფისა და უდიდებულესის კაცისაგან“. სასჯელის ასეთ ზომას ჩვენში ვერსად ვხვდებით, გარდა „კანონიკური სამართლის“ 167 მუხლისა.

მუხლები 153, 154, 155 და 156 მთლიანად გაყრის შემთხვევებს აწესრიგებენ: „თუ ძმანი გაიყარნენ და გლეხნი იყვნენ...“ „თუ დიდებულნი გაიყარნენ...“, „თუ მამა-შვილნი გაიყარნენ...“ და სხვა. მართალია, გაყრა ადრეც ხდებოდა, მაგრამ აქ დაწესებულ ნორმებს სხვაგან ვერ ვხვდებით, ვახტანგის სამართლის წიგნის გარდა. 156-ე მუხლის თანახმად მამა-შვილის გაყრის შემთხვევაში შვილი მამას მამულს არ უნდა ედავებოდეს, რადგან მამის სიკვდილის შემდეგ მაინც მას რჩება. მანამდის კი თვითონ უნდა „სხუაჲ მოიგოს“. „ძეგლის დადებაში“ ანალოგიურ შემთხვევაში მამულზე შვილს ეძლევა უპირატესობა, რადგან მამული სამეფო სამსახურის საფუძველია, მამა ნასყიდით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომელთანაც შვილს ხელი აღარ ჰქონდა (მუხლი 16).

აღსანიშნავია, რომ თავისთავად ტერმინი „გაყრაც“ ახალი უნდა იყოს. ბექასთან გვაქვს „გაყოფილი“ და „გაუყოფელი“ (მუხლი 22), „ძეგლის დადებაში“ გვხვდება „განაყოფი კაცი“ (მუხლები 9, 10), და „გაუყოფელი“ (მუხლი 17). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ 153—156 მუხლები, რომლებიც გაყრას გულისხმობენ, შინაარსობრივადაც და ტერმინოლოგიურადაც ვახტანგის სამართლის შესაბამის კართან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლებთან უფრო ამჟღავნებდნენ სიახლოვეს, ვიდრე ადრეული სამართლის ძეგლებთან. ამდენად, ა. კიკვიძის მიერ ამ მუხლების მიკუთვნება ბაგრატ I კურაპალატისადმი უმართებულოდ გვეჩვენება.

მუხლები 157 და 158 ნაშვილებ სიძის („სიძისა შვილებულისა“) მდგომარეობას აწესრიგებს იმის მიხედვით, თუ „წიგნით“ ან „უწიგნოდ“ იყო იგი „შესრული“.

ამით ძირითადად ამოიწურება ის თემატური წრე, რომელიც ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალშია“ წარმოდგენილი. მაგრამ ძეგლში გვაქვს კიდევ ერთი მომენტი, რომელიც სხვადასხვა მუხლებს აერთიანებს. ესაა ამა თუ იმ დანაშაულის გლეხებით დაურვების წესი. ასეთი შემთხვევა სულ ოთხი გვაქვს: მუხლი 116 — „თუ ქური ჯოგი წაასხან შორს, თორმეტი გლეხი დაუურვოს მართლითა საჯსრითა. პატიჟმან და სისხლმან ჰმატა და ჯოგიცა შეაქციოს...“. ეს მუხლი მოყვება 115-ე მუხლს, სადაც ნათქვამია: „თუ ეკლესიასა დაესხნენ, ხუთი ათასი თეთრი დაუურვონ საუპატიოდ“. ე. ი. იგულისხმება, რომ ჯოგის წასხმაც და გლეხებით დაურვებაც აგრეთვე ეკლესიას ეხება.

მეორე შემთხვევაა 121-ე მუხლში: „სადაცა მაცხოვრისა ხატი ესვენოს სამცველად ქუეყნისა — საუპატიოდ ოცდაათი გლეხი მართებს; თორმეტი — ყოვლად წმიდისა, თორმეტი — მთავარანგელოზთა, თორმეტი — სხვათა წმიდათა...“. ე. ი. აქაც ეკლესიის საუპატიო საქმის გლეხებით დაურვებასთან გვაქვს საქმე.

მესამე შემთხვევაა 130-ე მუხლში: „თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს მართლითა საჯსრითა“. ეს მისდევს 129-ე მუხლს, სადაც ნათქვამია: „თუ კაცმან კაცსა უსამართლოდ აგინოს ლაშქარსა ზედა, ოთხი ათასი თეთრი დაუურვოს“, ე. ი. ანალოგიურ ქმედობისათვის აქ დაურვება თეთრით ხდება.

მეოთხე შემთხვევაა 148 და 149 მუხლებში: „თუ უსამართლოდ პატრონმა ყმაჲ გაძარცოს — თორმეტი გლეხი დაუურვოს“ და „თუ უსამართლოდ პატრონსა ყმაჲ წაუვიდეს, თორმეტი გლეხი შეეკაზმოს“.

გლეხით დაურვების პარალელებს ჩვენ ვერსად მივაკვლიეთ გარდა ბიჭვინტის იადგარისა და ლევან დადიანის მიერ ხოფის საყდრისადმი მიცემულ სიგელისა (XVII ს. I ნახ.).

ბიჭვინტის იადგარში გლეხით დაურვების რამდენიმე შემთხვევა გვაქვს: 50 გლეხი კათალიკოსის გინებისათვის ან საცემრად წაწევისათვის, 6 გლეხი მონასტრის ძმათაგანის ცემისა თუ „ჩახდომისათვის“, 20 გლეხი — მონასტრის ძმათაგანის და საყდრისშვილის მკვლელობისათვის და 12 გლეხი — ქორეპისკოპოსის ცემისა ან შეპყრობისათვის. ყველა ამ შემთხვევაში გლეხები ეკლესიის სასარგებლოდ დაიურვებოდა, ხოლო თვით დაზარალებულებს თეთრით მიეცემოდა საზღაური[47]. სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ძეგლში თეთრით დაურვება გვაქვს სახეზე.

ლევან დადიანის ხსენებულ სიგელში მოტანილია დადიან-გურიელის შამადავლას მიერ ძველი სიგელიდან აღებული შემდეგი ადგილი: „აგრეთვე ჩუენ, პატრონმან დადიან-გურიელმა შამადავლამ იადგარი ძუელითგანი ვნახეთ და ასრეთ ყოფილიყო ძუელითგან და ესრეთ ეწერა:

„ვინცა ხოფისა საყდარსა გარშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი და-

47 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 180—181.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ურბიოს, ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ან სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა.

ვინცა სახოფოსა ზედან მოუხდეს, დაარბიოს და დაწუას, მეხადილე გლეხი დაუურვოს საყდარსა.

ბოდ (sic), ანუ ღალატითა კაცი მოუკლან, ორი ზომა სისხლი დაეურვოს.

ვიცა ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ აგინოს, ათასი პოტინატი დაეურვოს...[48].

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ გლეხებით საუპატიოს დაურვება საყდრის სასარგებლოდ ხდებოდა, რაც „ბაგრატის სამართალში“ მხოლოდ ორ შემთხვევაში გვაქვს. დანარჩენ შემთხვევებში კი აქ თვით დაზარალებულების სასარგებლოდ ხდება დაურვება: დიაცის გინებისათვის, უსამართლოდ ბატონის მიერ ყმის გაძარცვისათვის და უსამართლოდ ყმის წასვლისათვის. როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისით რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა. არ უნდა იყოს შემთხვევითი ისიც, რომ თუ კი დიაცის გინებისათვის ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალში“ 12 გლეხია დაწესებული, სიმონ I-ის 1592 წ. სასისხლო სიგელით ანალოგიურ ვითარებაში 10 ათასი თეთრია განსაზღვრული, რაც ამ ძეგლთა უშუალო კავშირზე და ერთმანეთისაგან ნასესხობაზე არ მეტყველებს, მიუხედავად სხვა მხრივ დიდი მსგავსებისა და დამთხვევებისა. იგივე ითქმის „ბაგრატის სამართალზე“ და ბიჭვინტის იადგარზედაც, სადაც ერთ შემთხვევაში ჯოგის წასხმისათვის 12 გლეხია დაწესებული, ხოლო მეორეში კი „თეთრი“.

თვით „ბაგრატის სამართალშიც“ ჯოგის წასხმაზე მეორეგანაც არის ლაპარაკი (მუხლი 141), სადაც აგრეთვე თეთრით დაურვებაა დაახლოებით ისეთივე კონტექსტში, როგორც ეს სიმონ I-ის 1592 წ. სასისხლო სიგელშია მოცემული.

რა დროის მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ გლეხით დაურვება?

გლეხების გაყიდვა, თუმცა ადრეც ხდებოდა, მაგრამ დადასტურებულია XI ს-დან „ნიკორწმიდის დაწერილში“ და უფრო გვიანაც: 1170 წ. შიომღვიმისადმი გიორგი მეფის მიერ მოცემულ სიგელში ნასყიდი და შემოწირული გლეხები (მათ შორის „წურილმანად გლეხები“) გვხვდება[49], ხოლო თამარ მეფის 1260—1267 წლებით დათარიღებულ სიგელში გელათისადმი იხსენიება „ნასყიდი სოფელი ჯიქეფონი, თორმეტი გლეხი, მისითა მიწა-წყლითა...“[50] და სხვა.

რაც შეეხება გლეხებით დაურვებას, ეს წესი საფიქრებელია უფრო გვიანი დროის წესი უნდა ყოფილიყო და არც თუ გავრცელებული, უპირატესად დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი. გავიხსენოთ შამადავლა დადიან-გურიელის სიტყვები იმის შესახებ, რომ „იადგარი ძუელითგანი ვნახეთ და ასრეთ ყოფილიყო ძუელითგან და ესრეთ ეწერა...“ — აქ ხოფის ეკლესიის საუპატიოდ ათი გლეხით დაურვებაზეა ლაპარაკი. რამდენად ძველი იყო ეს წესი, ამის მიხედვით ძნელი სათქმელია, მაგრამ ბატონყმურ ურთიერთობის (крепостничество) შემოსვლამდე ეს სავარაუდებელი არ არის, უფრო კი XIII—XIV საუკუნეებიდან. ამასთან დაკავშირებით გასათვალის-

48 ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 210.

49 ქართული ისტორიული საბუთები, IX—XIII სს., გვ. 68.

50 იქვე, 164.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წინებელია ისიც, რომ „ბაგრატის სამართალში“ გლეხებით დაურვება ხდება ისეთ შემთხვევებშიც თუ პატრონს ყმა უსამართლოდ წაუვიდოდა, ან პატრონი ყმას უსამართლოდ გაძარცვავდა (მუხლები 148—149). ეს სიტუაცია უფრო მიესადაგება ბექასა და აღბუღას ხანას, რომელთა სამართალში საგანგებოდ ახსნულია პატრონთა და ყმათა შუა „საპატრონყმო სამდურავის და საცილობლის შემოსვლა“ (მუხლი 84), თუმცა ამავე დროს აქ უკვე დასტურდება ზღვარის წაშლა „მკვიდრ ყმასა“ თუ „გლეხ კაცს“ შორის პატრონთან დამოკიდებულების და მისგან წასვლის უფლების თვალსაზრისით (მუხლი 77, შეადარე მუხლები 35, 55). ყოველ შემთხვევაში ამაზე ადრე ხანაში გლეხით დაურვება ჩვენ ნაკლებად შესაძლებლად მიგვაჩნია. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ერთნაირად გავიაზროთ ერთი მხრივ ე. წ. „ფავნელის საბუთში“ მოცემული ვითარება, როდესაც დიდებული მეფეს თხოვს დაუმტკიცოს მისი მამული — 4 სოფელი და 2 გლეხი სახელდებით, ამ უკანასკნელების გვარების ჩვენებით (რასაც XII—XIII სს. სამეფო საბუთებშიც ვხვდებით) და, მეორე მხრივ, ე. წ. „ბაგრატის სამართალში“ მხოლოდ ერთი დიაცის გინებისათვის 12 გლეხით დაურვება.

დაბოლოს, მუხლები 159 და 160 წარმოადგენენ ძეგლის დასკვნით ნაწილს, სადაც ე. წ. „საპიროს“ განმარტება და არსია მოცემული.

რამდენადაც ამ მუხლებში მოცემული ტერმინები — თვით „საპირო“, „წინა გასაძლუანებელი“, „სასისხლო სჭირდეს“ და საპიროს ოდენობა — ნაანგარიშევი ათეულობით ათასებში (იგულისხმება „თეთრში“) სიახლოვეს ამჟღავნებენ სასისხლო სიგელებთან და ამასთან თეთრის გაანგარიშება ოდენობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან სხვაობას გვაძლევს ბექასა და აღბუღას სამართალში, თუ „ძეგლის დადებაში“ მოცემულ სისხლის საფასურთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მუხლები გვიანდელია (XV—XVI სს.)[51], მაგრამ ძირითადი სოციალური ფენების ჩამოთვლის თვალსაზრისით კი — დიდებული, აზნაური, გლეხი (თუ კი ეს ჩამოთვლა სრულია), უფრო ადრეული ხანის (XIII—XIV სს.) ანარეკლსაც შეიცავენ (უთუოდ ფულადი საზღაური გვიანდელია აქ მისადაგებული), თუმცა თვით ეს ინსტიტუტები („საპირო“, „წინაგასამძღოლი“) შეიძლება ძველიც იყოს[52].

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალთან“ დაკავშირებით ბევრი საკითხი ჯერჯერობით ბუნდოვანია და ღიად რჩება, მაგრამ, ვფიქრობთ, არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ძეგლი არ არის თავიდან ბოლომდე ერთიანად ან ერთდროულად შედგენილ-შეკრული, ერთობლიობაში გააზრებული სამართლის წიგნი, მსგავსი ბექასი თუ აღბუღას წიგნებისა, „ძეგლის დადებისა“ თუ მხითარ გოშის „სომხური სამართლისა“. ეს არის თავმოყრა სხვადასხვა დროის საკანონმდებლო აქტებისა — „განჩინებათა“. ასეთი შეკრება უნდა მომხდარიყო გარკვეულ დროს, უფრო XIII—XIV საუკუნეებში, — კერძოდ კი იმ განჩინებებისა, რომელნიც ამ დროს უკვე გვქონდა, და უფრო გვიანაც, —ახალი სამართლებრივი ნორმებით ძეგლის შევსების მიზნით, სავარაუდოდ XVI საუკუნეში. ამის

---

51 შეად. ი ლ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 62—65.

52 მ. კ ე კ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 88—91.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დამადასტურებელია ის, რომ ძეგლში გვხვდება სხვადასხვა დროის დანაშრევები, განსხვავებული შინაარსობრივადაც და ენობრივადაც. აქ იხმარება ტერმინები, რომელნიც არ გადმოსცილდება XIII—XIV სს. (მაგ., „ტაძრობილი და უტაძრო“) ან და არ იხმარებოდა ამ ქრონოლოგიური მიჯნის ქვემოთ (მაგ. „გაყრა“ და სხვა).

ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ არ არის ისეთი საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც ყველა დანაშაულთა მიმართ სანქციებს გულისხმობს და ერთდროულად სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების „სისხლის ფასსაც“ განსაზღვრავს. აქ მხოლოდ „საუპატიო“ — სისხლზე წანამატია ნაგულისხმევი და ცალკე „საპიროა“ მიცემული, ასევე სისხლის განუსაზღვრელად. იგულისხმება რომ „სისხლი“ სხვა საკანონმდებლო ძეგლშია დაწესებული, თუ კი ასეთი ადრევე არსებობდა, ანდა საგანგებო „სასისხლო განჩინებებშია“ მოცემული, რაც უფრო მართებულია. გარდა იმისა, რომ ჩვენამდე მოღწეულია არაერთი „სასისხლო სიგელი“, რომელთა ნამდვილობას უეჭველყოფს თუნდაც სიმონ I-ის 1592 წ. გედეონ მაღალაძეთადმი „ძალად, პატივად და სიმაგრეთ თავისა და სახლისა მათისა“ ბოძებული სიგელი, რომელიც ძველ ასეთივე სიგელთა განახლებას წარმოადგენდა, ასეთ დოკუმენტთა არსებობას ადასტურებს აგრეთვე ვახტანგ VI-ის სამართლის 23-მუხლი: „არიან ზოგნი თავადნი და აზნაურნი, ძველთაგან ჴელმწიფეთაგან სისხლის განაჩენები აქუთ“... მართალია ვახტანგმა ახალი დროისათვის ასეთი განაჩენები არსებითად უკვე შეუსაბამოდ მიიჩნია, მაგრამ საერთოდ მათი მნიშვნელობა არ უარყო. თუმცა, სასისხლო სიგელთა გარდა, საძიებელია ბექამდელი ისეთი სამართლის ძეგლიც, რომელშიც სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების და, კერძოდ, გლეხთა სისხლი იქნებოდა განსაზღვრული, რაც სასისხლო სიგელებში, როგორც წესი არ არის (აქ არ იგულისხმება ბიჭვინტის იადგარი, რადგან იგი არ არის სასისხლო სიგელი). ზემოაღნიშნული თვალსაზრისით ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ არასრულფასოვანი სამართლის ძეგლია. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იგი საბოლოოდ დამატებად იქცა ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნისა, სადაც საკუთრივ სისხლიც საგანგებოდაა გაჩენილი, თუმცა ეს შეერთება მექანიკური აღმოჩნდა სისხლის სულ სხვადასხვა ფულადი ეკვივალენტების შეუთავსებლობის თვალსაზრისით.

ძეგლი მოიცავს ერთდროულად საეკლესიო სფეროსაც და საერო კანონმდებლობასაც. ამავე დროს იგი მიესადაგება დასავლეთ საქართველოს ვითარებასაც და აღმოსავლეთ საქართველოსიც. ამაზე მეტყველებს შეხვედრები, ერთი მხრივ, ბიჭვინტის იადგართან და სხვა დასავლურ საბუთებთან, ხოლო, მეორე მხრივ, სიმონ I-ის 1592 წ. სასისხლო სიგელთან და სხვა აღმოსავლურ საბუთებთან; თუმცა ყოველთვის არ იმეორებს ზუსტად არც სამართლებრივ ნორმებს და არც საზღაურის სახეებს და ოდენობას.

ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალის“ შედგენის წესზე და თუნდაც დროზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს „ხელმწიფის კარის გარიგებასთან“ ანალოგიის გავლებას. ცნობილია, რომ ექვთ. თაყაიშვილს ეს უკანასკნელი ოფიციალურ აქტად არ მიაჩნდათ. ე. თაყაიშვილი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ეს არის ერთგვარი კრებული, კოდექსი, სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, მეფის კარის წესრიგისა, მოხელეთა და ხელისუფალთა უფლება-მოვალეობისა, რომელიც დაკანონებული იყო სხვადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხვა დროს სხვადასხვა მეფის მიერ და კანონად და ჩვეულებად შემოღებული".
ივ. ჯავახიშვილი კი აღნიშნავდა: „თვით ძეგლს, როგორც ეტყობა, ოფიციალური ხასიათი არა აქვს, კანონმდებლობის შედეგი არ არის, არამედ მოქმედ სახელმწიფო სამართლისა და წესის აღნუსხვაა". ი. დოლიძეს ეს მოსაზრებანი არ მიაჩნია დამაჯერებლად. იგი წერს: „ხელმწიფოს კარის გარიგება შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართლის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ძეგლია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო წყობილების, მართვა-გამგეობისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობის წესებს.

სახელოვანი მეცნიერი ექ. თაყაიშვილი მართებულად ამბობს, რომ კარის გარიგება ისეთი კოდექსია, რომელიც დაკანონებული იყო სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეფის მიერ და კანონად შემოღებული. რახან კარის გარიგება კანონად შემოღებული კოდექსია, თუმცა სხვადასხვა მეფის მიერ დაკანონებული, ცხადია, რომ იგი საკანონმდებლო ძეგლია, ოფიციალური აქტია..."[53].

ვფიქრობთ, ასევე უნდა მივუდგეთ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალსაც", მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელის შედგენის წესი ანალოგიას პოვებს კარის გარიგებასთან და არა ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნთან და „ძეგლის დადებასთან", რაც ამ ძეგლების შესავალი ნაწილებიდან აშკარად ჩანს: ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის" შესავალში ზოგადად არის აღნიშნული „გაჩენილისა და გასაჩენელის" „დაწყების" ანუ შეკრების შესახებ და არა რომელიმე კონკრეტული მეფის მიერ კანონის დაწერა-შემოღება, როგორც ეს გვაქვს ბექასა და აღბუღასთან და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში".

დაბოლოს გვინდა შევეხოთ საკითხს, თუ რა მიმართებაშია ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის" ტექსტი ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნთან, კერძოდ, როდის იქნა იგი გაერთიანებული ამ უკანასკნელთან?

ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალმა" ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ვახტანგ VI-ის კოდიკოში შეტანილი ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ტექსტთან, როგორც მისმა ნაწილმა თუ დანართმა, ე. წ. „კანონიკურ სამართალთან" ერთად, ამ უკანასკნელის წინ[54].

როგორც ცნობილია, არსებობს ბექა-აღბუღას სამართლის სხვა ნუსხაც, გადაწერილი 1672 წ., ნუსხური ხელით. აღსანიშნავია, რომ თუმცა ეს ნუსხა უფრო ძველია, ვიდრე ვახტანგისა, მაგრამ იგი უფრო დაშორებულია პირვანდელ დედანს და წარმოადგენს მის შემოკლებულ და ტერმინოლოგიის თვალსაზრისით განახლებულ ვარიანტს[55]. ამდენად, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის თავდაპირველი დედნიდან მოდის ორი რედაქცია — ერთი შემოკლებულ-განახლებული, ხოლო მეორე ვრცელი და პირვანდელ დედანთან უფრო ახლო მდგომი. და სწორედ ამ ვარიანტთან გარკვეულ დროს შეერთებული

---

53 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 607—608.

54 ყოველ შემთხვევაში XVIII ს. დასაწყისისათვის „ბაგრატის სამართლის" ტექსტი დამოუკიდებლად აღარ მოიპოვებოდა, თორემ ვახტანგ VI მას ცალკე შეიტანდა კოდიკოში მსგავსად „კათალიკოსთა სამართლისა".

55 ე. ხოშტარია (ბროსე), ბექასა და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთმიმართებისა და ზოგიერთი მუხლის განმარტებისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 1985, № 4, გვ. 99—112.

იქნა ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ და „კანონიკური სამართლის“ ტექსტები.

სამწუხაროდ, იმის დადგენა თუ როდის მოხდა ასეთი შეერთება, ძალზე ძნელია. აქ მხოლოდ ვარაუდებით თუ შეიძლება შემოვიფარგლოთ.

ჩვენი თვალსაზრისით ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“, როგორც იმ დროისათვის არსებულ სასამართლო განჩინებათა კრებული, შედგენილ-შეკრებილი იქნა დაახლოებით მაშინ, როდესაც შედგა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, ე. ი. XIII—XIV საუკუნეებში — უფრო იგივე გიორგი ბრწყინვალის (1314—1346 წწ.), ან ბაგრატ V-ის (1360—1393 წწ.) დროს. ნიშანდობლივია, რომ ეს ხანა ხასიათდება საკანონმდებლო ძეგლების შექმნით (ბექასა და აღბუღას სამართალი, „ძეგლის დადება“, „ხელმწიფის კარის კარიგება“ და სხვა). ძეგლებში პირდაპირ არის აღნიშნული სამართლებრივი ნორმების მოწესრიგების საჭიროება, ბოროტმოქმედების გახშირებისა და, კერძოდ, ეკლესიის მიმართ დანაშაულთა ზრდის გამო. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ გვევარაუდა ახალი საკანონმდებლო ძეგლების შედგენა, თუ არსებულ განჩინებათა შეკრება და მათთვის ერთიანი საკანონმდებლო ძეგლის სახის მიცემა, შესავლის დართვით, სამართლის წარმოების წესების განსაზღვრით თუ სხვა, რაც არ გამორიცხავს შემდგომში მასში უფრო გვიანი ნორმების შეტანასაც. სწორედ ასეთ ძეგლად წარმოგვიდგება ჩვენ ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“.

ჩვენ ზემოთ უკვე გამოვთქვით ვარაუდი, რომ ამ ძეგლის გვიანდელი შრეები განეკუთვნება XV—XVI სს. ე. ი. ამ დროს უნდა მომხდარიყო ამ ძეგლის შევსება და უთუოდ ფულადი ეკვივალენტების მისადაგებაც ახალ ვითარებასთან — სასისხლო სიგელებში მოცემული ფულის ღირებულების გათვალისწინებით (მსგავსად იმისა თუ როგორ შეცვალა ფულის ეკვივალენტი აღბუღამ ბექას დროსთან შედარებით). არ არის გამორიცხული რომ ეს მოხდა თუნდაც ბაგრატ III იმერთა მეფის დროს (1510—1565 წწ.), რომელსაც მიეწერება აქტიური საკანონმდებლო საქმიანობა (მონაწილეობა „კათალიკოსთა სამართლის“ და „ბიჭვინტის იადგარის“ შედგენაში)[56].

მაგრამ, ამ დროს ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ძეგლია. მისი ამ სახით გამოყენება ივარაუდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც, თუ კი გავითვალისწინებთ მისი მუხლების ანალოგიებს არა მარტო ადრეულ ძეგლებთან (ბექა-აღბუღას სამართალი, „ძეგლის დადება“), არამედ გვიანდელ სამართლის ძეგლებთანაც, არა მარტო დასავლეთ საქართველოდან („ბიჭვინტის იადგარი“ და სხვა), არამედ აღმოსავლეთ საქართველოდანაც (სიმონ I-ის 1592 წ. სასისხლო სიგელი და სხვა). მაშ როდისღა შეუერთეს ეს ძეგლი ბექა-აღბუღას სამართალს, თუ კი XVIII ს. დასაწყისისათვის ეს ფაქტი უკვე მომხდარი იყო (ვახტანგ VI-ის კოდიკის ვარიანტი)? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა XVII ს. 30—60-იან წლებში, როსტომისა და ვახტანგ V-ის დროს, როდესაც ხდება ქართლ-კახეთის ცხოვრების გამოცოცხლება და შინაური საქმეების მეტ-ნაკლებად მოწესრიგება. შესაძლოა ამ დროსავე ჰქონდა ადგილი ბექა-აღბუღას სამართლის მოქმედების არის გაფართოებას. და იქნება სწორედ ამასთან იყო დაკავშირე-

---

56 ი ლ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბული ამ უკანასკნელთან მანამდე ცალკე არსებული „ბაგრატის სამართლის" და „კანონიკური სამართლის" გაერთიანებაც?

ვფიქრობთ, მომავალი კვლევა უფრო მეტად ცხადყოფს დღეისათვის მხოლოდ ვარაუდების სახით გამოთქმულ ამ დაკვირვებებს.

Э. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ

# К ВОПРОСУ ОБ ИЗУЧЕНИИ Т. Н. «ЗАКОНОВ БАГРАТА КУРОПАЛАТА» И ДЕЙСТВУЮЩЕМ В ГРУЗИИ ФЕОДАЛЬНОМ ПРАВЕ

## Резюме

В статье дан анализ литературы по вопросу о принадлежности и времени составления т. н. «Законов Баграта Курапалата». На основании сопоставления отдельных статей этого судебника с другими памятниками грузинского феодального права (Судебник Бека и Агбуга, Уложение Георгия V, Законы Вахтанга VI, а также с нормативными актами царей, светских вельмож и церковных властей и с т. н. «грамотами о цене крови», делается следующий вывод: изучаемый памятник является сводом правовых норм разного времени, возможно, начиная с IX в. а более вероятнее — с X в. (имеются в виду установления Баграта Курапалата — либо I, либо III).

Собрание этих норм в один кодекс должно было произойти в XIII—XIV вв., скорее всего при царе Георгии V (1314—1346) или Баграте V (1360—1393), когда в Грузии ведется интенсивная кодификационная деятельность; в XV—XVI вв. кодекс пополняется новыми нормами; присоединение же этого кодекса к Судебнику Бека и Агбуга следует отнести ко второй трети XVII в., ко времени царствования Ростома (1632—1658) и Вахтанга V (1658—1675), когда страна получает передышку от иноземного засилья и создаются условия для упорядочения внутренней жизни. К началу XVIII в. т. н. «Законы Баграта Курапалата», как и «Канонические законы», были уже присовокуплены к Судебнику Бека и Агбуга, и в таком виде вошли в законодательный сборник Вахтанга VI.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შალვა ვანიშვილი

# XIX საუკუნის 60-იანი წლების ადმინისტრაციული რეფორმა და საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემა 1868—1881 წლებში

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილმა მართვა-გამგეობის სისტემამ გარდაქმნის სამი პერიოდი განვლო. პირველი გრძელდებოდა 1801 წლიდან 1840 წლამდე. მეორე — 1841 წლიდან 1864 წლამდე. მესამე — 1917 წლამდე.

მეორე პერიოდში მომზადდა პირობები არა მარტო ადმინისტრაციული გარდაქმნების, არამედ საერთოდ ბურჟუაზიული რეფორმებისათვის. რუსული მმართველობის მეორე პერიოდის დამახასიათებელია საქართველოსა და ამიერკავკასიის მართვა-გამგეობაში სამხედრო წესების ნაცვლად სამოქალაქო ფორმების შემოღება.

1840 წლის 21 მარტს ნიკოლოზ პირველმა დაავალა კავკასიის ჯარების მთავარსარდალს და ამიერკავკასიის მთავარმმართებელს გოლოვინს გაემიჯნა სამოქალაქო საქმეები სამხედროსაგან. პირველი გადაეცა სამოქალაქო დაწესებულებებისათვის, ხოლო კორპუსის შტაბის მოქმედების წრე შემოეფარგლა წმინდა სამხედრო საკითხებით.

მეორე პერიოდი ხასიათდება კიდევ იმით, რომ საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში მოქმედი მმართველობის სისტემა თანდათან უახლოვდება ცენტრალურ რუსეთში არსებულს.

მეფის მთავრობა და მისი მოხელეები ფიქრობდნენ, რომ ამგვარი გარდაქმნებით აუმჯობესებდნენ „მართვა-გამგეობას, აადვილებდნენ ამ მხარის კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის ამოცანების განხორციელებას. მაგრამ ადმინისტრაციული პოლიტიკის ფორმისა და შინაარსის თაობაზე თვით ცარიზმის მოხელეთა შორისაც კი აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა და ამიტომ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა ერთბაშად არ განხორციელებულა და ბოლომდე არც ყოფილა მოყვანილი.

1840 წლის 10 აპრილის კანონდებულების საფუძველზე ჩამოყალიბებული ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის სისტემა არსებითად ისეთივე იყო როგორიც შიგა რუსეთის საგუბერნიო მმართველობა. მთავარმმართებელი, მართალია, გუბერნატორზე მეტი უფლებებით სარგებლობდა მაგრამ მისი კომპეტენცია არ აჭარბებდა შიგარუსეთის გამსხვილებულ ადმინისტრაციულ ერთეულთა სათავეში ჩაყენებულ გენერალ-გუბერნატორთა უფლება-კომპეტენციას.

მართვა-გამგეობის სისტემის რეორგანიზაციამ მთელ ამიერკავკასიაში, როგორც ქართულ-სომხურ, ისე მუსლიმანურ პროვინციებში მოსახლეობის საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. გურიაში აჯანყებამაც იფეთქა. ნიკოლოზ I იძულებული გახდა დაუყოვნებლივ შედგომოდა ახლახან დამტკიცებულ დებულებაში და ახლად გატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმაში არსებითი კორექტივის შეტანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1844 წელს კავკასიაში მეფისნაცვლობა მიიღო მიხეილ ვორონცოვმა. იგი საქართველოსა და ამიერკავკასიაში აქამდე გამოგზავნილ მმართველთა შორის ყველაზე უფრო განათლებული, გამოცდილი და მოქნილი ადმინისტრატორი იყო. მ. ვორონცოვი დათმობაზე წავიდა. რამდენადმე დააკმაყოფილა ადგილობრივი მაღალი წოდების პრეტენზიები, გარკვეული ადგილი დაუთმო მას ადმინისტრაცია-სასამართლოში. ვორონცოვმა შეძლო ქართველი თავადაზნაურობის ნდობის მოპოვება, აქამდე ოპოზიციაში მდგარი მაღალი წოდება ცარიზმის საყრდენ სოციალურ ძალად გადაიქცა.

მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი იმპერატორის უსაზღვრო ნდობითა და ფართო უფლება-კომპეტენციით იყო აღჭურვილი. მას შესაძლებლობა ჰქონდა თავის შეხედულებისამებრ გარდაექმნა მმართველობა, ცვლილებები შეეტანა მხარის ადმინისტრაციულ დაყოფაში. ამიერკავკასია 4 გუბერნიად (თბილისის, ქუთაისის, ბაქოსა და ერევნისა) დაყო.

მეფის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის ძირითად ამოცანას შეადგენდა ამ მხარეში მეტროპოლიის ინტერესების დაცვა, თვითმპყრობელობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარება. ადგილობრივ დაწესებულებათა ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო ბეგარა-გადასახადების აკრეფა, სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის გადიდება. ჩამოყალიბდა საგუბერნიო სამმართველოები. ყოველ მათგანში შედიოდნენ თავმჯდომარე, ორი მრჩეველი და ოთხი მსაჯული (ადგილობრივ მემამულეთა და ვაჭართა მხრიდან). მაზრის უფროსებს ძირითადად საპოლიციო ფუნქციები დაეკისრა. მათ მოვალეობას შეადგენდა სახელმწიფო ქონების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება, მცირე მნიშვნელობის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა გარჩევა.

1844—1858 წლებში ამიერკავკასიას ჰქონდა თავისებური ადმინისტრაციული ავტონომია, რომლის სათავეში იდგა მეფისნაცვალი. იგი არაფერს არ ეკითხებოდა მინისტრებს, თავის შეხედულებისამებრ განაგებდა მხარეს და მოღვაწეობის ანგარიშს მხოლოდ იმპერატორს აბარებდა. მაგრამ მეფისნაცვლის უფლება-კომპეტენციის ესოდენ გაფართოებაც არ აკმაყოფილებდა გენერალ-ფელდმარშალ ბარიატინსკის, რომელმაც ეს დიდი წოდება და პოსტი 1857 წელს მიიღო. ალექსანდრე II-ემ უფლება მისცა ახალ მეფისნაცვალს კავკასია ისე ემართა როგორც თვით დაინახავდა საჭიროდ. ბარიატინსკიმაც არ დააყოვნა და 1858 წელს ხელქვეითთა დახმარებით შეადგინა დებულება „კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოსა და მთავარმმართველობის შესახებ“, რომლის საფუძველზე უნდა გარდაქმნილიყო მხარის მართვა-გამგეობის სისტემა. მაგრამ ბარიატინსკის წამოწყება ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი.

1862 წელს მეფისნაცვლად კავკასიაში ბარიატინსკის ნაცვლად მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი დაინიშნა. იგი არც დიდი ჭკუითა და ცოდნით გამოირჩეოდა და არც დიდი გამოცდილებით. ნაპოლეონ III-ის მეუღლემ მასთან საუბრის შემდეგ. კავკასიაში მოგზაურობიდან სამშობლოში რომ დაბრუნდა, ნაცნობ-მეგობრებთან საუბარში მეფისნაცვლის შესახებ ასეთი აზრი გამოთქვა: „მაგრამ ის ხომ ადამიანი არაა, ის ცხენია“. ხოლო უფრო მოგვიანებით, როცა ყოფილი მეფისნაცვალი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა,

[1] П. А. Заиончковский. Правительственный аппарат самодержавной России в XIX в., М., 1978, გვ. 197.

[2] სსცია, ფ. 219, ანაწ. 1, საქ. 90, ფურც. 1—27.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბეჭდვითი სიტყვის მთავარ-სამმართველოს უფროსმა ე. ფეოკტისოვმა მ. რომანოვი ასე შეამკო: „სახელმწიფო საბჭოს შესანიშნავად უვიცი თავმჯდომარე". მაგრამ თვითმპყრობელურ რუსეთში მეფის საგვარეულოს წარმომადგენლებს და ბრწყინვალე დიდკაცებს დიდი ცოდნა არც სჭირდებოდათ. ისინი ქვეყანასა და მის ცალკეულ ნაწილებს მოხელეთა მრავალრიცხოვანი არმიით განაგებდნენ.

რამოდენიმე, შედარებით ნიჭიერი, მცოდნე და გამოცდილი დიდმოხელე კავკასიაშიც საქმიანობდა. მათ შორის გამოირჩეოდა მეფისნაცვლის მთავარ-სამმართველოს უფროსი ბარონი ნიკოლაი, რომელიც მიხეილ რომანოვის მარჯვენა ხელად, თითქმის ყველა რეფორმა-გარდაქმნათა ორგანიზატორად იყო მიჩნეული.

1864 წლის მარტში ბარონმა ნიკოლაიმ მოამზადა ბარათი „ამიერკავკასიის სამოქალაქო დაწესებულებათა დაუყოვნებლივი, ერთდროული და საერთო რეორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ".

ამ დოკუმენტის შესავალში ნათქვამია, რომ კავკასიის სამოქალაქო მართვა-გამგეობის სფეროში 1801 წლიდან დღემდე ორგვარი მიდგომა და მეთოდი, ორი სისტემა გამოიყენება; პირველი არის საერთო გარდაქმნების მეთოდი, ხოლო მეორე — ცალკეულ ცვლილება-შესწორებათა მეთოდი. საერთო გარდაქმნათა მეთოდი ორგზის იქნა გამოყენებული: 1) 1801 წელს, როცა რუსეთთან ახლად შეერთებულ საქართველოში გაუქმდა ქართული ფეოდალური მართვა-გამგეობა და შეიქმნა რუსული მმართველობის სისტემა 2) 1840 წელს, როცა ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის გუბერნია და კასპიის ოლქი, ყველგან შეიქმნა ერთგვაროვანი საპოლიციო, სასამართლო და სამეურნეო დაწესებულებანი. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენებოდა მეორე სისტემა, მოქმედებდა ცალკეულ გარდაქმნათა და ცვლილებათა მეთოდი.

მეფის მთავრობის ამ დიდ მოხელეს ბარონ ნიკოლაის მიაჩნდა, რომ ცალკეულ ცვლილებათა და გარდაქმნათა საჭიროება თვით ცხოვრებით იყო ნაკარნახები. ზოგჯერ ამას იწვევდა რუსეთის სამფლობელოების გაფართოება ამ მხარეში, ზოგჯერ პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა, ზოგჯერაც მოსახლეობის ზრდა და სამოქალაქო ცხოვრების განვითარება. მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ძალიან ხშირად ასეთი ცალკეული გარდაქმნები არ გამომდინარეობდა მხარის ჭეშმარიტი საჭიროებიდან და ადგილობრივ მართვა გამგეობას დაასვა უფრო მეტი უარყოფითი დაღი, ვიდრე დადებითი.

შემდეგ ბარათის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაღალ მოხელეებს ძალიან დიდი ხელფასი აქვთ, დაბალი თანამდებობის პირებს კი მეტად მცირე. სტრიქონთა შორის ჟონავს აღიარება იმისა, რომ მატერიალურად არაუზრუნველყოფილი ეს დაბალი მოხელეები უფრო ხშირად მიმართავდნენ ქრთამის აღებას და სხვა სახის გამოძალვას, ძალიან აწუხებდნენ მოსახლეობას. წვრილი მოხელეები ხშირად საჩივრებს გზავნიდნენ ამიერკავკასიის ცენტრალური მმართველობის წინააღმდეგ. ამიტომ საჭიროდ ყოფილა ცნობილი შტატების შეცვლა, დაბალი ჩინის მოხელეებისათვის ჯამაგირების მომატება, მაგრამ ბოლო 12 წელიწადს ამ სფეროში არავითარი ცვლილება არ მომხდარა[4].

3 სსცია, ფ. 219, ანაწ. 1, საქ. 90, ფურც. 9—10.

4 იქვე, ფურც. 13—14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცალკეულ გარდაქმნათა მეთოდის უარყოფითი შედეგი ბარონ ნიკოლაის აზრით იმაშიც ვლინდებოდა, რომ იგი ადგილობრივი მოსახლეობის თვალში ვერ ამაღლებდა კანონისა და მის საფუძველზე შექმნილ დაწესებულების ავტორიტეტს, ვერ უზრუნველყოფდა დრომოჭმული წესების გაუქმებას, მათ ნაცვლად ახალი კანონების მიღებას და ცხოვრებაში გატარებას.

ასეთი ცუდი იყო ბარათის ავტორის განცხადებით 1840 წლის შემდეგ ფართოდ გამოყენებული ცალკეულ გარდაქმნათა მეთოდი. გარდაქმნები ხდებოდა უსისტემოდ, ნაჩქარევად, მოფიქრებული და აწონილ დაწონილი გეგმის გარეშე[5].

ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დაწესუებულებათა ეს ნაკლი ცნობილი გახდა უმაღლესი მთავრობისათვის. იმპერატორმა ბრძანება გასცა: 1) უფლება მიეცეს მეფისნაცვალს კავკასიაში 1866 წლამდე განახორციელოს ყველა, მისი აზრით, აუცილებელი გარდაქმნები და ამის შესახებ აცნობოს მხოლოდ კავკასიის კომიტეტს; 2) დაევალოს მეფისნაცვალს ამ საცდელი ვადის გასვლის მომენტისათვის შეადგინოს ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-დაწესებულებათა რეორგანიზაციის სრული პროექტები და დასამტკიცებლად წარადგინოს უმაღლეს მთავრობაში.

ამ უმაღლესი ნებართვის თანახმად სათანდო გარდაქმნები, ჯერ კიდევ ბარიატინსკიმ დაიწყო, ექსპერიმენტის წესით ჩამოაყალიბა ზოგიერთი დაწესებულებანი. მაგრამ მეურნეობა, პოლიცია და სასამართლო უცვლელად დარჩა. 1864 წლამდე, მთავრობას მიაჩნდა რომ იგი საჭიროებდა ძირეულ გარდაქმნა-გაუმჯობესებას.

ბარონი ნიკოლაი თავის ბარათში შემდეგ წერს, რომ რუსეთში კარგა ხანია დადგაო საფუძვლიანი, საერთო რეფორმების გატარების ხანა. კავკასიაშიც უნდა უარვყოთ ცალკეულ ცვლილებათა მეთოდი, აქაც უნდა გავატაროთ რეფორმები. თუ საერთო რეფორმა არ გატარდა არსებულ ნაკლოვანებებს ახალი დაემატებაო.

მარტო სასამართლოს და სამეურნეო რეფორმის გატარება გააძნელებს ძველ საფუძველზე დარჩენილ ადმინისტრაციულ დაწესებულებათა საქმიანობას. დროს ჩამორჩება მთავარი სამმართველო საგუბერნიო სამმართველო, პოლიციის წყობა, სოფლის მმართველობა და სხვ. ამგვარად, დაასკვნის ბარონი ნიკოლაი, აუცილებელია მხარის ადმინისტრაციული, სასამართლო და საზოგადოებრივი დაწესებულებების ერთდროული, საერთო და რადიკალური რეორგანიზაცია. იმპერიაში მიღებული საერთო საწყისების და ადგილობრივი საჭიროების შესაბამისად. ამ საქმეს კიდევ უფრო აუცილებელს ხდისო საგლეხო რეფორმის მოახლოვებული გატარება.

მართალია, კავკასიის ადმინისტრაცია კვალში უნდა მიჰყოლოდა რუსეთს, ამ მხარეში უნდა გადმოენერგა რუსეთში უკვე გატარებული რეფორმები, მაგრამ ბარონ ნიკოლაის მიაჩნდა, რომ კავკასიის მმართველები არ უნდა დალოდებოდნენ რუსეთში სარეფორმო საქმიანობის დამთავრებას, მათ დაუყოვნებლივ უნდა დაეწყოთ სათანადო მუშაობა. მით უმეტეს, რომ რუსეთში უკვე გატარდა საერობო რეფორმა, ხოლო კანონპროექტები სასამართლოსა და პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ იმ ზომამდეა დამუშავებული, რომ სავსებით საკმარისია ჩვენი საკანონმდებლო საქმიანობის საფუძვლად.

ბარათის ბოლოს ბარონი ნიკოლაი წინადადებას აძლევს მეფისნაცვალ

---

5 სსცია, ფ. 219, ანაწ. 1. საქ. 90, ფურც. 14—15.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ რომანოვს: 1) დაუყოვნებლივ დაიწყოს კავკასიის სამოქალაქო დაწესებულებათა ერთდროული და საერთო გარდაქმნა იმ საწყისებზე, რაც უკვე მიღებულია რუსეთში, მაგრამ ადგილობრივი თავისებურებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით; 2) ამ გარდაქმნათა ძირითადი საფუძვლების განსაზღვრა მიენდოს მთავარ სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით შექმნილ კომისიას, რომელიც შემუშავებულ ძირითად საწყისებს და სამუშაო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს მეფისნაცვალს; 3) ამ ძირითადი საწყისთა დეტალური გაშლა-დამუშავება და საბოლოო კანონპროექტისა და დებულების შედგენა მიენდოს იმავე კომისიას, რომელიც თავისი მოღვაწეობის შედეგს წარმოუდგენს დასამტკიცებლად თქვენს უმაღლესობას[6].

ბარონ ნიკოლაის მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი და კონკრეტული წინადადება მოიწონა მიხეილ რომანოვმა. იმავე 1864 წლის მარტში მეფის ნაცვლის ბრძანების თანახმად მთავარსამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა კავკასიის სამოქალაქო მმართველობის რეორგანიზაციის ძირითადი საფუძვლის შემუშავება და სათანადო კანონპროექტის შედგენა[7].

ამ სპეციალურ კომისიაში, ფუნქციების განაწილების და დავალების დროულად შესრულების მიზნით, შეიქმნა სამი განყოფილება-სასამართლო, საპოლიციო, სამეურნეო.

ბარიატინსკის მიერ შემუშავებული დებულება დაიწუნეს, რადგან მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კავკასიის ცენტრალური მმართველობის დეპარტამენტებს ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან. რეორგანიზაციას საჭიროებდა მეფისნაცვლის საბჭო, საგუბერნიო და სამაზრო საპოლიციო დაწესებულებები, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო სასამართლო რეფორმის გატარებასთან.

სპეციალური კომისიისა და მისი განყოფილებების სარეფორმო საქმიანობა 3 წელს გაგრძელდა. მის მიერ შემუშავებული დებულება კავკასიის კომიტეტის მეშვეობით მოხვდა იმპერატორთან და მცირე შესწორებების შემდეგ უმაღლესად დამტკიცდა 1867 წლის 9 დეკემბერს[8].

დებულების თანახმად, ამიერკავკასია გაიყო ხუთ გუბერნიად. თბილისის გუბერნიაში შევიდა ახალციხის, გორის, დუშეთის, თბილისის, თელავისა და სიღნაღის მაზრები. ქუთაისის გუბერნიაში — ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრები. ზოგიერთ მაზრებთან ჩამოყალიბდა საბოქაულოები და ყველაზე ადრე ასეთი შეიქმნა ლეჩხუმის მაზრაში სვანეთის საბოქაულოს სახით. მაზრების საზღვრების შეცვლა ან მათი გაყოფა, თუ ამისათვის აღმოჩნდებოდა ადგილობრივი ფინანსური სახსრები, უნდა მომხდარიყო მეფისნაცვლის გადაწყვეტილებით, რომელსაც დასჭირდებოდა უმაღლესი დამტკიცება[9].

კავკასიის სამეფისნაცვლოს მართვა-გამგეობაში შეიქმნა სამი ინსტანცია: 1) მთავარი სამმართველო (რეზიდენცია — თბილისი); 2) საგუბერნიო სამმარ-

6 სსცია, ფ. 219, ანაწ. 1, საქ. 90, ფურც. 24—27.

7 С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. II, Тиф., 1907, გვ. 38—39.

8 იქვე, გვ. 39—42.

9 სსცია, ფ. 5, საქ. 275, ფურც. 1—3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თველოები; 3) სამაზრო სამმართველოები და მისდამი დაქვემდებარებული საქალაქო და სასოფლო მმართველობები.

დებულების პირველ თავში განსაზღვრული იყო მეფისნაცვლის უფლება-კომპეტენცია. მეფისნაცვალი ცხადდებოდა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლად, რომლის მეშვეობითაც უმაღლესი მთავრობა — იმპერატორი ატარებდა თავის ნება-სურვილს მხარის სამოქალაქო, სასაზღვრო და სამხედრო სფეროში. მეფისნაცვალი ინიშნებოდა იმპერატორის ბრძანებით და იგი თავის მოქმედება-საქმიანობაში ემორჩილებოდა მხოლოდ იმპერატორს. კავკასიის ფარგლებში არსებული მთავრობის ყველა დაწესებულება და ყველა საქმეები, რომლებიც საჭიროებდნენ უმაღლეს დამტკიცებას, პეტერბურგში იგზავნებოდა მეფისნაცვლის მიერ.

მეფისნაცვალი ნიშნავდა კავკასიის ყველა მოხელეს მეხუთე ხარისხამდე და ამის შესახებ აცნობებდა იმპერატორს. თუ იგი მიიჩნევდა რომ ამა თუ იმ პირის ყოფნა კავკასიაში საფრთხეს უქმნიდა მშვიდობას, უფლება ჰქონდა გადაესახლებინა იგი იმპერიის სხვა მხარეში. სამინისტროთა განკარგულებანი და ცირკულიარები ეგზავნებოდათ არა გუბერნატორებს, არამედ მხოლოდ მეფისნაცვალს. კავკასიის დაწესებულებები სამინისტროებს აწოდებდნენ მხოლოდ სასწრაფო უწყისებსა და ცნობებს, სხვა უფრო მნიშვნელოვან დოკუმენტებს უშუალოდ მეფისნაცვლისაგან მოითხოვდნენ[10].

ცალკე დამტკიცდა „დებულება მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს შესახებ“. ეს კანონი ღაღადებს, რომ მეფისნაცვალი კავკასიას მართავდა მთავარსამმართველოს დახმარებით. მასში შედიოდა საბჭო, დეპარტამენტი, სახელმწიფო ქონებათა და სოფლის მეურნეობის სამმართველოები, სასწავლო, საფოსტო, სამთო, სამედიცინო და საკარანტინო-საბაჟო ნაწილები, საერობო ბეგარათა განსაკუთრებული საგანგიო, გლეხთა მომწყობი კომიტეტი, საგზაო-საამშენებლო და სტატისტიკური კომიტეტები, სხვა განსაკუთრებული დაწესებულებები.

მთავარსამმართველოს უფროსი იყო მეფისნაცვლის უახლოესი თანაშემწე სამოქალაქო მმართველობის ყველა სფეროში. მთავარსამმართველოს უფროსს მეფისნაცვალი შეარჩევდა და იმპერატორი ამტკიცებდა. მთავარსამმართველოს უფროსს ემორჩილებოდა მთავარსამმართველოში შემავალი ყველა დაწესებულება. მთავარსამმართველოს უფლება ჰქონდა მიეღო ყველა თხოვნა და საჩივარი ადმინისტრაციული საქმეების ხაზით და თავის უფლება — კომპეტენციის საფუძველზე უშუალოდ გადაეწყვიტა მხოლოდ ისეთნი, რომლებიც დაკავშირებული იყო საქმის წარმოების შეფერხებასთან ან სამაზრო და საქალაქო საპოლიციო ხელისუფალთა არასწორ მოქმედებასთან. ყველა სხვა უფრო მნიშვნელოვან საქმეებს გადასაწყვეტად გადასცემდა მეფის ნაცვალს. დაქვემდებარებული მოხელეების მიერ საქმის გაჭიანურებისა და კანონის დარღვევის შემთხვევაში მთავარსამმართველოს უფროსი იძლეოდა სათანადო მითითებასა და შენიშვნას. თანამდებობის ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვან ფაქტებს კი უშუალოდ არ არჩევდა, მოითხოვდა მეფისნაცვლის ნებართვას[11].

დებულების ოთხი მუხლი მიძღვნილია საფოსტო ნაწილის სამმართველო-

---

[10] სსცია, ფ. 5, საქ. 275.

[11] სსცია, ფ. 5, საქ. 263, ფურც. 19—20.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სადმი, ხოლო 7 მუხლი სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველოსადმი.

საერთოდ რუსეთის იმპერიაში სამედიცინო ნაწილთა სამმართველოების ფუნქციებს განსაზღვრავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი, მაგრამ კანონი მოითხოვდა, რომ ამ დეპარტამენტს ანგარიში გაეწია კავკასიის თავისებური მდგომარეობისა და მეფისნაცვლის ფართო უფლება-კომპეტენციისათვის, ზედმეტი მეურვეობა არ გამოეჩინა ამ მხარის სამედიცინო დაწესებულებების მიმართ. კავკასიის სამედიცინო ნაწილის უფროსს უფლება ეძლეოდა საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო შემდეგ საკითხებზე: 1) წინასწარ განეხილა მედიცინის სფეროში ადგილზე მიღწეული მეცნიერული აღმოჩენები; 2) უფლება მიეცა ადგილობრივი ექიმებისათვის თავისი მეთოდით ემკურნალათ ადგილობრივი კლიმატის ზემოქმედებით დაავადებულთათვის; 3) ცენზურა გაეწია ადგილზე გამოსული სამედიცინო ლიტერატურისათვის; 4) გამოეცა სათანადო დარიგება გადამდებ სნეულებათა გავრცელების დროს; 5. შეესწავლა ადგილობრივი მინერალური წყლები, გამოეცა დარიგება მათი გამოყენების თაობაზე და სხვ.

მთავარსამმართველოში შედიოდა აგრეთვე საკარანტინო-საბაჟო ნაწილი, რომელსაც ჰქონდა თავისი ცალკე კანცელარია. ამ დაწესებულებას იმდენად ბევრი საქმე ებარა და ფართო ფუნქციები ჰქონდა, რომ მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრა განსაკუთრებული დებულებით.

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას შეადგენდა გადასახადების გაწერა-აკრეფა, ამიტომ დებულებაში ცალკე მეხუთე განყოფილება მიეძღვნა საერობო ბეგარების განსაკუთრებულ საკრებულოს, რომელიც მოქმედებდა მთავარსამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით და რომლის მუშაობაში მუდმივად მონაწილეობდნენ დეპარტამენტის დირექტორი, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი და მოწვეული წევრები.

განსაკუთრებული საკრებულო ატარებდა ჩვეულებრივ და საგანგებო სხდომებს. პირველზე განიხილებოდა ჩვეულებრივი მიმდინარე საკითხები, ხოლო საგანგებო სხდომები მოიწვევოდა საერობო ბეგარათა ბიუჯეტის შედგენისა და გადასახადთა განაწილებისათვის. განსაკუთრებული საკრებულოს საგანგებო სხდომებზე მეფისნაცვლის შეხედულებისამებრ მოიწვევოდნენ: კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გუბერნატორები, სახაზინო პალატის მმართველი, თავადაზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები, ქალაქის თავები, სხვადასხვა წოდების დეპუტატები.

საერობო ბეგარათა განსაკუთრებული საკრებულოს ფუნქციებში შედიოდა: 1) ბიუჯეტის შედგენა, გადასახადების გაწერა, ანგარიშების რევიზია; 2) ბიუჯეტით გათვალისწინებული საერობო ხარჯების განხილვა-დამტკიცება; 3) ფულადი და ნატურალური საერობო ვალდებულებათა შესრულების მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა; 4) ნატურალური საერობო ვალდებულებების ფულადი გამოსაღებით შეცვლა და სხვ. ყველაფერი ეს ძალაში შედიოდა მეფისნაცვლის მიერ დამტკიცების შემდეგ.

ახალი კანონდებულება სამოქალაქო ნაგებობათა სამეურნეო-ტექნიკური ნაწილის ხელმძღვანელობას აკისრებდა სამშენებლო-საგზაო კომიტეტს. იგი განიხილავდა მთავარსამმართველოსა და გუბერნატორებისაგან გადმოგზავნილ პროექტებს, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვას, აზუსტებდა კონცესიებსა და საიჯარო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხელშეკრულებებს, რომელთა ღირებულება აღემატებოდა 10 ათას მანეთს. იგივე კომიტეტი აქვეყნებდა განცხადებებს, აწარმოებდა კონცესია-შენარდეობის საჯარო ვაჭრობის წესით გაცემას და ვაჭრობის წარუმატებლობის შემთხვევაში ადგენდა სამუშაოთა წარმოების მეთოდს. სამშენებლო-საგზაო კომიტეტის სხდომები იმართებოდა საჭიროებისამებრ და მასში მონაწილეობდნენ მთავარსამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე), სამოქალაქო ნაგებობათა მთავარი ინსპექტორი, მთავარსამმართველოს დეპარტამენტის დირექტორი, არქიტექტორები, სამუშაოთა მწარმოებლები და სხვ. კომიტეტის საქმის წარმოება სპეციალურ, კანცელარიას ჰქონდა დაკისრებული, ხოლო პრაქტიკული საქმიანობა სამუშაოთა ინსპექტორებზე იყო მინდობილი.

სტატისტიკური მასალის შეკრება-გამოქვეყნებისათვის მთავარსამმართველოსთან ჩამოყალიბდა კავკასიის სტატისტიკური კომიტეტი. მასში თავმჯდომარის როლს მთავარსამმართველოს უფროსი ასრულებდა. შედიოდნენ — დეპარტამენტის უფროსი, ზოგიერთ სამმართველოთა ხელმძღვანელები და მთავარი რედაქტორი. სტატისტიკური კომიტეტის მთავარი რედაქტორი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა მეფისნაცვლისა და მთავარსამმართველოს უფროსის მითითებებით.

ადმინისტრაციული რეფორმის კანონდებულებათა მომზადება-დამტკიცების დროს საგლეხო რეფორმა არსებითად გატარებული იყო, მაგრამ მას სჭირდებოდა პრაქტიკული რეალიზაცია. ამიტომ მთავარსამმართველოს დაწესებულებათა სისტემაში შეიქმნა გლეხთა მოწყობის კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ მთავარსამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე), დეპარტამენტის დირექტორი, სახაზინო ქონებათა სამმართველოს უფროსი, გლეხთა მომწყობი კანცელარიის უფროსი და სხვ.

ჩამოთვლილ დაწესებულებათა გარდა მთავარსამმართველოს ექვემდებარებოდნენ საცენზურო კომიტეტი, განსაკუთრებული დიპლომატიური კანცელარია, თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, არქეოგრაფიული კომისია, კავკასიის მუზეუმი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, არქივი, სტამბა და სხვ., რომლებიც თავის საქმიანობას წარმართავდნენ მეფისნაცვლის მიერ გამოცემულ კანონდებულებებითა და ინსტრუქციებით[12].

1867 წ. 31 დეკემბერს გამოქვეყნდა მეფისნაცვლის ბრძანება კავკასიის მთავარსამმართველოს, საგუბერნიო და სამაზრო სამმართველობისადმი. იგი აცნობებდა თავის მორჩილ მოხელეებს, რომ იმპერატორმა დაამტკიცა მხარის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის კანონდებულება და იმავე იმპერატორის სურვილია ახალი კანონი მოქმედებაში შევიდეს 1868 წლის 1 იანვრიდან. ამის შესაბამისად უნდა გაუქმდეს აქამდე არსებული დაწესებულებები — მეფისნაცვლის საბჭო, 50-იანი წლების ბოლოს შექმნილი საერთო, საფინანსო, სასამართლო, სახელმწიფო ქონებითა და საკონტროლო დეპარტამენტები, აგრეთვე სამოქალაქო მართვა-გამგეობის მოწყობის დროებითი განყოფილება და მათ ნაცვლად ახალ კანონდებულებათა შესაბამისად. ჩამოყალიბდეს ახალი დაწესებულებანი. სამმართველოთა უფროსებსა და გუბერნატორებს დაევალა მეფისნაცვალთან წარედგინათ წინადადებანი ახალ დაწესებულებებში დასანიშნი მოხელეების შესახებ. ამ ბრძანების გამოქვეყნების დღესვე მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსად დაინიშნა სენატორი ბარონი ნიკოლაი[13].

---

12 სსცია, ფ. 5, ანაწერი 1, საქმე 263, ფურც. 19—22.

13 სსცია, ფ. 5, ანაწერი 1, საქ. 275, ფურც. 240.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1868 წლის 10 თებერვალს ძალაში შევიდა მეფისნაცვლის ინსტრუქცია საგუბერნიო და სამაზრო სამმართველოების შინაგანი მოწყობისა და პოლიციის ორგანიზაციის შესახებ.

დაწესდა საგუბერნიო მმართველობაში ჩამოყალიბებულიყო ორი განყოფილება: 1) განმკარგულებელი, 2) სამშენებლო და სამედიცინო. პირველში წყდებოდა ადმინისტრაციული საქმეები, მეორეში მშენებლობისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საკითხები. პირველ განყოფილებას განაგებდნენ გუბერნატორისაგან დანიშნული მრჩევლები, მეორეს — საგუბერნიო ექიმი და საგუბერნიო ინჟინერი.

მთელ საგუბერნიო მმართველობისადმი შემხები საკითხები — სამეურნეო, ფინანსური, საეგზეკუტორო და სარეგისტრაციო, აგრეთვე ანგარიშგება როგორც საგუბერნიო მმართველობის, ისე მისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა, ნაწილდებოდა თვით გუბერნატორის მიერ.

გარკვეული ცვლილებები ხდებოდა მაზრების ადმინისტრაციულ დაყოფასა და შტატებში. 1867 წელს მეფისნაცვალი იმპერატორს სწერდა, რომ ახალი სასამართლო წესდების შემოღებისა და პოლიციის სასამართლო ფუნქციებისაგან განთავისუფლების შემდეგ, აგრეთვე იმის გამო, რომ ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები, საუბნო სამმართველოების უწყებაში მყოფი საქმეები ძალიან შემცირდა და ამდენად, მაზრების საპოლიციო უბნებად დაყოფა ზედმეტი ხდებაო. საკმარისია ვიქონიოთ საპოლიციო ხელისუფლების ორი ინსტანცია — საგუბერნიო და სამაზრო. მაგრამ ასეთი შეკვეცა-გამარტივება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაზრების ტერიტორიები არ იქნება ძალიან ვრცელი[14]. მეფისნაცვლის ეს წინადადება დაკმაყოფილდა. მისი წარდგინება-მოთხოვნის თანახმად ამიერკავკასიის მაზრების რაოდენობა 18-დან 29 გაიზარდა და, ამდენად, ყოველი მათგანის ტერიტორია საგრძნობლად შემცირდა. დაწესდა მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობა. ამ პოსტზე დანიშნული პირი სხვადასხვა დავალებით იგზავნებოდა ადგილებზე. ასრულებდა მოძრავი საპოლიციო ორგანოს ხელმძღვანელის როლს. მაზრების საპოლიციო უბნებად დაყოფა გაუქმდა, მაგრამ გამონაკლისის სახით ზოგიერთ მაზრებში შეიქმნა საბოქაულოები, რომლის უფროსები ემორჩილებოდნენ მაზრის უფროსს. თბილისის გუბერნიაში ჩამოყალიბდა 5, ერევნის გუბერნიაში 2, ქუთაისის გუბერნიაში — 1 საბოქაულო[15].

მეფისნაცვლის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული იყო სამაზრო და საქალაქო საპოლიციო დაწესებულებათა მოწყობის წესები, რომლის მიხედვით მაზრის უფროსი სამაზრო პოლიციის სათავეში იდგა, პოლიცმეისტერი კი საქალაქო პოლიციას განაგებდა.

ამიერკავკასიაში მაზრის უფროსებს იგივე უფლება-მოვალეობა ეკისრებოდათ, რაც ცენტრალურ რუსეთში, მაგრამ იმის გამო, რომ ამ მხარეში ერობა არ ყოფილა შემოღებული, აქაურ მაზრის უფროსებს დამატებით დაეკისრა საერობო საქმის წარმოება და სათანადო ანგარიშების შედგენა მოსახლეობის მიერ ფულადი საერობო გამოსაღების შეტანისა და ნატურალური ვალდებულების მოხდის თაობაზე. მაზრის უფროსები საქმეთა აღსრულების დროს იყენებდნენ პოლიციის მოხელეებს და სასოფლო-მმართველობის თანამდებობის პირებს. სახაზინო გლეხების, სახელმწიფო ქონებისა და ტყეების გამგებლობის

---

[14] სსცია, ფ. 13, ანაწ. 10, საქ. 737, ფურც. — 1—3.

[15] იქვე, ფურც. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სფეროში მაზრის უფროსები ეყრდნობოდნენ 1866 წელს დამტკიცებულ სასოფლო საზოგადოებათა დებულებას და სახელმწიფო ქონებათა მართვისათვის შედგენილ სპეციალურ ინსტრუქციას.

როგორც თვითმმართველი ქალაქების, ისე მაზრის უფროსისადმი დაქვემდებარებული ქალაქების პოლიცია ეწყობოდა საერთო სარუსეთო კანონების საფუძველზე, მაგრამ ზოგიერთი გამონაკლისით. ქალაქების საპოლიციო უბნებად დაყოფა ხდებოდა საპოლიციო მმართველობის გადაწყვეტილებით, რასაც გუბერნატორი ამტკიცებდა. საპოლიციო უბნების გამგებლობა ევალებოდათ ბოქაულებს ან პოლიცმეისტერებს, რომელთა საქმიანობას უშუალო კონტროლს უწევდა მაზრის უფროსი, ხოლო მისი ადგილზე არ ყოფნის დროს თანაშემწე.

პოლიციის კომპეტენციაში მყოფი საკითხების გადაწყვეტაში თითქმის მთელი ძალაუფლება პოლიციის უფროსს ეკუთვნოდა. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ქალაქის შემოსავალ-გასავალი, რომელიც განისაზღვრებოდა საერთო სამაზრო საკრებულოს მიერ. ისიც უნდა აღინიშნოს; რომ ამ საკრებულოს მაზრის უფროსი თავმჯდომარეობდა და წევრებად ბოქაულები შედიოდნენ. მართალია, ამ საკრებულოს მუშაობაში ქალაქის მოსახლეობის ზედაფენებისაგან არჩეული დეპუტატებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ისინი საქმის გაგადაწყვეტაზე თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ.

მაზრის უფროსები, პოლიცმეისტერები და მათდამი დაქვემდაბარებული მოხელეები თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში პასუხისგებაში მიეცემოდნენ 1864 წლის 20 ნოემბრის სასამართლო წესდების 1066 მუხლის საფუძველზე.

რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედი პოლიციის მოხელეთა დაქვემდებარებისა და ურთიერთობის წესები, მათი უფლებამოსილების, მოქმედების ხასიათის, პასუხისმგებლობისა და სხვათა შესახებ დადგენილებები ვრცელდებოდნენ კავკასიაზეც და გამოიყენებოდნენ მეფის ნაცვლის, ზემოთ დახასიათებულ, ინსტრუქციასთან ერთად[16].

ბარონ ნიკოლაის მიაჩნდა, რომ კავკასიაში ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმა იმ სახით უნდა გატარებულიყო, როგორც გატარდა შიდა რუსეთში. ამით, მისი აზრით, მოწესრიგდებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ერთგვაროვანი დაწესებულებების დაარსების გზით მხარე დაუახლოვდებოდა და შეერწყმოდა რუსეთს[17]. მაგრამ ეს თვალსაზრისი თანამიმდევრულად და ბოლომდე ვერ განხორციელდა. რეფორმატორები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ მხარის სოციალ-ეკონომიკური წყობის თავისებურების, მეფისნაცვლის ინსტიტუტის არსებობისათვის და კავკასიის ცენტრალური მმართველობისათვის მიეცათ მეტი დამოუკიდებლობა და ამის შესაბამისად გარკვეული ცვლილებები შეეტანათ საგუბერნიო და სამაზრო სამმართველოების ფუნქციონირების ფორმებში.

კიდევ მეტი გამონაკლისები გახდა საჭირო სასამართლო რეფორმის გატარებისა და სამართალწარმოების სფეროში. გადაწყდა: 1) შეიქმნას მომრიგებელი სასამართლოები, დაწესდეს მომრიგებელ მოსამართლეთა და-

---

16 სსცია, ფ. 5, ანაწ. 1, საქ. 275, ფურც. 276—281.

17 Отчет по главному управлению наместника Кавказского по первое десятилетие управления Кавказски ми Закавказским краем Е. И. В. великим князем Михаилом Николаевичем в декабре 1862, 6 декабряе 1872, Тб., 1873, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიშვნა მთავრობისაგან, მაგრამ რამდენადმე გაფართოვდეს ამ ორგანოების მოქმედების წრე და გაზრდილი ხარჯები დაიფაროს ადგილობრივი ბიუჯეტიდან. გამომძიებლის მოვალეობა დაეკისროს თვით მომრიგებელ მოსამართლეს, ან მის თანაშემწეს. ზედმეტად ჩაითვალოს მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის შექმნა. მომრიგებელ შუამავალთა განაჩენებზე აღძრული საჩივრების განხილვა დაევალოს საოლქო სასამართლოს, მისსავე ფუნქციაში შევიდეს მომრიგებელ სასამართლოთა საქმიანობის მეთვალყურეობა და კონტროლი; 2) საოლქო (საგუბერნიო) სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა მოხდეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე; 3) მთელი კავკასიისათვის ჩამოყალიბდეს ერთი უმაღლესი სასამართლო ინსტანცია თბილისის სასამართლო პალატის სახით, რომელიც დაექვემდებარება იმპერიის სენატის საკასაციო დეპარტამენტის. ამ საფუძველზე შედგენილი კანონპროექტი განხილულ იქნა კავკასიის კომიტეტში და იმპერატორის მიერ დამტკიცდა 1867 წლის 19 დეკემბერს[18].

გაუქმდა ძველი საგუბერნიო და სამაზრო სასამართლოები, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პალატები, თბილისის კომერციული სასამართლო ფოთის საქალაქო რატუშა და მათში დაგროვილი საქმეები გაუნაწილდა ახალ სასამართლო ორგანოებს.

სასამართლო ნაწილის გარდაქმნამ მოითხოვა სამიჯნო ნაწილის რეორგანიზაცია. გაუქმდა 1861 წელს შექმნილი განსაკუთრებული სამიჯნო დაწესებულებები და მიწების გამიჯვნის და მასთან დაკავშირებული საადგილ-მამულო დავების განხილვის ფუნქცია დაეკისრა თბილისის სასამართლო პალატას.

ბარონი ნიკოლაი, რომელმაც შეადგინა მიხეილ რომანოვის კავკასიაში 10 წლიანი მოღვაწეობის ანგარიში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეფორმის შედეგად სასამართლო გამოეყო ადმინისტრაციას, გაფორმდა დამოუკიდებელი ორგანოს სახით, მაგრამ ეს იყო ფორმალური დამოუკიდებლობა. ფაქტიურად კავკასიაში ჩამოყალიბდა მეფისნაცვლის, მისი მთავარსამმართველოსა და გუბერნატორებისადმი დაქვემდებარებული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო ორგანოები. მოსამართლეები კავკასიელი დიდმოხელეებისაგან ინიშნებოდნენ და მოქცეული იყვნენ მათ კონტროლქვეშ. იმის გამო, რომ კავკასიაში არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა და არ შეუქმნიათ ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტი, დიდმოხელეები ამ მხარეში უფრო ადვილად ახერხებდნენ სამართალწარმოების სფეროში ჩარევას და თავიანთთვის სასურველი განაჩენების გამოტანას.

არსებითი ცვლილებები მოხდა ფინანსების სფეროში. კავკასიაზე გავრცელდა ახალი საკასო და სარევიზიო წესები. 1868 წლის უმაღლესი ბრძანებით ადგილობრივი ფულადი შემოსავლები მთლიანად გადავიდა მეფის ნაცვლის გამგებლობაში. მისი ბრძანებით კავკასიელი ფინანსისტებისაგან შედგენილი შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტი ეგზავნებოდა არა ფინანსთა სამინისტროს, არამედ პეტერბურგში მოქმედ კავკასიის კომიტეტს და მისი შუამდგომლობით ამტკიცებდა იმპერატორი.

ბარონი ნიკოლაი იკვეხნიდა, რომ 1867 წლის ადმინისტრაციული რეფორმის წყალობით გამოსწორდა მხარის მართვა-გამგეობის სისტემის ბევრი ნაკლი, მეფისნაცვალს და მთავარსამმართველოს მუშაობის გაცილებით უკეთესი პირობები შეექმნათო. ადრე კავკასიის ცენტრალურ მმართველობას ჰქონდა ორი

---

[18] იქვე, გვ. 4C.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძირითადი ნაკლი — ის ჯდებოდა ძალიან ძვირი და იყო უაღრესად რთული. თვით მთავარი სამმართველო შედგებოდა ერთმანეთისაგან არსებითად დამოუკიდებელი 5 დეპარტამენტისაგან, რომელთა მუშაობის კოორდინაციას ვერასგზით ვერ ახერხებდა მთავარსამმართველოს უფროსი. 1867 წლის დებულებამ აღმოფხვრა ეს დაქსაქსულობა. ახლა ყველა განყოფილება საქმიანობს ერთიანი გეგმით მთავარსამმართველოს უფროსის ხელმძღვანელობით.

ბარონი ნიკოლაი იმასაც აღნიშნავდა, რომ ადრე მეფისნაცვლის საბჭოს მოქმედების სფერო არ იყო კანონით განსაზღვრული, მისი საქმიანობის მასშტაბი და ინტენსიობა, დამოუკიდებელი იყო მთავარ სამმართველოს დეპარტამენტისაგან მისთვის განსახილველად გადაცემული საქმეების რაოდენობაზე. ამასთან, საბჭოს სხდომებში სულაც არ მონაწილეობდნენ კავკასიის საფოსტო ოლქი, სამთო და სამედიცინო ნაწილები, ისინი ბრძანება-ინსტრუქციებს სამინისტროებისაგან ღებულობდნენ, მეფისნაცვალთან და მის საბჭოსთან უშუალო ურთიერთობა არ ჰქონდათ. ეს ნაკლიც გამოსწორდა, კავკასიის ცენტრალურმა მმართველობამ მეტი უფლება მოიპოვა დასახელებულ დაწესებულებებზე, უფრო აქტიურად ჩააბა ისინი ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობაში[19].

როგორც ცენტრალურ რუსეთში, ისე განაპირა მხარეებში სახელმწიფო აპარატის, ადმინისტრაციის მაღალი და საშუალო რგოლი დაკავებული ჰქონდა მოხელეებს, ე. ი. ადამიანებს, რომლებიც იმყოფებოდნენ მეფის მთავრობის სამსახურში და ჰქონდათ ამა თუ იმ კლასის ხარისხი (ჩინი).

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ბიუროკრატია, მოხელეები წარმოადგენენ „იმ პირთა განსაკუთრებულ ფენას, რომლებიც დახელოვნებული არიან მართვა-გამგეობაში და ხალხის მიმართ პრივილეგიური მდგომარეობა უჭირავთ. რუსეთის ჩამორჩენილობას და მის აბსოლუტიზმს შეესაბამება ხალხის სრული უუფლებობა მოხელეობის წინაშე, პრივილეგიური ბიუროკრატიის სრული უკონტროლობა“[20].

პეტრე დიდის მიერ 1722 წელს გამოცემული კანონი-ტაბელი რანგების შესახებ საფუძვლად დაედო მოხელეების როგორც განსაკუთრებული ჯგუფის, შეიძლება ითქვას, თავისებური ბიუროკრატიული კლასის ჩამოყალიბებას. ამის შემდეგ მემამულე თავადაზნაურობისა და ადგილუფროსობის ადგილი საბოლოოდ დაიკავა მსახურმა თავადაზნაურობამ, რომელიც თავის წოდებრივი პრივილეგიებით და ნაწილობრივ მატერიალური კეთილდღეობითაც დაკავშირებული იყო ჩინებთან და სახელმწიფო სამსახურთან. 1722 წლის კანონმა დააწესა 14 კლასი. სამსახურებრივი კარიერა იწყებოდა მე-14 კლასის ჩინით და მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი აღწევდა I—IV ჩინამდე, ხდებოდა დიდმოხელე.

სამოქალაქო სამსახურში შესვლის უფლება განისაზღვრებოდა სამი პირობით: წოდებრივი წარმოშობით, ასაკითა და განათლების დონით. სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში შესვლის თითქმის მონოპოლიური უფლება ჰქონდათ მემკვიდრეობით თავადაზნაურებს და ნაწილობრივ პირად აზნაურებსაც. სახელმწიფო სამსახურში მიიღებოდნენ, აგრეთვე სასულიერო წოდებიდან გამოსული პირები, პირველი გილდის ვაჭრები, მეცნიერები. მოსახლეობის სხვა, დაბალი ფენებიდან გამოსული პირები სამოქალაქო სამსახურში შესვლის უფ-

19 იქვე, გვ. 45—46.

20 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 414—415.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებას ღებულობდნენ უმაღლეს და საშუალო განათლების მიღების შემთხვევაში, ისინი სასწავლებლის დამთავრებისთანავე ავტომატურად ღებულობდნენ დაბალი კლასის ჩინებს[21].

სახელმწიფო სამსახურთან იყო ძირითადად დაკავშირებული ადამიანთა წოდებრივი აღზევება. 1852 წელს გამოვიდა ახალი კანონი. მის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთში უძველესი დროიდან აზნაურის წოდების მოპოვება ხდებოდა სამსახურით, მაგრამ წესები და პირობები ხშირად იცვლებოდა. ამიერიდან პირველი ობეროფიცრის (პრაპორშიკის) ხარისხი ეძლეოდა პირად აზნაურობას, ხოლო პირველი შტაბის ოფიცრის ჩინი (მაიორობა).— მემკვიდრეობით აზნაურობას. კოლეგიის რეგისტრატორის სამოქალაქო ჩინამდე მიღწეული მოხელე ავტომატურად ღებულობდა პირადი საპატიო მოქალაქის წოდებას, ტიტულიარული მრჩევლები იღებდნენ პირად აზნაურობას, V კლასის მოხელე სამოქალაქო მრჩეველი კი ხდებოდა მემკვიდრეობითი აზნაური. ზემოაღნიშნულ კანონში გარკვეული კორექტივი იქნა შეტანილი 1856 წელს. XIX—XX სს. მიჯნაზე მემკვიდრეობითი აზნაურის წოდებას იძლეოდა სამხედრო სამსახურის სფეროში პოლკოვნიკობა, ხოლო სამოქალაქოში ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის IV კლასის ჩინი.

ტაბელი რანგების შესახებ, რა თქმა უნდა, იმპერიის განაპირა პროვინციებშიც მოქმედებდა. მნიშვნელოვან თანამდებობებს აქაც რუსეთიდან ჩამოსული V—I კლასის ჩინიანი მოხელეები იკავებდნენ. ბუნებრივია, ადგილობრივი პრივილეგიური კლასებიც ცდილობდნენ მმართველი ბიუროკრატიის რიგებისაკენ გზის გაკაფვას, ჩინებისა და თანამდებობების მოპოვებას. ამ მხრივ კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა პრივილეგიურ ფენებს შორის განსაკუთრებით დიდ წარმატებას ქართველმა თავადაზნაურობამ მიაღწია. ბევრმა მათგანმა მიიღო მაიორის, პოლკოვნიკის, გენერლის წოდება, კოლეგიის რეგისტრატორის, ტიტულიარული მრჩევლის, სამოქალაქო მრჩევლის და სხვ. ჩინები, მათი შესაფერი თანამდებობები. ქართველ ჩინიან თავადაზნაურებს არა იშვიათად ეკავათ გუბერნატორის, პოლიცმეისტერის, კანცელარიის უფროსის თანამდებობანი. გენერალი გრიგოლ ორბელიანი ერთხანს მეფისნაცვლის მოვალეობასაც კი ასრულებდა. სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში წარმატებასთან იყო დაკავშირებული ის გარემოება, რომ XIX საუკუნეში ქართველ ძირძველ თავადაზნაურებს გვერდში ამოუდგნენ ახლად გამომცხვარი პირადი აზნაურები, საპატიო მოქალაქენი და სხვ. სამსახურითა და ქონებასიმდიდრით აღზევებული პირები.

XIX ს-ის 60-იანი წლების შუახანებიდან მეფის მთავრობამ თანდათან გაადიდა გუბერნატორთა ძალაუფლება. 1865 წ. 22 ივნისს დამტკიცდა კანონი, რომელმაც გუბერნატორი არსებითად გუბერნიის ბატონ-პატრონად გადააქცია. მისი ხელისუფლება, პირდაპირ თუ არა პირდაპირ გავრცელდა ყველა უწყების დაწესებულებებზე. გუბერნატორს უფლება მიეცა ყოველ დროს მოეხდინა დაწესებულებათა რევიზია, თანამდებობაზე არ დაემტკიცებინა პოლიტიკურად არა საიმედო პირი. მას შეეძლო თავის განკარგულებით დაეშალა სხვადასხვა საზოგადოებები, დაეკეტა კლუბები[22].

---

[21] П. А. Заиончковский, Правительственный аппарат самодержавной России в XIX в., М., 1978, გვ. 24—25.

[22] იქვე, გვ. 211.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმის გამო, რომ კავკასია განკერძოებულ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და მის სათავეში ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილი მეფისნაცვალი იდგა, გუბერნატორთა ძალაუფლება ამ მხარეში არ გაფართოებულა. თბილისის, ქუთაისის, და სხვ. გუბერნატორები არსებითად შუამავლები იყვნენ მეფისნაცვალსა და მაზრის უფროსებს შორის. მეფისნაცვლის სანქციის გარეშე გუბერნატორთა ბრძანებაგანკარგულებებს ძალა არ ჰქონდა.

სამაგიეროდ ამიერკავკასიაში საგრძნობლად გაიზარდა მაზრის უფროსის უფლება-კომპეტენცია. მას ექვემდებარებოდა პოლიცია, ძირითადად მისი მეშვეობით მიდიოდა სისრულეში კავკასიის უმაღლეს ხელისუფალთა ბრძანებაგანკარგულებანი.

რეფორმამდე პოლიცია საგამომძიებლო და სამოსამართლო უფლებებითაც იყო აღჭურვილი. მეფისნაცვლის მიერ 1868 წელს გამოცემულ ინსტრუქციაში კი ამის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ამის მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ სასამართლო რეფორმამ ფორმალურად გამიჯნა მთავრობის ადმინისტრაცია და სასამართლო ორგანოები, პოლიცია გაანთავისუფლა სამოსამართლო ფუნქციებისაგან. რეფორმატორთა აზრით, ასეთი გამიჯვნა დადებით ზემოქმედებას მოახდენდა ერთზეც და მეორეზეც, გააუმჯობესებდა როგორც პოლიციის, ისე სასამართლო ფუნქციონირების ფორმებს. სამართალწარმოებისაგან განთავისუფლებული საპოლიციო დაწესებულებები, დიდ მოხელეთა განცხადებით, უკეთ შეასრულებდნენ თავიანთ უშუალო მოვალეობას, მეტ წარმატებას მიაღწევდნენ საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის დაცვაში, დანაშაულების აღკვეთისათვის ბრძოლაში და, მართლაც, მოსახლეობის ზედა ფენებს არ ჰქონდათ უკმაყოფილების საფუძველი, მათ ქონებასა და პრივილეგიებს თავგამოდებით იცავდნენ რეფორმირებული საპოლიციო და სასამართლო დაწესებულებები. მშრომელი მასების პირადი უფლებები და ქონებრივი ინტერესები კი სათვალავში არ მიიღებოდა. რეფორმის მომდევნო ხანაში მეფის მთავრობის ადმინისტრაცია, პოლიცია და სასამართლო ისევე ავიწროებდა ხალხს, როგორც ადრე, ისევე სდევნიდა ხალხის ინტერესების დამცველ რევოლუციურ ორგანიზაციებს, როგორც ადრე ახშობდა გლეხთა სტიქიურ ამბოხებებს.

XIX ს-ის 70-იან წლებში პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის დებულება შესწორდა და დაიხვეწა, მმართველობის სისტემაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. დასრულებული სახით კანონმდებლობა 1875 წელს დამტკიცდა და 1876 წელს გამოიცა, შევიდა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში.

გარკვეული ცვლილებები შეიტანეს მეფის ნაცვლის უფლება-კომპეტენციის განსაზღვრაში. კანონი ღაღადებდა, რომ კავკასიის უმაღლესი ხელისუფალი იყო მეფისნაცვალი, რომელიც ხელმძღვანელობდა მხარის სამოქალაქო მმართველობის მთელ აპარატს და ამავე დროს ასრულებდა კავკასიაში მდგარი ჯარების მთავარსარდლის მოვალეობას. ესე იგი მეფის ნაცვალი აერთიანებდა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობას, მისადმი დაქვემდებარებულ მოხელეთა დიდ ნაწილს სამხედრო პირები შეადგენდნენ და, ამდენად, რეფორმამ მთლიანად მაინც ვერ გამიჯნა სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა.

1867 წლის დებულება არ ითვალისწინებდა მეფისნაცვლის თანაშემწის თანამდებობას. 1875 წლის კანონმა კი ეს პოსტი დააწესა. მეფისნაცვლის თა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნაშემწეს უშუალოდ იმპერატორი ნიშნავდა. იგი უშუალოდ მეფისნაცვალს ემორჩილებოდა და ასრულებდა ყველა მის ბრძანება-დავალებას. მეფისნაცვლის ადგილზე არ ყოფნის დროს მის მოვალეობას თანაშემწე ასრულებდა.

მეფის ნაცვლის მთავარსამმართველოს შედგენილობასა და უფლება-კომპეტენციაში თითქმის არავითარი ცვლილებები არ ყოფილა შეტანილი. სამაგიეროდ არსებითად გარდაიქმნა კავკასიის უმაღლეს ხელისუფალთან არსებული სათათბირო ორგანო. მთავარსამმართველოს საბჭოს ეწოდა მეფისნაცვლის საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა მეფისნაცვლის თანაშემწე. საბჭოში წევრებად შედიოდნენ მთავარსამმართველოს უფროსი, მთავარსამმართველოს დეპარტამენტის დირექტორი, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი, თბილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე და მეფის ნაცვლის მიერ შერჩეული სხვა რამდენიმე მოხელე. სხვადასხვა უწყებათა საქმეების განხილვის დროს მეფის ნაცვლის საბჭოს სხდომებზე ხმის უფლებით მოიწვეოდნენ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გუბერნატორები, სახაზინო და საკონტროლო პალატების უფროსები.

მეფის ნაცვლის საბჭოში განიხილებოდა: 1. გარკვეული დანაშაულისათვის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი; 2. საგუბერნიო ადმინისტრაციის წინააღმდეგ აღძრული საკითხები; 3. ყოველწლიური შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტები; 4. საგადსახადო სისტემაში ცვლილება დამატებათა შეტანის, ახალი გადასახადების დაწესების საკითხი; 5. მხარის ადმინისტრაციულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების, დაბების ქალაქად გარდაქმნის და სხვ. საკითხები; 6. მეფინაცვლისაგან შედგენილი წესდება — დადგენილებათა პროექტები; 7. კავკასიისადმი შემხები საკანონმდებლო საკითხები; 8. ყველა საკითხი, რომელთა შესწავლა-გადაწყვეტასაც მეფისნაცვალი საბჭოს დაავალებდა[23].

1875 წლის კანონის თანახმად, მთავარსამმართველოს დეპარტამენტსა და მის დირექტორს დაევალა განმკარგულებელი, სამოსამართლო, საფინანსო და საერობო საქმეთა განხილვა და სათანადო დადგენილებათა პროექტების მომზადება. გარკვეული, მაგრამ არაარსებითი ცვლილებები შეჰქონდა ახალ კანონს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, სასწავლო-სამედიცინო, საფოსტო ნაწილების სტრუქტურასა და ფუნქციონირების ფორმებში, აგრეთვე საერობო ვალდებულებათა განსაკუთრებული საკრებულოსა და სამშენებლო საგზაო კომიტეტის საქმიანობაში[24].

1875 წლის დებულებას თითქმის არავითარი ცვლილება არ შეუტანია საგუბერნიო და სამაზრო მმართველობაში. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ თბილისის გუბერნიაში ჩამოყალიბდა ორი ახალი მაზრა ბორჩალოსი და თიანეთისა, რამდენიმე ერთეულით გაიზარდა მომრიგებელი სასამართლოს განყოფილებები. უცვლელი დარჩა თბილისის სასამართლო პალატა და საოლქო სასამართლოები, რამდენადმე გაიზარდა მხოლოდ ამ დაწესებულებათა შტატები[25].

ეს კანონი, მის საფუძველზე განხორციელებული მხარის ადმინისტრაციული დაყოფა და ცალკეულ დაწესებულებათა ფუნქციონირების ფორმები ძა-

---

24 Учреждения и управления Кавказского и Закавказского края, издание 1876, 7. გვ. 3—12.

24 იქვე, გვ. 13—20.

25 იქვე, გვ. 28—30.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლაში იყო 1882 წლამდე, როცა გაუქმდა მეფისნაცვლობა და მხარის უმაღლეს ხელისუფლად დაინიშნა მთავარმმართველი.

ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმების გატარების შემდეგ, როცა ახალი კანონდებულების ძალით ადგილობრივი ფულადი შემოსავლები კავკასიის ცენტრალური მმართველობის განმგებლობაში გადავიდა, მეფის ნაცვალმა და მთავარსამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საგადასახადო სისტემის მოწესრიგება-გაუმჯობესებას.

სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის წყაროებს ამიერკავკასიაში შეადგენდა: 1. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, სხვადასხვა ბაჟები (სალერბო, საკანცელარიო და სხვ.); 2. სახაზინო მიწები, ტყეები, სამთამადნო მრეწველობა, ფოსტა, ტელეგრაფი; 3. სხვადასხვაგვარი და შემთხვევითი შემოსავლები.

რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში დაბეგვრის ობიექტი იყო ყოველი მცხოვრები, მოქმედებდა სულადობრივი გადასახადი. ამიერკავკასიაში კი არსებობდა კომლობრივი გადასახადები. კავკასიის სხვადასხვა რაიონებში ცარიზმის ბატონობის განმტკიცების პარალელურად თანდათან იზრდებოდა გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა. 1865 წელს დაიბეგრნენ თუშები და ფშავ-ხევსურები, 1869 წელს მეგრელები და სვანები, ცოტა მოგვიანებით ჩრდილო კავკასიური მთიელები. თუ 1862 წელს ამიერკავკასიაში პირდაპირმა გადასახადებმა შეადგინა 1.1 მილ. მან. 1872 წლისათვის მან 1.5 მილ. მანეთს გადააჭარბა.

1863 წელს ამიერკავკასიაში ყველა სახის გადასახადებმა შეადგინა 3.1 მილ. ხოლო 1870 წელს — 6,8 მილ. მანეთი, 8 წელიწადში გაიზარდა ორჯერ და მეტად. ამის შესაბამისად იზრდებოდა მხარის მართვა-გამგეობის ხარჯები და საერთოდ საგასავლო ბიუჯეტი. საილუსტრაციოდ მივმართოთ ცხრილს.

ამიერკავკასიის შემოსავალ-გასავლის ნუსხა 1863—1870 წწ.[26]

| წლები | შემოსავალი მან. | გასავალი მან. |
|---|---|---|
| 1863 | 3 260182 | 3 249513 |
| 1864 | 3 516377 | 3 607014 |
| 1865 | 4 040228 | 4 031914 |
| 1866 | 4 184212 | 4 166907 |
| 1867 | 4 609550 | 4 881218 |
| 1868 | 6 193135 | 6 166551 |
| 1869 | 6 579662 | 6 919161 |
| 1870 | 6 799675 | 6 919161 |

საგასავლო ბიუჯეტში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა არამწარმოებლური ხარჯები, ადმინისტრაციული აპარატისა და სასამართლო დაწესებულებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები. ამიერკავკასიის ცენტრალურ მმართველობაზე დაიხარჯა 1863 წელს 529500 მან. 1872 წ. 653665 მან. საგუბერნიო სამმართველოებზე — 1863 წ. — 570176 მან. 1872 წ. — 1036341 მან. საგლეხო საქმეთა დაწესებულებებზე — 1865 წ. 51000 მან., 1872 წ. 171999 მან. სამშენებლო და საგზაო საქმეზე — 1863 წ. 18452 მან., 1972 წ. 267540 მან. სამედიცინო მომსახურებაზე — 1863 წ. 57697 მან., 1872 წ. 110843 მან.,

26 მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს 10 წლის მოღვაწეობის ანგარიში, მე-8 თავის დამატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკარანტინო საბაჟო დაწესებულებებზე — 1863 წ. — 345147 მან., 1872 წ. 501701 მან. სამთამადნო საქმეზე — 1863 წ. 21105 მან., 1872 წ. 27248 მან. სახაზინო ქონებისა და ტყეების მოვლა პატრონობაზე დასაქმებულ დაწესებულებებზე — 1863 წ. 263 ათასი მან., 1872 წ. 309 ათასი მან. სასამართლოსა და პროკურატურაზე — 1863 წ. 322462 მან. 1872 წ. 1033055 მან. სწავლა-განათლებაზე — 1863 წ. 154662 მან. 1872 წ. 330042 მან. საფოსტო ნაწილზე — 1863 წ.132811 მან. 1872 წ. 174629 მან. სასულიერო ნაწილზე 1863 წ. 18298 მან. 1872 წ. 28431 მან. სხვა დანარჩენი ხარჯები იყო 1863 წ. 685104 მან. 1872 წ. 817479 მანეთი[27].

1881 წელს ამიერკავკასიის შემოსავალმა შეადგინა 8,8 მილ. მანეთის გასავალი კი უდრიდა 8,7 მილ. მანეთს. შემოსავლის მთავარი მუხლები იყო; მოსახლეობაზე შეწერილი პირდაპირი გადასახადები — 2,3 მილ. მან. არაპირდაპირი გადასახადები — 5.1 მილ. მანეთი და სხვ. გასავალში კი ისევ მთავარი იყო მთავრობის ადმინისტრაციული აპარატისა და სასამართლო დაწესებულებათა ხარჯები. სახელმწიფო ბიუჯეტში ამიერკავკასიას შეჰქონდა 6,9 მილ. მანეთი, რაც თითქმის მთლიანად სხვადასხვა სამინისტროების მეშვეობით იმავე ამიერკავკასიაში იხარჯებოდა.

ამგვარად, ადგილობრივი შემოსავალი ფარავდა სამოქალაქო მმართველობის ყველა ხარჯებს. საერთო სახელმწიფო ბიუჯეტს აწვა მხოლოდ სამხედრო-საზღვაო ძალების შენახვის ხარჯები. სამხედრო და საზღვაო სამინისტრო კავკასიაში ყოველწლიურად ხარჯავდა 28,2 მილ. მანეთს[28].

ზემოთმოტანილი ცხრილი და სხვა ციფრობრივი მასალა რთულ კომენტარს არ საჭიროებს. ნათლად ჩანს, რომ მეფის მთავრობა და კავკასიის მმართველები განსაკუთრებით უხვად აფინანსებდენ მეტროპოლიისა და ადგილობრივი გაბატონებული კლასების ინტერესთა დამცველ ადმინისტრაციულ საპოლიციო და სასამართლო დაწესებულებებს, ეკონომიკის განვითარების ხელის შეწყობის, სწავლა-განათლების სისტემის გაფართოების და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელო თანხა იხარჯებოდა და ისიც ძირითადად მოსახლეობის ზედაფენებს ხმარდებოდა.

მეფის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის ძირითად ამოცანას შეადგენდა ამ მხარეში მეტროპოლიის ინტერესების დაცვა, თვითმპყრობელობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარება. ადგილობრივ დაწესებულებათა ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო ბეგარა-გადასახადების აკრეფა, სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის გადიდება.

Ш. Н. ВАНИШВИЛИ

## АДМИНИСТРАТИВНАЯ РЕФОРМА 1860 ГОДА И СИСТЕМА ПРАВЛЕНИЯ ГРУЗИИ В 1868—1881 ГГ.

### Резюме

В статье подчеркнуто прогрессивное значение присоединения Грузии к России. С позиций марксизма-ленинизма изучены этапы развития

27 მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს 10 წლის მოღვაწეობის ანგარიში, მე-8 თავის დამატება.

28 ს. ესაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 300—303.

ეროვნული ბიბლიოთეკა



в системе правления самодержавия, его буржуазная эволюция с 1868 до 1881 гг. Показана реакционная природа буржуазного правления в общем и — особенно — ограничение социальной и экономической политики администрации Закавказья.

Администрация Закавказья (наместник, главноуправляющий, губернаторы, начальники уездов и другие чиновники) исполняли, с одной стороны, требования царского правительства, а с другой стороны, защищали интересы местных господствующих классов и подавляли все сопротивления трудовой массы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. კაჭარავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ანჩაბაძე

## „შიდა ლაშქრის“ („შიდა სპას“) მნიშვნელობის გარკვევისათვის

ტერმინი „შიდა ლაშქარი“ („შიდა სპა“) ორჯერ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“. პირველად 1047 წლის ამბების გადმოცემისას, როდესაც ბაგრატ IV ლიპარიტ ბაღვაშს ებრძოდა. „მატიანე ქართლისა“ ამ ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს ასე აღწერს: „მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შჳდასი კაცი და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა მესხნი ვერღარა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი... ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“[1].

მეორედ ეს ტერმინი („შიდა სპის“ სახით) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს ნახმარი. იგი გვაცნობებს, რომ ქორონიკონსა 336 (1116 წ.) „ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიჴელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თვით ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უეჭუელ ყვნა იგინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თჳთ შიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად“[2].

სხვა ცნობები „შიდა ლაშქრის“ შესახებ საისტორიო წყაროებს არ შემოუნახავთ.

საქართველოს ისტორიის მკვლევრებს სხვადასხვანაირად ესმით ამ ტერმინის მნიშვნელობა. ყველაზე გავრცელებული შეხედულებით, „შიდა ლაშქარი“ შიდა ქართლელი მეომრებისაგან შედგებოდა. ეს აზრი ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილისაგან მოდის. იგი სასირეთის ბრძოლაზე საუბრისას „შიდა ლაშქრის“ მაგივრად წერს „შიდა ქართველნი“, რაც მის საკუთარ კომენტარს წარმოადგენს[3].

როგორც ჩანს, ამ ტერმინის მნიშვნელობა XVIII ს-ში აღარავინ იცოდა.

„შიდა ლაშქარი“ შიდა ქართლს დაუკავშირეს აგრეთვე მ. ბროსემ და ნ. მარმა. ბროსემ ეს ტერმინი ფრანგულად თარგმნა როგორც „შიდა ქართლის ძალები“ (Forces du Chida-Karthli) და „შიდა ქართლის არმია“ (l'armée du

---

1 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 301.

2 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 333.

3 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 147; ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია ი. ცინცაძის წიგნზე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Chida-Karthli)[4]. ნ. მარმაც, ვ. ვასილევსკის ცნობილი ნაშრომის მე-9 თავის დამატებაში, სადაც მოთავსებულია „მატიანე ქართლისას“ ნაწყვეტის მარისეული თარგმანი ვარანგების შესახებ, „შიდა ლაშქარი“ განმარტა შიდა ქართლიდან გამოყვანილ მხედრობად («С востока, из Внутренней Карталинии»).[5]

„შიდა სპის“ მნიშვნელობის გარკვევას სპეციალური წერილი მიუძღვნა კ. გრიგოლიამ. მისი დასკვნით, შიდა სპა „სხვა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა შიდა ქართლის სპა, შიდა ქართლის ლაშქარი, რომელსაც ერთიანობის ხანაში მეფის ხლების საპატიო მოვალეობა წესითა და ადათით ჰქონდა დაკისრებული... შიდა ლაშქარი შიდა ქართლიდან გამოდიოდა და შიდა ქართლის მხედრობას წარმოადგენდა“. მას, მკვლევრის აზრით, „ლეიბგვარდიის საპატიო მოვალეობა“ ჰქონდა დაკისრებული ერთიანი ფეოდალური მონარქიის ხანაში[6].

„შიდა ლაშქარი“ შიდა ქართლის მხედრობადაა ახსნილი აგრეთვე „მატიანე ქართლისას“ ვ. დონდუასა და მ. ლორთქიფანიძის რუსულ თარგმანთა შენიშვნებში. პირველ შემთხვევაში ტერმინი განმარტებულია, როგორც — «местным, картлийским войском»[7], ხოლო მეორე შემთხვევაში — «войско из Шида Картли»[8]. „მატიანის“ უკანასკნელ რუსულ გამოცემაში, „შიდა ლაშქარი“ თარგმნილია ასე: «войско из внутренней части своего царства», კომენტარების გარეშე, რაც არ მიგვაჩნია სწორად[9].

„შიდა ლაშქრის“ შიდა ქართლთან დაკავშირების სისწორეში პირველად ეჭვი შეიტანა ნ. ბერძენიშვილმა. მისი თქმით, „თავისთავად „შიდა ლაშქარი“ სრულიადაც არ ნიშნავს მაინცა და მაინც „შიდა ქართველს“, ის ასევე შეიძლება „აფხაზეთის“ ე. ი. ლიხთ იქითის ლაშქარს ნიშნავდეს“[10]. მაგრამ შემდგომში მკვლევარს ეს აზრი აღარ განუვითარებია.

„შიდა ლაშქრის“ რაობას არკვევს აგრეთვე ქ. ჩხატარაიშვილი. მან ჯერ კიდევ 1966 წ. გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს იყო სამეფო დომენის მოლაშქრეებისაგან შემდგარი რაზმი, იგივე რაც XII ს-ის „სამეფოს სპა“, „ხასნი“, „ხასაგანიანნი“[11]. შემდეგ ქ. ჩხატარაიშვილმა ამ საკითხს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა. მან „შიდა ლაშქარში“ სავსებით სამართლიანად დასავლეთ საქართველოს მხედრობა დაინახა, ოღონდაც არა მთელი დასავლეთ საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილის, სამოქალაქოსი, რომელიც მკვლევრის ვარაუდით, ჯერ აფხაზეთის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს სამეფო დომენი იყო[12]. ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, „შიდა სპის“, — სამოქალაქოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო მამულებიდან გამომავალი მხედრო-

[4] Histoire de la Géorgie, traduite du géorgien par M. Brosset, I, 1849, გვ. 321.

[5] Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI—XII вв., В. Г. Василевского, т. I, СПб., 1908, გვ. 316.

[6] კ. გრიგოლია, „დავითის ცხოვრებაში“ დამოწმებული ერთი ტერმინის განმარტებისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971, გვ. 122.

[7] Хрестоматия по истории СССР, М., 1960, გვ. 352.

[3] Матиане Картлиса, Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., გვ. 85.

[9] Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1982, გვ. 69.

[10] ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია... გვ. 203.

[11] ქ. ჩხატარაიშვილი, უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში, წიგნში: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 162.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბის, გადმონაშთს წარმოადგენდა გვიანდელი „ფიცის კაცების“ ინსტიტუტი იმერეთის სამეფოში[13].

ამრიგად, ისტორიკოსები განსხვავებული შეხედულებებისა არიან „შიდა სპის“ რაობაზე. ზოგი მას შიდა ქართლს უკავშირებს (ვახუშტი, მ. ბროსე, ნ. მარი, ვ. დონდუა, კ. გრიგოლია, მ. ლორთქიფანიძე), ზოგი — დასავლეთ საქართველოს (ნ. ბერძენიშვილი, ქ. ჩხატარაიშვილი). კ. გრიგოლიას და ქ. ჩხატარაიშვილის აზრით. რომლებმაც ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლეს; „შიდა სპა“ განსაკუთრებული, რჩეული ნაწილი იყო — „სამეფო სპა“ (ქ. ჩხატარაიშვილი) ანუ „ლეიბ-გვარდია“ (კ. გრიგოლია).

როგორც ვხედავთ, ამ ტერმინმა მეცნიერთა საგანგებო ყურადღება მიიპყრო და სავსებით სამართლიანად. როგორც ქ. ჩხატარაიშვილი აღნიშნავს: „შიდა სპის“... რაობის დადგენა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შესწავლისათვის აუცილებელი რამაა“[14].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „შიდა ლაშქარი“ ანუ „შიდა სპა“ უთუოდ დასავლეთ საქართველოს მხედრობას წარმოადგენდა. ეს თვითონ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან მოჩანს. „მატიანეს“ ცნობით, ქართლში სასირეთის ბრძოლის წინ ლიპარიტია გაბატონებული. მის მხარეზეა ბევრი ქართველი აზნაური, მის განკარგულებაშია „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი“. მხარს უჭერენ კახნი და ტაშირის მეფე. „და განძლიერდა იგი ძალითა მათითა ამას კერძოსა ქართლისასა“[15]. ასეთ ვითარებაში ბაგრატს საშუალება არ ექნებოდა შიდა ქართლში მნიშვნელოვანი ლაშქარი შეეკრიბა. გაძლიერებულ ლიპარიტს იგი დასავლეთ საქართველოდან უტევს დასავლეთ საქართველოს მხედრობით. იქიდანვე „გარდმოიტანა თანა“ მეფემ 700 ვარანგი[16].

„შიდა ლაშქარი“ რომ სწორედ ლიხთიქითური მეომრებისაგან შედგებოდა, კიდევ უფრო ცხადად მოჩანს „დავითის ცხოვრებაში“. 1116 წლის დამდეგს მეფე ქუთაისში გადადის. იქიდან ქ ა რ თ ლ ე ლ ე ბ ი და მესხები კლარ-

12 ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან — („შიდა ლაშქარი“), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, 4, გვ. 132, 134.

13 იქვე, გვ. 138.

14 იქვე, გვ. 132.

15 მატიანე ქართლისა, გვ. 300—301.

16 იქვე, გვ. 301. საკითხი, ვის მხარეზე იბრძოდნენ ვარანგები, დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ ბაგრატის მოკავშირეებად მიიჩნევს (ვახუშტი, მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. ცინცაძე და სხვ.), მეორენი კი—ლიპარიტის (ნ. მარი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, ვ. კოპალიანი, მ. ლორთქიფანიძე, ვ. გოილაძე და სხვ.). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვარანგები ბაგრატის მოქირავნეები იყვნენ. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბაში დაბანაკებული უცხოელები საომრად ქართლში გადმოჰყავთ, ბრძოლის შემდეგ კი ისინი კვლავ ლიხს იქით გადადიან („მატიანე ქართლისა“, გვ. 301). ი. ცინცაძე სამართლიანად თვლის, რომ აფხაზეთში ვარანგების დასაყენებლად ლიპარიტს ხელი არ მიუწვდებოდა (ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 30). ნ. ბერძნიშვილი, რომელიც ეკამათება ი. ცინცაძეს ამ საკითხში, წერს: „ვინა სთქვი და სად, რომ ლიპარიტ-დემეტრეს დას. საქართველოში („აფხაზეთში“) მომხრენი არ ჰყოლიათ?... ანაკოფიის ციხეში მყოფი დემეტრეს გამეფება „გულს ედვა“ არა ერთ აზნაურს. დასაშვებია განა, რომ დემეტრეს მომხრე ეს აზნაურები ყველა აღმოსავლეთ საქართველოდან იყვნენ?“ (ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია... გვ. 201).

ჩვენი აზრით, 1047 წლისათვის შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია და მოვლენების მთელი შემდგომი განვითარება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველო ძირითადად ბაგრატის მხარეზე და მისი ხელისუფლების ქვეშ იყო. რა თქმა უნდა, დემეტრესა და ლიპარიტს შეიძლებოდა ლიხს იქითაც ჰყოლოდათ ცალკეული ფარული თუ აშკარა მომხრეები, მაგრამ, მაინც, მათი ბანაკიდან, ვინც კი ვიცით, ყველანი აღმოსავლეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯეთში დაიბარა და თვითონ „შ ი დ ი თ ა ს პ ი თ ა“ ხუფათის მხრიდან დათქმულ ადგილზე ამოვიდა. ისტორიკოსი გარკვევით განასხვავებს ერთმანეთისაგან ქართლელებს, რომლებიც მესხებთან ერთად კლარჯეთში მტკვრის აუზიდან გადავიდოდნენ, და „შიდა სპას“, რომელსაც იმჟამად იმერეთს მყოფი დავითი ედგა სათავეში და კლარჯეთს საწინააღმდეგო მხრიდან მოადგა.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ კ. გრიგოლიამ და ქ. ჩხატარაიშვილმა, რომლებმაც ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლეს, „შიდა სპა“ საქართველოს სამეფო ლაშქრის რჩეულ, გვარდიულ ნაწილად მიიჩნიეს, ოღონდ კ. გრიგოლიას აზრით, ეს გვარდია შიდა ქართლის, ხოლო ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, სამოქალაქოს მცხოვრებლებისაგან შედგებოდა.

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

ჩვენი აზრით, არ არსებობს არავითარი საბუთი იმისათვის, რომ „შიდა ლაშქარი“ — „გვარდიად“, ან სხვა რაიმე განსაკუთრებულად გამორჩეულ ნაწილად ჩაითვალოს. კ. გრიგოლია „შიდა სპას“ აიგივებს ერთიანი საქართველოს ლაშქრის მეოთხე (მეფის) დროშასთან, რომელიც ქართლელებისაგან შედგებოდა და, მკვლევრის სიტყვით, „ლეიბ-გვარდიის საპატიო მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული“.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის დროშა ქართული ლაშქრის ისეთივე საორგანიზაციო-ტაქტიკური ერთეული იყო, როგორც მეწინავე, მემარჯვენე ან მემარცხენე დროშები და არსებითად მათგან არ განსხვავდებოდა, განსაზღვრული ადგილი ეჭირა საბრძოლო წყობაში. არც იმისი თქმა შეიძლება, რომ მეფის დროშაზე ხლება განსაკუთრებული პატივი იყო. რამდენადაც ცნობილია, არა ნაკლებ პატივად ითვლებოდა მეწინავეობა[17].

---

ან სამხრეთ საქართველოდან არიან. „აფხაზეთის“ ლაშქარი კი ყოველთვის ბაგრატის მხარეზე მოჩანს (ანაკოფიის ბერძნებისათვის გადაცემა არ ეწინააღმდეგება ამ აზრს, რადგან სანაპირო ციხეში მტრის შეშვება მარტო ციხისთავსაც შეუძლია. მით უფრო არ გაუჭირდებოდათ ამისი გაკეთება ციხის მპყრობელ უფლისწულსა და მის დედას).

ვინც ვარანგებს ბაშში, სატახტო ქალაქის, — ქუთაისის მახლობლად უმტკივნეულოდ აყენებს და მათ ნაწილს საომრად ქართლში წაიყვანს, იგი უდავოდ დასავლეთ საქართველოში მეტად მტკიცე პოზიციების პატრონია. ლიხთ-იმერეთი მისი საიმედო ზურგია. ასეთი კი მხოლოდ ბაგრატი იყო. სხვანაირი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება ისტორიული წყაროებიდან. დასავლეთ საქართველოს მხედრობით ებრძვის იგი ანაკოფიისა და ხუფათის ბიზანტიურ გარნიზონებს, უეჭველად დასავლეთ საქართველოს ლაშქარი მიიყვანა მან არყის ციხესთან, საბერძნეთიდან დაბრუნებულ მეფეს „ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა“ ეგებება სიხარულით, მემატიანე დაბეჯითებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ბაგრატს აქუნდა ლიხს ქუემოთი კერძი“ (გვ. 304). ქართლსა და მესხეთში მეფეს მრავალი მომხრე ჰყაჲდა, მაგრამ მისი მთავარი დასაყრდენი მაინც დასავლეთ საქართველო იყო. როგორც წესი, აფხაზეთიდან იწყებდა ბაგრატი ახალ შეტევებს და დამარცხების შემთხვევაშიც იქ იაიზნებოდა. 1047 წელსაც აფხაზეთიდან გადმოიყვანა მეფემ „შიდა ლაშქარი“ და ვარანგები, მაგრამ დამარცხდა და ისევ დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. იქით გაბრუნდნენ ვარანგებიც, რომლებმაც „შიდა ლაშქრის“ გაქცევის შემდეგ ბრძოლა ვეღარ გააგრძელეს (შესაძლებელია, ქვეითი ვარანგები, უკან დახევისას, ჩამორჩნენ „აფხაზებს“, რომლებიც მეტწილად ცხენოსნები იქნებოდნენ, და მარტონი აღმოჩნდნენ ლიპარიტის ლაშქრის წინაშე). გამორიცხული არ არის, რომ კლდეკარის ერისთავმა უვნებლად გაუშვა ისინი და საგზლითაც მოამარაგა იმ პირობით, რომ მის წინააღმდეგ მახვილს აღარ აღმართავდნენ. მსგავსი მაგალითები ისტორიაში ბევრია. ამის შემდეგ ქრება ყოველგვარი ხსენება ვარანგებისა „ქართლის ცხოვრებაში“. სავარაუდოა, რომ ბაშში დაბრუნებული ჩრდილოელები ჩასხდნენ თავიანთ ხომალდებში და სამუდამოდ დაემშვიდობნენ საქართველოს.

[17] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 249, 499.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი აზრით, არ შეიძლება აგრეთვე, რომ „შიდა ლაშქარი“ მხოლოდ სამეფო დომენს—სამოქალაქოს დავუკავშიროთ. ჯერ ერთი, არ ვიცით ზუსტად, თუ სად მდებარეობდნენ იმ დროს სამეფო მამულები. განა შეგვიძლია დაბეჯითებით იმისი თქმა, რომ XI—XII სს-ში სამოქალაქო მთლიანად მეფის დომენი იყო, ან სამეფო მიწები დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს არ მოიცავდნენ? ბაგრატ IV-ის დროს მოხსენიებული „ქუთაისისა სამოქალაქოსა ლაშქარი“, ჩვენი აზრით, ისეთივე ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის (საერისთავოს?) ლაშქარი უნდა იყოს, როგორც იქვე ნახსენები „აფხაზეთისა ლაშქარი“ (იგულისხმება აფხაზეთი ვიწრო გაგებით, აფხაზი ხალხით დასახლებული მხარე) ან „გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი“[18]. არც „ფიცის კაცების“ ჩათვლაა სწორი „შიდა სპის“ გადმონაშთად. მასალები ამ ჩვენთვის საკმაოდ ბუნდოვანი ინსტიტუტის შესახებ მხოლოდ XVIII ს-დან გვაქვს და ამიტომ ძნელია მისი ფესვების XI—XII სს-ში ძებნა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „შიდა ლაშქარი“ იყო მთელი დასავლეთ საქართველოს, ყოფილი აფხაზთა სამეფოს, მხედრობა. ამას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ორივე შემთხვევაში, როდესაც ეს ლაშქარია მოხსენიებული, კონტექსტი გულისხმობს აქციაში მთელი ლიხთიმერეთის ძალების მონაწილეობას.

1047 წ. მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ ლიპარიტ ბაღვაშს გარდა საკუთარი მხედრობისა და დემეტრეს მომხრე ქართველი აზნაურებისა, ეხმარებიან კეისრის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი, კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოები. ასეთ ძლიერ მტერსა და სახელგანთქმულ სარდალს ბაგრატ IV შეეცდებოდა მთელი თავისი ძალებით დაპირისპირებოდა. „შიდა ლაშქარი“ რომ მხოლოდ დომენის მხედრობა ყოფილიყო, საკმაოდ მცირერიცხოვანი იქნებოდა და ასეთი მცირე ჯარითა და ვარანგების 700-კაციანი რაზმით ბაგრატი ლიპარიტის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა. კლდეკარის ერისთავთან საბრძოლოდ მეფემ, უეჭველია, დასავლეთ საქართველოს ძირითადი ძალები დაძრა. ქართლში მას დამატებით, უნდა შეერთებოდნენ ლიპარიტის მოწინააღმდეგე მესხ ფეოდალთა რაზმები, მაგრამ ლიპარიტმა დაასწრო და მეფეს მესხების მოსვლამდე აჰკიდა ბრძოლა.

1116 წელსაც, თუკი დავით აღმაშენებელმა ტაოში ჩამომდგარი თურქების დასარბევად საჭიროდ ჩათვალა ქართლელებიც წაეყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ქართლი ჯერ სელჩუკთაგან გაწმენდილი არ იყო და მისი ძალების ტაოში გადასროლა ადგილზე, ბუნებრივია, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას შეასუსტებდა, იგი მით უმეტეს, წაიყვანდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მთელ იმ მხედრობასაც, რომლის ველზე გამოყვანა იქნებოდა შესაძლებელი. ვინაიდან, ქართლისაგან განსხვავებით, იმერეთს საგარეო საფრთხე არ ემუქრებოდა. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც „შიდა სპის“ ქვეშ მთელი დასავლეთ საქართველოს ლაშქარი იგულისხმება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტერმინი „შიდა ლაშქარი („შიდა სპა“) XI—XII სს-ის ქართულ ნარატიულ წყაროებში დასავლეთ საქართველოს მხედრობას აღნიშნავს. ეს იყო ყოფილი აფხაზთა სამეფოს ლაშქარი, რომელიც ბაგრატ III-მ, „ანოსიანთა“ სამეფო გვირგვინთან ერთად, მემკვიდრეობით მიიღო.

აფხაზეთის სამეფოს ისტორია ბაგრატიონი უფლისწულის ქუთაისში გამეფებით არ დამთავრებულა. თანამედროვეთათვის 978 წელს მოხდა მხოლოდ აფხაზთა მეფეების ტახტზე ბაგრატ ბაგრატიონის ასვლა, რომელიც ამ

---

[18] მატიანე ქართლისა, გვ. 299.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროისათვის მათი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო, თუ არ ჩავთვლით მის ბიძას — უსინათლო და უშვილო თეოდოსის. ივანე მარუშის ძე და მისი თანამოაზრე ფეოდალები ბაგრატის გამეფებით ახალი სახელმწიფოს შექმნას კი არ ცდილობდნენ, არამედ ზრუნავდნენ იმავე აფხაზეთის, — დასავლეთ საქართველოს სამეფოს, ინტერესებისათვის, იმ სამეფოსი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ჰეგემონი იყო. მაგრამ X ს-ის 60-იანი წწ. დასასრულიდან, გიორგი II-ის (922—957 წწ.) შვილებს შორის ატეხილი ბრძოლის შედეგად დასუსტდა („განირყუნა ქუეყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთაგან განწესებული"[19]) და პირველობა ტაო-კლარჯეთს დაუთმო. შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად აფხაზეთის სამეფოს მესვეურებმა ტახტზე დასვეს ბაგრატი, რომელიც დედის მხრივ აფხაზთა მეფეების შთამომავალი იყო და ამავე დროს გააჩნდა ლეგიტიმური უფლებები ქართლსა და ტაო-კლარჯეთზე. დასავლეთ საქართველოს ფეოდალები ამ ახალგაზრდა მეფის წინამძღოლობით აპირებდნენ ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლის განახლებას, რასაც ობიექტურად საქმე საქართველოს გაერთიანებისაკენ მიჰყავდა[20].

ლიხთიმერეთში ფეხმოკიდებულმა ბაგრატიონებმა თანდათანობით შემოიმტკიცეს დანარჩენი ქართული მიწები და ასე შეიქმნა ერთიანი საქართველოს სამეფო[21]. ეს პროცესი საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და საბოლოოდ დასრულდა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ბაგრატ III-ის და მისი უახლოესი მემკვიდრეების მთავარი დასაყრდენი გარეშე მტრებთან ომებში და ქართველი დიდებულების პარტიკულარიზმთან ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა და მისი სამხედრო ორგანიზაცია იყო[22]. XI ს-ში, როდესაც მიმდინარეობს ქართული მიწების შეკრების ინტენსიური პროცესი და ყალიბდება ერთიანი სახელმწიფო, მისი გული, — მთავარი შემადგენელი ნაწილი, — რომელიც, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყველაზე კარგად არის დაცული საგარეო საფრთხისაგან და რომლის მოსახლეობა ყველაზე მეტად ინარჩუნებს ერთგულებას სამეფო ხელისუფლებისადმი, — ლიხთიმერეთია. იგი ამ პერიოდში მტკიცე ზურგია გამაერთიანებელი მეფეებისათვის, სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილი, რომელსაც ეყრდნობიან ისინი შეტევითი ოპერაციების წარმოებისას და თავს აფარებენ მარცხის შემთხვევაში. ამას კარგად ხედავდნენ უცხოელებიც. ამიტომ, ზოგიერთი თანამედროვე ბიზანტიელი ავტორი დასავლეთ საქართველოს უწოდებს „შიდა (უშინაგანეს) იბერიას"[23]. ქართული წყაროებიც, ალბათ ანალოგიური მოსაზრებით, ლიხთიმერეთის მხედრობას ზოგჯერ „შიდა ლაშქარს" ანუ „შიდა სპას" უწოდებენ. ეს ტერმინი, შესაძლებელია ჯერ კიდევ ძველ „აფხაზთა სამეფოში" წარმოიშვა და აღნიშნავდა სახელმწიფოს ისტორიული ბირთვის, ლიხთიმერეთის, ლაშქარს, განსხვავებით, მოგვიანებით შეერთებული ოლქებიდან (ქართლი და სხვ.) გამომავალი რაზმებისაგან.

---

19 მატიანე, ქართლისა, გვ. 275.

20 იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 24.

21 საქართველოს სამეფო კარზე კარგად ახსოვდათ, რომ ერთიანი სახელმწიფოს სათავეში ჩადგომამდე ბაგრატიონები „აფხაზთა" მეფეები იყვნენ. „ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა" — წერს ამის შესახებ ლაშას მემატიანე (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 369).

22 შდრ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

XI ს-ის ქართველი მეფეების ლაშქარში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები მსახურობდნენ. გვხვდებიან აგრეთვე მეზობელი კავკასიელი ხალხებისაგან შემდგარი კონტინგენტებიც. მაგრამ მათი სამხედრო ძალების ბირთვი „შიდა ლაშქარი“ იყო — სამეფოს ცენტრალური ნაწილის ფეოდალური მხედრობა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინი „შიდა ლაშქარი“ იხმარებოდა XII ს-ის 20-იანი წწ. დასაწყისამდე, ე. ი. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საქართველოს გაერთიანება. ეს პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, საბოლოოდ დასრულდა დავით აღმაშენებლის დროს. დედაქალაქის თბილისში გადმოტანის შემდეგ, ლიხთიმერეთი მალე გადაიქცა გაზრდილი სახელმწიფოს განაპირა მხარედ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იგი, როგორც ჩანს, ადრეც, რამდენადმე ჩამორჩებოდა ქართლსა და სამცხე-ტაო-კლარჯეთს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით, დავით აღმაშენებლის დროიდან კი ქვეყნის პოლიტიკურმა და სამხედრო ცენტრმაც აღმოსავლეთში გადმოინაცვლა. შესაბამისად, შემცირდა ლიხთიმერეთიდან გამომავალი ლაშქრის ხვედრითი წონა ქართულ შეიარაღებულ ორგანიზაციაში. თუ ადრე „შიდა სპა“ ქვეყნის სამხედრო ძალების მთავარ ნაწილს წარმოადგენდა, თამარის დროს „აფხაზნი და იმერნი“ უკვე მხოლოდ ერთ სადროშოს შეადგენდნენ, რაც ქართული ლაშქრის, დაახლოებით, 1/4-ს უდრიდა. ტერმინი „შიდა ლაშქარი“ დავიწყებას მიეცა. თუ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი და დავითის ისტორიკოსი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ხმარობენ მას, რაც იმის მაუწყებელია, რომ თანამედროვეთათვის კარგად იყო ცნობილი „შიდა ლაშქრის“ მნიშვნელობა, ვახუშტიმ მის შესახებ უკვე არაფერი იცოდა.

ზემოთქმულის შეჯამებით გამოგვაქვს შემდეგი დასკვნები: 1. „შიდა ლაშქარი“ ანუ „შიდა სპა“ მთელი დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ მხედრობას აღნიშნავს; 2. ეს ტერმინი იხმარებოდა დაახლ. X ს-დან, XII ს-ის 20-იან წლებამდე. 3. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში „შიდა ლაშქარი“ ცენტრალური ხელისუფლების მთავარი სამხედრო ძალაა.

Г. З. АНЧАБАДЗЕ

## О ЗНАЧЕНИИ ТЕРМИНА «ВНУТРЕННЕЕ ВОЙСКО»

Резюме

Термин «Внутреннее войско» встречается в двух нарративных сочинениях из летописного свода «Картлис цховреба» — «Летопись Картли» (XI в.) и «Жизнь царя царей Давида» (XII в.). В статье устанавливается, что этим термином в X — первой четв. XII вв. обозначалось западногрузинское феодальное ополчение.

В процессе борьбы за объединение Грузии в XI — нач. XII вв. «внутреннее войско» являлось главной военной силой центральной власти.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

---

23 იოანე ზონარა, გეორგიკა, VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 233—234.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა აბულაძე

# ოსმალური სიგელები იერუსალიმისა და სინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის

საქართველოს მეფე-მთავრები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრებისა თუ სამწირო ადგილების შესანარჩუნებლად. რადგან მაღალი პორტა წყვეტდა მის მიერ დაპყრობილი ქრისტიანი ერების ყველა საქმეს[1], სამონასტრო ადგილებისათვის ატეხილი დავის მოსაგვარებლად მათ არა ერთხელ მიუმართავთ სულთნის მაღალი კარისათვის სომხებსა და ფრანცისკანელებზე საჩივრით. ეს თხოვნა-არზები, ალბათ, შემორჩა კიდეც ერზერუმის (საქართველო· ერზერუმის სამდივნოს ექვემდებარებოდა) და სტამბოლის არქივებს, ამას მომავალი წარმოაჩენს. დღეს კი მათი შინაარსი ამ თხოვნა-არზების პასუხად გაცემული ე. წ. აჰქამ-ი შიქაჲეთის ტიპის სიგელების წყალობით რამდენადმე მაინც ცნობილია ჩვენთვის.

ერთ-ერთი ასეთი სიგელის ტექსტს შეიცავს სტამბოლში, მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული — „მუჰიმე დავთართაგანი“—XXX, 63[2]. ეს არის სულთან მურად III-ის (1574—1595) მიერ იერუსალიმის სანჯაყბეგისა და ყადის სახელზე 1577 წლის 14 აპრილს გაცემული ჰუქმი. იმერეთის მეფეს გიორგი II-ს (1564—1585) და გურიის მთავარს გიორგი როსტომის ძე გურიელს (1564—1583; 1587—1590) — თურქულ ტექსტში ორივე „მელიქად“ იხსენიება — სტამბოლს კაცი გაუგზავნიათ და სულთნისათვის მოუხსენებიათ, რომ „ქართველთა გვარ-ტომს იერუსალიმში ძველთაგანვე თითო-თითო სალოცავი ადგილი ჰქონდა. ქართველები მიწყივ მიდიოდნენ და ასე თაობიდან თაობამდე ლოცულობდნენ. ახლა კი ფრანცისკანელებმა (Fireng) და სომხებმა (Ermeni) ხსენებული სალოცავი ადგილები ქართველი მოდგმის ბერებს წაართვეს, ძალმომრეობენ და ავიწროებენო“. პასუხად ამისა მურად III ბრძანებს, რომ იერუსალიმის ყადიმ და სანჯაყბეგმა შეკრიბონ ვილაჲეთის პატივდებული ხანდაზმული და გამოცდილი პირები (ანუ კაცნი სარწმუნონი). და აღნიშნული ვითარება გამოირკვიონ. „ნახონ ძველთაგანვე ვიდრე მოაქამომდე ეს სადავო ადგილი (სამწუხაროდ, სახელწოდება მითითებული არ არის. — ც. ა.) ქართველებისაა, თუ იქ მხოლოდ ლოცულობენ. თუ ძველთაგან მემკვიდრეობით მიღე-

---

[1] А. П. Лебедев, История греко-восточной церкви под властью турок, I, Сергиев Посад, 1896.

[2] „მუჰიმე დავთარი“ — მნიშვნელოვანი ბრძანებების წიგნი, დავთარი, რომელშიც ჩაწერილია სულთნის მიერ გაცემული ყველა მნიშვნელოვანი სიგელი, რომელიც არც პეტიციას შეიცავს და არც ფისკალურ საქმეებს; მისი შედგენა დაიწყეს 1553 წელს, შეწყვიტეს 1869 წელს. არსებობს 263 დავთარი, რომელშიც შესულია 200000-მდე სასულთნო სიგელი პროტოკოლის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბული მათი კუთვნილი სალოცავი ადგილდა, კვლავ მათ ალოცინონ. ყველა სხვა შემთხვევაში აუკრძალეთო“.

ასე, სრული პროტოკოლისა და ესქატოკოლის გარეშეა გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი მ. ქირზიოღლუს ნაშრომში[3]. კიდევ უფრო მოკლე თარგმანით არის წარმოდგენილი უ. ჰეიდის წიგნში[4]. საფიქრებელია, რომ სულთნის მიერ გაცემული ჰუქმი დაცული იყოს იერუსალიმში ფრანცისკანთა არქივში ან სომხური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, რადგან, როგორც ქირზიოღლუ წერს, „ჰუქმი ხელთ მისცეს გიორგი მელიქის მიერ გაგზავნილ კაცს“, ის კი მას იერუსალიმში წაიღებდა, რადგან ბრძანება გაცემული იყო იერუსალიმის ყადისა და სანჯაყბეგის სახელზე. აქ ქვეყნდება მ. ქირზიოღლუს მიერ ლათინური გრაფიკით გამოცემული თურქული ტექსტის ქართული თარგმანი.

იერუსალიმის ყადისა და იერუსალიმის სანჯაყბეგისადმი ჰუქმი ის არის, რომ ამჟამად იმერეთის მეფემ და მთავარმა გიორგიმ კაცი გამოგზავნეს — ქართველთა გვარ-ტომს იერუსალიმში ძველთაგანვე თითო-თითო სალოცავი ადგილი ჰქონდა. ქართველები მიწყივ მიდიოდნენ და ასე თაობიდან თაობამდე ლოცულობდნენ. ახლა კი ფრანცისკანელებმა და სომხებმა ხსენებული სალოცავი ადგილები ქართველთა მოდგმის ბერებს წაართვეს, ძალმომრეობენ და ავიწროებენო — გვაცნობეს. ამიტომ მე ვბრძანებ, რომ, როცა ეს ჰუქმი თქვენამდე მოაღწევს. ხსენებული ვილაჲეთის (=იერუსალიმის) გამოცდილი, ხანდაზმული და პატივდებული პირები შეკრიბეთ და აღნიშნული ვითარება გამოირკვიეთ; ნახეთ, ძველთაგან ვიდრე მოაქამომდე ეს სადავო ადგილი ქართველებისა არის, თუ იქ სალოცავად დადიოდნენ. თუ მემკვიდრეობით მიღებული ძველთაგან მათი კუთვნილი სალოცავი ადგილი არის, კვლავ მათ ალოცინონ, ყველა სხვა შემთხვევაში აუკრძალეთ. თუ არზა იქნება საჭირო, დაწერეთ და შემატყობინეთ. ასე იცოდეთ.

დაიწერა ჰიჯრით 985 წლის მუჰარრემის 25 (1-577 წლის 14 აპრილს).

ორი წლის შემდეგ, 1579 წელს მურად III-ს ორი ჰუქმი გამოუცია, რომლითაც ქრისტეს საფლავის ეკლესია ქართველ ბერებს გადაეცა. ადრესატი იერუსალიმის სანჯაყბეგთან ერთად ამჯერად ჩანს ალექსანდრეც, ლევან კახთა მეფის ძე. ტექსტი შესულია „მუჰიმე დავთრების“ XXX. II ტომში 407 და 502 ნომრებად[5] და დოკუმენტების სრული ტექსტის გაცნობის დიდი სურვილს აღძრავს.

1970 წელს ფრაიბურგში, გამოვიდა კლ. შვარცის წიგნი „სინის მო-

---

[3] M. Fahrettın Kırzıoğlu, Osmanlıların Kafkas—Ellerini Fethi (1451—1590), Ankara, 1976, გვ. 420—21.

[4] Uriel Heyd, Ottoman Documents on Palestine 1552—1615, Oxford, 1960, გვ. 181—182. უ. ჰეიდის ნაშრომი მიმოიხილა და ანოტაცია დოკუმენტის თარგმანითურთ დაბეჭდა რ. გაჩეჩილაძემ. იხ. „სამეცნიერო ბიბლიოგრაფიული კრებული“, № 2—3, თბ., 1964, გვ. 37—39.

[5] ცნობა ამოღებულია ჰეიდის ზემოთ დასახელებული წიგნიდან (გვ. 182).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნასტერში დაცული ოსმალო სულთანთა დოკუმენტები თურქულ ენაზე“ (Osmanische Sultansurkunden des Sinai Klosters in türkischer Sprache). წიგნი შეიცავს 250 სიგელის რაობასა და მოკლე აღწერილობას; გამოქვეყნებულია 19 დოკუმენტის თურქული ტექსტი, ფაქსიმილეთი და გერმანული თარგმანით. ამ ცხრამეტიდან ერთი — № 117 — არის სულთან მეჰმედ IV-ის მიერ (1648—1686) 1667 წლის ნოემბერში გაცემული ჰუჯში იმის შესახებ, რომ სინის მონასტრის ბერებს ხელი არ შეუშალონ ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ქრისტიანი ტომებისაგან შესაწირავისა და საზრდოს შეგროვებაში. ფირმანი გაცემულია ანატოლიისა და რუმელიის ვეზირების, ბეგლარბეგებისა და ყადიების მისამართით საკუთარი სახელების აღუნიშნავად, როგორც ეს ხდებოდა საერთოდ, როცა სიგელი მრავალ ადრესატს ეგზავნებოდა და შესაბამისად მრავალი პირი მზადდებოდა.

სინის მონასტერს, როგორც ცნობილია, სულთნის ფირმანით დიდი პრივილეგიები ჰქონდა მინიჭებული — არ იხდიდა ხარაჯას (ბერებზე სულად გადასახადს) და ბაჟს. ჰყავდა ერთი საზღვაო გემი საკუთარი დროშით. ფლობდა მამულებს ხელშეუვალობის უფლებით[6]. უსპენსკი სინაზე პირველი მოგზაურობის შემდეგ წერდა: სინელ ბერებს სულიერი საზრდო აქვთ. მატერიალურადაც საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან, რადგან მათი მონასტერი მამულებსა და მეტოქებს ფლობს სამ კონტინენტზე — ინდოეთში, ეგვიპტეში, სირიაში, მცირე აზიაში, საბერძნეთში, კვიპროსზე, მოლდავეთში, ვლახეთში, საქართველოში, უკრაინაში. მაგრამ ჩამოთვლილი ქვეყნების ოსმალო ხელისუფლები ქრისტიანული სარწმუნოების მსახურთაგან მათ საგამგეო ტერიტორიაზე შესაწირავის შეგროვებას თავიანთ უფლებებში ჩარევად და საკუთრების ხელყოფად მიიჩნევდნენ. ამიტომ ხელს უშლიდნენ მონასტრის მიერ წარგზავნილ პირებს მეტოქებში შესაწირავის შეგროვებისას,ართმევდნენ შეკრებილ თანხას; უკან დაბრუნების დროს გზებზე უხვდებოდნენ და ძარცვავდნენ. ამის გამო სინის მთის ეპისკოპოსსა და ბერებს არზა დაუწერიათ და სულთნისათვის შეუჩივლიათ: „ჩვენ მუდამ ვძლევდით თავშესაფარს მოგზაურთ და ვაჭმევდით საჭმელს. არა რაჲს მქონებელნი ვართ, მაგრამ ღვთივდაცულ ქვეყანასა და ეგვიპტეში, სირიასა და საქართველოში, ვლახეთსა და მოლდავეთში მოგზაურობის დროს, ჩვენი საწყალი წესების თანახმად, იქ მცხოვრებ არამაჰმადიანთაგან შესაწირავისა და საზრდოს შეგროვების ჟამს წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ არ გვიმოქმედნია და არავინ შევვიწროვებია, საჭიროებაც არ გვქონია ვინმეს საქმეში ჩარევისა. ახლა მირმირანი და მირლივას ვოევოდები, სუბაშიები და ემინები, ‘ამელები და სხვა სახელმწიფო მოხელენი მხოლოდ იმიტომ, რომ ქონება მიიტაცონ, გვეუბნებიან, — თქვენ უსჯულოებთან (გიაურებთან) საბრძოლველად მიდიხართო და კიდევ სხვა საბაბით გვეჩრებიან და წინააღმდეგ წმიდა შარიათისა საშველი არ არის მათგან შეურაცხყოფისა და დაშინებისაგან. გთხოვთ, წმინდა ბრძანება გამოსცეთ, რათა კვლავაც ჩვენს ხელთ არსებული უავგუსტოესი ხელშეკრულებისა და ადრე გაცემული წმიდა ბრძანების შესაბამისად ვიმოქმედოთ და იმ ვილაჲეთებში, რომლებშიც ჩვენი უმწეო ადათის მიხედვით შესაწირავისა და საზრდოს შესაგროვებლად ვმოგზაურობთ, დაბებსა და სოფლებში მიმოსვლისას წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ ნურა-

---

6 П. Успенский, Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 году, С-Пб., 1856, გვ. 242, 250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ჩაგვერევა და ხელს ნუ შეგვიშლის, ნურავინ შეგვავიწროვებს და დაგვაშინებს“.

საჩივრის პასუხად სულთანს უბრძანებია „მირმირანი და ვოევოდები მუთესელიმები და სუბაშიები და სხვა სახელმწიფო მოხელენი წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ ნუღარ იმოქმედებენ — უმიზეზოდ და უსაბაბოდ ნუ შეურაცხჰყოფენ და ნუ დააშინებენ. ისე არ მოიქცნენ, რომ აღნიშნული ამბის გამო მათ კვლავ დასჭირდეთ არზის გამოგზავნა“.

საქართველოდან სინის მონასტერს დიდძალი შესაწირავი ეგზავნებოდა. მისი მეტოქე თბილისში იყო წმ. ეკატერინეს ეკლესია (აგებული XI ს-ში) რომელსაც ჰქონდა საკუთარი მეურნეობა და საქართველოს მეფე-მთავართაგან მდიდარი შესაწირავი. ცნობილია გურიის მთავრების სიმონისა და გიორგი III-ის, კაცია დადიანის, ალექსანდრე კახთა მეფის, სოლომონ I, ერეკლე II-ის გიორგი XIII-ის და სხვათაგან გაღებული შესაწირავის ოდენობა და რაობა[7].

ქვემოთ გამოქვეყნებული ფირმანი გაცემულია 1665 წელს, ე. ი. მას შემდეგ რაც ქართლში იმოგზაურა სინის მთავარეპისკოპოსმა ანანიამ[8], რომელმაც შაჰნავაზის დახმარებით სინის მთის მონასტერს დაუბრუნა სოფ. მეღვრიკისი (გორის რაიონში), სამაგიეროდ მონასტერში დაიდო მეფეთა აღაპი და სამარადჟამოდ დაენთო 2 კანდელი[9].

ძირითადად ასეთია ის ცნობები, რომელსაც გვაწვდის აქ გამოქვეყნებული ოსმალური დოკუმენტები საერთოდ მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობისა და უფლებების შესასწავლად და კერძოდ იერუსალიმისა და სინის ქართული კოლონიების ისტორიისათვის[10].

[თუღრა:] მეჰმედი, ძე იბრაჰიმ ხანისა, მარადის გამარჯვებული

კეთილშობილ დესთურს[11], დიდებულ მუშირს[12], ქვეყნის მომწესრიგებელს, ბრძნული გონებით ხალხთა საქმეების წარმმართველს, სწორი განსჯით ბედნიერებისა და კეთილდღეობის ფუძემდებელს, ლაშქრობათა ძალასა და დიდებას, უზენაესი მეფის უხვი წყალობით გაბედნიერებულს,[13] — ეჲალეთის მფლობელს, ჩემს ვეზირს — ფაშას — მაღალმა ალაჰმა ხანგრძლივჰყოს მისი დიდება და ამირთა შორის უკეთილშობილეს ამირს, წარჩინებულთა შორის უდიდესს, ძლიერებითა და პატივით მოსილს, ღირსებითა და ბრწყინვალებით აღვსილს, ბრძენი მეფის უხვი წყალობით გაბედნიერებულს — ბეგლარბეგს — ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება და მაჰმადიან ყადიებს შორის ზეალმატებულ ყადის, უპირველეს სჯულიერ მმართველს, სიკეთისა და რწმენის საბადოს, წინასწარმე-

---

7 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 49—51, 319. Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866, გვ. 66—68.

8 ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, თბ., 1968, გვ. 42, 46.

9 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, თბ., 1892, გვ. 482, 483.

10 იხ. აგრეთვე, ც. აბულაძე, სულეიმან კანუნის ჰუქმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანსცისკანელთათვის გადაცემის თაობაზე; მაცნე, ისტორიის სერია, 1986, № 2, გვ. 121—123.

11 დესთური სპ. دستور 'კანონთა კრებული' (دست + ور—) ასე ერქვა ვეზირებსა და დიდვეზირებს, რადგან მათ კანონთა მიხედვით უნდა ემოქმედათ.

12 მუშირი < არაბ. مشير მრჩეველი, ვეზირის თანაბარი უმაღლესი წოდებისა და თანამდებობის პირი.

13 საკუთარი სახელი ყველგან გამოტოვებულია.

ტყველთა და მოციქულთა ყველაფრის მცოდნე მემკვიდრეს, ქმნილებათა საკრებულოს ჭეშმარიტების დასტურს, მოწყალე მეფის უხვი წყალობით გამორჩეულს — ყადის — გამრავლდეს მისი პატივისცემა და მოსამართლეთა და ყადიების სიამაყეთ, მჭევრმეტყველებისა და სიკეთის მადანთ, ანატოლიისა და რუმელიის ვილაიეთებში მყოფ ყადიებს — გამრავლდეს მათზე სიკეთე.

უავგუსტოესი სიგელი როცა მოაღწევს, ეცნობოს — სინის მთაზე მცხოვრებმა ეპისკოპოსმა და ბერებმა ჩემს ბედნიერების კარს ახლახან არზა გამოუგზავნეს: ჩვენ მუდამ ვაძლევდით თავშესაფარს მოგზაურთ და ვაჭმევდით საჭმელს. არა რაის მქონებელნი ვართ, მაგრამ ღვთივდაცვულ ქვეყანას[14] და ეგვიპტეში, სირიასა და საქართველოში, ვლახეთსა და მოლდავეთში მოგზაურობის დროს, იქ მცხოვრებ არამაჰმადიანთაგან ჩვენი საწყალი წესების თანახმად შესაწირავისა და საზრდოს შეგროვებისას, წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ არ გვიმოქმედნია და არავინ შეგვივიწროვებია. საჭიროება არ გვქონია ვინმეს საქმეში ჩარევისა; ახლა მირმირანი[15] და მირლივას[16] ვოევოდები, სუბაშიები[17] და ემინები[18], ამელები[19] და სხვა სახელმწიფო მოხელენი მხოლოდ იმისათვის, რომ ქონება მიიტაცონ, გვეუბნებიან, — თქვენ უსჯულოებთან საბრძოლველად მიდიხართ და კიდევ სხვა საბაბით გვეჩრებიან და წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ საშველი არ არის მათგან შეურაცხყოფისა და დაშინებისაგან. გთხოვთ, რომ წმინდა ბრძანება გამოსცეთ, რათა ჩვენს ხელთ არსებული უავგუსტოესი ხელშეკრულებისა და ადრე გაცემული წმინდა ბრძანების შესაბამისად ვიმოქმედოთ კვლავაც და იმ ვილაიეთებში, რომლებშიც ჩვენი საბრალო წესების შესაბამისად შესაწირავისა და საზრდოს შესაგროვებლად ვმოგზაურობთ, დაბებსა და სოფლებში მიმოსვლისას წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ ნურვინ ჩაგვერევა და წინ დაგვიდგება, ნურვინ შეგვავიწროვებს და დაგვაშინებს-ო, რადგან ესენი გვაცნობეს, ამიტომ — ახლა ძველი კანონის შესაბამისად სამოქმედო ჩემი ფირმანი გამოვიდა. ვბრძანე, როცა ჩემი წმინდა ჰუქმი მოაღწევს, აღნიშნული ამბავი ჩაიწერეთ და გაითვალისწინეთ, რომ ხსენებულები თავიანთი საცოდავი წესების შესაბამისად ჩემს ღვთიდაცვულ ქვეყანაში მცხოვრებ ქაფირებიდან შესაწირავისა და საზრდოს შესაგრო-

---

14 ასე უწოდებდნენ ოსმალეთის იმპერიას.

15 მირმირანი — ამირთ ამირი, ბეგლარბეგი, ვალი, არაბ. الامرا امير-ს სპარსული ვარიანტი مير ميران

16 მირლივა — სანჯაყბეგი, სადროშოს მმართველი.

17 სუბაში — პოლიციის უფროსი.

18 ემინი — არაბ. امين ზედამხედველი, რწმუნებული, ამ სახელს ატარებდა სხვადასხვა უწყების უამრავი მოხელე. არსებობდა სამხედრო რაზმების, ზარაფხანის, მადნის, ჯიზიას, ბაზრის, საბაჟოს, საჩუქრებისა და ა. შ. ემინი.

19 ʻამელი < არაბ. عامل ხაზინის თანამშრომელი, რომელიც იგზავნებოდა პროვინციებში გადასახადის ასაკრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებლად ვილაჲეთებსა, დაბებსა და სოფლებში მიმოსვლისას წმინდა შარიათის წინააღმდეგ არ მოქმედებენ და არავის ავიწროვებენ, მათ საჭიროება არა აქვთ ჩაერიონ სხვის საქმეებში. ახლა ზოგიერთი მირმირანი და მირლივას ვოევოდები, მუთესელიმები და სუბაშიები და სხვა სახელმწიფო მოხელენი, მხოლოდ და მხოლოდ ქონების მოხვეჭის მიზნით, თუ იტყვიან — თქვენ გიაურებს ებრძვითო და კიდევ სხვა საბაბით წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ უმიზეზოდ ჩაერევიან და შეურაცხყოფენ, აუკრძალეთ და ხელი შეუშალეთ. მათ ხელთ არსებული წმინდა ბრძანებისა და ძველი კანონის შესაბამისად იმოქმედეთ. ამიერიდან წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ ნუ მოიქცევიან და ხსენებულებს უმიზეზოდ და უსაბაბოდ სახელმწიფო მოხელენი ნუ შეურაცხყოფენ და ნუ დააშინებენ. არ დაუშვან, რომ აღნიშნულის გამო კვლავ საჭირო გახდეს საჩივარი. ასე იცოდეთ! ეს ჩემი უავგუსტოესი ჰუქმი, მას შემდეგ რაც მას გაეცნობით, ხსენებულებს ჩააბარეთ. წმინდა ნიშანს მიენდეთ.

დაიწერა 1078 წლის ჯუმად-ალ ევველის თვის მეთექვსმეტე დღეს (=1667 წლის 3 ნოემბერს).

Ц. А. АБУЛАДЗЕ

## ОСМАНСКИЕ ГРАМОТЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ КОЛОНИИ В ИЕРУСАЛИМЕ И НА СИНАЕ

Резюме

С XVI в. грузинские монастыри, обители, приюты и места поломничества, находящиеся в Иерусалиме, постепенно переходили в руки армян и францисканцев. Грузины напрасно старались доказать свое право на них, неоднократно обращаясь к Высокой Порте с жалобами. Султанские фирманы и хюкмы, изданные в ответ на эти жалобы, являются ценными источниками по истории православной церкви вообще, в частности, по истории грузинской колонии в Иерусалиме.

В статье публикуется грузинский перевод турецкого хюкма 1577 года, выданный султаном Мурадом III на имя иерусалимского санджакбега и кади в ответ на прошения имеретинского царя Георгия II и правителя Гурии Георгия Гуриели.

Блистательная Порта активно содействовала иерусалимской патриахии в сборе пожертвований и доходов в метохах Сирии, Грузии и Молдавии. В статье публикуется грузинский перевод хюкма султана Мехмеда IV, выданный в 1667 году в адрес местных турецких сановников, запрещающий им чинить какие-либо препятствия монахам Синайского монастыря при выполнении ими законных обязанностей в Сирии, Грузии и Молдавии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

20 იამბოლი — მდებარეობს ედირნეს ჩრდ. 150 კმ-ის დაშორებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელა გამყრელიძე

# წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში

1985 წელს საქართველოს არქეოლოგიურ კომისიასთან ჩამოყალიბდა წყალქვეშა არქეოლოგიის სექცია, რომლის რჩევითაც შეიქმნა შავიზღვისპირეთის შემსწავლელი ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციას პირველ რიგში დაევალა საქართველოს ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური რუკის შედგენა. ამისათვის საჭირო შეიქმნა ჰიდროარქეოლოგიის თვალთახედვით წერილობითი წყაროების, ზეპირი გადმოცემების და პალეოგეოგრაფიულ-გეომორფოლოგიური მონაცემების ხელახალი გადასინჯვა-შეჯერება[1]. ამ თვალსაზრისით, რესპუბლიკის ზღვისპირეთის ერთ-ერთი საინტერესო უბანია ქალაქი ფოთი და მისი შემოგარენი, სადაც, ძველთაგანვე ცნობილია, რომ ქალაქი ფასისი მდებარეობდა. ფასისი საქართველოს მიწა-წყალზე არსებული მნიშვნელოვანი ურბანისტული კერა იყო[2]. ის პირველად ნახსენებია სკილაქს კარიანდელის თხზულებაში ჯერ კიდევ ამ ოცდაოთხი საუკუნის წინათ. მას შემდეგ ამ სახელწოდების ქალაქს არა ერთხელ იხსენიებენ ძველი ავტორები — არისტოტელე, სტრაბონი, პომპონიუს მელა, არიანე, ზოსიმე, პროკოპი კესარიელი, აგათია და სხვ.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ჰიდროარქეოლოგიური სამუშაოების ქ. ფოთში დაწყება. საქართველოს მეცნ. აკადემიასთან არსებული საქართველოს არქეოლოგიური კომისიისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ ველზე დაჰყო ორი თვე, 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე.

ძირითადი ჰიდროარქეოლოგიური სამუშაოები ექსპედიციამ ზღვაში, ფოთის ნავსადგურიდან სოფელ გრიგოლეთამდე მონაკვეთში (სიგანე ექვსას მეტრამდე) და პალიასტომის ტბაში ჩაატარა. სამუშაოების დროს გამოვიყენეთ აკვალანგები (უკრაინა —2) და მიწის საწოვი დანადგარი. სამწუხაროდ არ მო-

---

[1] Г. А. Гамкрелидзе, Вопросы развития подводной археологии в Грузинской ССР, Сообщения АН Груз. ССР, 1986, № 3, (122), გვ. 502—504.

[2] მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969; ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 271—281; სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქ. ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი, მოხსენებები (თ. მიქელაძე, ო. ლორთქიფანიძე, გ. გრიგოლია, ჭ. ჯანელიძე), თბ., 1973; თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხერხდა ბგერითი იმპულსური ჰიდროლოკატორის გამოყენება, რომელიც ჰიდროარქეოლოგიური ძიებისას კარგ შედეგს იძლევა[3].

ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დაზვერილ აკვატორიაში (ფოთის ნავსადგურიდან სოფელ გრიგოლეთამდე), ზღვის ფსკერზე გეომორფოლოგიური სიტუაცია ფრიად რთულია. ამიტომ ჩვენ აქ ჯერჯერობით ძველი, ნამოსახლარის ნაკვალევს ვერ მივაკვლიეთ. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა მდინარე რიონის ერთ-ერთი შტოს შესართავთან, ნავსადგურის სამხრეთით, სადაც ზღვა მღვრიეა და ხილვადობა ძალიან ცუდია. აქ მდინარეს დიდი რაოდენობით შლამი (ინერტული მასალები) გამოაქვს და ზღვის ძლიერი ღელვის დროს წყალქვეშ წარმოიქმნება ქვიშის ბორცვები. საერთოდ მოცემულ შელფში (ნავსადგური — გრიგოლეთი) ზღვის სანაპირო ზოლი ქვიშა-სილიანია, რაც ხელს უწყობს ზღვის ფსკერის ხშირ ცვალებადობას.

ექსპედიციამ განსაკუთრებული ყურადღება ახალი ლიმონარიუმის და ე. წ. ძველი ბათუმის ხიდის პირდაპირ ზღვაში მდებარე ადგილების შემოწმება-დაზვერვას დაუთმო. ხსენებული ადგილების შესახებ გვქონდა ზეპირი მონაცემები, რომ აქ თიხის ჭურჭლის ნატეხები უნახავთ. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ე. წ. ბათუმის ხიდთან (გრიგოლეთი) ძველად, პალიასტომის ტბა ზღვას უერთდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ პუნქტებში ჯერჯერობით კერამიკის ნაშთები ვერ დავადასტურეთ. არ არის გამორიცხული, რომ ძველი კულტურის ნაშთები ქვიშის სქელი ფენით იყოს დაფარული.

გაცილებით შედეგიანი და საყურადღებო აღმოჩნდა ექსპედიციის მუშაობა პალიასტომის ტბაში (სურ. 19).

პალიასტომის ჩრდილოეთ ნაწილში ქალაქ ფოთის შემოსავლელი გზის, ახალი ხიდის მშენებლობის ადგილზე, კაპარჭინაზე (ე. წ. „ბათუმის ახალი ხიდი“) მშენებლებს 1983—84 წლებში დიდი რაოდენობის კერამიკის ნაშთები უნახავთ. მათი გადმოცემით, თურმე ხშირად მიწასაწოვის ხორთუმი კერამიკის ნატეხებით იჭედებოდა. მიწასაწოვს აქ ტბის ფსკერიდან ქვიშის ამოსაღებად იყენებდნენ. ქვიშა შემდგომ ახალი გზის გაყვანაზე მოუხმარიათ. ჩვენ, ხსენებულ ადგილზე, მართლაც, ვნახეთ თიხის ჭურჭლის ნატეხები — ქვევრის (წვეტიანი ძირები), ქოთნის, ჯამის. ისინი ქრონოლოგიურად ზოგადად შუა და გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნებიან.

პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაწილში, „კაპარჭინას“ ბოლოში, ადგილ „ნაეკლესიარზე“ მებადურ შალვა ქირიას მინიშნებით წყალში, ორ მეტრამდე სიღრმეზე, რიყის ქვებით ნაგები კედლის ნაშთები აღმოჩნდა. კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული და დაახლოებით ოც მეტრზეა შემორჩენილი. მისი სიგანე მეტრზე მეტია. ადგილ „ნაეკლესიარზე“ წყალი ძალიან დაჭაობებულია და წყალმცენარეებიანია, ჭაობის მეთანი ბუშტებად ამოდის; ტბის წყალი გაუმჭვირვალეა. კედელთან უსახო კერამიკის რამდენიმე

---

[3] იხ. Боровиков П. А. О методах поиска древних затонувших судов, Советская археология, 1985, №4. გვ. 256—259; Nautical Archaeology (The International journal of Underwater Exploration), London, 1980, № 3, გვ. 210; Балабанов И. П. Изменения волнового режима Черного моря в позднем голоцене, Известия АН СССР (серия географическая), М., 1984, № 5, გვ. 70—80; Д. А. Хахутайшвили, Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоцена, Кавказско-Ближневосточный сборник, Тб., 1984, გვ 146—151.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1



2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



3



4




5

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა




18 19 20

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნატეხი ამოჩნდა. მათ მიხედვით კედლის თარიღზე დანამდვილებით რაიმეს თქმა გვიძნელდება. შესაძლებელია, რომ კედელი შუა საუკუნეების იყოს.

ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით — ძველად აქ დიდი ეკლესია იდგა, სადაც ღვთისმშობლის ხატი ესვენა. მლოცველები თურმე ცუდად იქცეოდნენ და ხატის წინაშე ქუდს არ იხდიდნენ. ამიტომ ისინი ღმერთმა დასაჯა და ეკლესია წყლით დაფარა, ხოლო ღვთისმშობლის ხატი სხვაგან წაიღო. ძველმა მებადურმა პანტელეიმონ ქირიამ გაიხსენა, რომ სხვა მეთევზეებისაგან გაუგონია, რომ თითქოს „ნაეკლესიარზე“ სათევზაო ბადეს ვერცხლის შანდლები ამოყოლია.

საინტერესოა, რომ ალექსი იევლევის ელჩობის (1650—1652 წწ.) წერილობით ანგარიშში აღნიშნულია — „წინათ ის ღვთისმშობლის ხატი გურიაში იმყოფებოდა და ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იდგაო“. „...ხუცესი საკრებულო ტაძარში შესულიყო და მისი ყოვლად წმინდა ხატი აეღო და ქალაქ პალიასტომიდან გამოეტანა, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა მოელისო“. „...და ღვთის ნება აღსრულდა ამ ციხე-ქალაქზე და ხალხითურთ ჩაიძირა იგიო“. „ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ის ხატი ქუთაის ციხე-ქალაქში გიორგი მეფის[4] დროს არის მოტანილიო, დავით მეფის შვილიშვილის დროსო, თუ უფრო გვიანო“[5].

ალბათ ხსენებული ხატისადმია შეწირული ბარძიმი, რომელიც ინახება ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ინვ. № 3788) — „ქ. ჩვენ ცვა ფარვანთა მონდობილმან თქვენმან ჴელმწიფემა დადიანმა პატრონმა ლევან თქვენ ქუთათისა და პალიასტომისა ღ̃თისა მშობელსა შამოგწირეთ ბარძიმი ესე მას ჟამსა ოდეს შევებენით მეფესა ბაღდადსა ქ. გაგვემარჯვა მაშინ ომში და...“ წარწერა დათარიღებულია XVII ს.[6].

პალიასტომის სამხრეთ-აღმოსავლეთი შენაკადის — თხორინას შესართავთან ნაპოვნია საშუალო ზომის მთლიანი გოფრირებული ამფორა (თიხა ადგილობრივს ჰგავს). ამფორა ქალაქ ფოთის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში ინახება. ადრეული შუა საუკუნეების ამფორების ნატეხებია ნაპოვნი აგრეთვე მდ. ფიჩორის შესართავშიც.

პალიასტომში, ზღვის შესართავიდან (მალთაყვა) დაახლოებით კილომეტრნახევარზე, ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დღევანდელი „გმირთა მემორიალის“ უკან, კაპარჭინას გადმოღმა, ტბაში დადასტურდა III—VIII სს. ნამოსახლარის ნაშთები. ამ ადგილისათვის ყურადღება მიგვაქცევინეს მებადურებმა პანტელეიმონ და შალვა ქირიებმა. მათი გადმოცემით, აქ ჩაგდებულ სათევზაო ბადეს ხშირად „ქოთნების ნატეხები“ მოჰყვებოდა. ხსენებულ პუნქტში („ნატეხები“) ტბა ქმნის მცირე ყურეს (სურ. 1,). ამ ყურეში, კარგ ამინდში, ნაპირთან ახლოს, როცა წყალი შედარებით გამჭვირვალეა, ფსკერზე მართლაც მოჩანს კერამიკის ნატეხები.

პალიასტომის ტბის ადგილის — „ნატეხების“ არქეოლოგიური შესწავლის დაწყებისთანავე წამოიჭრა საკითხი: ეს კერამიკა აქ შემოტანილ-ჩამორეცხილია

---

4 ეტყობა გიორგი III (1156—1184) იგულისხმება.

5 ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. იმერეთში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (გამოსცა ი. ზ. ცინცაძემ), თბ., 1969, გვ. 61, 139, 140.

6 მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის მუზეუმის მასალებიდან, კრებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 156—157.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მდინარე რიონის მიერ (წინათ მდ. რიონის ნაწილი პალიასტომის ტბას ერთვოდა), თუ ადგილობრივი ნამოსახლარის ნაშთებთან გვაქვს საქმე. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პუნქტ „ნატეხებში“ ძველი, ადგილობრივი ნამოსახლარია. ამას მოწმობს: პირველი — აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კერამიკის ნაშთები ერთ გარკვეულ ფართობზე; მეორე — ვერტიკალურად ჩადგმული, თითქმის მთელი, რამოდენიმე ამფორა; მესამე — აღმოჩნდა განადგურებული სამარხის ნაწილი, ვერტიკალურად ჩადგმული თავწატეხილი ამფორით, რომელსაც მეორე ამფორის ძირი ჰქონდა დამხობილი; მეოთხე — ნაპირზე გაჭრილ ხუთ სადაზვერვო თხრილში, დაახლოებით მეტრის სიღრმეზე ტბის დონიდან დაფიქსირდა ისეთივე სახის კერამიკა, როგორიც ტბის ფსკერზე; მეხუთე — ადგილობრივ მცხოვრებლებს ახსოვთ, რომ ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ, ტბის იმ მონაკვეთში, სადაც ახლა ფსკერიდან კერამიკა ამოვიღეთ, ხმელეთი უფრო ტბისკენ იყო. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ტბას ძველი ნამოსახლარის გარკვეული ნაწილი დაუფარავს; ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება.

პალიასტომის ტბაში „ნატეხების“ ძველი ნამოსახლარის ნაშთები დაახლოებით ცხრაასს კვადრატულ მეტრზე, ხოლო ნაპირზე ჯერჯერობით ხუთას კვადრატულ მეტრზე ვრცელდება. ტბის ცხრაასი კვადრატული მეტრი ფსკერი ქვიშიანი და თიხიან-ტორფიანია. მოცემულ მონაკვეთში ნაპირიდან, ტბის ცენტრისკენ, დაახლოებით სამასი მეტრი სილა-ქვიშიანია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. წყალი გაუმჭვირვალეა, რაც აბრკოლებს ხილვადობას. კარგ ამინდში წყალი შედარებით გამჭვირვალეა (ხილვადობა ორმოც სანტიმეტრამდე). ფსკერზე აკვალანგით ყვინთვისას მცირე მოძრაობისთანავე ქვიშა-ტორფი წყალში იმღვრევა და თითქმის არაფერი ჩანს. განსაკუთრებით მკვეთრად იმღვრევა თიხიან-ტორფიანი ფსკერი და წყალი გაუმჭვირვალე, მუქი მომწვანო-მოყავისფრო ხდება. ტორფიანი-თიხის და ტორფის ფენები აქ დაახლოებით ორიდან რვა მეტრამდე სისქისაა. ზოგან ტორფის ფენა ქვიშის ფენის ქვეშაა, რამაც გაგვიძნელა მიწისსაწოვი დანადგარის გამოყენება (მიწისსაწოვი დრაგას ხორთუმი ტორფის ამოღების დროს იჭედება). გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ სწორედ თიხა-ტორფიან ქვედა ფენებში უფრო ძველი პერიოდის (ძვ. წ. IV—II სს.) არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდეს (შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი (სურ. 14 ა) როდოსული ამფორის ძირი, ადგილობრივი კერამიკის ნატეხები).

პალიასტომის ტბის ფართობი თვრამეტ კვადრატულ კილომეტრამდეა[7]. მისი მაქსიმალური სიღრმე ხუთ მეტრამდეა. ტბის წყალი მომლაშოა და ძირითადად მუქი, მოყავისფრო-მომწვანო ელფერი დაჰკრავს. ზღვისა და ტბის დონე თითქმის თანაბარია. ტბის დონე გაზაფხულზე და შემოდგომაზე მატულობს. იგი ძირითადად შენაკადებით და წვიმის წყლით საზრდოობს. მალთაყვის სრუტით ტბაში გარკვეული რაოდენობის ზღვის წყალიც იჭრება (განსაკუთრებით ზამთარში). პალიასტომს დაჭაობებული შემოგარენიდან მდორედ მომდინარე მცირე მდინარეები ერთვის. ამათგან ყველაზე უფრო წყალუხვია სამხრეთ-და-

---

7 პალიასტომისა და მისი შემოგარენის გეომორფოლოგიის საკითხებისათვის იხ. ჭ. ჯ ა- ნ ე ლ ი ძ ე, ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი, ფასისის ლოკალიზაციისადმი მიძღვნილი მოხსენებები, თბ., 1973, გვ. 5—16; მ. ძ ვ ე ლ ა ი ა, კოლხეთის დაბლობი, თბ., 1973, გვ. 32; ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, პალიასტომის ტბის ისტორიისათვის, ჟურ. „მეცნ. და ტექნიკა“, 1953, № 9, გვ. 32—34.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სავლეთი მხარის შენაკადი მდ. ფიჩორი. გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიქტია[8]. ძველად აქ მდ. რიონის ლიმანი იყო[9]. სრულიად ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავთსაყუდელი მდებარეობდა, გემები შემოსულიყვნენ. გემები შემდეგ პალიასტომის გავლით მდ. რიონზე აღმა აგრძელებდნენ სვლას, რომელიც მაშინ ცნობილი სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო (სტრაბონი, XI წ; VII თ. § 3)[10].

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით პალიასტომი „კუალად ფოთის სამჴრით, ზღვს კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღუას მდინარე ამისვე. აქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვს. იპყრობის თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხუნი. ამას იტყჳან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კუალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამჴრით დის მდინარე სუფსეი,..“[11].

აგათია ფასისს პალიასტომის შესახებ გადმოგვცემს: „იქ ხომ ერთი ტბა არის, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტის უერთდება; აი, ეს ტბა არხის საშუალებით გადმოუშვეს აქ და სწრაფად აავსეს წყლით აქაურობა. დიდი სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფაზისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად“[12].

ტოპონიმ პალიასტომის შესახებ საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, რომელიც პალიასტომის სახელს ძველ ბერძნულის მოშველიებით შემდეგნაირად ხსნის—ძველი შესართავი[13] (παλαιός—στόμα). იგივე აზრისაა კარლ კოხი[14]. საყურადღებოა, რომ სტრაბონი მდ. ფასისის შესართავის მიმართ უმეტეს შემთხვევაში ხმარობს λίμνη-ს (დამდგარი წყალი, ჭაობი, წყალსაცავი, ლიმანი, ტბა, ზღვის ყურე)[15]. მაგრამ იგი ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს στόμα-საც (στόματος)[16], რომელიც შესართავს, ყურეს,

---

8 ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, II ნაწ., თბ., 1970, გვ. 151; Гвоздецкий Н. А., Физическая география Кавказа, М., 1958, გვ. 109.

9 Черноморские лиманы и лагуны, сб. Черное море (составители: Вылканов А., Данов Х., Маринов Х., Владев П.), Л., 1983, გვ. 287.

10 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 148; Ямпольский З., К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю, კრებ. ისტ. ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1956, გვ. 161—180 Гозалишвили Г. К. О древнем торговом пути в Закавказье, კრებ. ისტ. ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1956, გვ. 153—160; ოთ. ლორთქიფანიძე. ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მომავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, კრებ. საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. XIX, 1957, № 3, გვ. 377—384.

11 ვახუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), თბ., 1973, გვ. 790.

12 გეორგიკა, III, თბ., (გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბ., 1936, გვ. 102.

13 Frederic Dubuis de Montpereux, Voyage autour du Caucase, III, Paris, 1839, გვ. 71—72.

14 კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1981, გვ. 173.

15 Древнегреческо-русский словарь, М., 1958, т. II, გვ. 1029.

16 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 86.

შესასვლელსაც ნიშნავს[17]. ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებში ზოგჯერ ამ ორ სიტყვას ერთად ხმარობენ — στομά — λιμνον (ლიმანი, ყურე)[18]. ამდენად ისინი რამდენადმე სინონიმური მნიშვნელობის არიან[19].

პალიასტომის ტბაში ადგილ „ნატეხების“ ძველ ნამოსახლარზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვნად წარმოდგენილია კერამიკული ნაწარმი. იგი სხვა სახის არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად (არქეოტოპოგრაფია; მინა, ლითონი და სხვ.) წარმოდგენას გვიქმნის „ნატეხების“ ძველი მოსახლეობის ცხოვრებაზე, სავაჭრო ურთიერთობაზე.

პალიასტომში („ნატეხებში“) აღმოჩენილი კერამიკა დანიშნულების მიხედვით ნაწილდება — სამშენებლო, კერამიკული ტარა და სამეურნეო-საოჯახო (ჭურჭელი კერამიკულ ჩარხზეა დამზადებული). მათში გამოიყოფა ადგილობრივი და შემოტანილი კერამიკა.

საყურადღებოა, რომ ნამოსახლარზე შუა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები არ აღმოჩენილა[20].

სამშენებლო კერამიკა „ნატეხების“ ძველ ნამოსახლარზე წარმოდგენილია კრამიტით და აგურით (სურ. 3).

ნამოსახლარზე დადასტურებული აგურები ძირითადად შემონახულია ნატეხების სახით. აგური ოთხკუთხაა და სისქე 3 სმ-დან 5 სმ-მდე მერყეობს, ხოლო სიგრძე და სიგანე დაახლოებით 30 სმ $\times$ 25 სანტიმეტრამდე.

აგურები ხის ყალიბშია ნაკეთები, რადგან მათზე ხის ანაბეჭდები შეიმჩნევა. მათი თიხა უხეში მოწითალო ყავისფერია. აგურის თიხაში ვიზუალურად შეიმჩნევა კირქვის კვარცის და პიროქსენის მცირე მინარევები. თიხა ძირითადად არათანაბრადაა გამომწვარი.

„ნატეხების“ ნამოსახლარზე აღმოჩენილი აგურები ზომების მიხედვით ზოგადად ისეთივეა, როგორიც დასავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე — ინკიტის ტბა[21], ბიჭვინტა[22], სოხუმი[23], ოჩამჩი-

---

17 Древнегреческо-русский словарь, გვ. 1508—1509.

18 იქვ , გვ. 1509.

19 საინტერესოა აგრეთვე, რომ სიტყვა στόμωμα-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა არის ციხე-სიმაგრე. ამ შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო π͂αλαίος—στόμωμα (ძველი ციხე-სიმაგრე) პალიასტომი//პალიასტომომა.

20 მოჭიქული კერამიკის შესახებ იხ. მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, IX—XIII სს., თბ., 1969, გვ. 12.

21 ო. ლორთქიფანიძე, ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, თბ., 1963, გვ. 97—106, 98.

22 გ. აფაქიძე, ბიჭვინტის სამშენებლო კერამიკა, დიდი პიტიუნტი, ტ. II, თბ., 1977, გვ. 223—248.

23 М. М. **Трапш**, Труды, т. II, Сухуми, 1969, გვ. 318—319.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რე[24], გუდავა[25], ნოქალაქევი[26], მთისძირი[27], ვაშნარი[28], ქობულეთ-ფიჭვნარი[29], ციხისძირი[30], გონიო[31] და სხვ.

„ნატეხების" ნამოსახლარზე წარმოდგენილია ბრტყელი გვერდებაკეცილი (სოლენისებური) კრამიტის ფრაგმენტები. გადანაკეცი ჭრილში თავწაჭრილი სამკუთხედისნაირია. მისი სიმაღლე 3,5 სმ-დან 5 სმ-მდე მერყეობს, სისქე კი 1,5 სმ-დან 2,5 სმ-მდე. კრამიტის თიხა ძირითადად მოწითალო-მოყავისფროა და ეტყობა წვრილი მინარევები (კირქვა, კვარცი, პიროქსენი). ნამოსახლარზე ღარიანი (კალიპტერისნაირი) კრამიტი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. თიხა ხშირად საკმაოდ კარგად არის გამომწვარი. კრამიტებსაც ეტყობათ ხის ყალიბის კვალი. ასეთი სახის კრამიტი შედარებით დიდია და ფორმით ჩამოჰგავს უფრო ადრეული პერიოდისას. ის არ ჰგავს ბიზანტიის მხრებიან კრამიტს, რომელიც შედარებით თხელია[32].

„ნატეხების" ნამოსახლარის ზემოთ განხილული აგურის და კრამიტის ნატეხები თიხის მიხედვით ადგილობრივი ნაწარმია. აქ ადგილობრივის გარდა აღმოჩნდა უცხოური ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის თოთხმეტი ნატეხი. გადანაკეცი ჭრილში წაკვეთილი სამკუთხედის მაგვარია. კრამიტების თიხა გამოირჩევა ღია ნაცრისფერით და თან ოდნავ იისფერი დაჰკრავს. მათში დიდი რაოდენობით პიროქსენის ნამცეცებია შერეული. კრამიტის ფრაგმენტები სინოპურს ჰგავს. შესაძლოა, რომ მცირე აზიის რომელიმე საქალაქო ცენტრიდან შემოტანილ ნაწარმთან გვქონდეს საქმე.

სამშენებლო მასალიდან აგურის და კრამიტის გარდა ნამოსახლარზე ხის ძელების და დამწვარი თიხის (ბათქაში) ნაშთები აღმოჩნდა. გამორიცხული არ არის, რომ აქ აგურით ნაგებ პირველ სართულზე ძელებიანი თიხით შელესილი და კრამიტით დახურული ნაგებობები იდგა. ფლავიუს არიანე აღნიშნავს, რომ „წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგანაა გაკეთებული"[33].

„ნატეხების" ნამოსახლარზე ჯერჯერობით აგურის წყობის ნაშთები არ გვიპოვია.

ძველი „ნატეხების" ნამოსახლარის ჭურჭლის უმეტეს, შეიძლება ითქვას, ძირითად ნაწილს შეადგენს ე. წ. კერამიკული ტარა ამფორების სახით. ამათგან

---

24 С. М. Шамба, Г. К. Шамба, Раскопки древнего Гюэноса, Археологические открытия в Абхазии 1981—82 гг., Тб., 1985, გვ. 19—22.

25 პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გუდავაში 1971 წ., ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, 139—153.

26 ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ტ. I, (რედ. ზაქარია პ.), თბ., 1981.

27 გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982, გვ. 109—110.

28 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, თბ., 1952, გვ. 154.

29 ლ. ჩხაიძე, ფიჭვნარის ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, თბ., 1980, გვ. 48.

30 ა. ინაიშვილი, პეტრა-ციხისძირში 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების ანგარიშები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, თბ., 1974, გვ. 102—153.

31 ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, გონიოს განძი, 1980, თბ., გვ. 9.

32 დიდი პიტიუნტი (რედ. ა. აფაქიძე), თბ., 1977, სურ. 528.

33 ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავიზღვის გარშემო (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ნ. კეჭაღმაძემ), თბ., 1961, გვ. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ცალის (წელშეზნექილი ამფორა) მთლიანად აღდგენა ხერხდება, ხოლო ერთი მთელია. დანარჩენი ამფორები კედლების, ყურების, პირების და ძირების სახით არის შემორჩენილი. ამჟამად ამგვარი თიხის და ფორმის ამფორების ადგილობრივობა ეჭვს აღარ იწვევს (ჩატარებულია ასეთი ამფორების თიხის პეტროგრაფიული ანალიზი), სურ. 4, 5, 7.

ჯერჯერობით დადასტურებულია ადგილობრივი „კოლხური" წარმოების ამფორის სულ ორმოცდაექვსი ძირი. რაც ორმოცდაექვსი ერთეულის არსებობას მოწმობს, ხოლო კედლის ნატეხები ასობით გვხვდება. ამფორები ძირითადად მოყავისფროდ არიან გამომწვარი. მათ კონუსისებური ძირები, განივკვეთში ბრტყელი, ოდნავ ოვალურში გარდამავალი ყურები, ცილინდრული ყელი, პირთან ხშირად რელიეფური წიბო აქვთ. ამფორების ტანი წაგრძელებულია და წელის შეზნექილობით ხასიათდება. მათ ფორმაში განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა, ამფორების თიხა არათანაბრად არის გამომწვარი. თიხაში ვიზუალურად შეიმჩნევა კირქვის და ქარსის წვრილი მინარევები.

ამფორის ორმოცდაექვსი ძირიდან სამს ოდნავ ღილისებური ფორმა აქვს (სურ. 7); კედლის ცხრა ნატეხი გოფრირებულია. „ნატეხების" წელშეზნექილი ადგილობრივი ამფორები ყველაზე მეტ სიახლოვეს იჩენენ ნოქალაქევში გათხრილებთან. საერთოდ ამ სახის ამფორები დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის — ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე სოფ. განთიადი[34], ბიჭვინტა[35], სოხუმი[36], წებელდა[37], ოჩამჩირე[38], გუდავა[39], ნოქალაქევი[40], მთისძირი[41], ფოთი[42], ციხისძირი[43], ვარდციხე[44], ქობულეთ-ფიჭვნარი[45].

ძველი „ნატეხების" სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით, ჯამებით, ლუთერიებით და დოქებით. ისინი ძირითადად კედლის, ძირ-კედლის და პირ-ყელის ნატეხებით არის შემორჩენილი.

---

34 Хрушкова Л. Г., Цендрипшская базилика в с. Гантиади, зоны г. Гагра, Археологические открытия 1980 г. в Абхазии, Тб., 1982, გვ. 43, სურ. 45, I.

35 ქ. ბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე, ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები, დიდი პიტიუნტი, ტ. I, 1975, გვ. 277.

36 Трапш М. М., Труды, т. II, Сухуми, 1969, Таб. XLV.

37 Воронов Ю. Н., Бгажба О. Х. Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985, გვ. 72, სურ. 29.

38 Шамба С. М. Шамба Г. К. Раскопки древнего Гюэноса, Археологические открытия в Абхазии 1981—1982 гг., Тб., 1985, გვ. 20.

39 პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 142.

40 ნოქალაქევი — არქეოპოლისი, I, თბ., 1981, ტაბ. XLII, 1, XLIII, 1.

41 გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982, გვ. 114.

42 თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978, ტაბ. LII.

43 ა. ინაიშვილი, პეტრე-ციხისძირში 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. IV, თბ., 1974, გვ. 102—153, 129, ტაბ. XII, 1.

44 ვ. ჯაფარიძე. ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 84—105, 94.

45 ლ. ჩხაიძე, ფიჭვნარის ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, თბ., 1980, გვ. 39—54, 42 სურ. 2, II.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქოთნები სადა, მუცელგამობერილი და მოკლეყელიანია. მათი ძირი ბრტყელია, ტანი ძირისკენ ვიწროვდება, ხოლო პირი გადაშლილი აქვთ. კედლის სისქე 6 მმ-დან 8 მმ-მდე მერყეობს; ძირის დიამეტრი უმეტესად 7 სმ-დან 10 სმ-მდეა. ქოთნის ოთხი ყური განივკვეთში ოვალურია. დანარჩენი პირ-კედლის ფრაგმენტები უყუროებია. ქოთნებს ფსკერზე ეტყობათ წრიული ღარები, ქოთნის თიხა უმეტესად მუქი მოყავისფროა, კირქვისა და პიროქსენის წვრილი მინარევებით. ქოთნები სადა ზედაპირიანია. თიხა ცუდად არის განლექილი და არათანაბრადაა გამომწვარი.

ამგვარი ფორმის და თიხის ქოთნები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკურ-ადრეული შუა საუკუნეების სხვა ძეგლებზეც. მათ ზუსტ ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე ჯერჯერობით ძნელია დაბეჯითებით საუბარი.

ძველი „ნატეხების“ სამზარეულო კერამიკაში მეორე ჯგუფს რაოდენობის მხრივ შეადგენენ ჯამები. აქ ძირითადად გვხვდება კალთამომრგვალებული ბრტყელძირა დაბალი ჯამები. მათი თიხა უმეტესად მუქი მოყავისფროა და შეიმჩნევა მინარევები (ძირითადად კირქვა, ქარსი). თიხა ცუდად არის განლექილი და არათანაბრადაა გამომწვარი.

ნამოსახლარზევე აღმოჩნდა ლუთერიის ტუჩ-კედლის რამდენიმე ფრაგმენტი (სურ. 15). კეცის სისქე 8 მმ-დან 10 მმ-მდე მერყეობს. თიხა მოყავისფროა, მინარევებიანი (კირქვა, ქარსი, კვარცი). თიხის მიხედვით ადგილობრივი ნახელავია. ამნაირი ჭურჭელი კოლხეთში ანტიკური სამყაროდან გავრცელდა. ძვ. წ. III ს-დან მათ ადგილობრივადაც ამზადებდნენ. ადგილობრივი წარმოების ლუთერიები ნანახია — ვარდციხეში[46], ვანში[47], ბიჭვინტაში[48], ოჩამჩირეში[49], გუდავაში[50], ნოქალაქევში[51], მთისძირში[52] და სხვ.

ნამოსახლარზე მივაკვლიეთ დიდი ზომის პირგადაშლილი, ყელმოკლე და ცალყურა (ყური განივკვეთში ბრტყელია) დოქის რამოდენიმე ზედა ნაწილს. მათი თიხა მოყავისფრო, მინარევებიანია (ძირითადად კირქვა, ქარსი). იგი ცუდად არის განლექილი და არათანაბრადაა გამომწვარი. ასეთივე დოქებია ნაპოვნი ბიჭვინთის ნაქალაქარზე[53].

„ნატეხების“ ძველ ნამოსახლარზე სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ქვევრის ოცდაერთი ნატეხით. აქედან სამი ძირ-კედლის ფრაგმენტია. კედლებზე შეიმჩნევა ძნელად გასარჩევი კონცენტრული რელიეფური ხაზები. ქვევრის თიხა მუქი ყავისფერია და არათანაბრად არის გამომწვარი; შეიმჩნევა მინარევები (ძირითადად კირქვა). ქვევრის ძირები ბრტყელია და მათი დიამეტრი 12 სმ-დან — 16 სმ-მდე მერყეობს. კედლის სისქე 16—19 მმ-მდეა.

---

46 ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარი ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 98.

47 მაგ. № 12, სამარხთან ზედა ფენაში.

48 დიდი პიტიუნტი, ტ. I, თბ., 1975, გვ. 95.

49 Качарава Д. Д., Город Гиэнос в античную эпоху (Автореферат дис. канд. исторических наук), Тб., 1972, გვ. 29.

50 პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 145.

51 ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, თბ., 1981, გვ. 137.

52 გ. გამყრელიძე, ვანის მთისძირის ახალაღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობა, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1978, № 3, გვ. 117.

53 დიდი პიტიუნტი, ტ. I, თბ., 1975, გვ. 226.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პალიასტომის ტბის ადგილ „ნატეხების" არქეოლოგიური შესწავლის შედეგად აღმოჩენილი მასალის ერთი ნაწილი, კერძოდ, უცხოური კერამიკა (მთელი არქეოლოგიური მასალის დაახლოებით 25%) ზოგად წარმოდგენას გვიქმნის აქაური ძველი მოსახლეობის საგარეო ურთიერთკავშირზე. ეს უცხოური ნაწარმი წარმოდგენილია პირველ რიგში კერამიკული ტარით (ამფორები), საოჯახო მოხმარებისათვის განკუთვნილი წითელლაკიანი ჯამების ნატეხებით და მინის ჭურჭლით.

ამფორის ნატეხებიდან უმრავლესობა სინოპური თიხის მსგავსია (სურ. 8, 9, 10). მათი თიხა ღია მონაცრისფროა და თან ოდნავ იისფერი დაჰკრავს. შეიმჩნევა დიდი რაოდენობით პიროქსენის ნამცეცები. ამგვარი თიხის ამფორები ძირითადად წარმოდგენილია ძირების, კედლების და ყურების სახით. უმეტესობისათვის დამახასიათებელია ტანის დაღარულობა. ცნობილია, რომ დაღარულტანიანი ამფორები ძირითადად III საუკუნიდან მოყოლებული გვხვდება.

სინოპურის მსგავსი თიხის ამფორებში, „ნატეხების" ნამოსახლარზე, ფორმის მიხედვით გამოიყოფა რამოდენიმე ჯგუფი: პირველი — კვერცხისებური ძირით (ძირზე ბურცობით); მეორე — ცილინდრისებური ძირით, ზემოთ ოდნავ გაფართოებული ძირის დიამეტრი 11 სმ-დან — 14 სმ-მდე მერყეობს; მესამე — კონუსისებური ძირით.

ვიპოვეთ დიდი ამფორის გოფრირებული ტანის მოზრდილი ნაწილი. ღარები ტანზე არათანაბრად არის განაწილებული. შესაძლოა, რომ ამ სახის დიდ ამფორებს ეკუთვნოდეს მძიმე, ოვალურ განივკვეთიანი ყურები. კედლების ფრაგმენტებზე დაკვირვებისას შეიმჩნევა, რომ თხელკედლიანი ამფორების გოფრირება გამოირჩევა კონცენტრულობით, ხოლო სქელკედლიანებს უფრო არათანაბრად განაწილებული დაღარულობა აქვთ. ზემოხსენებული თიხისნაირი ამფორები აღმოჩენილია — ბიჭვინტაში[54], სოხუმში[55], ოჩამჩირეში[56], გუდავაში,[57], ციხისძირში[58], წებელდაში[59] და სხვ.

შესაძლებელია, რომ ამდაგვარი თიხის ამფორები სამხრეთ შავიზღვისპირეთში მზადდებოდა.

„ნატეხების" ნამოსახლარზე, ღია ყავისფერი მოწითალო ელფერიანი, დაღარულტანიანი, კარგად განლექილი თიხის ამფორების ნატეხები რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზეა. მათში ძირითადად თხელკედლიანი, კონცენტრულად განლაგებულ ღარებიანი და სქელკედლიანი არათანაბრად განაწილებულ ღარებიანი ნატეხები შეიმჩნევა. აღმოჩენილია ამგვარივე თიხის ყურები, რომლებსაც განივ ჭრილში რთული პროფილი აქვთ.

მთლიანად არის შემორჩენილი მცირე ზომის, გოფრირებული ორი ამფორის ზედა ნაწილები. მათ წრიული ღარები ყელამდე ასდით. ყურები უხეშადაა

---

54 დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975, გვ. 263.

33 Трапш М. М., Труды, т. II, Сухуми, 1969, გვ. 324.

56 Качарава Д. Д., Гиэнос (Автореферат дисс. канд. ист. наук), Тб., 1972, გვ. 30.

57 პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები,.. გვ. 143—144.

58 ა. ინაიშვილი, პეტრა-ციხისძირში 1962—65 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები, კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, თბ., 1974, გვ. 151—152.

59 Воронов Ю. Н., Бгажба О. Х., Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985, გვ. 73—74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძერწილი. პირზე რელიეფური ლილვაკი შეიმჩნევა. თიხა ბაცი მოყავისფროა, შეიმჩნევა კვარცის და ქარსის მინარევები. ამგვარი ფორმის ამფორები მრავლად არის გავრცელებული შავიზღვისპირეთში[60]. ისინი ყველაზე დიდ მსგავსებას იჩენენ წებელდის ამნაირსავე ამფორებთან[61] (სურ. 11).

ნამოსახლარზე ცალკე გამოიყოფა ბაც მოყავისფრო-მოწითალო ფერად გამომწვარი ამფორები, რომლებსაც კარგად განლექილი თიხა აქვთ. შემორჩენილი ზედა ნაწილების მიხედვით ისინი საშუალო ზომის ამფორებს მიეკუთვნებიან. მათი კედლები თხელია. ყელი — ცილინდრული, პირის კიდე პროფილირებულია. ყურები განივკვეთში ოვალური. ყურებზე სიგრძივი ქედები დაუყვება. ამფორის ტანი სადაა და გლუვი. ამნაირი ამფორები ნანახია ბიჭვინტაში, ციხისძირში (სურ. 12).

მსგავსი ამფორები აღმოჩენილია ათენის აგორაზე[62]. არ არის გამორიცხული მათი ხმელთაშუაზღვური წარმოშობა.

ნამოსახლარზე მივაკვლიეთ გოფრირებული ამფორების ნახევარსფეროსებურ ძირებს, რომლებსაც წვერზე პატარა ბურცობები აქვთ. მათი თიხა ძირითადად მოყავისფო-მოწითალოა. ამგვარი ძირები ბიჭვინტაში, წებელდაში, სოხუმში და ციხისძირშიც არის ნაპოვნი.

„ნატეხების“ ნამოსახლარზევე აღმოჩნდა კარგად განლექილი, მოყავისფრო-მოწითალო ბაცი თიხის ყურები, რომლებსაც სიგრძივი ქედები დაუყვებათ.

ყურადღებას იპყრობს ე. წ. სამოსური ამფორების ძირები. მათი თიხა მოყავისფრო-მოწითალოდ არის გამომწვარი და კარგად განლექილია (სურ. 16). თიხაში შეიმჩნევა ქარსის მინარევები. ამფორის ძირი წვრილია და კონუსური, წვერიდან დაახლოებით ერთ სანტიმეტრზე გარშემო შემოუყვება რელიეფური ქედი. ამგვარ ძირიანი ამფორები IV საუკუნიდან ვრცელდება. V—VI საუკუნეებში კი მათ ქუსლზე ნახვრეტი უჩნდებათ, რომელიც თანდათან ფართოვდება[63]. კუნძულ სამოსის ამფორები ნაპოვნია ხმელთაშუაზღვის და შავიზღვისპირეთის სამოსახლოებზე[64]. დასავლეთ საქართველოში სამოსური ამფორები დადასტურებულია ბიჭვინტაში[65], სოხუმში[66], ოჩამჩირეში[67], ციხისძირში[68], წე-

---

[60] Якобсон А. Л. Керамика и керамическое производство средневековой Таврики, Л., 1979, გვ. 9, рис. 12; Антонова И. А., Даниленко В. Н., Ивашута Л. П., Кадеев В. И., Раманчук А. И., Средневековые амфоры Херсонеса, сб. Античная древность и средние века, № 7, Уральский гос. университет, Свердловск, 1971, გვ. 81—101, 85, Приложение рис. 6.

[61] Воронов, Ю. Н. Бгажба О. Х., Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985, გვ. 72, სურ. 27.

[62] Robinson H. S. Pottery of the Roman period,The Athenian agora, volume V, New jersey, 1959, გვ. 106, გვ. 28, სურ. 234.

[63] ქ. ბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე, ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები, დიდი პიტიუნტი I, თბ., 1975, გვ. 273—275.

[64] Robinson H. S. Pottery of the Roman..., გვ. 41, სურ. 373; Зеест И. Б. Керамическая тара Босфора, М., 1960, გვ. 118, таб. XXXVIII, 95; Якобсон А. Л. Средневековые амфоры Северного Причерноморья, СА, XV, М.—Л., 1951, გვ. 328.

[65] დიდი პიტიუნტი I, თბ.,1975, გვ. 274.

[66] Трапш М. М., Труды, т. II, Сухуми, 1969, გვ. 324. таб. XLIV 21.

[67] Качарова Д. Д., Город Гиэнос в античную Эпоху (Автореферат канд. диссертации), Тб., 1972, გვ. 30.

[68] ა. ინაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151—152.

ბელდაში[69], ნოქალაქევში[70] და ზღვის სანაპიროდან დიდი მანძილით დაცილებულ ვარდციხეშიც[71].

„ნატეხების" ნამოსახლარის კერამიკულ ტარაში ცალკე გამოიყოფა ბაცი მოყავისფროდ გამომწვარი ამფორები (სურ. 13). მათი თიხა კარგადაა განლექილი, შეიმჩნევა ქარსის უწვრილესი მინარევები. ამგვარ ამფორებს გრძელი და ვიწრო ყელი აქვთ; პირის კიდეზე ლილვისებური წიბო დაუყვებათ. ყურები პირის კიდესთან ახლოა და ჰორიზონტალურად არის მომარაგებული; შემდეგ ყურები კუთხეს აკეთებენ და ვერტიკალურად ეშვებიან ძირს. ყურები ჭრილში პროფილირებულია. ხსენებული სახის ამფორები ფორმით ძალიან ჰგავს ჩრდილო შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე II—III საუკუნის ფენებში ნანახ ამფორებს[72]. საქართველოს შავიზღვისპირეთში ისინი ჯერჯერობით ნაკლებად არის გამოვლენილი.

დიდ ინტერესს იწვევს ნამოსახლარში აღმოჩენილი მოყავისფრო-მონაცრისფრო, კარგად განლექილი ქარსნარევი თიხის ცილინდრისებური მოყვანილობის ამფორის ძირი. იგი ძვ. წ. II საუკუნის როდოსულ ამფორას ჰგავს[73], ან შესაძლებელია ცენტრალურ ხმელთაშუაზღვური წარმოშობის იყოს[74].

„ნატეხების" არქეოლოგიურ მასალაში გვაქვს ერთი, თითქმის მთლიანად შემონახული ამფორისკი. მისი სიმაღლე 17 სმ. ძირი — ცილინდრული, ხოლო ტანი გამობერილი ფორმის არის. ამფორისკის თიხა მონაცრისფრო მუქი ყავისფერია და კარგად არის განლექილი (სურ. 17). ამდაგვარი ამფორისკები აღმოჩენილია ბიჭვინტაში[75], წებელდაში[76], ნოქალაქევში[77].

„ნატეხების" სამოსახლოზე წითელლაკიანი კერამიკის სულ რამოდენიმე ნატეხი აღმოჩნდა. ისინი შემორჩენილია ჯამის პირკედლის ფრაგმენტებით. მათი პირის კიდე შიგნით არის გადახრილი, სადაა, კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული. თიხა თანაბრადაა გამომწვარი და ბაცი მოყავისფროა. მასში შეიმჩნევა ქარსის უმცირესი მინარევები. წითელი ლაკი საკმაოდ კარგად აქვთ შემორჩენილი. ამნაირი ე. წ. terra sigillata დასავლეთ საქართველოს IV—V

---

69 Воронов Ю. Н. Бгажба О. Х., Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985, გვ. 72, სურ. XXX, 30.

70 Леквинадзе В. А. Хведелидзе Л. И. Массовые археологические находки из раскопок Археополиса, Ноколокеви-археополис, I, Тб., 1981, გვ. 120—149, 133.

71 ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93; მართალია, ვ. ჯაფარიძე მათ სამოსურ წარმომავლობას კითხვისნიშნის ქვეშ აყენებს.

72 Шелов Д. Б. Узкогорлые светлоглиняные амфоры первых веков нашей эры (Классификация и хронология), Краткие сообщения Института археологии СССР, №156, М., 1978, გვ. 16—21; სურ. 1, 2, 5; Зеест И. Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 118, ტაბ. XXXVIII, 94

73 Брашинский И. Б., Стандарты родосских амфор, Краткие сообщения Института археологии СССР., № 156, М., 1978, გვ. 11—16.

74 Tchernia A., Zevi F., Amphores vinaires de campanie et de tarraconaise a Ostie, Recherches sur les amphores Romaines, Rome, 1972, გვ. 35—67, 58.

75 დიდი პიტიუნტი, ტ. I, თბ., 1975, ტაბ. 35, III.

76 Воронов Ю. Н. Бгажба О. Х. Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985, рис. XXXII, 15, 16, 17.

77 ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ტ. I, თბ., 1981, გვ. 134, სურ. XLII, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სს-ის ფენებში გვხვდება[78]: გონიოში, ბათუმის ციხეზე, ციხისძირში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ბიჭვინტაში, ვაშნარში, ნოქალაქევში, ქუთაისში, წებელდაში, მთისძირში და ა. შ. საყურადღებოა, რომ ასეთი კერამიკა დიდი რაოდენობით არის ზღვისპირეთში (მაგ. სოხუმი, ბიჭვინტა და ა. შ.), ხოლო შიდა კოლხეთში კი ისინი ცოტაა ნანახი.

„ნატეხების" ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალის კიდევ ერთ ჯგუფს ქმნის მინის ნაწარმი, რომელიც ძირითადად ფეხიანი სასმისებით არის წარმოდგენილი. ე. წ. მინისფეხიანი სასმისებს გარდა აქ აღმოჩენილია რაღაც სხვა ჭურჭლების (მათი ფორმების განსაზღვრა ჭირს) და სასარკმლე მინის ნატეხები. მინის ნატეხები ძირითადად გამჭვირვალეა და ბაცი-მომწვანო ელფერისაა, მაგრამ მოცისფრო და მოყვითალო ფერის ფრაგმენტებიც გვხვდება. ისინი ნაკლებად ირიზებულია (სურ. 20).

შემორჩენილია მინის ჭურჭლის (ლამპარი) მოგრძო-კონუსისებური ნატეხი. მას შიგნიდან კონუსისებური, ღრუ ფსკერი აქვს, ხოლო გარედან დაბოლოებაზე შესქელება შეიმჩნევა. მინა გამჭვირვალეა და წვრილ ბუშტებიანი; ფერი მოყვითალოა. აღმოჩნდა ამავე ფერის მინის ვერტიკალური გლუვი პირები. ასეთი მინის ნატეხები ნანახია წებელდაში[79], გუდავაში[80], მთისძირში[81], სოხუმში[82], ნოქალაქევში[83] და სხვ.

ნამოსახლარზე აღმოჩნდა „მინისფეხიანი სასმისების" ქუსლები. მათი ქუსლი დაბალი კონუსისმაგვარია, წვერზე ღრუიანი ცილინდრით, რომელიც შემდეგ ჭურჭლის ტანში გადადის. ქუსლს გარშემო მილაკი დაუყვება, რომელიც რელიეფურადაა გამოსახული ფეხის ძირზე. სასმისების დმ — 2 სმ-დან — 4 სმ-მდე მერყეობს. მინა გამჭვირვალე, ბაცი-მომწვანო ფერისაა. შიგ შეიმჩნევა წვრილი ბუშტები. მსგავსი ფეხიანი სასმისები IV—VIII სს. თარიღდება და ბევრია ნაპოვნი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა და შავიზღვისპირა ნამოსახლარებზე. ისინი აგრეთვე ნანახია სანაპიროდან დაცილებულ მცირე აზიის, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონებში[84].

მინის ფეხიანი სასმისები საქართველოში დადასტურებულია მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში, ჟინვალში, თბილისში; ბიჭვინტაში, სოხუმში, წებელდაში, ოჩამჩირეში, გუდავაში, ციხისძირში, ვაშნარში, მთისძირში, ვარდციხე-

---

78 რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბ., 1965, გვ. 95—105; თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების „მოამბე", თბ., 1962, № 1, გვ. 231—255.

79 В о р о н о в Ю. Н. Б г а ж б а О. Х. Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985, გვ. 83, рис. 99 9—11.

80 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ვ. ლ ე ქ ვ ი ნ ა ძ ე, გუდავაში 1971 წ... გვ. 146.

81 გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ცენტრალური კოლხეთის... სურ. 34.

82 Т р а п ш М. М., Труды, II, გვ, 343, ტაბ. LVI, 10.

83 ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, ტ. XL, 3.

84 С о р о к и н а Н. П. Позднеантичное и раннесредневековое стекло с Таманского городища. сб. Керамика и стекло древней Тмутараканы, М., 1963, გვ. 143—153; сб. Археологические исследования средневекового Крыма, Киев, 1968, გვ. 151; R o b i n s o n H. S. Pottery of the Roman...,გვ . 116, ტაბ. 54 (სურ. 342); S a l d e r n A., Glas from Sandis, American jurnal of archeieology, v. 66, 1962, № 1, გვ. 10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ში და სხვა ადრეული შუასაუკუნეების ნამოსახლარებზე[85]. მათ ფერში და ფორმაში შეიმჩნევა განსხვავებები. შედარებით უფრო მსგავსია საქართველოს ზღვისპირეთის სამოსახლოების მინის სასმისები. ეტყობა, ისინი რომელიღაც ერთი რეგიონიდან მარაგდებოდა (მახლობელი აღმოსავლეთი).

„ნატეხების“ ნამოსახლარის წყალში მოქცეული ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ნაპირთან ახლოს ქვიშა-თიხიან ფენაში აღმოჩნდა დანგრეული სამარხის ნაშთები. აქ დადასტურდა ძირით ქვემოთკენ ჩადგმული წელშეზნექილი ამფორა, რომელსაც თავი წატეხილი და ზემოდან მეორე ღარებიანი ამფორის ქვედა ნაწილი ჰქონდა დამხობილი. ამფორაში ფრინველის და ცხოველის (ღორი?) დამწვარი ძვლები იყო. ამფორასთან ადამიანის ძვლები, ბრინჯაოს სამი მშვილდსაკინძი (ფიბულა), ერთი ბრინჯაოს ქინძისთავი, მინის სასმისის ფეხი და ბიზანტიური ოც ნუმიანი სპილენძის მონეტა აღმოჩნდა. ეტყობა ორმოსამარხთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელშიც ამფორა სანოვაგით, შესაწირის სახით იყო ჩატანებული (სურ. 18).

ვერტიკალურად ჩადგმული, წაგრძელებულტანიანი წელშეზნექილი ამფორა კარგად არის შემონახული. მისი შემორჩენილი სიმაღლეა 67 სმ; წელის შეზნექის ადგილზე დმ-55 სმ; კედლის სისქე 4 მმ. ამფორას ძირი კონუსური აქვს. კონუსზე ოდნავ შეიმჩნევა სქელი გლუვი ღარები. ამფორის ტანზე შეიმჩნევა ხვრელები. ამფორის თიხა მუქი მოყავისფროა და არათანაბრადაა გამომწვარი. თიხაში ყველაზე მეტად კირქვის ნამცეცები შეიმჩნევა. ამფორა ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს. ამფორას მხართან ორ ასოიანი გრაფიტო აქვს ფი, ომეგა — φω. სურ 118.

მეორე ამფორა, რომლის ქვედა ნაწილიც თავდაყირა ჰქონდა ძირითად ამფორას დამხობილი, დაღარული ტანიანია. მისი ქუსლი არ არის შემორჩენილი. ამფორის თიხა მოთეთრო-ნაცრისფერია და იისფერი დაჰკრავს. მასში დიდი რაოდენობით პიროქსენის ნამცეცები შეიმჩნევა, ამფორა მცირე აზიური წარმოშობისა ჩანს.

დანგრეულ სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ქინძისთავი ბრინჯაოსი; სიგრძე — 7,7 სმ; თავის ბურთულა მრგვალია, დიამ. — 4 მმ; წვერი მახვილი აქვს. ბრინჯაო კარგად არის შემონახული.

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი; სიგრძე — 4,3 სმ; მშვილდი თანაბრადაა მორკალული; იგი ზედა ნაწილში 8 მმ; ხოლო ქვედა ნაწილში 3 მმ; წვერზე ბურთულა აქვს; მშვილდს გარედან სიგრძივად ოდნავ შესამჩნევი ქედი დაუყვება; მუხლი სახსრიანი აქვს და მავთულით დამაგრებული. სახსრის ბოლოებზე სავარაუდო ბურთულების გარდა მშვილდსაკინძი მთლიანად არის შემონახული. ბრინჯაო კარგად არის შემორჩენილი.

---

85 ნ. უგრელიძე, ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 68; მ. ჩხატარაშვილი, მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978, გვ. 21—23; დიდი პიტიუნტი I, გვ. 5; Трапш М. М., Труды II, 1969, Сухуми, გვ. 343; Воронов Ю. Н. Бгажба О. Х., Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985, рис. 98; Археологические открытия в Абхазии 1981—1982 гг. Тб., 1985, таб. XXX, 1—3; X 58—59; პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, გუდავაში 1971 წ..., გვ. 146 ლ. ჩხაიძე, მინის ნაწარმი ციხისძირიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VII, თბ., 1978, გვ. 59—66, სურ. XXI 1, 2; ლ. ჩხაიძე, მინის ნაწარმი ვაშნარის ნაქალაქარიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბ., 1975, გვ. 107—114, სურ. XXXII, 7—10; გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის... სურ. 34; ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ ვარდციხის... გვ. 101.

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი; სიგრძე — 4,3 სმ; მშვილდი თანაბრადაა მორკალული; იგი ზედა ნაწილში 6 მმ; ხოლო ქვედაში 2 მმ-ის სიგანისაა; წვერზე ბურთულა აქვს; მშვილდს გარედან სიგრძივად ოდნავ შესამჩნევი ქედი დაუყვება; მუხლი სახსრიანი აქვს და მავთულით დამაგრებული. სახსრის ბოლოზე შემორჩენილია ბურთულები. მშვილდსაკინძის ენა შემონახული არ არის. ბრინჯაო კარგად არის შენახული.

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი; სიგრძე — 5,2 სმ; მშვილდის მაქსიმალური მოხრის ადგილი უფრო სახსრისაკენ არის. მშვილდის ზედა ნაწილის სიგანე 8 მმ; ხოლო ქვედა ნაწილის 2 მმ; წვერზე ბურთულა აქვს; ბრინჯაო ცუდად არის შემონახული. იგი ადგილ-ადგილ ჟანგისაგან შეჭმულია.

ამგვარი მშვილდსაკინძები (ფიბულები), რომლებსაც ქვინტიანებს ეძახიან VI ს. თარიღდება[86].

ტყვიის ბრტყელი ოთხკუთხა ნაგლეჯი (2 სმ × 1,5 სმ), სისქე — 1,3 მმ.

მინის ფეხიანი სასმისის ქუსლი, ქუსლის დიამ — 4,3 სმ. იგი დაბალი კონუსის მაგვარია, წვერზე ღრუიანი ცილინდრი აქვს. ქუსლის გარშემო მილაკი დაუყვება, რომელიც რელიეფურადაა გამოსახული. მინა გამჭვირვალე, ბაცი — მომწვანოა; შიგ შეინიშნება წვრილი ბუშტები.

ბიზანტიური 20 ნუმიანი სპილენძის მონეტა; ზურგზე გამოსახული აქვს „K“, შუბლის მხარე არ იკითხება. შესაძლოა იუსტინე II (565—578 წწ.) დროს იყოს მოჭრილი.

ამრიგად, პალიასტომში აღმოჩენილი „ნატეხების“ ნამოსახლარის თარიღი ჯერჯერობით ზოგადად III—VIII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს, ხოლო იქვე აღმოჩენილი დანგრეული სამარხი — VI საუკუნით. ნამოსახლარი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ახლო დგას დასავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებთან (ქუთაისის მიდამოები, ვარციხე, ნამაშევი, მთისძირი, ვაშნარი, წებელდა და სხვ.) იგი განსაკუთრებით სიახლოვეს იჩენს ბიჭვინტის, სოხუმის, ოჩამჩირის, გუდავის და ნოქალაქევის არქეოლოგიურ მონაპოვართან.

შესაძლოა, რომ პალიასტომის ტბის ძველი ნამოსახლარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ბიზანტიური ხანის, პროკოფი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილი ფასისის ნაშთებთან.

Г. А. ГАМКРЕЛИДЗЕ

## ИССЛЕДОВАНИЯ ПОДВОДНО-АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ В ОКРЕСТНОСТЯХ Г. ПОТИ

Резюме

В 1985 г. Причерноморская подводно-археологическая экспедиция провела работы в окрестностях г. Поти (морской порт — с. Григолети

---

86 Аброз А. К., Фибулы юга европейской части СССР, Свод арх. источников (Д 1—33), М., 1966, таб. 6.5; ნ. აფხაზავა, ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979, გვ. 23, ტაბ. XIX 24, 25.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



и оз. Палеостоми). В 1,5 км от слияния оз. Палеостоми с Черным морем у его северо-западной части в воде обнаружены остатки поселения III—VIII вв. Со дна озера поднято большое количество керамики. Среди археологического материала значительное место занимают обломки амфорной тары.

Археологический материал, добытый нами в оз. Палеостоми, относится к тому же типу, что и материалы, найденные ранее при раскопках археологических памятников Западной Грузии упомянутого выше периода, каковыми являются Питиунт-Пицунда, Археополис-Нокалакеви, Гудава и др.

Можно предположить, что мы имеем дело с остатками г. Фасиса, упоминаемого в византийских источниках (Прокопий Кесарийский, Агафий и др.).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟუჟუნა ერიაშვილი

# ბერის ინსტიტუტის საკითხისათვის საქართველოში

## 1. განათვლის, მიბარების, საჯელოში ჩადგომის, ზღუბლის დალაჯვის წესების გენეზისის საკითხისათვის ფშავ-ხევსურეთში

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთში) გამოვლენილია და შესწავლილი ერთი რიგი წესებისა, რომელთა, განსაზღვრულ ჯვარ-ხატში თანამიმდევრობით შესრულების შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცი (15—16 წლის) ჯელოსანი (//ჯევისბერი), ანუ თემის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. ხევსურეთში ეს წესებია: განათვლა, მიბარება, საჯელოში ჩადგომა და ზღუბლის დალაჯვა. დაბადებიდან 1—3 წლის ასაკში ბავშვს ჯვარ-ხატში უხდიდნენ განათვლის და მიბარების წესებს. აღნიშნული წესების შესრულების შემდეგ, ვიდრე 15—16 წლამდე, ბავშვს ყოველ 1—2, ან 2—3 წელში ერთხელ ჯვარ-ხატში განათლავდნენ, ანუ ჯვარ-ხატს მსხვერპლად შესწირავდნენ თითო-თითო საკლავს (ჭედილა ცხვარს), ხოლო 15—16 წლის ასაკში ახალგაზრდა („მესაჯელოე“) შეასრულებდა საჯელოში ჩადგომის, ან ზღუბლის დალაჯვის წესს.

ფშავში საჯელოში ჩადგომისა და ზღუბლის დალაჯვის წესები არ იცოდნენ. მათ ნაცვლად აქ იხდიდნენ ჯელ-მჯრის ნათვლის წესს, რომლის შესრულების შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცი (ასევე 15—16 წლის) ჯევისბერი ხდებოდა.

ყოველი ამ წესთაგანის შესრულება, ოჯახის მხრიდან, რაოდენობრივად ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ხარჯის გაღებასთან იყო დაკავშირებული. განათვლისა და მიბარების წესების შესრულებისას საჭირო ხარჯებს ზღვენი ეწოდებოდა და ორი საკლავით იყო განსაზღვრული: მისაბარებლად ჭედილას სწირავდნენ მსხვერპლად, გასანათლავად — ბატკანს. საჭირო იყო აგრეთვე პურები, სანთლები, ლუდი და არაყი. საჯელოში ჩადგომის, ან ზღუბლის დალაჯვისას საჭირო იყო: სამი საკლავი — სამი წლის მოზვერი (კურეტი), ან ჯარი („მამჯნავ ჯარი“), ჭედილა ცხვარი და ბატკანი; იმდენი პური, რამდენი მამაკაციც იყო თემში, ან იმდენი ქადა, რამდენი კომლიც იყო; 1 ან 0,5 კგ. სანთელი, 3 ფუთი ქერისგან დამზადებული ლუდი, არაყი და სხვა, ხოლო ყოველი პერიოდული განათვლისას, ვიდრე 15—16 წლამდე, საჭირო იყო თითო საკლავი.

ჯელ-მჯრის ნათვლისას, თუ ახალგაზრდა მამაკაცი მხოლოდ ჯევისბერი ხდებოდა, მსხვერპლად სწირავდნენ კურეტს (ან ხარს) და ცხვარს; ხოლო თუ ჯევისბერი იმავდროულად „თანამდებობაშიც“ დგებოდა, მაგ., თუ თავჯევისბერი ხდებოდა, საჭირო იყო 9 საკლავი (9 ცხვარი), თუ მეგანძედ, ან მედროშედ დგებოდა —- 7—5 საკლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დადგენილია, რომ ჯელოსანი და ჯევისბერი ფუნქციურად ურთიერთპარალელური ინსტიტუტებია; ისინი არიან ის მეთემე მამაკაცები, რომლებიდანაც ხდება თემის თეოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენელთა — ქადაგის, ხუცესის (//თავჯევისბრის), მეგანძის, მედროშის, მეზარის, მესანთლის, მეკურატის და ა. შ. — დანიშვნა-დადგომა. ის ვინც ჯელოსანი და ჯევისბერი არ იყო ფშავ-ხევსურეთში, ერისგანი (ერისაგანი) იყო და სხვა (დაბალი) უფლებების და ვალდებულებების მატარებელი — თემში[1].

ჯერ კიდევ ადრე მივუთითებდით, რომ ზემოდასახელებული წესები გენეტურად უკავშირდება მრავალეტაპოვან ინციაციის წესებს, ანუ აღნიშნული წესები საწყისს მრავალეტაპოვანი ინიციაციის წესებიდან იღებენო[2]. სხვადასხვა მიზეზის გამო ამ თემაზე იმჟამად ფართო მსჯელობის საშუალება არ მოგვეცა. ამიტომ გადავწყვიტეთ საგანგებო წერილით შეგვევსო ეს ხარვეზი.

წინამდებარე წერილი იკვლევს აღნიშნული წესების როგორც გენეზისის საკითხს, ასევე მათ განიხილავს ვერტიკალურ, ანუ ისტორიულ ჭრილში, მოძრაობასა და განვითარებაში. მაგრამ თავდაპირველად, რამოდენიმე სიტყვით, ინიციაციის წესების შესახებ.

Initiatio ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საიდუმლოებათა განდობას. იგი ეწოდება გვაროვნულ საზოგადოებაში მოქმედ, განსაზღვრული სახის წესჩვეულებათა სისტემას, რომელიც წარმოიშობა შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილების ბაზაზე. როგორც საყოველთაოდ აღიარებული და ცნობილია, გვაროვნული წყობილების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილების საფუძველზე, დამახასიათებელია საზოგადოების დიფერენციაცია ორ ძირითად ასაკობრივ კლასად: უმცროსებად და უფროსებად. საზოგადოების წევრის უფროსთა კლასში ჩარიცხვა ხდებოდა ინიციაციის წესების შესრულებით. წარმოიშობიან რა აღნიშნულ სოციალურ ბაზაზე, ინიციაციის წესები, შემდგომ, თვითონ ახდენენ უკუგავლენას ამავე საზოგადოების განვითარებაზე.

ინიციაციის წესები არსებობას წყვეტენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდეგ და ითვლებიან გადმონაშთებად მათი „მკვებავი“ სოციალური ბაზის არარსებობის გამო, უფრო ხშირად კი გადაიზრდებიან ახალი სოციალური ბაზის შესატყვის სხვა ხასიათის წესებში, რომლებიც გენეტურად, რა თქმა უნდა, დაკავშირებულნი არიან ინიციაციასთან.

მეტ-ნაკლები სრულყოფილებით ინიციაციის წესები გავრცელებულია და აღწერილი ავსტრალიელებში, ახალ გვინეაში, ცეცხლისმიწელებში, ცენტრალური აფრიკის პიგმეებში, კალიფორნიის ტომებში და სხვა ჩამორჩენილ ხალხებში. გადმონაშთის სახით იგი ცნობილია განვითარებულ ხალხებშიც. ასეთად მიჩნეულია ნათლობის წესი ქრისტიანობაში, წინადაცვეთის წესი იუდაიზმსა და ისლამში; ასეთად მიჩნეულია კასტებში ჩარიცხვის წესები ინდოეთში და სხვა.

---

1 დაწვრილებით ამ საკითხებზე იხ. ჟ. ერიაშვილი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, თბ., 1982.

2 იქვე, გვ. 95; მისივე, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, 1983. გვ. 16. საჯელოში ჩადგომის და ზღუბლის დალაჯვის წესებს ასევე ინიციაციასთან აკავშირებდა ვ. ბარდაველიძე (იხ. მისი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, თბ., 1982, გვ. 153—156).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესდღეობით ინიციაციის წესები კარგად არის შესწავლილი და სისტემაშია მოყვანილი როგორც საზღვარგარეთულ, ასევე საბჭოურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში[3].

ინიციაციის სისტემის „კლასიკური“ საფეხურისათვის დამახასიათებელი იყო სოლიდარული ბუნება: მისი შესრულების უფლება ჰქონდა ყველა სქესობრივ-ასაკობრივად მომწიფებულ მამაკაცს და ქალს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ქალთათვის დაწესებული წესები უფრო მარტივი იყო და ნაკლებად საზეიმო სახეს ატარებდა.

ინიციაციის წესები, უმეტესწილად, მრავალეტაპოვანი იყო. ზოგიერთ ქვეყანაში იგი იწყებოდა 10 წლიდან და 25 წლამდე გრძელდებოდა, ზოგიერთში კი — 9 წლიდან და 16 წლის ასაკში მთავრდებოდა.

ინიციაციის სისტემისათვის დამახასიათებელი იყო როგორც სოციალური, ასევე რელიგიური ასპექტი, ხოლო ზოგიერთი ეთნოგრაფი-მკვლევარი მას უფრო სოციალური ხასიათის წესად მიიჩნევს.

მხოლოდ ინიციაციის წესშესრულებული ახალგაზრდა ჩაითვლებოდა გვაროვნული საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. ინიციაციის წესები მიზნად ისახავდა ახალგაზრდის მომზადებას საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ცხოვრებისათვის. ინიციაცია ახდენდა ახალგაზრდობის ფიზიკური მოწიფულობის შემოწმებას წვრთნის, ვარჯიშის, ტკივილისა და შიმშილისადმი გამძლეობის, ოპერაციის ჩატარების საშუალებით (წინადაცვეთა, კბილების ჩამტვრევა, ჭრილობის მიყენება კანზე, ტაბუ ზოგიერთ საჭმელზე, გარე სამყაროსაგან იზოლაცია და სხვ). ინიციაციაგავლილ ახალგაზრდებს გაანდობდნენ ტომის საიდუმლოებებს, მითებს და ა. შ.; ინიციაციაგავლილი ახალგაზრდა იმ ასაკობრივ კლასში ჩაირიცხებოდა, რომელსაც ეწოდებოდა უ ფ რ ო ს ე ბ ი, და რომელიც მკვეთრად იყო გამიჯნული იმ ასაკობრივი კლასისგან, რომელსაც ერქვა უ მ ც რ ო ს ე ბ ი. ეს იყო ინიციაციის სისტემის სოციალური ფუნქცია.

რაც შეეხება რელიგიურ ასპექტს, ინიციაციის სისტემასთან დაკავშირებულ

---

3 ინიციაციის შესახებ მსჯელობისას ვეყრდნობით უმთავრესად ჩვენი მკვლევრების — სემიონოვის, ტოკარევის, პროპის და სხვათა ნაშრომებს, აგრეთვე სხვადასხვა ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების განმარტებებს. იხ. Ю. И. С е м е н о в, Как возникло человечество, М., 1966; С. А. Т о к а р е в, Ранние формы религии, 1964; В. Я. П р о п п, Исторические корни волшебной сказки, Л., 1946, და სხვ.

თავის მხრივ ზემოდასახელებული ავტორები იყენებენ და ეყრდნობიან იმ მდიდარ მასალებს, რომლებიც დაგროვებულია უცხოელ ავტორთა ნაშრომებში, კერძოდ: A. S c h u r t z, Alterklassen und Männerbünde, Berlin, 1902; Webster. Primitive Secrert Societies 1908. L o e b E. M. Tribai initiations and Secret Societies. Univ. of Calif. Publ.; 25, № 3, Berkeley, 1929; F. B o a s. The Social Organization and the Secret Societies of the Kwakiutl Indians. Pep. of the U. S. Nat. Mus. tor 1895, p. 311—737, Wash., 1897; H. N e v e r m a n n. Masken und Geheimbünde in Melanesien. Berlin, 1933. B. S p e n c e r a n d G i l l e n. The Arunta, V. II. London. 1927; იგივე, The Northen Tribes of Central Australia, London, 1904; C. S t r e h l o w. Die Aranda und Loritja—Stämme in Zentral—Australien, B. II. Frankfurt—am—Main; Melbourne, 1947; A. K r o b e r. Handbook of the Indians of Kalifornia. Washington. 1925; P. S c h e b e s t a. Die Bambuti—Pygmäen vom Ituri Ergebnisse. Foschumgsreisen zu dem Zentr—Afrikanischen Pygmäen, II Teil, Bruxelles, 1941—1950. А. Э л ь к и н, Коренное население Австралии, ИЛ. 1952, და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველა რწმენა-წარმოდგენებში გატარებულია ახალგაზრდის სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის, ხელახალი დაბადების აზრი. ეს იდეა სიკვდილისა და ხელმეორედ დაბადებისა დამახასიათებელია ინიციაციის სისტემასთან დაკავშირებული ყველა მითოლოგიური სახისათვის. ახალგაზრდას ნთქავდა საშინელი ურჩხული-ცხოველი და შემდეგ კვლავ ამოაგდებდა. ამისათვის ტყეში, ან ისეთ ადგილებში, სადაც უცხო თვალი ვერ მისწვდებოდა, საგანგებოდ იდგმებოდა ცხოველის ტანის გამოსახულების ნაგებობა, ან კარავი, რომელსაც გარშემო მაღალი და ხშირი მესერი, ღობე ჰქონდა შემოვლებული და რომლის შესასვლელი ცხოველი-ურჩხულის ხახას წარმოადგენდა. ცხოველის ამ ხახაში შესვლა სიკვდილის სწორი მოვლენა იყო, ხოლო იქიდან გამოსვლა ხელმეორედ დაბადების აზრს ეტოლებოდა: «Эта идея смерти и воскресения есть лишь своеобразное религиозно-магическое выражение того факта, что посвященный, переходя в группу полноправных членов племени, как бы вновь рождается и входит в новую жизнь».[4] ამაში და აქ ეთნოგრაფიმკვლევრები ხედავენ ინიციაციის სისტემის კავშირს ტოტემისტურ რწმენებთან. ახალგაზრდებს ნთქავს, და შემდეგ კვლავ ამოაგდებს ცხოველი—ტოტემი, რომელიც შეიძლება სულ სხვადასხვა იყოს.

ინიციაცის წესების შესრულების საზეიმო ნაწილს უნდა დასწრებოდა მთელი ტომი და ტომთა კავშირის წარმომადგენლებიც კი. ამიტომ სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ «Возрастные инициации образуют как бы зачаток, зародыш общеплеменной организации»[5], ხოლო «в религиозной области племенные инициации молодежи, как зародышевая форма племенного строя, должны найти себе отражение в таких религиозно-мифологических представлениях, которые в своем дальнейшем развитии должны или могут стать предметом племенного культа»[6].

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ჩვენთვის საინტერესო წესების ინიციაციის სისტემიდან მომდინარეობა, თვალი გავადევნოთ სამეცნიერო ეთნოგრაფიული ლიტერატურის მონაცემებს ინიციაციის ევოლუციისა და მისი შემდგომი ბედის საკითხზე.

უპირველეს ყოვლისა, ინიციაციის წესების შესრულებიდან გამოირიცხა მდედრობითი სქესის მოსახლეობა. მაგრამ არა ერთბაშად. ინიციაციის წესები მდედრისათვის ჯერ გამარტივდა, შემდეგ ცალკე გამოიყო და ბოლოს ოჯახურ პირობებში ნებაყოფლობით (და არა აუცილებელი) შესასრულებელი წესი გახდა. ამ პერიოდისათვის ინიციაციას ასრულებენ მხოლოდ მამრობითი სქესის ახალგაზრდები. წესები მკაცრი საიდუმლოების ატმოსფეროში სრულდება, მდედრისგან მალულად. მდედრს ეკრძალება იმ ტერიტორიასთან ახლო გავლაც კი, სადაც მამროვანი ინიციაციას გადის. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ეს იყო ინიციაციის გადაზრდა „მამაკაცთა ფარულ კავშირებში“, რაც გვაროვნული საზოგადოების რღვევის პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი: Конечно, **тайные союзы я**вляются прежде всего общественной организацией и притом весьма характерной для эпохи разложения общинно-родового строя. Это один из важнейших рычагов ниспровержения ма-

---

[4] Токарев С. А., Ранние формы религии и их развитие, М., 1964, М., გვ. 221.
[5] იქვე, გვ. 218.
[6] იქვე, გვ. 218—221.

ეროვნული ბიბლიოთეკა



теринского рода и установления господства мужчин в семье и в обществе; в то же время тайные союзы—орудие господства, которое движется к расколу на классы»[7].

აქვე აღვნიშნავთ, რომ „მამაკაცთა ფარული კავშირები“, თუ ორგანიზაცია, სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია როგორც პრიმიტიული სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი ჩანასახი ფორმა.

„მამაკაცთა ფარულ კავშირებში“ მიღება ხდებოდა განსაზღვრული წესების შესრულებით, რომელსაც ბავშვობიდან იწყებდნენ. მაგრამ ეს წესები უკვე ახალგაზრდის ფიზიკური და სულიერი ძალების გამოცდა კი აღარ იყო, არამედ გარკვეული სახის საფასური, სასყიდელი, გამოსაღები. მკვლევართა აზრით, „მამაკაცთა ფარული კავშირი“ იყო «форма организации власти и орудия запугивания всех непосвященных и особенно женщин»[8]. „მამაკაცთა ფარულ კავშირში“ არ იღებდნენ უცხო მიწიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებს.

სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში კარგად არის აღწერილი „მამაკაცთა ფარული კავშირები“ ზოგიერთ ქვეყანაში: მელანეზიაში, ჩრდ. ამერიკაში, დასავლეთ აფრიკაში. მელანეზიაში, მაგ., ასეთი კავშირი გააზრებული იყო როგორც სულების საზოგადოება. „კავშირის“ სათავეში იდგა მდედრობითი სქესის უკვდავი სული, რომლისგანაც იბადებოდა ყველა სხვა სული. „კავშირში“ ახალი წევრის მიღება აღიქმებოდა, როგორც ახალი სულის დაბადება.

ინიციაციასთან ჩვენთვის საინტერესო წესების ურთიერთშედარებითმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ინიციაციისათვის დამახასიათებელი სოლიდარული ბუნება, მდედრის მიერ წესების შესრულება, ფიზიკური და სულიერი ძალების გამოცდა (წვრთნა, ვარჯიში, ჭრილობის მიყენება, წინადაცვეთა, კბილების ჩამტვრევა და ა. შ.) არ შემოგვინახეს საქართველოს მთიანეთის წესებმა. სამაგიეროდ ისეთი ელემენტები, როგორიცაა მრავალეტაპიანობა და წესების შესრულების დასრულება სრულწლოვანების ასაკში (როგორც მინიშნება საზოგადოების დაყოფის ოდინდელ ასაკობრივ პრინციპზე), წესების შესრულებით ერთი საზოგადოებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა (ჯელოსანი, ანუ სრულუფლებიანი ხდება), ტაბუ ზოგიერთ საჭმელზე, ახალგაზრდის იზოლაცია, ხელმეორედ დაბადების იდეის რელიგიურ-მაგიური გამოხატულება (მიბარების წესში შიშველი ბავშვის ჯვარ-ხატის დროშის ქვეშ სამჯერ შეგორების რიტუალი, რომელიც გააზრებულია როგორც ღვთაების მიერ ბავშვის შობის სიმულაცია, ე. ი. ხელმეორედ დაბადება და სხვა) კვლავ არის დამახასიათებელი მათთვის. ეს ის არქაული ნიშნებია, რომლითაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ჩვენთვის საინტერესო წესების ინიციაციასთან გენეტური კავშირი.

თუ ზემოაღნიშნული წესები საწყისს ინიციაციიდან იღებენ, ე. ი. გენეტურად მასთან არიან დაკავშირებული, მაშინ იბადება, უპირველესად ყოვლისა, ასეთი კითხვა: რა უნდა რქმეოდა სახელად ფშავ-ხევსურეთში ინიციაციის წესშესრულებულ ახალგაზრდას (და ინიციაციის წესსაც) საზოგადოებრივი განვითარების იმ საფეხურზე? ჯელი და მისგან ნაწარმოები ტერმინი ჯელო-

---

[7] Токарев С. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 324.

[8] იქვე, გვ. 324.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სანი (და წესის სახელწოდებაც — საჯელოში ჩადგომა), ვფიქრობთ, არ იქნებოდა შესაფერი, რადგან ჯელი უფლების, ძალის მნიშვნელობით გვიანდელი ხანის საზოგადოების (ვთქვათ, გვაროვნულ-თემური საზოგადოების დაშლის, ან ადრეკლასობრივი ხანის საზოგადოების) შესატყვისი უფროა, რამდენადაც აქ უფლების, ძალის მნიშვნელობაზეა აქცენტი. ხოლო მოსალოდნელი, უფრო ადრეული მნიშვნელობები ჯელისა ვიდრე იგი უფლების, ძალის აღმნიშვნელი გახდებოდა, მთიანეთის მასალებით არა ჩანს. უფრო გვიანდელი კი — თანამდებობის პირის (ჯელოსანი, მოჯელე), თანამდებობის (ჯელი, საჯელო), სრულუფლებიანი პირის (ჯელმწიფე), მეფის (ჯელმწიფე) სახელმწიფოს და ა. შ. მნიშვნელობებით ბარის საქართველოდან არის ცნობილი. ე. ი. ჯელის ევოლუციის, ასე ვთქვათ, საშუალო და ბოლო საფეხურებია ჩვენთვის ცნობილი, ადრეული კი არა ჩანს, თუ არ ჩავთვლით დღევანდელ ლიტერატურულ ქართულში ხელის, როგორც ადამიანის ზედა კიდურის აღმნიშვნელი ტერმინის არსებობას. ეს ადრეული მნიშვნელობები შეიძლებოდა ყოფილიყო ბავშვის, ან შვილის, ადამიანის ზედა კიდურის აღმნიშვნელი, რომელიმე ტომის სახელწოდება და სხვა. ადრეული ტრადიციების შემოუნახავობა გვაფიქრებინებს, რომ ჯელი გვიან უნდა შემოსულიყო იმ ეთნიკურ ელემენტთან ერთად, რომელსაც იგი ეკუთვნოდა.

ვფიქრობთ, ასეთი ტერმინი ვერ იქნებოდა ჯევისბერიც (ამ ტერმინში ჯევის არსებობა ხომ მისი წარმოშობის დროზეც მიუთითებს). უფრო შესატყვისი უნდა ყოფილიყო ასაკობრივი მაჩვენებლის შემცველი ტერმინი, კერძოდ ისეთი, რომელიც ახალგაზრდის უფროსთა რანგში, ანუ ასაკობრივად უფროსებში გადასვლის აღმნიშვნელი იქნებოდა.

საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მასალების გააზრების საფუძველზე ასეთ ტერმინად ჩანს ბერი, რომელიც თავისი ერთ-ერთი თავდაპირველი მნიშვნელობით ასაკით უფროსის (და არა ასაკით ყველაზე უფროსის — მოხუცის) ზოგადაღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო, რის ნიადაგზეც შემდეგ თანდათან უნდა განვითარებულიყო ბერის, როგორც უფლებრივად უფროსის მნიშვნელობა. ბერი უნდა რქმეოდა ასაკით უფროსს, მწიფე ასაკის მამაკაცს — სრულწლოვანს და უნდა ყოფილიყო ასაკობრივი გრადაციის იმ საზღვრის აღმნიშვნელი, რომლის იქითაც ახალგაზრდა ზოგადად ასაკით უფროსთა — ბერების-რიგებში (კლასში) ჩაითვლებოდა.

მართალია, ბერი ასაკით უფროსთა კლასის წარმომადგენელთა აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასაკით უფროსთა კლასში შედიოდნენ პირები სრულწლოვანებიდან დაწყებული, მოხუცების ჩათვლით (ასეა ეს მიღებული ზოგად-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში). ამიტომ ბერი ამ კლასის ყველა ასაკის წარმომადგენლის ზოგადი სახელწოდებაც იყო და, მაშასადამე, მათ შორის მოხუცისაც.

მაშასადამე, ბერი იყო ზოგადად ასაკით უფროსის აღმნიშვნელი, ხოლო ასაკით უფროსებში შედიოდნენ: სრულწლოვანები, შუახნის ასაკის პირები და მოხუცები[9]. ასე რომ, ბერი უნდა რქმეოდა ზოგადად ყველას: სრულწლოვანს, შუახნის პირს და მოხუცს.

---

9 თავდაპირველი ზოგადი სახელწოდების გარდა, შემდგომ, თითოეულ მათგანს უნდა გასჩენოდა თავისი საკუთარი სახელიც. აღნიშნულ საკითხზე, მთიანეთის მასალების უქონლობის გამო, ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ინიციაციის წესები წარმოიშვა შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილების საფუძველზე და იგი იყო ახალგაზრდის უფროსთა რანგში გადასვლის აღმნიშვნელი და დამადასტურებელი რიტუალი. მაშასადამე, ჩვენი ვარაუდი, რომ ინიციაციის წესგავლილი ახალგაზრდის აღმნიშვნელი ტერმინი მაინცდამაინც ასაკობრივი მაჩვენებლის შემცველი უნდა ყოფილიყო, სწორ ნიადაგზე დგას. ასეთ ტერმინად ეთნოგრაფიული მასალებით მთიანეთში მოსჩანს ბერი, რომელიც ასაკით უფროსის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავიდან.

ჩვენი იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ბერი უნდა ყოფილიყო ინიციაციის წესშესრულებული, სრულწლოვანი მამაკაცი და ასაკით უფროსთა კლასის წარმომადგენელი ზოგადად, მეტყველებს რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი:

1) დღესაც ფშავში (აგრეთვე ხევსურეთსა და თუშეთში, ზოგჯერ მთიულეთ-გუდამაყარშიც) ჯვარ-ხატის საკულტო ნაგებობათა შორის ხევისბერთა სამყოფელ შენობას ეწოდება საბერო და არა საჯევისბრო. ამ უკანასკნელ სახელწოდებას საქართველოს მთიანეთის არც ერთი კუთხე არ იცნობს (თუ არ ჩავთვლით სადეკანოზოს, რომელიც გაცილებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს). ეს მასალა მთიანეთში ბერის ტერმინ ჯევისბერისგან დამოუკიდებელ, ადრეულ არსებობაზე მეტყველებს.ფშავში საბერო ეწოდება ან ჯევისბერთა სამყოფელ ნაგეგობას, ან დარბაზს — მთავარ საკულტო შენობას, სადაც სადღესასწაულო ღვთისმსახურების წესები სრულდებოდა[10]. ხევსურეთში საბერო ეწოდება საჯელოსნოს, ჯელოსანთა სამყოფელ ნაგებობას და დარბაზს. ასევე თუშეთში სადეკანოზოს საბეროც ეწოდება, ხოლო მთიულეთ-გუდამაყარში საბერო ეწოდება ხატის იმ ნაგებობას, რომლებშიც ჯევისბერები იმყოფებიან ხოლმე დღესასწაულების დროს. როგორც ჩანს, საბერო მთის კუთხეებისათვის საერთო ტერმინია.

2) წყაროებში დაცული ტერმინი „თავადი ჯევისა ბერი“, „ქალაქის ბერნი“ („ძეგლი ერისთავთა“, „ქართლის ცხოვრება“), აგრეთვე მიუთითებენ ბერის დამოუკიდებელ, თავდაპირველ არსებობაზე. ერთ შემთხვევაში ბერი ხევისაა, მეორეში კი ქალაქის[11]. ეს უკანასკნელი, ბარის საქართველოში ბერის ინსტიტუტის არსებობის ფაქტზეც მეტყველებს.

3) მთიანეთის გარდა, ტერმინი ბერი დამოწმებულია ბარის რაიონების ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. ქართლში ბავშვის „ბერად დაყენების“ და კახეთში

---

„ჰასაკი სამ უმთავრეს წლოვანებას შეიცავდა, რომელთაც ეძახდნენ ხოლმე „ჭაბუკს“, „შუაკაცს“ და „ბერს“, მთის რეგიონისათვის არ გამოგვადგება (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნარკვ. 2, გვ. 366).

10 წიგნში: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“, ტ. I, საბეროს — დარბაზის საკითხთან დაკავშირებით, ვ. ბარდაველიძე წერდა: „ამგვარ დარბაზებს შორის იმავე ფშავში ჩვენმა ექსპედიციებმა დააფიქსირა ისეთი საბერო, რომელიც წარმოადგენს ე. წ. ტაძარს ანტებში... ნაგებობის ეს სახეობა — დარბაზის სახელწოდებით შემონახული ტაძარი ანტებში, წარმოშობილი ჩანს ქართულ ნიადაგზე, რამდენადაც თავისი ფესვებით იგი უნდა უკავშირდებოდეს უძველესი ფორმის მეგარონს, რომელიც აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების დროს ურბნისში ქვაცხელების ნამოსახლარზე და თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით, კერძოდ მისი პირველი ნახევრით“ (ტ. I, გვ. 16) მითითებულია ალ. ჯავახიშვილი ლ. ღლონტი, ურბნისი I, ქვაცხელების (ტელეპიაქოხის) ნამოსახლარზე 1954—1961 წწ. ჩატარებული გათხრები, თბ., 1962, გვ. 58—64. ეს მასალაც, ბერისა და საბეროს უძველესობის მოსაზრებას უჭერს მხარს.

11 ქალაქის ბერთა საკითხი შესწავლილი აქვს შ. მესხიას, იხ. მისი საქალაქო კომუნა შუა საუკუნების თბილისში, 1962 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვის „ბერად შეყენების“ წესები თავისი ოდინდელი სოციალურ-რელიგიური ფუნქციით ფშავ-ხევსურეთში დამოწმებული ბავშვის „მიბარების“ წესის ანალოგიურად მოჩანს[12]. აღნიშნული ეთნოგრაფიული მასალაც ბერის ინსტიტუტის საქართველოს ბარში არსებობის ფაქტზე მიუთითებს. აქვე შევნიშნავთ, რომ „ბერად დაყენების“ წესის გავრცელების უკიდურესი დასავლეთი საზღვარი არის ხაშურის რაიონი და მისი მიმდებარე სოფლები. ამ საკითხზე საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება და მასალებს ვკრეფდით 1972 წლის ქართლის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობის დროს (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდ. ლ. ფრუიძე); რადგან ექსპედიციას მუშაობა უხდებოდა როგორც ქართლის, ასევე იმერეთისა და იმერეთ-ქართლის საზღვრის სოფლებში, ამდენად წესის გავრცელების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ სამი რაიონი: ა) ქართლის სოფლები, სადაც აღნიშნული წესი გავრცელებულია; ბ) იმერეთ-ქართლის საზღვრის სოფლები, სადაც ხან გვხვდება და ხან არა იგი; გ) იმერეთის სოფლები, სადაც „ბერად დაყენების“ წესი არ არის გავრცელებული.

ზოგადად ბერის ინსტიტუტის არსებობის ბაზაზე შეიქმნა შემდგომ კერძოდ ჴევის ბერის (ჴევების წარმოქმნის ხანიდან)[13] და მისგან განსხვავებით ქალაქის ბერის (ქალაქების წარმოშობის ხანიდან) ინსტიტუტები. ჴევის ბერი და ქალაქის ბერი, ორივე, საწყისს, რა თქმა უნდა, ბერის ინსტიტუტიდან იღებს.

მაშასადამე, ინიციაციის წესგავლილ ახალგაზრდას საქართველოს მთიანეთში და ერთ დროს ბარშიც, უნდა რქმეოდა ბერი[14].

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო წესებს საქართველოს მთიანეთიდან. უპირველესად ყოვლისა, მათთვის უკვე ნიშანდობლივი აღარაა ინიციაციისათვის დამახასიათებელი სოლიდარული ბუნება. აღნიშნული წესების შესრულების უფლება აღარ აქვს საზოგადოების ყველა წევრს, როგორც ეს მიღებული იყო ინიციაციის სისტემაში. სათემო სალოცავში წესებს ასრულებენ და ჴელოსნებად ხდებიან (//ჴევისბერებად ხდებიან) მხოლოდ ე. წ. უნჯნი//მკვიდრნი, ანუ თემის ტერიტორიის პირველმოსახლენი. მ ო ს უ ლ ნ ი, ანუ თემის ტერიტორიაზე მკვიდრის შემდეგ დასახელებულნი, წესებს ასრულებენ მხოლოდ თავიანთ საკუთარ (საგვარო, ან მამიშვილობის) სალოცავში, თუ კი ასეთი მათ გააჩნიათ, თუ არა და არსად არ ასრულებენ — საერთო, სათემო სალოცავში აღნიშნული წესების შესრულება მათ არ შეუძლიათ. წესების შესრულებაში მომხდარ ამ ცვლილებას აპირობებს შეცვლილი საზოგადოებრივი წიაღი. ინიციაციის წესები ჩაისახნენ და ფუნქციონირებდნენ გვაროვნულ თემში (ასეა ეს მიღებული ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში), ჩვენთვის საინტერესო წესები კი უკვე ტერიტორიულ თემში მოქმედებენ და უფრო მოგვიანებითაც.

---

12 ბავშვის „ბერად დაყენების“ წესის შესახებ ქართლში იხ.: ჟ. ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 147—150; შდრ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმომხილველი, 1949, № 1.

13 ხევების ჩამოყალიბება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიახლოვებით ძვ. წ. XII საუკუნეში იწყება. იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 41.

14 რაც შეეხება წესის სახელწოდებას, ის შეიძლება, ტრადიციის შესაბამისად, ყოფილიყო „ბერად დაყენება“, ან „ბერად შეყენება“, ანდა „საჴელოში ჩადგომის“ ნაცვლად ყოფილიყო „ბერაში ჩადგომა“, ან „ბერაში დაყენება“, რის შესახებაც შემდეგში გვექნება საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეხება უნჯი//მკვიდრი მოსახლეობის შიგნით მათ ფუნქციონირებას, აქ ჯერ კიდევ ვამოწმებთ ისეთ თემებს, რომელთა შიგნით განათვლის, მიბარების, საჯელოში ჩადგომის, ზღუბლის დალაჯვის წესების შესრულების უფლება აქვს ყველა მამროვანს განსაზღვრულ ასაკში (სრულწლოვანების ასაკში). მაგრამ ზოგიერთ თემში უნჯი//მკვიდრი მოსახლეობის შიგნით მომხდარ საზოგადოებრივ-უფლებრივი განშრევების საფუძველზე ყველა მამროვანს აღარ აქვს წესების შესრულების უფლება, რადგანაც ზოგ მათგანს „ჯვარ-ხატი არ ითხოვს", „არ მაიკვლევს". „მაკვლევა" გამოიხატება „დამიზეზებით", ავადმყოფობით, ოჯახში მომხდარი რაიმე უბედურებით, სიზმრის ნახვით და ა. შ. უნჯი გვარის მამიშვილობათა შორის ზოგს ეძლევა წესების შესრულების უფლება, ზოგს — არა. ანდა, მამიშვილობის შიგნითაც ზოგჯერ წესებს ასრულებენ და ჯელოსნებად (კევისბერებად) ხდებიან მხოლოდ უფროსი ძმის ჩამომავალნი. უფროსი ძმის ჩამომავალთა შიგნით ხელოსნობა შეიძლება მამიდან შვილზე გადადიოდეს და შეიძლება არა მამიდან შვილზე, არამედ ძმისწულზე. ოჯახის შიგნით კი ზოგჯერ ჯელოსნები არიან უფროსი ძმები, უმცროსი ძმა და მისი ჩამომავლობა (შვილი, შვილიშვილი) კი არა[15].

წესების შესრულებაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორიც. როგორც უკვე აღვნიშნავდით, საქართველოს მთიანეთის წესებში ფიზიკური და სულიერი ძალების გამოცდა, ესოდენ დამახასიათებელი ინიციაციისთვის, შეცვლილია მატერიალური (ნატურალური სახით) ანაზღაურებით, რომელსაც თითქოს გამოსაღების სახე აქვს მიღებული. იმისათვის, რომ აღნიშნული წესები შეასრულოს, მთიელის ოჯახმა უნდა გაიღოს განათვლის და მიბარების დროს 2 საკლავი, პურის, ლუდის, არაყის, და სანთლის განსაზღვრული რაოდენობა. შემდეგ ამისა, ყოველ 1—2 წელიწადში, ან 2—3 წელიწადში ერთხელ, ვიდრე 15—16 წლამდე, მან ჯვარ-ხატს უნდა შეწიროს თითო საკლავი, ხოლო საჯელოში ჩადგომის ან ზღუბლის დალაჯვის დროს 3 საკლავი (ამათგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამი წლის მოზვერი, ან „მამჯნავ ჯარი"), იმდენი პური, რამდენი მამაკაციც არის სოფელში, ან იმდენი ქადა, რამდენი კომლიც არის სოფელში: 1 ან 0,5 კგ. სანთელი, 3 ფუთი ქერისგან დამზადებული ლუდი, არაყი და სხვა. როგორც საარქივო მასალები აღნიშნავენ კიდეც, ყველაფერი ამის გაღება შეეძლო მხოლოდ ეკონომიკურად შეძლებულ ოჯახს. იმ ოჯახებისათვის, ვისაც ხელოსნობა „მოუდიოდათ", მაგრამ ვერ შეძლებდნენ წესის გადახდას, ხელოსნად დადგომის წესის სრულიად სახევსურეთო ნორმები ითვალისწინებდა შეღავათს გამოსაღებში: ახალგაზრდა შეწირავდა მხოლოდ ერთ საკლავს და ასე გახდებოდა ჯელოსანი. მაგრამ ასეთ ჯელოსანს განსხვავებული, უფრო ნაკლები უფლებები ჰქონდა, ვიდრე „საჯელონაქნარს", ან „ზღუბლნალაჯს". ამ კონკრეტული, ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ „საჯელოსნო" (ადრეული „საბერო") და მათგანაც მხოლოდ „ზღუბლნალაჯი" და "საჯელოიანი" ჯელოსნები (ადრეული ბერები) შეადგენდნენ უნჯი//მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიკურად შეძლებულ საზოგადოებრივ წრეს[16].

ანალოგიური მდგომარეობაა ფშავშიც. კევისბერები (იგივე ოდინდელი ბერები) დგებოდნენ მხოლოდ მკვიდრი გვარებიდან 15—16 წლის ასაკში. ყო-

---

[15] დაწვრილებით ამ საკითხებზე იხ. ქ. ერიაშვილი, დასახ. ნაშრომი.

[16] იქვე, გვ. 128—129.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ველი მკვიდრი გვარიდან, თუ მამიშვილობიდან, აუცილებლად დგებოდა თუნდაც ერთი ქევისბერი. განსხვავებით ხევსურეთისგან, ფშავში არ მოწმდება ისეთი თემები, რომლებშიც მკვიდრთაგან ყველა მამაკაცი ქევისბერია. გარდა ჰკვიდრისა, ქევისბრად დგებოდნენ აგრეთვე მოსულის შემდეგი კატეგორიებიდან: ქელდებულისა და მოყვანილისგან. ფშაურ ხატში იმდენი ქევისბერია, რამდენიც მსახურია, დაახლოებით 9—10. — ფშავში ტერმინი ქევისბერი ხატის მსახურთა[17] ზოგადაღმნიშვნელი სახელია.

წესების შესრულებაში დამოწმებული ეს ცვლილებები ჯერ კიდევ ბერის ინსტიტუტის ხანაში უნდა მომხდარიყო.

ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მასალებით, ვინც ქელოსანი (//ქევისბერი) არ იყო თემში, ის ერისგანი (ერისაგანი), ანუ ერის წარმომადგენელი იყო. ხევსურულ მსხვილ სათემო გაერთიანებებში შემავალ, მარტივი სტრუქტურის მქონე, მცირე სათემო გაერთიანებებში ქელოსანი იყო ყველა მეთემე და ამდენად, თითქოს ამ თემებს არ ჰყავდათ ერისგანები, ანუ ერის წარმომადგენლები. ამავე დროს, სხვადასხვა თემებში, რაოდენობრივი შეფარდება ქელოსნებსა (ქევისბერებსა) და ერისგანებს შორის არ იყო ერთნაირი. განსხვავება ჩანდა რეგიონალურადაც — ხევსურეთის თემების უმრავლესობის მოსახლეობის შიგნით ხელოსნები ჭარბობდნენ, მაშინ, როდესაც ფშავის თემებში ქევისბერები უმცირესობას შეადგენდნენ, ერისგანები კი უმრავლესობას.

ის, ვინც ინიციაციის წესს ვერ გაივლიდა, ის ვინც ბერი (მოგვიანებით ქელოსანი და ქევისბერი) არ იყო, ერისგანი, ანუ ერის წარმომადგენელი იყო.

აღნიშნულმა მასალებმა გვაფიქრებინა, რომ ერი, როგორც სოციალური ფენა და, როგორც ტერმინი, ჩასახული და წარმოშობილი ჩანს ბერის წიაღში, გვაროვნული თემის დაშლის საფეხურზე, სოციალ-ეკონომიკური განშრევების საფუძველზე, რასაც მნიშვნელოვანი კორექტივი შეჰქონდა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულებაში, რომლის მიხედვითაც ქურუმთა წრის გამოყოფა ერიდან ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეს მსჯელობა მთიანეთში დამოწმებულ კონკრეტულ ეთნოგრაფიულ მასალას ეყრდნობოდა, კვლევის დღევანდელ ეტაპზე იგი არასწორად გვეჩვენება.

უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა (და ამაში ქვემოთაც დავრწმუნდებით), რომ ერი უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ეთინკური ერთობის მქონე ხალხი, და ამ ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმი, რომელიც ადრევე უნდა არსებულიყო. ჩვენს შეთხვევაში კი ადგილი უნდა ჰქონდეს ამ ეთნიკური ფენის სოციალურ ფენად გარდაქმნის პროცესს. ერის, როგორც გარკვეული ეთნიკური ერთობის შიგნით, საზოგადოებრივი განვითარების გვაროვნულ საფეხურზე, შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დანაწილების საფუძველზე ჩნდება და თანდათან გამოიყოფა ბერების ფენა. თავდაპირველად, ინიციაციის წესებისათვის დამახასიათებელი სოლიდარული ბუნებიდან გამომდინარე, რაც ნაწილობრივ დღესაც შენარჩუნებულია თემის უნჯი (მკვიდრი) მოსახლეობის შიგნით, ერის ყველა წარმომადგენელს უნდა ჰქონოდა მისი შესრულების უფლება. უფრო სწორად, ინიციაციის წესების შესრულება აუცილებელიც კი იყო

---

17 „ხატის მსახურნი“ თემში ორგანიზატორული ფუნქციების (საერო და სასულიერო) მატარებელი პირები იყვნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გვაროვნული თემის ყველა წევრისათვის. ამიტომ ამ ხანისათვის ერი და ბერი უთუოდ ერთმანეთს ფარავდა. შემდეგში, სოციალ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად, ხდება ბერის წრის თანდათანი გამოყოფა (ბერის წრის თანდათანი დავიწროება გაგებულ უნდა იქნას, როგორც ბერის წრის გამოყოფა) ერისგან. რაც უფრო მკვეთრად ემიჯნება ბერი ერს, მით უფრო ვიწროვდება ბერის წრე, ხოლო ერისა — ფართოვდება. შემდეგში ბერი და ერი მკვიდრთა (ანუ თავისუფალთა) ორი, საზოგადოებრივად განსხვავებული, ფენის სახით ჩამოყალიბდება, ხოლო ბერის ტრადიციას გააგრძელებს ჴევისბერი და ჴელოსანი. ვფიქრობთ, ჴელოსანი ჴევისბერზე კიდევ უფრო მოგვიანებით ჩნდება. იგი იმ ეთნიკური ფენის კუთვნილი ტერმინი არ უნდა იყოს, რომელსაც ბერი ეკუთვნის. ჴელოსანის ინსტიტუტი განსაკუთრებით კარგად ჩანს ხევსურეთში, ჩანს თუშეთშიც, ნაკლებად, სუსტად — მთიულეთში. ჴელოსანი ჩანს სვანეთშიც—ჴალსვან; ჴალსვანი ეკლესიის მსახურთა — მომზირთა პარალელური სახელწოდებაა. ტერმინი ჴელოსანი სრულიად არა ჩანს ფშავსა და ხევში. ჴელოსანის ინსტიტუტი არსებობდა ფეოდალური ხანის საქართველოშიც, თუმცა, არა იმ მნიშვნელობით, როგორითაც ვხვდებით მთაში — მთაში ჴელოსანი სრულუფლებიანი მეთემეა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ მკვიდრის შესახებაც. ხევების მკვიდრთა (შეიძლება პირობითად ასე ვუწოდოთ), „ქალაქის მკვიდრთა“ და „სამეფოს მკვიდრთა“ („მკჳდრნი სამეფოსანი“) საკითხის ერთიანი შესწავლა, რამდენადაც ამის საშუალებას მოგვცემდნენ ისტორიული წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები, ვფიქრობთ, იქნებოდა ჩვენი ქვეყნის იმანენტური განვითარების (სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურო) ერთ-ერთი ნამდვილი სახის გამოვლენა-შესწავლა და საქართველოს ისტორიის ერთი ახალი ფურცელი.

თუ ინიციაციის წესებს გადიოდნენ როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის ახალგაზრდები, ჩვენთვის საინტერესო წესებისათვის დამახასიათებელია მდედრის თითქმის სრულიად გამორიცხვა წესების შესრულებიდან. ფშავ-ხევსურეთში მდედრი ასრულებს მხოლოდ პირველ ორ ეტაპს — განათვლას და მიბარებას, ისიც არა სათემო სალოცავში, არამედ ერთ განსაზღვრულ ჯვარ-ხატში — ხახმატის ჯვარში. „საჴელოში ჩადგომის“ ან „ზღუბლის დალაჴვის“ წესს მდედრი არ ასრულებს. მდედროვანის სქესობრივ-ასაკობრივი სიმწიფის აღნიშვნა ოჯახური გარემოს პირობებში ხდება. საბერო ფშავ-ხევსურეთში (მოგვიანებით ხევსურეთში საჴელოსნო) მხოლოდ წესშესრულებულ მამროვანთა კოლექტივსა და მის სამყოფელ ნაგებობას აღნიშნავს. საბეროში არა თუ შესვლა, ახლოს მისვლაც კი არ შეუძლიათ არა მარტო ქალებს, არამედ იმ მამაკაცებსაც, ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო (ამ მიზეზებზე უკვე გვქონდა საუბარი) ვერ შეასრულა ზემოაღნიშნული წესები. საბერო იყო საზოგადოების (გვაროვნულ საფეხურზე) სრულწლოვანი, სრულუფლებიანი წევრების სოციალურ-რელიგიური ორგანიზაცია.

თუ სოციალური ასპექტით ბერი თავიდან ასაკით უფროსს ნიშნავდა, რელიგიურით იგი შვილის მნიშვნელობისა იყო. თუ შიშველი ბავშვის ჯვარ-ხატის დროშის ქვეშ სამჯერ შეგორებით, მისი ღვთაებისგან შობის სიმულაციასთან გვაქვს საქმე (ზემოთ იდეურად ამ მისტერიის ადრინდელ მოვლენად მივიჩნიეთ ინიციაციის წესში ტოტემური ცხოველის მიერ ახალგაზრდის ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა



შთანთქმა, შემდეგ კი ამოგდება, რაც მკვდრეთით აღდგომას მოასწავებდა და მასში ხელმეორედ დაბადების აზრი იყო გატარებული. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს შედარებით უფრო „შერბილებულ“ ფორმასთან — შიშველი ბავშვის სამჯერ შეგორებასთან დროშის ქვეშ, რომელიც ღვთაების სიმბოლოდ არის მიჩნეული), მაშინ ეს ბავშვი ამ ღვთაების გამონაყოფი, მისი ნაწილი, ანუ შვილია, რაც დადასტურებას პოულობს კიდეც ბერის ერთ-ერთი მნიშვნელობის სახით — საერთოკავკასიური გაგებით ბერი ნიშნავს შვილს (ჭანურში, ჩაჩნურსა, და ინგუშურში ხოლო, მეგრულსა და ქართულში, შემორჩენილია გვარებში). შვილური ურთიერთობის დამყარება ხდებოდა ინიციაციის საწყის ეტაპზე, მიბარების (მიბერების?) წესის შესრულებისას, ერთიდან სამი წლის ასაკში. ნიშანდობლივია, რომ ამავე ასაკში ხდებოდა ე. წ. „სიყმი შვილის“ — პირველი შვილის (ზოგჯერ ყველა შვილის) — ბერად დაყენება ქართლში და „ბერად შეყენება“ კახეთში.

[36] Название этого божества напоминает «Зрван» — название бога времени и судьбы, отца Ахурамазды и его злого близнеца Ахриманны, верховного божества манихейского пантеона, почитавшегося в некоторых зороастрийских центрах в Сасанидском Иране. Однако не исключено, что это случайное звуковое совпадение.

[37] A. Fadhil, с. 69.

[38] I A. Brinkman, V. Donbaz, A. Nuzi-type tidennūtu tablet involving real estate, Oriens Antiquus, Roma, 1977, с. 101.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



в которой сближается с предками не зрелость, а юность, наследующая души умерших).

Присутствие этой персоны в интересующей нас **хальцу** указывает на то, что Азухинна (по-видимому, Абенна и Лубди тоже) являлась важным культовым центром государства Аррапха.

Материалы архивов Нузи подтверждают, что **хальцухлу** в государстве Аррапха так же как **бель хальци** архивов Мари были тесно связаны с религиозными делами округов, следили за тем, чтобы население регулярно приносило жертву богам. Об этом свидетельствует документ (IEN 551) о жертвоприношении под руководством **хальцухлу**: «Это приказ ТермиТилле: все кто живет в домах дворца твоего округа должны дать за 10 женщин одну свежую бычью тушу и три свежих бараньих туши (и) кости быка они должны принести в город богов. Если часть (бычьей) туши испортится, отрежь, и в день убоя скота они принесут (остаток мяса) во дворец. Кожи, которые выбриты, люди, несущие службу **ильку** и поселенцы могут взять за деньги и цену принести во дворец».

По всей вероятности, это искупительная жертва за десять заложниц, переданных из Аррапхи в связи с дипломатическими акциями[39].

Таким образом, согласно материалам архивов Нузи **хальцу** Азухинна располагалась на стратегически важном направлении государства Аррапха, у перевала, через который проходила дорога на приурмийскую низменность, в страну луллубеев. Крепость **хальцу** контролировала этот путь, охраняла его. Воинские силы **хальцу** несли пограничную службу.

По всей видимости, значение этих трех (Азухинна, Абенна, Лубди) выходов страны соответствует, как показывают данные относительно Азухинна важнейшим перевалам в цепи гор Загра, связывающим страну с территорией по ту сторону хребта, где во второй половине I тысячелетия до н. э. образовались царства, впоследствии давшие новых гегемонов Передней Азии.

Таким образом, получается, что **хальцу** — это элемент организаций периферии, опорных для дворцовых центров. Хальцу осуществляет сбор провианта с дворцовой периферии. Но избыточными запасами провианта обладали только в центре всей системы, во дворце.

Дворцы со своей стороны, по своему усмотрению, определяли род обратной связи с периферии, но без преувеличения требований, так как это могло привести к разрыву связи с периферией. Периферия могла отпасть, начав поиск новых источников вне системы, и тем самым дворец потерял бы управление всей системой. Так и возникает внешнее кольцо периферии, куда переносится эпицентр всей системы.

Представлена Отделом Древней истории Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

---

[39] Н. Б. Янковская, Аррапха — убежище Шаттивасы, сына Тушратты, ВДИ, т. I М., 1979, с. 34.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
**დავით ხახუტაიშვილი, მერაბ კინწურაშვილი**

# ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამეთუნეო სახელოსნო სოფ. ხირსადან

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კერამიკული ნაწარმი იორ-ალაზნის ველიდან მონოგრაფიული გამოკვლევის საგანი არ გამხდარა. თითქმის სრულიად შეუსწავლელია თიხის ჭურჭლის საწარმოო ბაზა, მათი კავშირი ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრის ძეგლებთან და სხვ.

ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხირსის სამეთუნეო სახელოსნოს და ამ სახელოსნოდან მომდინარე კერამიკულ მასალას. მისი შესწავლა საშუალებას მოგვცემს: **1.** თვალი გავადევნოთ პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის სამეთუნეო წარმოების ყველა ციკლს; **2.** დაგვეხმარება განისაზღვროს ამ რეგიონის ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის მატერიალური კულტურის ადგილი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის კულტურის განვითარებაში; **3.** გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის კერამიკული წარმოების მასშტაბებზე და მწარმოებელთა სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე და სხვ.

მრავალი წლის განმავლობაში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, კახეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის ხირსის არქეოლოგიურ კომპლექსს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ამ კომპლექსმა 1961 წელს მიიქცია ყურადღება და 1962 წელს ძეგლის შინაარსის გასარკვევად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა მიავლინა დაზვერვითი არქეოლოგიური რაზმი კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მუშაობის ძირითადი ობიექტი იყო სამეთუნეო ქურები და სამაროვანი. ჩატარებული სამუშაოების დროს ექსპედიციამ გათხარა ექვსი სამარხი და ერთი ქურა სანაცრე ორმოთი[1].

მეორედ სამეთუნეო სახელოსნოს ტერიტორიაზე დ. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1974 წელს, რომლის დროსაც გათხრილ იქნა ერთი ქურა (ტაბ. I) და ექვსი სანაცრე ორმო.

ხირსის არქეოლოგიური კომპლექსი, რომელიც შედგება სამოსახლოსაგან, სამეთუნეო სახელოსნოსაგან და სამაროვნისაგან მდებარეობს ალაზნის ველზე, ხირსა-სამთაწყაროს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის გაყოლებაზე (ტაბ. II) აქ გათხრილი ყველა ძეგლი აღმოჩნდა ხირსის საბჭოთა მეურნეობის ვენახების სამხრეთით, კოლოთოს ხევის მარცხენა ნაპირზე. 1950-იან წლებში ხევიდან დასავლეთის მიმართულებით ვენახის დასაცავად გაჭრილ იქნა 2 მ. სიღრმისა და სიგანის თხრილი, რომელმაც 280 მ. მანძილზე გადასერა სამეთუ-

---

[1] კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 55.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ტაბ. 1


ხირსის არქეოლოგიური ძეგლები
სიტუაციური გეგმა
სამეთუნეო უბანი
სამაროვანი
ნამოსახლარი
0 30 60 90 120მ
ბორცვები
ხირსა

ტაბ. 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ტაბ. 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ტაბ. 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ტაბ. 5

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეო სახელოსნო უბნის ტერიტორია, რის გამოც ქურების ერთი ნაწილი დაზიანდა.

გამოვლენილი ქურებისაგან გადარჩენილია ძირითადად საცეცხლე არხი, ქურის წინა ორმოთი და თაროების ნაკვალევი.

ქურის ასაგებად ოსტატს მოუმზადებია სწორი მოედანი, რომელზედაც ამოუჭრია კონუსური ფორმის თხრილი. თხრილი ვიწრო წვერით დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს 120°-ით. თხრილი ამოლესილია თიხის ხსნარით, რომელსაც ძლიერი ტემპერატურის ზემოქმედებით ფერფლის ფერი მიუღია.

არხის ორივე მხარეს წარმოდგენილი იყო თიხითვე მოლესილი თაროები, რომლებზეც გამოსაწვავი ჭურჭლები ლაგდებოდა. თაროები გადარჩენილია ნაწილობრივ.

ქურის წინა საცეცხლე ორმო საცეცხლურ არხს უკავშირდება ე. წ. ქურის ყელით, რომლის გადახურვის ნაკვალევი გადარჩენილია ქურის პირის ორსავე მხარეს.

ერთ შემთხვევაში (1962 წლის განათხარი) სანაცრე არხს, სანაცრე ორმოს მხრიდან, ორსავე კედელთან თითო რიყის ქვა ჰქონდა აყუდებული. როგორც ჩანს, ღუმელში აქედან იყრებოდა საწვავი და აქედანვე გამოჰქონდათ ნაცარი 2.

1974 წელს გამოვლენილი ქურის, ჭურჭლის გამოსაწვავი კამერის ზომებია:* სიგრძე — 270 სმ, საცეცხლე არხისა და ქურის წინა ორმოს დამაკავშირებელი ყელის —55 სმ, ქურისწინა ორმოსი — 120 სმ, თაროების სიგანე გადარჩენილი ნაწილის მიხედვით შეადგენდა — 60 სმ. საცეცხლე არხის სიგანე: დასაწყისთან — 50 სმ, შუა წელზე — 40 სმ, დასასრულთან — 25 სმ, საცეცხლე არხის სიღრმე დასაწყისთან — 45 სმ, შუა წელზე — 35 სმ, დასასრულთან — 25 სმ.

თუ ჩვენამდე მოღწეული ნაშთების მიხედვით ვიმსჯელებთ, ხირსაში გამოვლენილი სამეთუნეო ქურები როგორც კონსტრუქციულად, ისე მუშაობის რეჟიმით ხოვლური ქურების უძველესი ჯგუფის (I ტიპი) მსგავსი ერთიარუსიანი ნაგებობებია, რომლებიც ქურის გარეთ გატანილ საცეცხლე ორმოს, საცეცხლე არხს და ამ არხით სიგრძივ ღერძზე ორ თანაბარ ნაწილად (თაროდ) გაყოფილ ჭურჭლის გამოსაწვავ კამერას მიითვილიან.

ხოვლური I ტიპის უძველესი ქურები თარიღდება ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებით[3].

თუ ხოვლური VII—VI ს-ის (II ტიპი) ქურების კონსტრუქციაში შეინიშნება ერთგვარი სიახლე (საცეცხლე ორმო, რომელიც აქამდე ქურის გარეთ იყო გამართული, შეაქვთ ქურის შიდა სივრცეში და მას საცეცხლე კამერის სახეს აძლევენ[4]), ხირსის სამეთუნეო უბანზე გათხრილ ქურებში ეს ცვლილება არ ჩანს.

სამწუხაროდ, ქურის კედლები სრულებით არ გადარჩენილა. იგი, როგორც ჩანს, ადრევე განადგურებულა მიწის დამუშავების პროცესში (მოხვნისას?). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ქურის კედლები და გადახურვა ზედაპირზე უნდა ყოფილიყო ამოზიდული. სავარაუდოა, რომ თაროებზე გამოსაწვავი ჭურჭლის დალაგების შემდეგ ხდებოდა ქურების გადახურვა თაღოვანი კონსტრუქ-

[2] კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

* 1962 წლის განათხარი ქურის ზომები მოცემულია კ. ფიცხელაურის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში.

[3] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე II, თბ., 1970, გვ. 95.

[4] იქვე, გვ. 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციით, ან თალოვან გადახურვაში მხოლოდ სარკმელი იხურებოდა. იხურებოდა იგი ხოვლური ქურების მსგავსად დაწნული ლასტებით, რომლებიც შიგნიდან და გარედან თიხით ილესებოდა. ამ აზრს ამაგრებს ისიც, რომ სანაცრე-საცეცხლფარეშე ორმოში და საერთოდ ქურის მახლობლად დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბათქაშის ფრაგმენტები, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში ლასტის ანაბეჭდები აქვს შემორჩენილი[5].

ქურის გადარჩენილი ნაწილის გაწმენდის დროს როგორც იატაკზე ისე საცეცხლურში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ქურის მოქმედების უკანასკნელი ციკლის პროდუქცია იყო.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში II თხრილში, № 6 სანაცრე ორმოს გაწმენდისას 2 მ სიღრმეზე გამოვლინდა დიდი ზომის ქვაბქოთანა, ამ ტიპის ჭურჭელი თავისი ფორმებით „მტკვარ-არაქსული“ კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმთა გვერდით დგება (ტაბ. $III_1$).

ამ ადრეული თიხის ჭურჭლის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლზე აღმოჩენა ჩვენთვის ჯერჯერობით ამოუხსნელია და მასზე რაიმეს გადაჭრით თქმა ზედმეტად მიგვაჩნია.

ხირსის სამეთუნეო სახელოსნო უბანზე მრავლად მოპოვებულ კერამიკულ ნაწარმს შორის ხერხდება ორი სახის თიხის ჭურჭლის გამოყოფა: პირველი ესაა უხეშკეციანი ჭურჭელი, რომელთა კორპუსი მთლიანად დაფარულია კონცენტრული ღარებით, ხშირ შემთხვევაში მათ მხარსა და ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევები შემოსდევთ. ამ სახის თიხის ნაწარმი აქ წარმოდგენილია ქოთნებითა და ქვაბ-ქოთნებით. (ტაბ. III—IV).

მეორე სახის ნაწარმი ესაა კარგად განლექილი წმინდა სილანარევი თიხისაგან დამზადებული ჯამ-ლანგრები და კათხები. მათი ზედაპირი მოგლუვებულია, შემკულია ნაპრიალები ორნამენტით შესრულებული სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით (ტაბ. V).

პირველი სახის თიხის ჭურჭელი (ე. წ. უხეში ჭურჭელი) როგორც მიაჩნიათ ცენტრალურ ამიერკავკასიაში უკვე შუაბრინჯაოს დასასრულს ჩნდება და გვხვდება იგი როგორც შუადან გვიანბრინჯაოს ხანის გარდამავალ საფეხურზე, ისე გვიანბრინჯაოს ადრეულ პერიოდში, მაგრამ ამ დროისათვის ისინი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი[6].

ამ პერიოდის თიხის ჭურჭელთა ზედაპირი (ქოთნები და ქვაბ-ქოთნები) მთლიანად არ არის დაფარული ამოღარული კონცენტრული ხაზებით და თუ კი გვხვდება, ისინი შესრულებულია მსუბუქად ამოღარული, ერთმანეთთან ძალზე ახლოს მიჯრილი წვრილი ღარებით.

გვხვდება ჭურჭელთა მხარის შემკობა კონცენტრულ ამოღარული ხაზებით, ერთ ან ორ რიგად ჰორიზონტალურად განლაგებული ფრჩხილისებრი ნაჭდევებით და სხვ.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ჩათვლით ერთგვაროვანი კულტურაა გავრცელებული, სწორედ ამ პერიოდში გვხვდება მრავლად აქ ზემოთ აღწერილი თიხის ჭურჭელიც.

---

5 კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

6 კ. ფიცხელაური, ც. მენაბდე, გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები, კაეშ., ტ. V, თბ., 1982, გვ. 142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების შემდგომ საფეხურზე, როგორც ფიქრობენ, უკვე ჩნდება ჩანასახი კულტურის დანაწევრებისა; თუ შიდა ქართლში უხეშკეციანი, თიხის ჭურჭელი ისევ ზემოთ აღწერილის ანალოგიური რჩება და აქ იგი მცირე რაოდენობით გვხვდება ან სრულიად ქრება, კახეთში იგი უფრო განვითარებულ სახეს იღებს და ერთ-ერთი წამყვანი ხდება. ამ ჭურჭელთა კორპუსზე წმინდა ამოღარული ხაზები ორნამენტულ მოტივად იქცევა[7].

გვიან ბრინჯაოს მეორე საფეხურიდან ადრეულისაგან განსხვავებით იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე კონცენტრული ღარებით შემკულია ჭურჭლის მთელი კორპუსი ძირის ჩათვლით, ღარები უფრო მკვეთრი და ერთმანეთს დაცილებულია. მხარისა და ძირის კიდეს კვლავ ირიბი ჭდეები შემოსდევს.

ამგვარი ტექნიკით შესრულებული თიხის ჭურჭელი მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლშიც გვხვდება, მაინც ყველაზე მრავლად იგი კახეთის ტერიტორიაზეა და ამ მხარისათვის უფრო ჩანს დამახასიათებელი. ამიტომაც რიგ მეცნიერებს მათი გავრცელების ერთ-ერთ ძირითად ცენტრად ალაზნის ველი მიაჩნიათ[8].

როგორც ჩანს, ამ ეტაპზე სწრაფად მბრუნავი ჩარხი ფართოდ ინერგება ეს კი შესაძლებელს ხდის ნაწარმის სერიულ დამზადებას, თიხის ჭურჭლის ზედაპირი უხეშია, შემკობის ძირითად მოტივად გამოყენებულია მკვეთრი კონცენტრული ღარები.

რაც შეეხება ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიურ მხარეს, ამ დროს იგი სრულყოფილია. ისინი უკეთაა გამომწვარი, კეცი ადრეულთან შედარებით თხელია და კარგად შემცხვარი, მკვრივი.

პირველი ათასწლეულის შუა ხანებში იორ-ალაზნის აუზის კერამიკაში შეინიშნება ერთგვარი შემობრუნება ძველი ტრადიციებისაკენ[9]. რაც კარგადაა ასახული ხირსის სამეთუნეო სახელოსნოდან მომდინარე კერამიკაშიც.

ესაა წმინდა სილანარევი თიხისაგან დამზადებული შავ-ლეგად გამომწვარი ჭურჭელი, რომელთა ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული და შემკულია ნაპრიალები ორნამენტით. თიხის ჭურჭელთა ეს ნაწარმი თანარსებობს იმ ნაწარმთან ერთად, რომელთა ზედაპირიც დაფარულია კონცენტრული ღარებით.

ამ მეორე სახის თიხის ჭურჭლიდან ხირსის სამეთუნეო სახელოსნოში მრავლადაა მოპოვებული როგორც ყურიანი, ისე უყურო ჯამ-ლანგრები. თუ უყურო ჯამ-ლანგრები მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ამას ვერ ვიტყვით ყურიან ჯამ-ლანგრებზე, რომლებიც მრავლადაა გავრცელებული კახეთში (გულგულა, ბაკურციხე, იყალთო, თელავი და სხვ.) და დამახასიათებელი ჩანს იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიისათვის, რაც შეეხება შიდა ქართლს, იგი აქ ჯერჯერობით ნაკლებ გავრცელებულია და გვხვდება კასპისა[10] და თრელის[11] სამაროვნებზე.

---

7 ქ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (XVII—VII სს.), თბ., 1973, გვ. 151.

8 ქ. ფიცხელაური, გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი სოფ. გულგულადან, მსკა, IV, თბ., 1965, გვ., 141—145; აგრეთვე, ნ. ოქროპირიძე, მუხრანის ველის არქეოლოგიური ძეგლები ძვ. წ. XVII—VII სს., მსკა, თბ., 1965, გვ. 24.

9 ნ. მამაიაშვილი, იორ-ალაზნის აუზის ძვ. წ. I ათასწლეულის შეხანების კერამიკა. (გადაცემულია ასაწყობად), გვ. 4.

10 მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მსკა IV, თბ., 1965, გვ. 39.

11 თბილისი I, თბ., 1978, გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხირსის სახელოსნოში გამოვლენილი ჯამ-ლანგრები არ არის ღრმა, ისინი უფრო პირგადაშლილნი არიან, ამგვარი სახის ჯამ-ლანგრები გვიანდელი ხანისთვისაა დამახასიათებელი და ძვ. წ. XIII ს-ზე უფრო ადრეულ ძეგლებში არ გვხვდება[12].

ხირსის სახელოსნოში გვხვდება აგრეთვე წელში გამოყვანილი ცალყურა კათხები, ამგვარი კათხები იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ჩნდება II ათასწლეულის ბოლოს და დამახასიათებელია ძვ. წ. I ათასწლეულის განმავლობაში.

ხირსის სამეთუნეო სახელოსნოს დათარიღებისათვის კარგ საყრდენს წარმოადგენს ქვემო ქედის ლითონდამმუშავებელი სახელოსნო, რომელიც დათარიღებულია VI—V ს-ით[13].

აქედან მომდინარე თიხის ჭურჭლის ნაწარმთა მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი საშუალებას იძლევა დავუკავშიროთ ერთმანეთს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი და მეორე ნახევრის ძეგლები და ამ შუალედურ მასალებში გამოვყოთ როგორც ძველი ტრადიციების გამაგრძელებელი, ისე სრულიად ახალი სახის თიხის ჭურჭელი.

ქვემო ქედში წითლად გამომწვარი და შავ-ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი, სადაც წითელკეციანი ნაწარმი სრულიად ახალი ფორმებით ხასიათდება, ხოლო შავ-ლეგად გამომწვარი თიხის ნაწარმი იჩენს მსგავსებას ხირსის სამეთუნეო სახელოსნოდან მომდინარე მეორე სახის თიხის ჭურჭელთან. ესაა წმინდა სილანარევი თიხისაგან დამზადებული კათხები და ჯამ-ლანგრები, რომელთა ზედაპირიც შემკულია ნაპრიალები ირიბი და წიწვოვანი ორნამენტით. ამ მხრივ მაინც განსაკუთრებით დამახასიათებელია აქ გამოვლენილი თიხის კათხები, რომელთაც აქვთ გადმოწეული ფართო პირი, უმნიშვნელოდ შევიწროებული ყელი, წიბოიანი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცელი და ფართო ბრტყელი ძირი, პირთან იწყება და მუცლის წიბოიან ნაწილს უერთდება მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის ზედაპირი ნაპრიალები წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული (ს. № 06. 424. IV, 978/74) და სხვ.

ამასთანავე ხირსაში წითლად გამომწვარი ჭურჭელი მეტად იშვიათად გვხვდება (შესაძლოა, ჭურჭლის ცეცხლში მოხვედრისა და მეორად გამოწვასთან გვქონდეს საქმე, ყოველ შემთხვევაში, ის ახალი ფორმები, რომლითაც ხასიათდება წითელკეციანი ჭურჭელი, არა გვხვდება. წითლად გამომწვარია აქ ძირითადად ქოთნები, რომლებიც რუხად გამომწვარი თიხის ქოთნების ფორმებს იმეორებს).

ყოველივე ზემოთქმული იმის საშუალებას იძლევა, რომ ხირსის სამეთუნეო სახელოსნო უფრო ადრეულ ძეგლად ჩავთვალოთ და მის თარიღად ძვ. წ. VII ს. მივიჩნიოთ.

ქვემოთ მოგვყავს ხირსის სამეთუნეო სახელოსნოდან მომდინარე თიხის ნაწარმთა აღწერილობა:

---

12 ქ. ფიცხელაური, ც. მენაბდე, გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები კაეშ, ტ. V. თბ., 1982, გვ. 142.

13 К. Н. Пицхелаури, Восточная Грузия в конце Бронзового века, Тб., 1979, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტაბულა III

1. ქვაბქოთანა (ს. № 06—424/287/) ნაკლული, აღდგენილია გრაფიკულად), დამზადებულია სილანარევი წმინდა თიხისაგან, უწმინდესი თეთრი მინარევებით. მოყავისფროდ გამომწვარი, ნაპრიალები ზედაპირითა და შიდა პირით. აქვს ფართო გადაშლილი პირი, რომელიც ყელისაგან გამოყოფილია ღარით. აქვს დაბალი ოდნავ გამოყვანილი ყელი, სუსტად გაზიდული მხარი შემკულია წერტილოვანი ღრმულების ორი რიგით. ბრტყელგანივკვეთიანი ყური ოვალური ნახვრეტით პირიდან გამომდინარეობს და მხარზეა მიძერწილი. მიძერწვის ადგილისაკენ გაგანიერებულია.

2. თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი (ს. № 06—424/268), დამზადებული წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა მოშავო, შუაგული ყავისფერი. შიდაპირი ატკეცილია. ზედაპირი ხაოიანი. აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, განზე გაზიდული მხარი. ყელის ძირი შემკულია სუსტად გამოსახულ რელიეფურ ზოლზე დატანილი ირიბი მოკლე ნაჭდევების ერთი რიგით.

3. კოჭობის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/154). დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, თეთრი მინარევებით. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე ღია მოყავისფრო-მოწითალო. შუაგული — ყავისფერი. ზედაპირხაოიანი. უნდა ჰქონოდა ფართო ნაპირებგადმოკეცილი პირი, დაბალი გამოყვანილი ყელი, მხარი ოდნავ გაზიდული. პირს ზემოდან გარშემოუყვება მსუბუქი წრიული ღარი. მხარი კონცენტრული ღარებითაა შემკული.

4. კოჭობის? პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/330). დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან თეთრი მინარევებით. კეცი-მკვრივი, უხეში, მონაცრისფრო-რუხი. გარეპირის ძალიან თხელი ფენა ნაცრისფერი. ზედაპირხორკლიანი. აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელი. მომრგვალებული მუცელი შემკულია ამოღარული კონცენტრული ღრმა ხაზებით.

5. კოჭობის? პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/506) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. კეცი მკვრივი, გარე და შიდა პირის თხელი შრე შავი, შუაგული ყავისფერი. ზედაპირი ხაოიანი, მოყავისფრო ლაქით. პირი გადაშლილი, ზემოდან ღარით, დაბალი ყელი. მხარი შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით და ერთი ტეხილი ხაზით.

6. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/147) დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, თეთრი მინარევებით. გამომწვარია ლეგამონაცრისფროდ. კეცი მკვრივი, ხორკლიანი ზედაპირით. აქვს ნაპირებგადმოკეცილი ფართო პირი, დაბალი ყელი. ოდნავ მომრგვალებული მხარი შემკულია კონცენტრული ამოღარული ხაზებით და ირიბი ნაჭდევების ერთი რიგით.

7. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/519). დამზადებულია სილანარევი წმინდა თიხისაგან. კეცი მკვრივი, გარე და შიდა პირის თხელი ფენა მოშავო, მოყავისფრო. ზედაპირხაოიანი. პირი ფართო, გადმოკეცილი, ზემოდან ოდნავ დაბრტყელებული. აქვს ძალზე დაბალი ყელი, მხარი შემკულია კონცენტრული ღარებით;

8. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. 06—424/246) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან, თეთრი მინარევებით. კეცი რუხი. ზედაპირხაოიანი, გადმოკეცილი ზემოდან ბრტყელი პირით. მხარი შემკულია რელიეფურ ზოლზე დატანილი ირიბი ნაჭდევებით და წმინდად ამოღარული ხაზებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



9. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/535) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან, გამომწვარია მოყავისფროდ, კეცი მკვრივი, ზედაპირი ხაოიანი. პირი ფართო, გადმოკეცილი. ზემოდან შემოსდევს სუსტად გამოსახული ორი კონცენტრული ღარი. ჭურჭელს აქვს დაბალი ყელი, მომრგვალებული მხარი, შემკულია ღრმად ამოღარული ერთმანეთს დაშორებული კონცენტრული ხაზებით.

10. თიხის ჭურჭლის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/496). დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან, თეთრი მინარევებით. გამომწვარია მოყავისფრო-მონაცრისფროდ. კეცი მკვრივი, ზედაპირხაოიანი. აქვს გადაშლილი, ზემოდან დაბრტყელებული პირი, დაბალი ყელი, მხარეზე გადასვლის ადგილზე სუსტად გამოსახული რელიეფური ზოლებით. მხარი შემკულია ნაპრიალები წიწვოვანი ორნამენტით.

11. ქოთნის პირგვერდის მოზრდილი ნატეხი (ს. № 06—424/533). დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოყავისფროდ. კეცი მკვრივი, ზედაპირხაოიანი, პირი-ფართო, გადმოკეცილი. პირს ზემოდან დაუყვება სუსტად გამოსახული კონცენტრული ღარები. ჭურჭელს აქვს დაბალი ყელი, მომრგვალებული მხარი შემკულია ღრმა ერთმანეთს დაშორებული კონცენტრული ღარებით.

12. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/90). დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან, გამომწვარია მოყავისფრო-მონაცრისფროდ თეთრი მინარევებით. კეცი მკვრივი, უხეშზედაპირიანი, აქვს ზემოდან ბრტყელი გადმოკეცილი პირი, დაბალი ყელი. მხარს შემოსდევს ამოღარული ტალღური ორნამენტი.

13. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/534). დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მონაცრისფროდ, კეცი მკვრივი, უხეშზედაპირიანი. პირი ფართო, გადმოკეცილი, მრგვალბაკოიანი, ჭურჭელს აქვს დაბალი ყელი, მომრგვალებული მხარი შემკულია ღრმა ერთმანეთს დაშორებული კონცენტრული ღარებით.

14. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/87). დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მონაცრისფროდ. კეცი მკვრივი, უხეშზედაპირიანი. პირი ფართო გადმოკეცილი. ჭურჭელს აქვს დაბალი ყელი. მხარი შემკულია მკვეთრი ერთმანეთს დაშორებული ღარებით და ირიბი ჭდეების ერთი რიგით.

15. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/507) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია ლეგა-მონაცრისფროდ, კეცი მკვრივი. უხეშზედაპირიანი. პირი გადმოკეცილი მომრგვალებული. ჭურჭელს აქვს დაბალი ყელი. მხარი შემკულია კონცენტრული ამოღარული ხაზებით და ამ ხაზებში დატანილი ირიბი ჭდეებით.

16. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/502) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოყავისფროდ. კეცი მკვრივი. უხეშზედაპირიანი, პირი ფართო, ბრტყელი ბაკოთი. პირს ზემოდან და მხარს ამკობს ამოღარული ტალღური ხაზები.

## ტაბულა IV

1. ქოთნის ძირგვერდის ნატეხი (ს. № 424/493) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოყავისფროდ, ზედაპირი უხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. დატანილი აქვს კონცენტრულ ამოღარული ხაზები, რომელთა შორის მოკლე ირიბი ამოღარული ხაზები დაუყვება. ძირს ამოღარული სპირალი და სხივური ორნამენტი ამკობს.

ძირის დიამეტრი — 8 სმ.

2. ქოთნის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/495) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. უხეშკეციანი, ხორკლიანი ზედაპირით. გამომწვარია ლეგა-მონაცრისფროდ. ზედაპირზე დატანილია კონცენტრულ ამოღარული ხაზები, რომელთა შორის სივრცე შევსებულია მოკლე ირიბი ამოღარული ხაზებით. ძირს ამოღარული სპირალი ამკობს, რომელთა შორის მანძილი ირიბი ჭდეებითაა შევსებული.

პირის დიამეტრი — 9,4 სმ.

3. თიხის ჭურჭლის მხრის ნატეხი ყელის მცირე ნაწილითურთ (ს. № 06—424/306).

დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცის გარე პირის თხელი ფენა შავი, შიდა — ყავისფერი. ზედაპირი ხაოიანი, ყელის ძირი შემკულია ერთმანეთთან ახლოს განლაგებული მომრგვალო ნაჭდევებით.

4. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ს. № 06—424/256) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გარეპირი შავი, შიდა მოყავისფრო, ზედაპირხაოიანი. ყელის ძირი შემკულია ერთმანეთთან მჭიდროდ დატანილი ნაჭდევებით. მხარი კონცენტრულ და ტალღურად ამოღარული ხაზების რიგით.

5. ქვაბქოთნის ძირგვერდი (ს. № 06—424/494) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. კეცი მკვრივი, უხეში. გამომწვარია ლეგა-მონაცრისფროდ. ზედაპირხაოიანი. დატანილი აქვს კონცენტრულ ამოღარული ხაზები, რომელთა შორის დატანილია მოკლე ირიბი ღარები.

ძირის დიამეტრი — 9,4 სმ.

6. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი შვერილი ყურით (ს. № 06—424/339) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარი მოყავისფროდ, კეცი მკვრივი, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები.

7. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი ლენტური ყურის ნაწილითურთ (ს. № 06—424/449). დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. უხეშკეციანი, ზედაპირი მონაცრისფრო ხაოიანი. ყურს ზურგზე მეჭეჭისებური სამი მინაძერწი აქვს.

8. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ს. № 06—424/481) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. კეცი მკვრივი, უხეში. გამომწვარია მოყავისფროდ. ზედაპირხაოიანი. დაბალ ქუსლს ირიბი ნაჭდევები შემოსდევს.

9. ქოთნის ძირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/475) დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარი მოყავისფრო-მოშავოდ. ზედაპირი უხეში, შიდაპირი მოგლუვებული. ძირი შემკულია ამოღარული სპირალით, ძირის კიდეს ირიბი ჭდეები შემოსდევს.

10. საბეჭდავი (ს. № 06—424/78) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია ღია-მოყავისფროდ. გრძელსახელურიანი, პირამიდისებური ფორმის, ოთხკუთხა პირით. დატიხრულია და ქმნის სვასტიკას. ტიხრები და პირი წერტილოვანი ღრმულებით არის შემკული.

ზომები: 5,9×5,2 სმ—7,2 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



11. ქოთნის ძირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/33). დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოწითალო-მოყავისფროდ, უხეშკეციანი. ბრტყელი ძირი შემკულია ამოღარული სპირალით (?) ძირის კიდეს შემოსდევს ირიბი ნაჭდევები.

12. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცი მკვრივი, გამომწვარია მონაცრისფროდ, ზედაპირმოგლუვებული, პირი ფართო, მხარი შემკული ნაპრიალები ტალღური ორნამენტით, კალთა ირიბი, ნაპრიალები ხაზებით შემკული.

13. ჯამის პირგვერდის ნატეხი ყურით (ს. № 06—424/384) დამზადებული წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოშავო-მონაცრისფროდ. პირი გადაშლილი, წიბოიანი მხრით, გოფრირებული პირმხარით. ბრტყელგანივკვეთიანი, ყური პირსა და მხრის წიბოზეა დაძერწილი.

14. ჯამის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/371) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცი მკვრივი. გამომწვარი მონაცრისფროდ. ზედაპირმოგლუვებული, შიდაპირი ნაპრიალები. პირი ფართო, პირს ქვემოთ ამოღარული კონცენტრული ღარით. სწორი წიბოიანი მხარი. წიბოს ქვემოთ შემკულია წნევით დატანილი პრიალა შვეული ხაზებით.

15. ლანგარი (ფრაგმენტი ს. № 06—424/188) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია არათანაბრად ლეგა-მოყავისფროდ, ზედაპირმოგლუვებული. აქვს სუსტად გამოსახული გოფრირებული მხარი. კალთა შემკულია ძირითად გამომდინარე პრიალა რადიალური ხაზებით, რომელთა შორის მანძილიც შევსებულია ურთიერთგადამკვეთი წმინდა ღარებით. პირიდან გამომდინარეობს და წიბოს უერთდება მრგვალგანივკვეთიანი ყური, მრგვალი ჰორიზონტალური ნახვრეტით.

16. ლანგრის პირგვერდის ფრაგმენტი (ს. № 06—424/375) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოყავისფროდ. ზედაპირი მოგლუვებული. აქვს გადაშლილი ფართო პირი. სუსტად გამოსახული მომრგვალებული ბაკოთი. სწორი წიბოიანი მხარი. პირსა და მხრის წიბოზე დატანილია ბრტყელგანივკვეთიანი ყური, ჰორიზონტალური მრგვალი ნახვრეტით. შიდა და გარე პირი შემკულია ნაპრიალები ირიბი ხაზებით.

17. ქვაბქოთნის ძირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/489) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. უხეშკეციანი, კეცი მკვრივი, გამომწვარია მოყავისფროდ. ზედაპირი ხაოიანი, დატანილი კონცენტრულ ამოღარული ხაზებით, რომელთა შორის დატანილია მოკლე ირიბი ღარები. ძირი სპირალითაა შემკული. 8,5 სმ.

18. დოქი ნაკლული. ცალყურა, აღდგენილი ნაწილობრივ (ს. № 06—424/490) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოყავისფრო-მოწითალოდ. ზედაპირი მოგლუვებული. ზედაპირი ყელთან ატკეცილია. აქვს ოდნავ გადაშლილი, მრგვალბაკოიანი პირი. პირს ქვემოთ კონცენტრული ღარით. მაღალი ოდნავ გამოყვანილი ყელი, შემკულია ერთი, ხოლო მუცელი ორი კონცენტრული ამოღარული ხაზით. მრგვალგანივკვეთიანი ყური პირიდან გამომდინარეობს და მხარეზეა დაძერწილი. — 11 სმ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ტაბულა V

1. ლანგრის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/376) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა ლეგა-მოყავისფრო, შუაგული ყავისფერი. გარე და შიდა პირი მოგლუვებული, ნაპრიალები. აქვს გადაშლილი მრგვალბაკოიანი პირი. პირს ქვემოთ ამოღარული კონცენტრული ოთხი ხაზით. სწორი წიბოიანი მხარი. შიდაპირი შემკულია პრიალა შვეული ხაზებით.

2. ლანგრის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/378) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა შავი. მოგლუვებული შუაგული მოყავისფრო. პირი გადმოკეცილი გარედან რელიეფურ ზოლს ქმნის, ზოლის ქვემოთ დატანილია კონცენტრული ღარები. ლანგარს აქვს ოდნავ მომრგვალებული წიბურიანი მხარი. შემკულია პირზე პრიალა განივი, მხარეზე ირიბი, ხოლო წიბოს ქვემოთ (კალთაზე) ტეხილი ხაზებით.

3. ლანგრის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/310) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცის გარე და შიდა პირის თხელი შრე შავი, შუაგული ყავისფერი. ზედაპირი მოგლუვებული მოყავისფრო ლაქებით. ლანგარს აქვს გადმოკეცილი მრგვალბაკოიანი პირი, სწორი მხარი, კალთაზე გადასვლის ადგილას ქმნის წიბურს. მხარი შემკულია პრიალა ირიბი ხაზებით.

4. ჯამის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/395) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცის გარე პირი შავი. შიდა პირი შავი მოყავისფრო ლაქებით. შუაგული ყავისფერი. ზედაპირი ხაოიანი. პირი ფართე, მხარი კალთასთან გადასვლის ადგილზე წიბურიანი. წიბოზე დატანილია შვერილი ვერტიკალური მრგვალი ნახვრეტით.

5. ლანგრის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/373). დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოყავისფროდ ზედაპირზე შავი ლაქებით. აქვს ფართო პირი მომრგვალებული ბაკოთი. სწორი წიბოიანი მხარით შიდაპირი შემკულია ერთმანეთთან მჭიდროდ დატანილი პრიალა შვეული ხაზებით.

6. ლანგრის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/374) დამზადებულია წვრილმარცვლოვანი სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია ლეგა მოყავისფროდ შავი ლაქებით. ხაოიანი ზედაპირითა და მოგლუვებული შიდაპირით. აქვს პირგადაშლილი სწორი წიბოიანი მხარი პირთან და მხრის წიბოსთან შემოუყვება თითო კონცენტრული ღარი. შიდაპირი წნევით დატანილი პრიალა განივი ხაზებითაა დასერილი.

7. ლანგრის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/379) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცის გარე და შიდაპირის თხელი ფენა ლეგა-მონაცრისფრო, შუაგული ღია ყავისფერი. მოგლუვებული შიდა ზედაპირით. პირი გადაშლილი, სწორი წიბურიანი მხრით. მხარი შემკულია წნევით დატანილი პრიალა ტალღური, წიბოს ქვემოთ (კალთა) შვეული ხაზებით. შიდაპირი ძირითად გამოსული პრიალა რადიალური ხაზებით.

8. ლანგარი (ნაწილობრივ აღდგენილი) (ს. № 06—424/189) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია არათანაბრად ლეგამოყავისფროდ. ზედაპირმოგლუვებული. აქვს სუსტად გამოსახული გოფრირებული მხარი. კალთა შემკულია ძირითად გამომდინარე პრიალა რადიალური ხაზებით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



9. ლანგრის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/380) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოყავისფროდ. ზედაპირი და შიდაპირი მოგლუვებული ნაპრიალები შავად. პირი გადაშლილი, გარედან რელიეფურ ზოლზე დატანილი კონცენტრული ღარით. წიბოიანი მხრით. შემკულია ძირითად გამომდინარე შვეული პრიალა ხაზებით. შიდაპირზე პრიალა შვეული ხაზებით.

10. კათხის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/403) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია შავად. ზედაპირი მოგლუვებული. აქვს ოდნავ გადაშლილი ფართე პირი, პირს ქვემოთ ღარი შემოსდევს. სწორი მხარი შემკულია ირიბი პრიალა ხაზებით.

11. კათხის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/404) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია შავ-ლეგად. პირი სწორი მომრგვალებული ბაკოთი. დაწახნაგებული გვერდით. ზედაპირი შემკულია წახნაგებს შორის მოქცეული პრიალა წიწვოვანი ორნამენტით. პირიდან გამომდინარეობს და მუცელს უერთდება მრგვალგანივკვეთიანი ყური ჰორიზონტალური მრგვალი ნახვრეტით.

12. კათხის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/402) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარი მოყავისფროდ ზედაპირზე შავი ლაქებით. აქვს ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, მრგვალი ბაკო. პირს ქვემოთ გარედან შემოსდევს ორი კონცენტრული ღარი. დაწახნაგებული გვერდი შემკულია წახნაგებს შორის დატანილი ნაპრიალები წიწვოვანი ორნამენტით. დაბალ კალთას შემოსდევს სწორი ხაზები.

13. კათხის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/279) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოშავო-მოყავისფროდ. სწორი პირს გარედან შემოსდევს კონცენტრული ღარი. მხარი დაქანებული დაწახნაგებული. დაბალი წიბოთი გამოყოფილი კალთა. წახნაგებიანი გვერდი შემკულია ირიბი წნევით დატანილი პრიალა ხაზებით.

14. ტოლჩის? პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/281) დამზადებული წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოყავისფროდ, ზედაპირი შავი. აქვს განიერი პირი, ზემოდან ღარით. გვერდები წახნაგიანი დატანილი ირიბი (წიწვოვანი) წნევით დატანილი პრიალა ხაზებით.

15. კათხის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/238) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. კეცის გარე და შიდაპირის თხელი შრე შავი შუაგული მოყავისფრო. აქვს სწორი პირი, გამოყვანილი მუცელი. ზედაპირი შემკულია ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული წნევით დატანილი პრიალა ირიბი ზოლებით.

16. კათხის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/305) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მოშავოდ. ზედაპირი მოგლუვებული. პირი ოდნავ გადაშლილი, დაბალი წიბოიანი მუცლით. შემკულია ნაპრიალები წიწვოვანი ორნამენტით.

17. კათხის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/263) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან, გამომწვარია მონაცრისფროდ. ზედაპირი მოგლუვებული. დაწახნაგებული. წახნაგებს შორის შემკულია სუსტად გამოსახული ირიბი ხაზებით.

18. კათხის პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/156) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მონაცრისფროდ, ზედაპირზე შავი ლა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქებით. აქვს გადმოკეცილი პირი, მომრგვალებული წიბოიანი მუცელი, მოგლუვებულ ზედაპირზე დაუყვება სუსტად დატანილი შვეული ხაზები.

19. ტოლჩის? პირგვერდის ნატეხი (ს. № 06—424/405) დამზადებულია წმინდა სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია მონაცრისფრო-ლეგად. პირფართე, ბრტყელი ქობიანი. სწორი ტანი, შემკულია პრიალა ირიბი (წიწვოვანი) ხაზებით. მხარეზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური.

Д. А. ХАХУТАЙШВИЛИ, М. В. КИНЦУРАШВИЛИ

# ХИРССКАЯ ГОНЧАРНАЯ МАСТЕРСКАЯ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ I ТЫСЯЧЕЛЕТИЯ ДО Н. Э.

Резюме

Работа представляет собой публикацию археологического материала, добытого на территории сел. Хирса (Сигнахский р-н) в разные годы (1964, 1974 гг).

Археологические работы здесь проводились на участке гончарной мастерской первой половины первого тысячелетия до н. э. Обнаружены две гончарные печи и семь зольных ям. Печи рассматриваются параллельно с гончарными печами из Ховле (Каспский р-н) и сопоставление их позволяет датировать хирсскую гончарную мастерскую VII в. до н. э.

Рассматривается также керамический материал, обнаруженный на хирсском гончарном участке, изучение которого дало возможность проследить за развитием керамического производства в течение первой половины I тысячелетия до н. э. на территории Иоро-Алазанского бассейна.

Среди большого количества обнаруженного здесь керамического материала выделяется глиняная посуда двух видов. Первая с грубым черепком и резным и тисненным орнаментом. Вторая относится к середине I тысячелетия до н. э. В это время в керамическом производстве крайне восточной части Восточной Грузии замечается продолжение старых традиций, что хорошо прослеживается и на хирсском гончарном участке. Это посуда из мелкозернистой глины с примесью песка с полированным орнаментом, черно-серого обжига. Она здесь сосуществует вместе с посудой с грубыми черепками.

Керамика, обнаруженная в хирсской печи, имеет большое сходство с глиняными изделиями квемокедской металлургической мастерской, которая датируется VI—V в. до н. э., но имеет более архаичные черты и датирует хирсскую гончарную мастерскую VII в. до н. э.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984

როდესაც 1939 წელს ივ. ჯავახიშვილი, ევროპელ მეცნიერთაგან თაბალ-მუშქების ინდოევროპელებად გამოცხადების შედეგად, აღნიშნავდა, რომ ამით მოიშალა ის საძირკველი, რომელსაც ეყრდნობოდა ქართველ ტომთა უძველესი ისტორია, ეს მხოლოდ ჩივილი კი არ იყო დღევანდელობას შემორჩენილი ერთ-ერთი უძველესი ხალხის ისტორიული წარსულის შესახებ მანამდე მყარად მიჩნეული კონცეფციის გაუქმების გამო, არამედ — გაფრთხილებაც ახალი თეორიებით გატაცების წინააღმდეგ. და თუმცა თვით ჯავახიშვილმა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კვლევა-ძიება ამიერიდან სულ სხვა მიმართულებით წარმართა, მას ძველ თვალსაზრისზე, ფაქტობრივად, ხელი არ აუღია და თუბალ-თაბალებსაც და მოსოხ-მუშქებსაც ბოლომდე არაინდოევროპელებად თვლიდა.

მართალია, ძველი აღმოსავლეთის კულტურულ-პოლიტიკური თუ ეთნიკური ისტორიის მეცნიერული შესწავლის დღევანდელი დონე ამ პრობლემის ერთმნიშვნელოვნად გადაჭრის საშუალებას თითქოს არ იძლევა, მაგრამ ერთი რამ კი ამთავითვე უნდა ითქვას.

სპეციალისტების მიერ კარგა ხანია შენიშნულია და თითქმის ერთხმად აღიარებულიც ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ კავკასიის მთიანეთის მთელ რიგ ისტორიულად კარგად ცნობილ ტომებს ძველაღმოსავლური ორეულები ჰყავდათ, რომლებიც მეტ-ნაკლებად აქტიურ პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ ძველაღმოსავლურ სამყაროში. ესენია ჩრდილო-დასავლელი ქაშაგები თუ აფშილები, ცენტრალურ-კავკასიელი დვალნი, ფხოვნი, ძურძუკნი თუ წოვანი, ჩრდილო-აღმოსავლელი ჰერნი, ხუნზნი თუ ანდიელები. ამათ ფონზე სრულიად უფერულად გამოიყურებიან ქართველთა წინაპრები და თუკი დასავლურ-ქართულ სამყაროს კიდევ ჰყავს ძველ აღმოსავლეთში ცნობილი წინაპარი კულხას სახით, აღმოსავლელ-ქართველი ტომები ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, სრულიად ობლები რჩებიან.

ჩვენთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, ასეთი ვითარება პარადოქსად გამოიყურება. მართალია, ამას შეიძლება გამართლება მოეძებნოს, რომ იმდროინდელი ქართველი ტომები დამჯდარი მიწათმოქმედი მოსახლეობაა (და ეს, მართლაც, ასეა) და, ამდენად, მათთვის არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი აყრა და დიდ მანძილზე მიგრაციები; რომ ამიტომ ისინი, როგორც ავტოქტონები (და ესეც, მართლაც, ასეა), იმთავითვე ამიერკავკასიაში ისხდნენ და, ამდენად, იზოლირებული იყვნენ ძველაღმოსავლური სამყაროსაგან. მაგრამ, ჯერ ერთი, როგორც არქეოლოგია მოწმობს, ამიერკავკასიის სამხრეთ მთიანეთში გარკვეულ პერიოდში მაინც უპირატესად მესაქონლე ტომები ისხდნენ, რომლებიც, როგორც იგივე არქეოლოგია მოწმობს, სრულიადაც არ იყვნენ იზოლირებულნი ძველაღმოსავლური სამყაროსაგან და, პირუკუ, საკმაოდ ინტენსიური კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ მასთან და, მეორეც, რაც მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტური, არქეოლოგიური თუ ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგად, ამჟამად მტკიცედ არის დადგენილი ქართველ ტომთა ავტოქტონობა ამიერკავკასიაში, მაინცდამაინც, მიგრაციული პროცესები სრულიადაც არ არის გამორიცხული. პირუკუ, იგივე ლინგვისტური, არქეოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ შედარებით გვიანდელი წყაროების მონაცემების შედეგად, ასეთი პროცესები დასტურდება და, რაც ნიშანდობლივია, დასტურდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

ასეთ ვითარებაში, ვიმეორებთ, ჩვენთვის პარადოქსად გამოიყურება მთიანი კავკასიის ტომების საკმაოდ ინტენსიური ნაკვალევის გვერდით ძველაღმოსავლურ სამყაროში ქართველი ტომების და, კერძოდ, აღმოსავლელი ქართველი ტომების სრული იგნორაცია, ტომების, რომელთაც ისტორიულ ხანაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს არა მხოლოდ მომავალი საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ისტორიაში, რაც, რა თქმა უნდა მათ მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ პოტენციაზე მიუთითებს და რაც ამდენადვე ამ პოტენციალის უეჭველად ხანგრძლივ დიდ წინაისტორიაზე მეტყველებს.

ამდენად, ქართველ ტომთა წინაპრების ძველაღმოსავლურ წყაროებში დამოწმების საკითხი არ მოხსნილა და სწორედ ამიტომაა, რომ, მაინცდამაინც, ქართული ისტორიოგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიისათვის იგი უაღრესად აქტუალური პრობლემაა. ამითვე სავსებით ცხადია ნ. ხაზარაძის მიერ ახლადგამოქვეყნებული ნაშრომის აქტუალობა.

ავტორი დიდი ხანია წარმატებით მუშაობს ამ პრობლემატიკაზე და მისთვის ამდენადვე ცხადია, რომ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მონოგრაფიული, მრავალმხრივი ძიების შედეგად შეიძლება. ერთი ასეთი გამოკვლევა მან უკვე უძღვნა ამ რამოდენიმე წლის წინ ტაბალებს. ახლახან კი მან გამოაქვეყნა კიდევ ერთი მონოგრაფია — „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები“, რომელიც მოსხ-მესხების ისტორიას ეხება.

მონოგრაფია შედგება ოთხი თავისაგან.

პირველი თავი ეხება ძველბერძნული წყაროების „მოსხების“ განსახლების ლოკალიზაციას ძვ. წ. VI—V სს-ში. აქ ავტორი, ძირითადად, ჰეკატე მილეტელისა და ჰეროდოტეს ცნობათა ანალიზის შედეგად (რასაც იგი საკმაოდ ოსტატურად აკეთებს), იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჰეკატესეული ცნობები მოსხების შესახებ განხილულ უნდა იქნეს ჰეროდოტესეული ცნობების გარკვეულ ჯგუფთან კავშირში, რის შედეგადაც იგი ძვ. წ. VI—V სს-ში მოსხების ადგილსამყოფელად ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას მიიჩნევს. ამისათვის მას უხდება ჰეროდოტესეული ფრიგიელების, მატიენების, ლევკოსირებისა და კილიკიელების განსახლების ლოკალიზაციაც, რაც მის მიერ მიღებულ დასკვნას დამაჯერებელს ხდის. მაგრამ კარგი იქნებოდა ავტორს აქვე მოეტანა და განემარტა ჰეკატესავე ერთი ცნობა ხალიბების შესახებ, რომლებიც პონტოში ცხოვრობენ და სომხებს ესაზღვრებიან. ისე გამოდის, თითქოს ჩვენი ავტორისეული მესხების და ჰეკატესეული ხალიბების განსახლების ტერიტორია ერთმანეთს ემთხვევა.

მეორე თავი სტრაბონისეული „მოსხიკეს“ (მოსხების ქვეყნის) ლოკალიზაციას ეხება. ავტორი წყაროთა სკრუპულოზური ანალიზის შედეგად იმ სწორ დასკვნამდე მიდის, რომ „მოსხიკე“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავს — ჭოროხის ხეობას მთლიანად და მტკვრის ზემო დინების აუზს. ნ. ხაზარაძის მიხედვით, ისტორიული ბასიანიც (არაქსის ზემო დინება) თითქოს „მოსხიკეს“ ნაწილია (გვ. 55). ამაზე ავტორს ვერ დავეთანხმებით. სტრაბონის დროს ბასიანი შედიოდა სომხეთში და არამც თუ ბასიანი, არამედ მტკვრის სათავეც! ბასიანის „მოსხიკეს“ ფარგლებში შეტანა, ჩანს, სტრაბონის „მოსხური მთების“ ავტორისეული ლოკალიზაციით არის გაპირობებული. „მოსხური მთები“ იბერიისა და სომხეთის საზღვარი იყო. ავტორის მიხედვით ეს მთაგრეხილი ემთხვეოდა ჭოროხ-მტკვრის, ჭოროხ-ევფრატის და ევფრატ-არაქსის წყალგამყოფ ქედებს (გვ. 50, 55). ჯერ ერთი, ასეთი საზღვრის გულისხმობა სტრაბონის დროს სწორი არ არის და, მეორეც, ასეთი ურთიერთჯვარედინად გადამკვეთი ქედების ორი ქვეყნის საზღვრად წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელია! და კიდევ ერთი შენიშვნა: მეორე თავს ეწოდება — „მოსხების ქვეყნის ლოკალიზაციისათვის ძვ. წ. I — ახ. წ. I სს-ში“, ხოლო ამ თავის ბოლოს საილუსტრაციოდ თანდართულ რუკას (გვ. 71) კი ეწოდება — „მოსხიკე ძვ. წ. IV—III სს.“!?

მესამე თავი ეხება ძველაღმოსავლური წყაროების „მუშქების ქვეყნის“ ლოკალიზაციას. თუ წინა ორი თავი, ძირითადად, ძველბერძნული წყაროების ანალიზს ემყარებოდა, ახლა ავტორი საკუთრივ ძველაღმოსავლური, კერძოდ, ასურული, ურარტული და ლუვიურ-იეროგლიფური წარწერების მონაცემებს იყენებს. აქ საინტერესო ის არის, რომ ადილჯევაზის წარწერის „მუშქინის“ არუთინიანისეული ლოკალიზაციის გაზიარების შედეგად, ნ. ხაზარაძე ე. წ. „აღმოსავლელი მუშქების“ ისტორიას, რომელიც აქამდე ძვ. წ. XII—IX სს-ით ისაზღვრებოდა, ძვ. წ. VII ს-მდე აგრძელებს, ხოლო კონიის მახლობლად აღმოჩენილი ლუვიურ-იეროგლიფური წარწერის (ყიზილ-დაღ IV წარწერა) ავტორისეული დათარიღების შედეგად (გვ. 120), თუ აქამდე ე . წ. „დასავლელი მუშქების“ ისტორია ძვ. წ. VIII ს-დან იწყებოდა, ამჟამად ძვ. წ. X—VII სს-ით იფარგლება. ეს თარიღი ავტორს ორიგინალური პალეოგრაფიულ-ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის შედეგად აქვს მიღებული. აქ ჩვენ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ტრადიციული გაიგივება ხეთ. თეგარამასი და ასურ. თილგარიმუსი დღევანდელ გჲურჲუნთან თოხმა-სუს ხეობაში, რასაც ნ. ხაზარაძეც იზიარებს, ი. დიაკონოვის მიხედვით გამორიცხულია.

მეოთხე თავი სამი პარაგრაფისაგან შედგება, რომელთაგან პირველი „მოსხი“ და „მუშქი“ ტერმინების ურთიერთობის საკითხებს ეხება. კერძოდ, მოტანილია სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებანი „მესხ“ — //„მოსხ“ — //„მუსხ“ — ფორმების ისტორიული ურთიერთმიმართების შესახებ.

მეორე პარაგრაფი მოსხ-მუშქების ეთნიკური კუთვნილების შესახებ მეცნიერებაში გავრცელებულ შეხედულებებს გადმოგვცემს. მესამე კი ამ საკითხზე ავტორის თვალსაზრისს გვაცნობს.

ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს მუშქებისა და ფრიგიელების, მუშქებისა და სომხების, მუშქებისა და ქართველების ეთნიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთობების შესახებ არსებულ თეორიებს და დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ დღეს სხვადასხვა ხასიათის (ლინგვისტური, არქეოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ ზოგადად ისტორიული) მასალების ობიექტური ანალიზის შედეგად ყველაზე უფრო მართებული ჩანს მუშქების ქართულ სამყაროსთან დაკავშირება.

ფრიგიელებისა და მუშქების იგივეობის თეორიის კრიტიკულად განხილვისას ავტორი სავსებით მართებულად ხაზს უსვამს ისეთ ობიექტურ მონაცემებს, როგორიცაა ამ ორ ხალხსა თუ ტომებს შორის გეოგრაფიული და ენობრივი არეალების განსხვავება; დამწერლობის, არქეოლოგიური კულტურებისა და სულიერი კულტურის სხვადასხვაობა; ხაზს უსვამს, აგრეთვე, იმას, რომ თუ მუშქების სახელმწიფოს არსებობა ჩვენ ძვ. წ. X ს-დან მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, ფრიგიის სამეფოს არსებობის რეალური კვალი ძვ. წ. VIII ს-ის იქით არა გვაქვს. ეს კრიტიკა სწორია და ფრიგიელთა და მუშქთა ეთნიკურ სხვადასხვაობას დამაჯერებელს ხდის, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მეცნიერის კატეგორიული მტკიცებით, არამც თუ ძვ. წ. VIII ს-ის წინარე ხანაში მცირე აზიაში ფრიგიელთა რაიმე კულტურული ნაკვალევი არ დასტურდება, რასაც აღნიშნავს კიდეც ავტორი (გვ. 165), არამედ საერთოდ ცენტრალურ ანატოლიაში ძვ. წ. 1200—800 წლებს შორის რაიმე არქეოლოგიური კულტურის არსებობაც კი საეჭვოა და ამ პერიოდში ეს ტერიტორია მომთაბარეთა საძოვრებად წარმოიდგინება, ხოლო თვით ფრიგიელი ხალხის წარმოქმნა ძვ. წ. VIII ს-ეს უკავშირდება (ე. აკურგალი). ჩვენი აზრით, ამის გათვალისწინება კიდევ უფრო გაამაგრებდა ავტორის მოსაზრებას ფრიგიელთა და მუშქთა სხვადასხვაობის შესახებ, მით უმეტეს, რომ მუშქთა სახელმწიფო (და ე. ი. ხალხიც), მისივე მტკიცებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში უკვე ძვ. წ. X ს-დან არსებობდა.

სწორია ნ. ხაზარაძე, როცა მუშქებისა და პროტოსომხების იგივეობის დიაკონოვისეული თეორიის კრიტიკისას, არსებითად, ჰეროდოტეს ცნობას ეყრდნობა პროტოსომეხთა ფრიგიელთაგან მომდინარეობის შესახებ, რაც, თუკი ეს ცნობა რეალურ-ისტორიულია, თავისთავად უარყოფს პროტოსომეხთა და მუშქთა იდენტურობას, რადგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფრიგიელები და მუშქები სხვადასხვა ხალხია.

ამ მხრივ ავტორი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევს ქრონოლოგიურ შეუსაბამობას ზემოევფრატისპირეთში, სომხების უძველეს სამშობლოში, მუშქების (ძვ. წ. XII ს.) და ფრიგიელთაგან გამოსული პროტოსომხების მოსვლის სავარაუდო თარიღს (ძვ. წ. VII ს.) შორის (გვ. 174). ხოლო მეორე თარიღის რეალურობას ავტორი მოსე ხორენელთან დაცული ეროვნული ტრადიციის დეტალური ანალიზითაც ცხადყოფს (გვ. 181—185). ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ი. დიაკონოვს სპეციალური მსჯელობა აქვს იმის შესახებ, რომ ძვ. წ. VII ს-ში პროტოსომხების მოსვლა მათ უძველეს სამშობლოში გამორიცხულია და რომ ჰეროდოტეს ცნობის უკრიტიკოდ მიღება შეუძლებელია. ავტორისაგან საჭირო იყო ამ მოსაზრების გაბათილება. საერთოდ, ჩვენი აზრით, ნ. ხაზარაძეს თავის მონოგრაფიაში უნდა მოეცა დიაკონოვისეული თეორიის არსებითი კრიტიკა, რაც, სამწუხაროდ, გაკეთებული არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ დიაკონოვისეული თეორია მუშქების პროტოსომხებთან იგივეობისა თავიდან ბოლომდე მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებზეა აგებული. მას მოაქვს შვიდი არგუმენტი თავისი მოსაზრების გასამაგრებლად და სწორედ ამ არგუმენტთა სათითაოდ გაბათილებას უნდა ცდილიყო ჩვენი ავტორი. აქ არ არის ადგილი დიაკონოვისეული საბუთიანობის არსებითი კრიტიკისათვის, მაგრამ ერთი უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. დიაკონოვი მუშქების პროტოსომხებთან დაკავშირებისა და, ამდენად, მათი მესხ-ქართველებთან გაიგივების უარყოფისათვის მოტანილი ვარაუდების ლოგიკური კონსტრუქციის დროს სათანადო ანგარიშს არ უწევს სამ ფ ა ქ ტ ს, რომელთაგან სამივე მისთვის, ცხადია, ცნობილია:

1) ძვ. წ. XII ს-ში მუშქები ჩანან ევფრატის მარცხენა სანაპიროზე, მისი შენაკადის მდ. არაცანის ქვემო წელზე (ალზი), და არა ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც ლოკალიზდება პროტოსომეხთა უძველესი სამშობლო — მელიდის სამეფო ანუ „სახლი თორგამოჲსი“, — საიდანაც, იმავე დიაკონოვის აზრით, ურარტუს დაცემის შემდეგ (ძვ. წ. VI ს.) პროტოსომხები გავრცელდნენ ევფრატის მარცხენა სანაპიროზე. ამ შეუსაბამობის გასაბათილებლად დიაკონოვი ვ ა რ ა უ დ ო ბ ს, რომ მუშქები იმთავითვე (ძვ. წ. XII ს.) ან უფრო გვიან (ძვ. წ. VII ს.) უნდა დასახლებულიყვნენ ევფრატის მარჯვენა სანაპიროზედაც. ეს არის ვარაუდი, რომელიც არაფრით მტკიცდება, მაგრამ რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მუშქთა სომხობის თეორიისათვის.

2) ჰეროდოტეს მხოლოაზროვანი ცნობა (შემაგრებული ევდოქსეს მოწმობით), რომ სომხები ფრიგიელთა კოლონისტები არიან.

3) ლეკთა, კერძოდ, ხუნძთა მიერ ქართველ მთიელთა სახელდება „მოსოქ“ ტერმინით, რაც სპეციალისტთა სამართლიანი აზრით, იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ოდესღაც ეს ტერმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ზოგადად „ქართველთა“ სახელწოდებად იხმარებოდა.

ვფიქრობთ, სწორედ ამ წანამძღვარზე უნდა აეგო ნ. ხაზარაძეს დიაკონოვისეული თეორიის კრიტიკა, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენთვის საინტერესო ტომების ვარიანტული სახელწოდებანი (მესხ — // მოსხ — //მუსხ —) ქართველური ენების ფონეტიკური კანონზომიერებით ძალდაუტანებლივ იხსნება.

დაბოლოს, მუშქთა მოსხებთან და მათი საშუალებით მესხებთან და ე. ი. ქართველებთან დაკავშირების ავტორისეული შეხედულების შესახებ.

არქეოლოგიური არგუმენტაცია, ჯერჯერობით მაინც, ვფიქრობთ, არაფრის მთქმელია, რადგან ვერც ე. წ. „ადრეფრიგიული სტილის“ მოხატულ კერამიკას, რომელიც სხვათა შორის, ე. აკურგალის მიხედვით, ძვ. წ. 775—725 წლებით თარიღდება, ვერ დავუკავშირებთ ამიერკავკასიურ კულტურას და ვერც კოლხური ლითონის მსგავსი ელემენტების, კერძოდ, ბრტყელი ცულების ანატოლიაში გავრცელების ფაქტს ვერ ჩავთვლით მესხთა „ეთნიკური გადაადგილების“ (გვ. 190) მოწმობად, რადგან, ჯერ ერთი, ბრინჯაოს ამ ტიპის ბრტყელი ცულები, რომლებიც ანატოლიისათვისაცაა დამახასიათებელი უფრო ძველია, ვიდრე შესაბამისი კოლხური ცულები და მცირეაზიული წარმომავლობისად ითვლება (ო. ჯაფარიძე) და შემდეგ თუკი მუშქები კოლხური კულტურის მატარებლები არიან და არა მარტო მატარებლები, არამედ, ავტორის აზრით, მისი გამავრცელებლებიც ძვ. წ. XIV—XII სს-ის მცირე აზიაში (გვ. 192), მაშინ რატომ არ ჩანს ამ კულტურის ელემენტები იქ, მდ. არაცანის ქვემო დინების ველზე თუ ტიგროსის სათავეებში, სადაც ძვ. წ. XII—IX სს-ში მუშქები ნამდვილად ცხოვრობდნენ?

მუშქ-მოსხ-მესხთა ეთნიკური იდენტურობის გაცილებით უფრო მძიმე არგუმენტია, მიუხედავად ქრონოლოგიური შეუსაბამობისა, ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაცია, კერძოდ ის, რომ ძვ. წ. XII—VII სს-ში ევფრატის ზემო წელზე, ძვ. წ. VI—V სს-ში მდ. იეშილირმაკის ზემო წელზე და ძვ. წ. I საუკუნეში ჭოროხის სათავეებში დამოწმებული მუშქ-მოსხები, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში თავსდებიან, რაც კარგად უჩვენა ავტორმა მონოგრაფიის პირველ სამ თავში (გვ. 189) და რამდენადაც პონტოში და ჭოროხზე მცხოვრები მოსხების ქართველ მესხებთან იდენტიფიკაცია ეჭვს არ იწვევს, ამდენადვე ევფრატისპირეთის მუშქების მათთან დაკავშირებაც რეალურ საფუძველზეა დამყარებული.

რა თქმა უნდა, საამისოდ მძიმე არგუმენტია ის ფაქტიც, რომ „მუშქი“ ტერმინთან გენეტიკურად დაკავშირებული ძველბერძნული წყაროების „მოსხი“ და „მესხი“, მაინცდამაინც, ქართული მესხების აღმნიშვნელ სახელწოდებად დამკვიდრდა (გვ. 187).

მუშქებისა და მოსხ-მესხების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ჩვენს ავტორს ერთი მოსაზრებაც აქვს გამოთქმული. მისი აზრით, ეს იდენტიფიკაცია შესაძლებელია შემაგრებულ იქნას ისეთი ორი ფაქტის შეპირისპირებით, როგორიცაა, ერთი მხრივ, ძვ. წ. XII ს-ში ქაშქთა და მუშქთა ტიგროსის სათავეებში ერთდროული ყოფნა და, მეორე მხრივ, ძვ. წ. XIV ს-ის ქაშქებისა და ძვ. წ. VI—V სს-ის მოსხების ადგილსამყოფლების ურთიერთმეზობლობა პონტოში. მიუხედავად აშკარა ქრონოლოგიური შეუსაბამობისა (1000 წ.!), ეს აზრი შესაძლებელია ნაყოფიერი გამოდგეს, თუ გავითვალისწინებთ ერთ გარემოებას.

ო. გერნის აზრით მუშქებს, რომელთაც იგი ფრიგიულ ტომად მიიჩნევს, ევფრატის სათავეებში ძვ. წ. XIII ს-ის პირველ ნახევარში მაინც უნდა შეეღწიათ. ამის საბუთია აქ მდებარე ფახუვას ქვეყნის მეფის, მითას სახელი, რომელიც VIII ს-ის მუშქთა მეფის სახელის იდენტურია. ე. აკურგალი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ფახუვამ, რომელსაც იგი მუშქებთან აიგივებდა, მოკლე ხანში საზღვრები სამხრეთისკენ ასურეთის ტერიტორიამდე განავრცო (ტიგლათფილესერ I წარწერა). ი. დიაკონოვი ასეთ შესაძლებლობას ნაკლებად სარწმუნოდ თვლის იმ საფუძვლით, რომ ძნელი დასაჯერებელია ბალკანეთიდან ფრიგიული ტომების ევფრატის ზემო წელზე შემოღწევა ჯერ კიდევ დაუნგრეველი ხეთური იმპერიის არსებობის პირობებში. მაგრამ, ჩვენი აზრით, სხვაგვარად წარმოგვიდგება საქმე, თუკი ფახუვას მეფე მითას კავკასიურ სამყაროს დავუკავშირებთ (რასაც სპეციალისტები ვარაუდობენ კიდეც: ფახუვა//ფოხ//-ფ(ო)ხოვი?). და თუკი ი. დიაკონოვი შესაძლებლად თვლის ერთადერთი სახელის (ხეთურ-ლუვიური მ უ რ ს ი ლ ი ს და სომხური მ უ შ ე ლ ი ს) საშუალებით სომეხთა ხეთურლუვიურ სამყაროსთან დაკავშირებას, რატომ არ შეიძლება მუშქების (და ფახუვას) სამეფო დინასტიური სახელების მითას და გორდი//გორდიას კავკასიურ და, კერძოდ, ქართულ სამყაროსთან დაკავშირება (ონომასტიკა: მითაიშვილი, გორდაძე, გორდიაშვილი...)?

ამგვარად, საფიქრებელია, რომ ყველა არსებულ თეორიათაგან მუშქების დაკავშირებას

ქართულ სამყაროსთან ყველაზე მეტი საბუთიანობა გააჩნია, რაც კარგად უჩვენა ჩვენმა ავტორმა თავის მონოგრაფიაში.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ განხილული მონოგრაფია აშკარა მოწმობაა ნ. ხაზარაძის ერუდიციისა და მისი, როგორც მეცნიერის, მაღალი კვალიფიკაციისაც. ძველი და ახალი ენების ფლობა მას საშუალებას აძლევს უშუალოდ მივიდეს მრავალფეროვან პირველწყაროებთან და ამომწურავად გამოიყენოს დიდძალი სპეციალური ლიტერატურა, ხოლო კვალიფიციური ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზის უნარი მის დასკვნებს, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნე, საკმაო დამაჯერებლობას ანიჭებს.

დავით მუსხელიშვილი

## პოლონური წყაროები საქართველოს შესახებ

პოლონელთა დაინტერესებას საქართველოს კულტურით ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ საკითხის შესწავლას ეძღვნება პოლონელი მეცნიერების — პროფ. ბ. ბარანოვსკის და ა. ვოზნიაკის შრომები*, რომლებშიც განხილული მრავალრიცხოვანი მასალის, პირველწყაროთა თუ სათანადო ლიტერატურის, მათ შორის პოლონელ და ქართველ მკვლევართა ნაშრომების, საფუძველზე ჩანს, რომ საქართველო-პოლონეთს შორის დიპლომატიური კონტაქტების დამყარების ხანიდან (XV ს. II ნახ.) მოყოლებული, პოლონელი ავტორების ჩანაწერებში მოიპოვება ცნობები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ. თავდაპირველად ეს მონაცემები უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა, XVII ს-დან კი იწყება გამოცოცხლება ამ მიმართულებით, რასაც ხელი შეუწყო კავკასიისა და, კერძოდ საქართველოს, როგორც თურქეთის წინააღმდეგ შესაძლებელი მოკავშირის მიმართ პოლონეთის მხრივ ინტერესის გაძლიერებამ. მთელი XVII ს-ის მანძილზე, ჟამიდან ჟამამდე, ადგილი ჰქონდა პოლონეთის მცდელობას დაემყარებინა საქართველოსთან კავშირი. ამ მიზანს ემსახურებოდა არა მხოლოდ დიპლომატების, არამედ ვაჭრებისა და კათოლიკე მისიონერების, აგრეთვე პოლონეთის არმიაში მყოფი ქართველი ოფიცრების საქმიანობა, რის შედეგადაც პოლონეთს განუცდია კავკასიური კულტურისა და მოდის გავლენა. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სფეროში. როგორც სათანდო წყაროებიდან ირკვევა, ნოხები, სამოსი, საიუველირო ნაწარმი, ნაირგვარი სამკაულები, ძვირფასი სარტყლები თუ ცხენის უნაგირ-მოსართავები და სხვა ამგვარი ქართულ, სომხურ და ჩერქეზულ ყაიდაზე მზადდებოდა. უფრო მეტიც. დასავლეთევროპელ მოგზაურთა ცნობით, XVII ს-ის II ნახევარში პოლონელი ელჩებისა და თვით მეფისაც კი ტანსაცმელი არაფრით განსხვავდებოდა ქართული ან ჩერქეზული სამოსისაგან. აღნიშნულის მიუხედავად, XVII ს-ის პოლონურ წყაროებში მაინც ძუნწადაა ცნობები კავკასიის შესახებ. პოლონელთაგან ცოტამ თუ მოაღწია ჩვენს მხარემდე და მაინც, ისტორიას შემორჩა საქართველოს შესახებ პოლონელთა პირადი შთაბეჭდილებებისა ან სხვათაგან მიღებული ინფორმაციების ჩანაწერები დიპლომატიური მისიით: ირანში მყოფი სეფერ მურატოვიჩის რელაციისა თუ მისიონერ მამათა — იგნაცი ზაპოლსკისა და იან გოსტკოვსკის მოხსენებითი ბარათების სახით. ხოლო პოლონელი ორიენტალისტისა და დიპლომატიური სამსახურის თარჯიმნის, სამეულ ოტვინოვსკის ინფორმაციებში თურქეთის შესახებ მრავლადაა კონსტანტინოპოლში მყოფი ქართველი ელჩებისა და პოლიტიკური ემიგრანტებისაგან მიღებული

* B o h d a n B a r a n o w s k i, Polskie zainteresowania z XVIII i XIX wieku kultura Gruzji, Warszawa Lòdz, 1982; მ ი ს ი ვ ე, Gruzińskie zainteresowania Kazimierza Lapczyńskiego, „Acta Universitatis Lodziensis“ (შემდეგში — AUL), Folia Historica, 8, 1981; მ ი ს ი ვ ე, Znaczenie relacji Tadeusza Krusińskiego dla historii Gruzji pierwszej polowy XVIII w., AUL, Folia Hist., 10, 1981; მ ი ს ი ვ ე, Georgia and Georgians in the Works of Juliusz Strutyński, AUL, Folia Caucasica, 1, 1983; მ ი ს ი ვ ე, Gruzińskie Oświecenie. AUL, Folia Hist., 22, 1985; მ ი ს ი ვ ე, Кавказ и Польша в XVII в., в сб. „Россия, Польша и Причерноморье в XV—XVIII вв., М., 1979. B. B a r a n o w s k i, K. B a r a n o w s k i, Polakòw kaukaskie drogi, Lòdz, 1985; A. W o z n i a k, Kultura ludowa Gruzji w relacjach polskich do poczatkòw XX w., „Etnografia Polska“, t. XXVII, z. 1. (დასახელებული ნაშრომების გამოგზავნისათვის მადლობას მოვახსენებ ბ. ბარანოვსკისა და ა. ვოზნიაკს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო ცნობა კავკასიის, განსაკუთრებით კი, საქართველოს ისტორიიდან და ეთნოგრაფიიდან.

მოგვიანებით, XVIII ს-ის I ნახევარში, უკვე გვაქვს სწავლულისა და მისიონერის, იეზუიტ ტადეუშ კრუსინსკის მიერ შესრულებული საქართველოს პირველი პოლონური ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობა, რომელიც შეიცავს მდიდარ ინფორმაციას როგორც საქართველოში გავრცელებულ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობათა თუ რწმენა-წარმოდგენათა სფეროდან, ისე ამ ქვეყნის XVIII ს-ის 20—30-იანი წლების ისტორიიდან. აქვეა ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალთა და ტახტის პრეტენდენტთა შინაბრძოლებისა თუ ამ ქვეყნის ურთიერთობის შესახებ ირანთან, თურქეთთან, რუსეთთან და დაღესტნელებთან. ამ აღწერილობათა წყალობით კარგა ხნის განმავლობაში, ვიდრე XVIII ს-ის დასასრულამდე, პოლონეთი პირველ ადგილზე იყო ევროპაში საქართველოსა და მისი კულტურის შესწავლის საქმეში. ტადეუშ კრუსინსკისეული ეს მასალა დამატებებითა და შესწორებებით თარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. თანაც, ზოგმა დასავლეთევროპელმა ავტორმა გადამუშავებულ-გადაკეთებული ეს ნაშრომი თავისი სახელით გამოაქვეყნა.

XVIII საუკუნისავე პოლონელ მოღვაწეთაგან ყურადღებას იპყრობს იან პოტოცკის საქმიანობაც, რომელიც თავად არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ საკუთარი ხარჯებით ექსპედიციის დაფინანსების გზით საშუალება მისცა იულიუშ კლაპროთს დაეწერა ნაშრომი საქართველოს შესახებ.

საქართველოთი დაინტერესების მეორე და უფრო ინტენსიური პერიოდი პოლონეთში იწყება XIX ს-დან. ამ ხანას ეკუთვნის ევროპულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი შრომები შოთა რუსთაველის შესახებ და მისი პოემების ნაწყვეტების კონსტანტინე რდულტოვსკისეული თარგმანები, აგრეთვე იუზეფ სენკოვსკისა თუ იგნაცი პეტრაშევსკის მიერ მუსლიმური მატიანეებიდან საქართველოს შესახებ ამოკრებილი მასალები.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს შესახებ ცნობების შეკრებასა და ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში პოლონელ პატრიოტებს, იმ დროისათვის დამოუკიდებლობადაკარგული, რუსეთის იმპერიის ფარგლებში შესული პოლონეთის მოღვაწეებს, რომლებიც პოლიტიკური დანაშაულისათვის სასჯელს იხდიდნენ საქართველოში გადასახლებით, კავკასიაში მეფის არმიაში სამსახურით. პოლონელი ინტელიგენციის ამ მრავალრიცხოვანი ჯგუფის წარმომადგენელთაგან საგანგებო აღნიშვნის ღირსია ტადეუშ ლადაზაბლოცკისა და კაზიმეჟ ლაპჩინსკის ღვაწლი. პირველი მათგანი ამზადებდა ნაშრომს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ, რომლის დასრულებას ხელი შეუშალა ავტორის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. კ. ლაპჩინსკიმ კი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა ე. წ. სამხარეთმცოდნეო ნარკვევებში ასახული საკუთარი შთაბეჭდილებები საქართველოზე და, ნაწილობრივ, სომხეთ-აზერბაიჯანსა, დაღესტანსა და ჩრდ. კავკასიაზე, აგრეთვე გიორგი ერისთავთან და ვახტანგ ორბელიანთან თანამშრომლობით გადათარგმნილი ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან", რომელთაც დაურთო საინტერესო შესავალი შოთა რუსთაველის მოღვაწეობის შესახებ. მანვე შეკრიბა ქართული ანდაზები, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილის გამოცემა შეძლო. გამოუქვეყნებელი დარჩა მისი პოლონურად დაწერილი საქართველოს ისტორიაცა და რომანიც თამარ მეფეზე.

საქართველოს შესახებ დაწერილ მატეუშ გრალევსკის წიგნში დიდი ადგილი ეთმობა საქართველოსა და მის კულტურას. ამავე ავტორმა საკუთრივ ჩვენს ქვეყანას მიუძღვნა რამდენიმე ნარკვევი. საქართველოს შესახებ საინტერესო მეცნიერული და პოპულარული ნაშრომები დაგვიტოვეს იან ზალენსკიმ, ადამ ტშასკოვსკიმ, ჰიპოლიტ იავორსკიმ, მიხალ ბუტოვტ-ანჯეჲკოვიჩმა, ლეონ იანიშევსკიმ, ჰენრიხ დერჟეკმა და არა ერთმა სხვა ავტორმაც. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იულიუშ სტრუტინსკის თავის მრავალრიცხოვანი ნაწერებით, რომელთაგან ნაწილი გამოქვეყნებულია.

მრავალმხრივი ინტერესების მქონე, დიდად ნიჭიერი და განათლებული, მაგრამ მოუწესრიგებელი პიროვნება, იულიუშ სტრუტინსკი ერთ-ერთი პირველთაგანია პოლონელი მწერლებიდან, რომელმაც დიდი ნაწილი თავისი ლიტერატურული ჩანაწერებისა უდიდესი სიყვარულით უძღვნა კავკასიას და საქართველოს. ი. სტრუტინსკი არ იყო არც ცნობილი მწერალი, არც გარკვეული მეცნიერული მეთოდებით მომუშავე მკვლევარი (თბილისში იგი მოღვაწეობდა როგორც გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტი), არც მისი ნაწერები გამოირჩევა თანმიმდევრულობით — ისინი ხშირად ქაოტური და უსისტემოა, მაგრამ შეიცავს დიდძალ მასალას საქართველოს გეოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე, ნაწილობრივ საკუთარი გამოკვლევების, ნაწილობრივ კი წიგნებიდან და პერიოდული გამოცემიდან ამოკრებილი თუ ადგილობრივთაგან მიღებული ინფორმაციების

სახით. თანაც ამ ავტორის ხელნაწერი (სხვადასხვა ზომის 8 რვეული) უფრო დიდი, სრული და სისტემურია, ვიდრე მისი გამოქვეყნებული ვარიანტი.

ი. სტრუტინსკი პირველი პოლონელია, ვინც სერიოზულად დაინტერესდა საქართველოს არქეოლოგიურ პრობლემათა შესწავლით. მან დაგვიტოვა ანბანურად დალაგებული არქეოლოგიური ძეგლების სია, თქმულება-გადმოცემები ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-კოშკების, აგრეთვე ქართველ დიდებულთა წარმოშობის შესახებ, ცნობები სოციალურ ურთიერთობებზე თუ მასალები თბილისის კათოლიკური ეკლესიისა და მისი სამწყსოს ისტორიიდან და სხვ.

ზოგჯერ დილეტანტურად, ზოგჯერ კი დიდი ერუდიციით შედგენილი სტრუტინსკისეული ნაწერებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მის რვეულებში დაცული თბილისსა თუ ქართულ პროვინციებში სასახლისა და თავადთა სახლების აღწერილობანი, რომლებშიც საყურადღებო მასალაა თვით ნაგებობათა, მათი შემოგარენისა და ინტერიერის, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთა სტუმარ-მასპინძლობის შესახებ. ქართველთა სახლების შინამოწყობილობებსა და მორთულობებში იგი განარჩევდა სამ სტილს— ე. წ. ძველქართულს (რომელსაც უპირატესობას ანიჭებდა სხვებთან შედარებით), აღმოსავლურს ანუ მაჰმადიანურსა და ევროპულს, და აღნიშნავდა, რომ ხშირად ერთსა და იმავე სახლში სამივე ყაიდაზე გამართული ოთახებია, შესატყვისად ქართველი, მუსლიმი და ევროპელი სტუმრებისათვის, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და რთული ისტორიული ვითარების გამო ადგილობრივნი აღმოჩდნენ სხვადასხვა კულტურის მატარებელ ხალხებთან ურთიერთობის აუცილებლობის წინაშე. თანაც ი. სტრუტინსკი ხაზს უსვამს ქართველთა განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას, რომლის მსგავსს მსოფლიოს ვერც ერთ სხვა ხალხთან ვერ შეხვდებით. თუმცა იქვე დასძენს, რომ ზოგჯერ ზომიერებას მოკლებული ქართული სტუმართმოყვარეობა შემაწუხებელიცაა.

ი. სტრუტინსკის ნაწერები ეხება ქართველთა თუ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც. მას აქვს ცნობები თურქეთში მოსახლე ლაზების შესახებ. იგი წერს საქართველოში მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებზე, ხოლო მისი რამდენიმე მოთხრობის მოქმედება საქართველოში მიმდინარეობს.

ი. სტრუტინსკის სიყვარულმა საქართველოსა და ქართველთადმი თავი იჩინა შემდეგ ფაქტშიც: მან გამოიყენა XIX ს. ზოგი პოლონელი მეცნიერის ფანტასტური თეორია პოლონელთა კავკასიიდან, კერძოდ დაღესტნიდან წარმომავლობის შესახებ, მაგრამ რადგანაც თავად ანტიპატიურად ყოფილა განწყობილი ლეკების მიმართ, ამ თეორიას დაუპირისპირა თავისი მოსაზრება, რომლის მიხედვით პოლონელთა წარმოშობა ლაზებს უნდა უკავშირდებოდეს, რასაც სხვა არგუმენტებთან ერთად, იგი ძირითადად, ამ ორი ხალხის ეროვნულ თვისებათა მსგავსებაზე აფუძნებს.

ქართველთა და პოლონელთა ურთიერთობის მესამე პერიოდი ესაა XIX ს. დასასრულიდან I მსოფლიო ომამდელი ხანა, როცა საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, ვხვდებით საკმაოდ მრავალრიცხოვან პოლონურ კოლონიებს, ჩვენში გადმოსახლებულთაგან აქა-იქ შემორჩენილ პოლიტიკურ დამნაშავეებსა თუ სამუშაოდ, სავაჭროდ ან სამოგზაუროდ ჩამოსულ პოლონელებს. ამ დროის საქართველოს შესახებ დაწერილ ნაშრომთაგან ცნობების სიმდიდრითა და ქართველი ხალხის კულტურისადმი სინთეზური მიდგომით გამოირჩევა ნახევრადპოლონელი ავტორის, ჩვენში კარგად ცნობილი არტურ ლაისტის და გამოჩენილი სწავლულ-ბოტანიკოსის ედვარდ შტრუმპფის თხზულებები. ე. შტრუმპფმა საქართველოსა და აზერბაიჯანისადმი მიძღვნილ წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქართული ლიტერატურის ისტორიასაც. შედარებით მცირე, ზოგჯერ არც თუ ახალ, მაგრამ მაინც გარკვეულ ცნობებს საქართველოს შესახებ ვხვდებით რომუალდ კლენოვსკის, ვიტოლდ ბერნაცკის, ტადეუშ ვიგანოვსკის, ადამ სერაკოვსკის, ვალერი გოეტელის, ვაცლავ როგოვიჩისა და სხვათა შრომებსა თუ ნაწერებში. ხოლო ესეები საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ დაგვიტოვეს პროფ. ჰენრიხ ულაშინმა და გამოჩენილმა მწერალმა ვაცლავ სეროშევსკიმ, რომელმაც ქართული თემატიკა თავის მხატვრულ ნაწარმოებებშიც შეიტანა.

საქართველოსა და მისი ხალხის კულტურის შესახებ პოლონური წყაროების ეს არასრული, მოკლე მიმოხილვაც კი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ ხაზით ჩატარებული სამუშაოების შესახებ, რასაც ბ. ბარანოვსკი ხსნის ქართველი ხალხის მიმართ პოლონელთა განსაკუთრებული კეთილგანწყობითა და დიდი სიმპათიებით. მისივე დაკვირვებით, პოლონეთი, რომელმაც XVIII ს. დასასრულიდან საქართველოს შესწავლის საქმეში მხოლოდ რუსეთს დაუთმო პირველობა, ამ მხრივ წინ უსწრებდა ევროპის ყველა სხვა ქვეყანას. ეს ფაქტი კი კიდევ მეტ ფასს სძენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ არსებულ პოლონურ წყაროებს, ხაზს უსვამს აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულთათვის როგორც თვით ამ წყაროთა, ისე მათი შესწავლისადმი მიძღვნილ, პოლონელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერთა ნაშრომების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იმავდროულად, საქართველოს შესახებ ზემონახსენები პოლონური წყაროების გამომზეურება და კვლევა ჩვენი დროის მეცნიერთა მიერ, აგრეთვე მათი სათანადო პუბლიკაციები საყურადღებოა სხვა თვალთახედვითაც. სახელდობრ, მიგვანიშნებს, რომ პოლონელთა მხრივ საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებით დაინტერესება არა თუ არ შესუსტებულა, არამედ უფრო გაძლიერდა და თანამედროვე მეცნიერულ დონემდე ამაღლდა. აღნიშნულის მეტყველი დამადასტურებელია პოლონეთში 1978 წლიდან ამიერკავკასია-პოლონეთის ინტერდისციპლინარული ჯგუფის არსებობა, რომლის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ქართველ მკვლევართა მოვალეობაცაა.

**ნელი ბრეგაძე**

## О. Г. Большаков, СРЕДНЕВЕКОВЫЙ ГОРОД БЛИЖНЕГО ВОСТОКА (VII — СЕРЕДИНА XIII в.), М., 1984

Долгое время советское востоковедение ждало монографии, подобной рецензируемому труду О. Г. Большакова. Однако даже самый требовательный и проницательный историк-востоковед едва ли мог предположить, что первая же попытка монографического исследования в советской литературе демографии, экономики и социальных отношений городов средневекового Ближнего Востока, точнее говоря, Сирии, Палестины и Египта, окажется столь удачной, а выводы глубокими и содержательными.

В самом деле, далеко нелегок было, порой казалось даже непреодолимым барьером изучение таких важных, в частности, вопросов, представленных в монографии, как вычисление хотя бы приблизительных размеров городов и количества их населения указанных выше трех стран, определение всей денежной системы и цен на важные и основные сельскохозяйственные продукты и предметы потребления почти на каждый из них в отдельности (зерно и хлеб, другие зерновые и бобовые, растительные масла, скот, птица, продукты животноводства, прочие продукты), на сырье и ремесленные изделия (металлы, волокно и ткань), наблюдение за процессом движения прибавочного продукта и, наконец, выяснение социально-экономического строя города интересующей автора книги эпохи.

В конечном счете, вся эта комплексная система исследования преследует цель сделать основной и главный вывод: каковы были уровень, роль и удельный вес городов в общественной и социально-экономической жизни народов западных провинций халифата VII — середины XIII в., т. е. периода от завоевания их арабами и вплоть до окончательного низвержения династии Аббасидов монголами в 1258 г.

Чтобы исследовать указанные выше вопросы и прийти в общей сложности к какому-то приемлемому для себя решению, О. Г. Большакову, первым долгом, надо было разработать метод, который способствовал бы разрешению поставленной задачи. Применяемая им методика для выяснения разных вопросов, естественно, различна. Насколько эта методика в конкретных случаях приемлема, судить специалисту, занимающемуся теми же вопросами исследования, что и О. Г. Большаков.

Каковы все-таки выводы, сделанные автором рецензируемого труда, каждая из шести глав которого посвящена определенным проблемам, и логично вытекающий из них в конечном итоге основной вывод?

В главе первой (с. 16—45) О. Г. Большаков, рассматривая состояние ближневосточных городов, т. е. Сирии, Палестины и Египта, периода арабских завоеваний приходит к следующим выводам:

1. «В переговорах с арабами города выступают не как самостоятельные единицы, а олицетворяют собой весь административный округ. Договор с городом считался договором со всей округой. До тех пор, пока договора не было, область не считалась завоеванной, и завоеватели ничем не были связаны в обращении с населением и его иму-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ществом» (с. 30). Это положение автора труда привлекло наше внимание не случайно. Дело в том, что в грузинской историографии до сих пор остается предметом спора вопрос, распространяются ли условия договора, оформленного Хабибом ибн Масламой ал-Фихри с жителями г. Тбилиси, на население всей Восточной Грузии. Исходя из отмеченного тезиса, на этот вопрос, по-видимому, следует ответить положительно.

2. Система и размер налогообложения населения Сирии, Палестины и Египта пребывали примерно на том же уровне, что и до арабского завоевания; его экономическое положение до конца VII в. оставалось настолько неизменным, что оно не могло вызвать упадка городов (с. 42), и эти города «имели объективные условия для быстрого восстановления, однако этот процесс был одновременно процессов их арабизации: на место бежавшего населения пришли арабы-переселенцы, занимавшие брошенные жилища и земли» (с. 43).

3. Нельзя не согласиться с мнением О. Г. Большакова, выступившего «против представления о том, что всем арабам была чужда оседлая культура завоеванных стран: в отличие от многих кочевых завоевателей, они не уничтожали производительные силы, понимали существующую систему хозяйства и пытались извлечь для себя максимальную выгоду» (с. 44—45). На наш взгляд, это верное положение вполне заслуживает того, чтобы оно было изучено более подробно с привлечением богатого фактического материала и учетом всей системы политики арабов в завоеванных странах, как социально-экономической, так и религиозно-культурной.

4. Наконец, два последних вывода этой главы, согласно которым, во-первых, «компромиссом между привычной обстановкой бедуинской стоянки и городом, из которого развился настоящий мусульманский средневековый город, будто бы были «города-лагеря». Принимая этот взгляд, мы вынуждены будем признать вслед за некоторыми византинистами, что между византийским городом начала VII в. и мусульманским имеются разрыв и большое принципиальное различие» (с. 43) и, во-вторых, «арабское завоевание не преобразовало социально-экономическую структуру города и не уничтожило муниципальные институты, а лишь обнажило изменения, исподволь накапливавшиеся до этого, оно уничтожало камуфляж старых терминов, которые уже не соответствовали новым явлениям. Важнейшим его последствием стала смена состава господствующей верхушки города» (с. 45). Если быть более точным, в данном случае О. Г. Большаков лишь принимает мнение К. Каэна, «что между византийским и мусульманским городом нет разрыва, нет принципиальной разницы» (там же).

Во второй главе труда «Количество городов в VIII—XIII вв.» (с. 46—97) в отдельных параграфах рассмотрены «Города Сирии, Палестины и Египта в VIII—X вв.» (с. 46—66) ,«Города Сирии и Палестины в XI—XIII вв.» (с. 78—84) и «Города Египта в XI—XIII вв.» (с. 84—97), а также «Политическая ситуация в середине X — середине XII в.» (с. 66—78).

Основной целью данной главы является определение тенденции количественного изменения городов в указанные века. Чтобы широко не распространяться, скажем кратко: отвергая взгляды предшествующих исследователей, О. Г. Большаков приходит к выводу о том, что никакого увеличения количества городов в Сирии, Палестине и Египте за шесть веков не наблюдается. По существу оно остается почти неизменным. Заметно даже сокращение числа сиро-палестинских городов к концу крестовых походов, правда, объяснимое прежде всего внешнеполитическими причинами. Поэтому, как он указывает, «на основании сирийского материала трудно делать выводы о естественной тенденции в изменении численности городов Ближнего Востока» (с. 84).

По мнению автора монографии, нельзя утверждать также о каком-то особом расцвете городов в халифате, не имея данных о территориальном росте и увеличении плотности застройки основных городов региона, которыми современная наука не располагает, а «все заключения о значительном росте городов при Аббасидах, о «мусульманском ренессансе» основываются на факте появления гигантского для средневековья города — Багдада и эфемерного гиганта — Самарры. Изучаемого нами района это явление не

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



коснулось. Конечно, период VIII — начало X в. с длительным отсутствием продолжительных войн на Ближнем Востоке способствовал подъему городской жизни, уровень которой по сравнению с Западной Европой был неизмеримо выше. Но это скорее восстановление уровня, нарушенного арабским завоеванием, чем подъем на новую ступень» (с. 66).

Для того же, чтобы можно было утверждать о сокращении или увеличении численности населения, «более уверенно судить об этом можно по изменениям числа жителей больших городов, которые в самом грубом приближении соответствуют изменениям общей численности населения» (с. 97).

Этой проблеме о размерах городов и количестве их жителей, а также об общей численности населения стран интересующего автора региона посвящена третья глава труда, в которой после скрупулезного изучения обильного фактического материала даны, опуская детали и подробности, следующие выводы: за пять столетий (VII—XII вв.) в Сирии и Палестине не происходит значительного территориального роста городов, их средняя величина остается в прежних пределах. Максимальная численность жителей сиро-палестинских городов, в частности, Халеба X—XII вв., была равна 50—66 тыс. чел. Соответственно максимальной была и его площадь — 200—250 га (см. таблицу 3, с. 137). Общее количество же населения Сирии и Палестины в VII в. определяется в пределах 4,2—4,5 млн. чел. (с. 136).

По мнению О. Г. Большакова, в Египте мы сталкиваемся с иной картиной. «В отличие от Сирии и Палестины с добрым десятком примерно равных по размерам и значению провинциальных центров Египет был страной одного города (вернее, агломерации двух городов), подавляюще превосходившего все остальные. Поэтому о сотне остальных городов мы не знаем ни размеров, ни изменений их во времени. Исключение составляет Александрия, территория которой после VIII в. зафиксирована городской стеной. Поэтому нам приходится надеяться, что динамика роста территории и населения Фустата-Каира как главного центра страны должна в целом отражать общую тенденцию развития в ней городской жизни» (с. 123). Наиболее вероятным числом жителей Каира и Фустата в пору их расцвета в средние века О. Г. Большаков считает 220—260 тыс. чел. (с. 130), население Александрии IX—XIII вв. составляло около 75 тыс. чел. (с. 132), третьего же по величине города Египта Тинниса — около 50 тыс. чел. (Насири Хосров; там же). Общая численность жителей Египта VII—XIII вв. составляла в среднем около 4,5 млн. чел. (с. 136).

В процентном отношении в Египте, как и в Сирии, горожан насчитывалось не менее 20% общего числа населения (с. 136, 138).

И, наконец, самый любопытный факт: население Ближнего Востока, если взять большой отрезок времени (с начала нашей эры до XIX в.), как указывает О. Г. Большаков, совершенно не выросло, в то время как в Европе увеличилось в шесть раз, а к 1500 г., исключая последние три века влияния капиталистического развития и последствия использования ресурсов колоний, оно выросло втрое (с. 138).

Рассмотрев в первых трех главах труда вопросы одной проблематики, его автор на этом мог бы поставить точку и завершить свое исследование, но тогда осталась бы невыполненной его основная задача, отмеченная выше.

Для ее выполнения необходимо было, как указывает О. Г. Большаков, «конкретное исследование основы социально-экономических отношений — количества прибавочного продукта и способов его отчуждения, его превращений в процессе перераспределения в обществе, — выяснение норм эксплуатации различных групп населения и их жизненного уровня требуют конкретного цифрового анализа, который невозможен без знания покупательной способности цен на товары первой необходимости и их стоимости» (с. 142). Хотя установленные им «в предыдущих главах стационарность населения Ближнего Востока в изучаемый период и постоянство доли в нем горожан позволяют предполагать, что, несмотря на изменения политических структур и конкретных форм организации административно-фискального аппарата государства общий объем производимого продукта и

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



той части прибавочного продукта, которая концентрировалась в городе, существенно не менялся» (там же). Тем не менее, по мнению автора труда, «такая стабильность населения не означает отсутствия технического развития ремесла и сельского хозяйства, но эти изменения не влияли на способ производства и не приводили к принципиальным изменениям социально-экономической структуры» (с. 298).

Нам думается, что в данной рецензии едва ли есть необходимость проиллюстрировать на конкретном историческом материале рассмотренные автором рецензируемой книги в последних трех главах, особенно в IV и V, отмеченные выше вопросы. Это сделано им, мы бы сказали, достаточно успешно и убедительно.

Отметим только то, что, согласно исследованию О. Г. Большакова, цены на важные и основные сельскохозяйственные продукты и предметы потребления в интересующее его время оставались почти неизменными, постоянными, с незначительной амплитудой колебаний. То же самое позволяет сказать также наблюдение за процессом движения прибавочного продукта. Оба эти вопроса в монографии исследованы именно на богатом фактическом материале.

Самого пристального внимания, на наш взгляд, заслуживает концепция О. Г. Большакова, выдвинутая им в VI главе — «Социально-экономический строй города» (с. 262—297). В этой главе развита мысль о том, что средневековый мусульманский город был «лишенным каких бы то ни было автономных, независимых от государства организационных начал, как бы ни менялось его устройство от централизованной империи Аббасидов до типично феодальной удельной системы при Сельджукидах и Айюбидах». Та же картина наблюдается и на востоке мусульманского мира — в Средней Азии (с. 281). Отсюда по логике вещей следует вывод о том, что не было независимых от государства организационных начал средневекового мусульманского города, следовательно, не могло быть и ремесленных и торговых организаций, корпораций, объединений, цехов. А если эти организации и существовали, то они, по мнению автора, не имели ни юридически оформленного статуса, ни голоса в решении общегородских дел, ни независимого от центральных властей выборного главы или органа, и они не регулировали ни цен, ни заработков (с. 280). Более того, О. Г. Большаков считает, что «наше представление о закономерности существования в средневековье цеховой организации, порождённое определенным европоцентризмом, является заблуждением» (с. 281). Он там же ссылается на К. Маркса и Ф. Энгельса, по мнению которых цеховая организация была типично феодальной формой производства, сковывавшей дальнейшее развитие производственных отношений. В таком случае, быть может, именно существование цеховой организации на Ближнем Востоке явилось одной из серьезных причин (наряду со многими другими внутренними и внешними причинами), задержавших развитие ближневосточных стран на целые века.

Каков объективный подход к наличному материалу, таков и окончательный результат исследования. Хотя другого итога, исходя из общетеоретического положения об экономической роли города в условиях натурального ведения хозяйства в средневековье, как принято говорить, господства деревни над городом и не следовало ожидать. По указанию О. Г. Большакова, «производящее ремесленное население составляло не более 20—25% взрослого мужского населения городов. По сравнению со всем населением ремесленники составляли всего около 5%, и соответственно доля прибавочного продукта ремесленников играла ничтожную роль в экономическом балансе общества» (с. 298).

Вместе с тем ознакомление с рецензируемой монографией выдвигает ряд вопросов, на которые читатель ждет ответов. Отметим только наиболее важные из них.

1. О. Г. Большаков пишет, что к средневековому городу Ближнего Востока он умышленно не прилагает определение «феодальный», чтобы не применять его формально, только на том основании, что в средние века он не может быть иным, хотя мысль о том, что в

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



феодальном обществе и город должен быть феодальным, кажется сама собой разумеющейся» (с. 262). Не следует ли из этого положения, что автор вообще отрицает существование феодальных общественно-экономических отношений на средневековом Ближнем Востоке? Нам все же представляется, что от отрицания одного до отрицания другого только один шаг. Ни ссылка на И. М. Смилянскую, рассмотревшую экономику и социальную структуру Сирии XVII—XVIII вв. и ни разу не назвавшую город этого времени феодальным, ни употребление О. Г. Большаковым термина «средневековый город» не меняют существа дела. Термин «средневековый город» указывает на его существование во времени, но никоим образом не отражает содержания общественно-экономических отношений самого города.

2. Изветно, что по общему признанию X в. в истории Ближнего Востока считается своего рода водоразделом. В это время достигает своего наивысшего расцвета так называемая арабо-мусульманская культура. Как нам кажется, это непреложная истина. Оспаривать ее едва ли возможно, и дело вовсе не в отрицании расцвета городов в халифате исследуемого периода. Тем не менее, О. Г. Большаков отмечает, что «несмотря на все своеобразие периода, начавшегося после падения Аббасидов, середину X в. нельзя считать началом нового исторического этапа. Все перемены носили политический характер и мало коснулись культуры и социально-экономических отношений» (с. 66). И вновь остался без ответа вопрос: признает или нет автор рецензируемой книги принятую в настоящее время в советской историографии периодизацию средневоковой истории стран Ближнего Востока?

3. Нам представляется некоторым противоречием утверждение О. Г. Большакова в одном случае, что «даже христианские авторы, отмечавшие притеснения со стороны завоевателей, никогда не говорят, что при них (арабах — О. Ц.) начался упадок городов» (с. 45) и в другом «период VIII — начало X в. с длительным отсутствием продолжительных войн на Ближнем Востоке способствовал подъему городской жизни, уровень которой по сравнению с Западной Европой был неизмеримо выше. **Но это скорее восстановление уровня, нарушенного арабским завоеванием, чем подъем на новую ступень»** (с. 66 — подчеркнуто нами).

4. Определенное возражение вызывает заглавие труда. По этому заглавию создается впечатление, что его автор в понятие «Ближний Восток» включает только три страны — Сирию, Палестину и Египет (правда, при необходимости он прибегает к помощи также материала по истории Ирака), в то время как известно, что Ближний Восток охватывает значительно больший регион. Видимо, поэтому сочла необходимым И. М. Смилянская, кстати, редактор рассматриваемой книги, конкретизировать заглавие своей вышедшей несколько лет назад работы: «Социально-экономическая структура стран Ближнего Востока на рубеже нового времени (на материалах Сирии, Ливана и Палестины)», М., 1979.

Проделана трудоемкая и объемистая, кропотливая работа. Использовано огромное количество первоисточников и специальной литературы. Дана объективная, по нашему мнению, оценка взглядов предшествующих как советских, так и западных ученых, интересующихся рассмотренными в монографии проблемами.

Книга снабжена целым рядом иллюстративного материала — разного содержания таблицами, схемами, картами, диаграммами, планами и т. д., что облегчает читателю усвоение рассмотренных в ней вопросов. По числу же этих вопросов и осмысленных удовлетворительных и убедительных ответов на них монография О. Г. Большакова занимает одно из ведущих мест в советской исторической литературе.

Одновременно эта монография является серьезным предупреждением для тех, кто придает чрезмерное значение роли города в общественно-экономической жизни средневекового Ближнего Востока.

О. В. ЦКИТИШВИЛИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## პროფესორ სარგის კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ქრონიკა

1986 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებამ აღნიშნა გამოჩენილი ისტორიკოსისა და ფილოლოგის, პროფ. სარგის ნესტორის ძე კაკაბაძის დაბადების ასი წლისთავი.

ს. კაკაბაძემ (1886—1967) დიდი წვლილი შეიტანა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირეული საკითხების შესწავლაში. ამ საქმიანობაში მას ხელს უწყობდა ვენისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში მიღებული შესანიშნავი საისტორიო-ფილოლოგიური განათლება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ენერგიულად იღვწოდა მშობლიური კულტურისა და ისტორიოგრაფიის სარბიელზე.

ს. კაკაბაძემ მდიდარი სამეცნიერო პროდუქცია შექმნა, — სამასზე მეტი გამოკვლევა და პუბლიკაცია; იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ფეოდალური საქართველოს ისტორიის დოკუმენტური მასალების მოძიებას, მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა ისტორიის სპეციალურ დისციპლინებში — ნუმიზმატიკაში, მეტროლოგიაში, ქრონოლოგიაში და სხვ., ასევე საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის პრობლემებზე.

10—20-იან წლებში მის მიერ შექმნილი „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოები ფაქტობრივი მასალის სიუხვით დღემდე ინარჩუნებენ ღირებულებას. ს. კაკაბაძე იყო აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ამ დარგის ლიტერატურული ძეგლების პუბლიკატორი, ნაყოფიერად მუშაობდა რუსთველოლოგიაში.

მეცნიერის 100 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებებში მოეწყო სესიები, სადაც ვრცლად იქნა განხილული და შეფასებული ს. კაკაბაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

21 ოქტომბერს გაიმართა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტისა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა დოც. ნ. კაკაურიძემ. ს. კაკაბაძის ცხოვრებასა და საზოგადო მოღვაწეობას, მის როლს ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში შეეხო მ. ბერძული; მოსმენილ იქნა, აგრეთვე, მოხსენებები: — „სარგის კაკაბაძე და ქართული სიძველეების დაცვისათვის ბრძოლა" (შ. ბადრიძე), „სარგის კაკაბაძე და ძველი ქართული მწერლობა" (დ. ბრეგაძე), მოგონებებით გამოვიდნენ გ. მჭედლიძე, დ. ჯანელიძე, შ. ჩხეიძე.

აღნიშნულ ღონისძიებაზე ცნობები გამოაქვეყნეს გაზეთებმა „ქუთაისმა" (1986 წ. № 211) და „კუტაისკაია პრავდამ" (1986 წ. № 129).

23 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელიც გახსნა აკად. გ. მელიქიშვილმა. შესავალ სიტყვაში მომხსენებელმა არსებითად დაახასიათა ს. კაკაბაძის შემოქმედების დიდი მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის, აღნიშნა მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის შემდგომი ათვისების აუცილებლობა.

ს. კაკაბაძის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმოიხილა შ. ბადრიძემ, ხოლო მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი წარმოაჩინეს სესიის მონაწილეებმა. შ. ხანთაძის მოხსენების თემა იყო — „სარგის კაკაბაძე როგორც ისტორიკოსი", მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ს. კაკაბაძემ გაიარა გერმანელი მეცნიერის, ევროპულ ისტორიოგრაფიაში ე. წ. კრიტიკული მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებლის ალფ. დოპშის სემინარი, თუმცა ამ მიმართულების პრინციპები მას არ გაუზიარებია. ს. კაკაბაძის დემოკრატიზმი, ასევე ინტერესი სოციალ-ეკონომიკური საკითხებისადმი დავალებული იყო პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლისაგან, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ადონცი და სხვ. ს. კაკაბაძის მეთოდოლოგიური მრწამსი და მსოფლმხედვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლობითი პოზიცია გამოვლინდა იმ სახელმძღვანელოებში, სადაც შეინიშნება მისი ჩამოყალიბება როგორც მარქსისტი მკვლევრისა, რომელმაც სცადა საქართველოს ისტორია გაემართა სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციათა და კლასთა ბრძოლის თვალთახედვით.

ვ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე მ წარმოადგინა მოხსენება „ს. კაკაბაძე და საარქივო საქმე საქართველოში", საუბარი იყო ს. კაკაბაძეზე, როგორც გამოჩენილ, არქეოგრაფსა და საარქივო საქმის ერთ-ერთ აღიარებულ მოღვაწეზე. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში 1921 წ. ცენტრალური საისტორიო არქივის რეორგანიზაცია-დაფუძნება. მან, როგორც ამ არქივის პირველმა ხელმძღვანელმა, ხოლო შემდეგ ძველი საბუთების განყოფილების გამგემ და განსაკუთრებით არსებული სიძველეთა დაცვის კომიტეტის მესვეურმა, დიდი ამაგი დასდო საქართველოში წერილობითი და ნივთიერი კულტურის ძეგლების შეკრებას, კლასიფიკაციას, დამუშავებასა და მოვლა-პატრონობას. ს. კაკაბაძის სახელს უკავშირდება აგრეთვე ჩრდ. კავკასიაში გატანილი არქივებისა და სხვა საგანძურის მოძებნა და მათი დაბრუნება საქართველოში.

რ. კ ი კ ნ ა ძ ი ს მოხსენებაში — „სარგის კაკაბაძე ფარსადან გორგიჯანიძის შემოქმედების მკვლევარი" დახასიათებული იყო მეცნიერის ღვაწლი XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების" შესწავლისა და გამოცემის საქმეში. ს. კაკაბაძემ ავტოგრაფული ნუსხის მიხედვით გამოსცა გორგიჯანიძის თხზულების ორიგინალური ნაწილი. გამოკვლევაში კი განიხილა ამ ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი დახასიათების ძირითადი საკითხები. პუბლიკაცია სავსებით შეესაბამებოდა 20-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის დონეს.

დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა დამსწრე საზოგადოებას გააცნო „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები სარგის კაკაბაძის შემოქმედებაში". აღინიშნა, რომ ს. კაკაბაძე ნდობით ეკიდებოდა ძველი ქართული მატიანეების ცნობებს და სომხურ თუ უცხოურ წყაროებთან შედარების საფუძველზე იყენებდა მათ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხების გასაშუქებლად. მკვლევრის ისტორიულ-გეოგრაფიული შტუდიების შეფასებისათვის არსებითია ის, რომ იგი ხატავდა საქართველოს შინაგანი ტერიტორიული დანაწევრების დინამიკას საუკუნეთა გან‌მავლობაში. ასეთი მიდგომა სწორია და დღესაც ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის ძირითად მიმართულებას შეადგენს.

ვ. ვ ა შ ა კ ი ძ ე შეეხო „საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემატიკას ს. კაკაბაძის შრომებში". მან ხაზი გაუსვა ს. კაკაბაძის დიდ ამაგს საქართველოს ძველი ისტორიის მრავალფეროვან საკითხთა კვლევაში. მეცნიერი შესანიშნავი ცოდნით იყენებდა შედარებით-ისტორიულ და რეტროსპექტიულ მეთოდებს, რის გამოც მისი მრავალი დასკვნა დღესაც საყურადღებოა.

დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე მ ისაუბრა პროფესორ ს. კაკაბაძის დამსახურებაზე ქართული დიპლომატიკის დარგში. მითითებული იყო მკვლევრის დიდ ღვაწლზე შუა საუკუნეების ქართულ წყაროთმცოდნეობაში, კერძოდ, ისტორიული დოკუმენტების მოძიების, შესწავლის, გამოცემის და მათი გადარჩენის საქმეში. ამ დოკუმენტების მკაცრ მეცნიერულ კვლევასთან ერთად (ტექსტის წაკითხვა და შესწავლა, დათარიღება, ასევე წერის პალეოგრაფიული, ორთოგრაფიული და გრაფიკული თავისებურებების შესანიშნავი ცოდნა) ს. კაკაბაძეს დიპლომატიკის ცოდნის სათანადო მაღალი თეორიულ-მეთოდოლოგიური დონეც გააჩნდა, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო ქართული დიპლომატიკის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის განვითარებას. მის ცალკეულ შეხედულებებს ქართული დიპლომატიკის სფეროში დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ი ს მოხსენება მიეძღვნა სარგის კაკაბაძეს, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარს. აქ საუბარი იყო მის დამსახურებაზე ქართული კლასიკური მხატვრული ლიტერატურის გამოცემისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში. ს. კაკაბაძემ 1913 წელს პირველმა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის" ვრცელი ტექსტი დამატებებით, ჩანართებითა და ვარიანტებით, რომელსაც გამოკვლევა და ლექსიკონიც დაურთო. 1927 წელს კი „ვეფხისტყაოსნის" ძირითადი ტექსტიც გამოსცა გამოკვლევა-შესავლით (იგივე ტექსტი შემდგომ მოკლე შესავლითაც გამოაქვეყნა). ამას მოჰყვა პოემის მინიატურული გამოცემა და წერილების სერია „ვეფხისტყაოსანზე". ეს ძიებები შემდეგში შეჯამდა მონოგრაფიაში — „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი" (თბ., 1966).

მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი ს მოხსენებაში — „წიგნი ქართველთა მოქცევისა ანუ მოგონებანი წმინდა ნინოზე", აღინიშნა, რომ ს. კაკაბაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს წყაროთმცოდნეობით ანალიზს, კერძოდ, „ნინოს ცხოვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რების“ კვლევას. თხზულების სტრუქტურის შესწავლის, მისი სხვადასხვა ნაწილის ურთიერთშეჯერების საფუძველზე ჩანს, რომ ვრცელი „ნინოს ცხოვრება“, ანუ მოგონებათა კრებული ნინოს შესახებ, IV ს. შუა ხანებით თარიღდება. მისი შემდგენელი კი უნდა იყოს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის ძის ცოლი — სალომე უჯარმელი.

გ. არახამიამ წარმოადგინა მოხსენება: „ქართლის ცხოვრების შესწავლის საკითხები ს. კაკაბაძის ნაშრომებში“. ითქვა, რომ ს. კაკაბაძე იყო „ქართლის ცხოვრების“, მასში შემავალი საისტორიო ძეგლების გამოჩენილი მკვლევარი, რომელმაც არაერთი საყურადღებო ისტორიულ-ფილოლოგიური დაკვირვება წამოაყენა. განსაკუთრებით ფასეულია ს. კაკაბაძის ცდები „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაკვეთების ადრეული ხანის პლასტების გამოვლენადათარიღებისათვის. ს. კაკაბაძე სავსებით სწორ პოზიციაზე იდგა, როდესაც დაჟინებით ცდილობდა ძველი ნაკვეთების ცნობებში ჭეშმარიტების ნაკადი დაენახა.

ლ. ტუხაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პრობლემები ს. კაკაბაძის შრომებში“ ხაზი გაესვა იმას, რომ ს. კაკაბაძე გვიანფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის უბადლო მკვლევართა შორის დგას. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა აღნიშნულ ეპოქას, რომლის სადეფინიციო-ტექნიკურ ტერმინად პირველმა შემოიღო „ახალი საუკუნეები“, რაც მიუთითებდა, რომ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანას მკვლევარი განიხილავდა მსოფლიო ისტორიული მოვლენების საერთო ფონზე. მისი სწორი შეხედულებით ევროპული განვითარების მაგისტრალური ხაზი, თუმცა განსხვავებული ფორმით, მაგრამ მაინც, აღწევდა კავკასიამდე და დიდ გავლენასაც ახდენდა ქართულ სინამდვილეზე. ასეთი თვალსაზრისითაა დაწერილი „საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა)“ — ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი მეცნიერულად გამართული, ისტორიოგრაფიულად თანმიმდევრულად გაბმული თხრობა XVI ს-დან 1918 წლამდე. ს. კაკაბაძემ ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა და აღწერა სათავადო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის თავისებური ფორმის მქონე სენიორია. აღნიშნა, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის ეს თავისებურება — სათავადო, გვიანფეოდალურ ხანაში შეიქმნა. მან გამორიცხა ე. წ. „ჩიხი“ სოციალურ განვითარებაში, სამართლიანად მიუთითა ეკონომიკური ცხოვრების ისეთ სიახლეებზე, როგორიც იყო ევროპული სავაჭრო კაპიტალის შემოჭრა, ფულადი-სასაქონლო მიმოქცევის გაძლიერება, ექსპლუატაციის განსხვავებული ფორმების გაჩენა, ახალი იდეები გლეხთა კლასობრივ ბრძოლაში, სამრეწველო კაპიტალის სუსტი ნიშნები და სხვ.

ამავე სესიაზე ს. კაკაბაძის სამეცნიერო შემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრეს ა. იოსელიანმა, და მ. კეკელიძემ. სესიის შედეგები შეაჯამა აკად. შ. ძიძიგურმა.

28 ოქტომბერს ს. კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გამართა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, სადაც შესავალი სიტყვა წარმოთქვა ინსტიტუტის დირექტორმა აკად. წ.-კორმა დ. ხახუტაიშვილმა. სარგის კაკაბაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა ა. კახიძემ, ხოლო „სარგის კაკაბაძე როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი“ დაახასიათა ნ. კახიძემ. თ. შიოშვილის მოხსენების თემა იყო: — „სარგის კაკაბაძე ძველი ქართული საერო მხატვრული ლიტერატურის მკვლევარი“. ა. სურგულაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სარგის კაკაბაძის მოღვაწეობა ბათუმის შ. რუსთაველის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სესიასთან დაკავშირებით ცნობა გამოაქვეყნა გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ 1986 წლის 6 ნოემბერს.

ს. კაკაბაძის 100 წლისთავს მიეძღვნა აგრეთვე საიუბილეო სხდომა მის მშობლიურ ქალაქ წულუკიძეში 19 ნოემბერს. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. კინწურაშვილმა. ს. კაკაბაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ა. ფაილოძემ. შ. ბადრიძემ ხაზი გაუსვა იუბილარის დამსახურებას საქართველოს ისტორიულ სიძველეთა გადარჩენის საქმეში. ი. მეგრელიძემ ისაუბრა ს. კაკაბაძის ღვაწლზე ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლაში. სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა, რომელიც შეეხო ს. კაკაბაძის როლს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

26 ნოემბერს ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის გაფართოებულ სხდომაზე მოისმინეს შ. ხანთაძის მოხსენება ს. კაკაბაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

1 დეკემბერს გაიმართა ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ს. კაკაბაძის 100 წლისთავისადმი. სესია ჩატარდა მწერალთა კავშირის სახლში ორ სხდომად, მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: „სარგის კაკაბაძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა“ (მ. ნიკოლეიშვილი), „საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები ს. კაკაბაძის შრომებში“ (ლ. ჯიქია), „კაკაბაძე როგორც წყაროთმცოდნე“ (რ. აბესაძე), „იმერეთის სამეფოს ისტორიის საკითხები ს. კაკაბაძის შრომებში“ (პ. ვაჩრიძე), „გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს წერილობითი დოკუმენტები ს. კაკაბაძის შრომებში“ (ნ. კვარაცხელია), „ქართული სამართლის ძეგლები ს. კაკაბაძის ნაშრომებში“ (ე. მამარდაშვილი), „დათარიღების საკითხები ს. კაკაბაძის გამოკვლევებში“ (გ. მჭედლიძე), „ს. კაკაბაძე როგორც რუსთველოლოგი“ (მ. ქებულაძე), „ს. კაკაბაძე ქართული კულტურის ძეგლებისა და სიძველეების დიდი მოამაგე“ (მ. ნიკოლეიშვილი), „ს. კაკაბაძე „ევსტათი მცხეთელის ცხოვრებისა“ და „ცხრა ძმათა კოლაელთა შესახებ“ (კ. თავბერიძე), „ს. კაკაბაძის ნაშრომები მეტროლოგიაში და ნუმიზმატიკაში“ (ე. უგრეხელიძე), „ს. კაკაბაძე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მკვლევარი“ (ნ. დანგაძე).

მეცნიერის საიუბილეო თარიღი ფართოდ გაშუქდა აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით. გამომცემლობა „მეცნიერებამ“ მიმდინარე წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა შ. ბადრიძის ნაშრომი „სარგის კაკაბაძე“, რომელსაც ერთვის ლ. კაკაბაძის მიერ შედგენილი ს. კაკაბაძის სამეცნიერო შრომების სრული ბიბლიოგრაფია (308 ერთეული).

გამოქვეყნდა, აგრეთვე, შემდეგი სტატიები: შ. ჩხეიძის და ი. ბერძულის „მრავალმხრივი შემოქმედი“ (გაზ. „ქუთაისი“ 1966 წ. 14 ოქტომბერი), შ. ბადრიძის „ღვაწლმოსილი მეცნიერი“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1966 წ. 24 ოქტომბერი) და „ეროვნული სიძველეების დაულალავი ქომაგი“ (გაზ. „კომუნისტის გზით“, 1986 წ. 18 ნოემბერი), გ. არახამიას „ჭეშმარიტი მეცნიერის ღვაწლი“ (გაზ. „თბილისი“, 1986 წ. 29 ოქტომბერი) და „გამოჩენილი ქართველი მეცნიერი“ (ჟურნ. „მაცნე“ — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1986 წ. № 4), ვ. ვაშაკიძის — „საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1986 წ. 31 ოქტომბერი), ი. მეგრელიძის „ქართული მწერლობის მკვლევარი“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1986 წ. 24 ოქტომბერი) და „სარგის კაკაბაძე და ქართული მწერლობა“ (გაზ. „კომუნიზმის გზით“, 1986 წ. 18 ნოემბერი), ო. სოსელიას „საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი“ (გაზ. „კომუნიზმის გზით“, 1986 წ. 18 ნოემბერი), დ. გოგოლაძის „საქართველოს ისტორიის ღვაწლმოსილი მკვლევარი“ (ჟურნ. „მნათობი“, 1986 წ. № 11, გვ. 169—172).

1986 წ. 4 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოსა და ცენტრალური სახელმწიფო არქივების კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ცენტრმა ჩაატარა პროფ. ს. კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენებით „სარგის კაკაბაძე და საარქივო საქმის განვითარება საქართველოში“ გამოვიდა ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი ვ. გურგენიძე.

ლიანა დავლიანიძე
შოთა ბადრიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ქ. ტაშკენტში

ქ. ტაშკენტში 1986 წლის 3-დან 5 აპრილამდე მიმდინარეობდა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ეროვნულ ურთიერთობათა სრულყოფა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნულ პრობლემათა სამეცნიერო საბჭო, უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია და უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა მეცნიერმა — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, თბილისის, ტაშკენტის, რიგის, კაუნასის, ტარტუს, ტალინის, ალმა-ათის, უფის, იოშკარ-ოლის, სარატოვის, ორჯონიკიძის, ბაქოს, ერევნის სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებმა. მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიულმა მუშაკებმა შუა აზიის რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, სოციალისტური ასოციაციის, ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნების წარმომადგენლებმა, აგრეთვე უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელებმა. მეცნიერ საზოგადოებათმცოდნეთა შორის იყვნენ ისტორიკოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები ეთნოგრაფები, მეცნიერული კომუნიზმისა და პარტიის ისტორიის სპეციალისტები. პლენარულ და სექციურ სხდომებზე მოსმენილ იქნა 200-მდე მოხსენება და გამოსვლა.

კონფერენცია გაიხსნა უზბეკეთის კომპარტიის სხდომათა დიდ დარბაზში. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა უზბეკეთის კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა ი. უსმანხოჯაევმა. მან დაახასიათა სკკპ XXVII ყრილობის შუქზე ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საბჭოთა საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისაკენ მიმართული ამოცანები, მიუთითა ქვეყნის განვითარების დაჩქარების გზების ძიების სრულყოფის აუცილებლობაზე.

მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. ბრომლეიმ თავისი მოხსენება მიუძღვნა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე ეროვნული განვითარების პროცესების აქტუალური საკითხების კვლევის მზარდ მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ერთა ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრება და მათი დაახლოების პრობლემა.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ შესუსტდა ყურადღება ეროვნული შრომითი ტრადიციების თავისებურებებისადმი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენის დროს; ამას გარკვეულად ითვალისწინებდა პირველი ხუთწლედების გეგმები; ამავე დროს მოხსენებაში აღნიშნული იყო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობანი კომპენსირებულ იქნეს მთელი რიგი ტრადიციული კულტურების წარმოების ეფექტიანობა, როგორც ეს მოხდა საქართველოში, სადაც მევენახეობის დარგის შემცირების დეფიციტის დასაფარავად დაჩქარებულად უნდა განვითარდეს მანქანათმშენებლობა.

მოხსენებაში აისახა საბჭოთა კავშირში ეთნოგრაფიული და ეთნოსოციოლოგიური კვლევის საპროგრამო მიმართულებები — შობადობის დონის, ოჯახისა და შერეული ქორწინების, მიგრაციის სხვადასხვა ფორმის, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პრობლემების ეთნიკური თავისებურებები. კვლევითი მუშაობის ამოცანებს შორის აღინიშნება ეროვნული შრომითი ტრადიციების სტერეოტიპების ფორმირებისა და საერთო სახელმწიფოებრივ მშენებლობაში რესპუბლიკის მონაწილეობის ოპტიმიზაციის მოთხოვნილებების შესწავლა, კადრების გაცვლის სტიმულირება, ენობრივი ურთიერთმოქმედების გაძლიერება, ეროვნული და რუსული ორენობრივობის როლი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რესპუბლიკებში მუშათა კლასის ზრდის სოციალურ კანონზომიერებებსა და ერების სოციალური სტრუქტურის დაახლოების პრობლემებს; ქალაქების ეროვნულ მრავალფეროვნებებს ურბანიზებული და სასოფლო გარემოს განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რების ეთნოკულტურულ ასპექტებს; აგრეთვე ეროვნული თვითშეგნების თანამედროვე ზრდის პირობებში ეთნოგენეზის პრობლემების შესწავლას, ყურადღების გაძლიერებას ეროვნული და ინტერნაციონალური განვითარების დიალექტიკური ურთიერთმოქმედების კვლევისადმი. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ეროვნული სააკითხის ჩარჩოების განსაზღვრაზე.

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. დოშდამიროვმა მოხსენებაში „ეროვნული ურთიერთობების სრულყოფისათვის სკკპ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები" აღნიშნა, რომ პარტიის კურსს ეროვნულ ურთიერთობათა ინტენსიფიკაციის დაჩქარებაში უჭირავს განსაკუთრებული ადგილი, რადგან მთელი რიგი რეგიონების ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელება აისახა რესპუბლიკათშორისო კავშირებში, მათ შორის კადრების გაცვლაში. ამ პროცესის ინტენსიფიკაცია აუცილებლად მასტიმულირებელ გავლენას მოახდენს მოძმე რესპუბლიკების ხალხთა კულტურულ პოტენციალზე.

საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეებს მოუწევთ დიდი მუშაობა პრობლემების მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების დამუშავების დროს, აგრეთვე, უნდა განისაზღვროს ეროვნული საკითხის ჩარჩოები, მისი კრიტერიუმები და გაძლიერდეს კრიტიკა არასწორი მიდგომისადმი, როცა აქცენტი ეროვნული საკითხიდან გადააქვთ ეროვნულ ურთიერთობაზე, რაც არ წარმოადგენს წინააღმდეგობის დამოუკიდებელ წყაროს. ა. დაშდამიროვმა საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობის ამოცანათა შორის დაასახელა ერის თეორიული კონცეფციის დამუშავების აუცილებლობა, საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში ეროვნულ ფაქტორთა როლი და ადგილი. მან გაამახვილა ყურადღება ეროვნული საკითხის კვლევაში საზოგადოებრივი მეცნიერების ისტორიულ-პარტიული ასპექტების შესახებ.

უზბეკეთის აკადემიის აკადემიკოსი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ხ. ტურსუნოვი გამოვიდა მოხსენებით „თანამედროვე პირობებში ზოგადისა და განსაკუთრებულის დიალექტიკა ეროვნული პროცესების განვითარებაში". მან ხაზი გაუსვა რესპუბლიკის კომპარტიის საქმიანობის თავისებურებებს საბჭოთა საზოგადოების სოციალური კლასებისა და ჯგუფების განვითარებაში და მიუთითა უზბეკეთის მუშათა კლასის, პროცენტული შეფარდებით, მცირე რიცხოვანობაზე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ.

უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ე. იუსუპოვი გამოვიდა მოხსენებით „საბჭოთა კავშირში ეროვნულ ურთიერთობათა განვითარების ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა კრიტიკა", რომელშიც დაასაბუთა საზოგადოებათმცოდნე კადრების მომზადების აუცილებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით.

პირველი სექციის — „ეროვნულ ურთიერთობათა სრულყოფისათვის სკკპ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები" — მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა სექციის ხელმძღვანელი ა. დაშდამიროვი. მან წარმოადგინა ყველაზე უფრო მწვავე პრობლემები და კონკრეტული წინადადებები პარტიული კომიტეტების მუშაობის პრაქტიკაში მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვის შესახებ. სექციაზე წარმოდგენილი მოხსენებების განხილვა, რომელიც ეხებოდა ზოგადთეორიულ მეთოდოლოგიურ პრობლემებს, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ასპექტებს, ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს, ეროვნული ფაქტორების შედარებით დამოუკიდებლობას, ერის განსაზღვრების დროს კოორდინატთა სისტემის განსაზღვრას — ფორმულირებულ იქნა პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები, რაც თავის მხრივ, განპირობებული იყო მეცნიერების განვითარების მოცემული ეტაპით. სკკპ XXVII ყრილობის შემდგომ პერიოდში.

II სექციის — „ინტერნაციონალური აღზრდა, როგორც სოციალისტური ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილი" — მუშაობის ანგარიში წარმოადგინა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ს. კალტახჩიანმა (მოსკოვი). მან აღნიშნა, რომ მოხსენებების განხილვის დროს გამოიკვეთა მისწრაფება საქმით განხორციელდეს ინტერნაციონალიზმის პრინციპი, ბრძოლა გამოეცხადოს ნეგატიურ მოვლენებს, რომელიც წარმოშობს შოვინიზმს და ნაციონალიზმს, აგრეთვე გაგრძელდეს მეცნიერული კვლევა იმ მიზეზებისა, რომლებიც ამ მოვლენას წარმოშობენ. გაანალიზა რა სექციის მუშაობა, მან მიუთითა საბჭოთა მეცნიერების პარტიულ და მოქალაქეობრივ ვალზე და პასუხისმგებლობაზე, რათა გაძლიერდეს მუშაობა მასების შეგნებაში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დანერგვის მიმართულებით, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და სკოლის მოსწავლეთა აღზრდის საქმეში, სადაც შეინიშნება ანტისაბჭოთა და რელიგიური პროპაგანდის გავლენა. საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობის ამოცანათა რიგშია ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა უცხოეთის პროპაგანდის, პანთურქიზმის, პანისლამიზმისა და პანსლავიანიზმის წინააალმდეგ. ინტერნაციონალური აღზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დის ძირითად რგოლად უნდა იქცეს ოჯახი და სკოლა. მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეების წინაშე მდგარი დიდი ამოცანები მეცნიერების როლის გაძლიერების, როგორც ინტერნაციონალური აღზრდის ფაქტორის შესახებ შრომით კოლექტივებში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებში მეგობრულ მშენებლობებზე და მეგობრული ურთიერთდახმარების დროს.

სექციის მუშაობის დროს გაკრიტიკებული იქნა ეროვნულის შესახებ არასწორი წარმოდგენა, როგორც ბიოლოგიურზე — ეროვნული მიკუთვნებულობის ობიექტურ კრიტერიუმზე. აღნიშნული იყო საჯაროობის თანამედროვე მოთხოვნილება ეროვნული და ინტერნაციონალური პრობლემების განხილვის დროს. ს. კალტახჩიანმა მოხსენებაში მიუთითა პრობლემის ისტორიოგრაფიის შესწავლისა და ინტერნაციონალიზმის პრობლემაზე საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობაზე. მან აგრეთვე, აღნიშნა, რომ მომწიფდა საჭიროება გამოიცეს სათანადო ჟურნალი და ჩატარდეს კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები, შეიქმნას ეროვნული პრობლემების რეგიონალური საბჭოები.

III სექციის — „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და ეროვნული პროცესები“ — მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ო. შკარატანმა (მოსკოვი). აქ წარმოდგენილი მოხსენებები და გამოსვლები ორ ძირითად მიმართულებად იქნა გაყოფილი: ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების პრობლემა და ეროვნული შრომითი პოტენციალი, აგრეთვე სოციალურ-კლასობრივ ურთიერთობაში ზოგადი და ეროვნულ განსაკუთრებული. ანგარიშში წარმოდგენილი იყო მეთოდოლოგიური და სამეცნიერო-პრაქტიკული პრობლემები, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სოციალურ-პროფესიული სტრუქტურის განვითარების შედარებითი შესწავლა თანამედროვე პირობებში, სოციალური ურბანიზაციის განვითარებაში ზოგადისა და განსაკუთრებულის კავშირები. სადისკუსიო განხილვის ერთი ასპექტი იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოკავშირე რესპუბლიკების წვლილის გაზრდის შესაძლებლობის შესწავლა, შრომითი ტრადიციების ეროვნული თავისებურებების როლის გარკვევა, აგრეთვე ეთნო კულტურული ფაქტორების გავლენის შესწავლა, ქვეყნის რეგიონების მიხედვით სხვადასხვა ფორმის მიგრაციის პოზიტიური და ნეგატიური ეთნიკური თავისებურებებისა და მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე მისი გავლენის დადგენა.

სექციის მუშაობაში მონაწილეობდა უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. აბდულაევა. მან ისაუბრა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიულ-საწარმოო წვლილის შესახებ, თავისებურებების შესახებ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებაში.

IV სექციის მუშაობა მიეძღვნა პრობლემებს „საბჭოთა კავშირის ხალხთა სულიერი ცხოვრების სრულყოფა და ეროვნებათშორისო ურთიერთობა“. სექციის ხელმძღვანელის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლ. დრობიჟევას (მოსკოვი) საანგარიშო მოხსენებაში განზოგადოებულ იქნა შემდეგი საკითხები: კულტურის ეთნოსოციალური პრობლემა, პიროვნებათაშორისო ეროვნული კავშირები, ერის ფსიქიკის სხვადასხვა ასპექტი, თვითშეგნება, ეროვნული და კლასობრივი ფაქტორები. როგორც სექციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებაზე ლ. დრობიჟევამ მიუთითა თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესწავლაზე, რაც მიმართულია ეთნოსების განვითარების დონეების გათანაბრებისაკენ; ამასთან, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში თანასწორობა არ ნიშნავს იგივეობას.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ბრძოლა კულტურის პოზიციური ელემენტების ინტენსიური განვითარებისათვის არ უკარგავს მნიშვნელობას ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების ძირითად მოთხოვნებს, ერების სულიერ მოთხოვნებს, ეროვნული ენების რეზერვების გამოყენებას. დისკუსიის შედეგების ანალიზის დროს ლ. დრობიჟევამ ყურადღება დაუთმო ორენოვნებას და რუსული ენის როლის ამაღლებას. მან მიუთითა, რომ ამაღლდა მეცნიერ-საზოგადოებათმცოდნეთა როლი საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალურ-ზნეობრივი თვისებებისათვის ბრძოლაში. აღნიშნა საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ეროვნული და ინტერნაციონალური პროცესების შეფასებაში ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა კრიტიკის განვითარების აუცილებლობა საზოგადოებათმცოდნეობაში.

V სექციას — „ორენოვნების სრულყოფის საკითხები საბჭოთა მრავალეროვან საზოგადოებაში“ — ხელმძღვანელობდა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი კ. ხანაზაროვი (ტაშკენტი). მომხსენებელმა შეაჯამა დისკუსიის შედეგები, რომელიც შეეხებოდა ეროვნულ-რუსული ორენოვნების ისტორიულ მნიშვნელობას და რუსული ენის როლს ეროვნულ ურთიერთობებში; ამასთან, მან მიუთითა, რომ ზოგიერთ რეგიონში რუსული ენის ფლობის დონე არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. ეროვნულ რესპუბლიკებში პიროვნებათშორის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ურთიერთობის ოპტიმიზაციისათვის საჭიროა სპეციალისტების მომზადების დონის გაუმჯობესება და საბჭოთა არმიის ჯარისკაცთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში დაძლეული უნდა იქნას ნეგატიური მოვლენათა შედეგები, რაც ხელს უშლის რუსული ენის ცოდნის დონის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა ორთოგრაფიული ლექსიკონების, განმარტებითი ლექსიკონების და თვითმასწავლებლების უკმარისობა.

VI სექციის — ეროვნული და ინტერნაციონარული ტრადიციები „საბჭოური ცხოვრების წესის სრულყოფაში“ — მუშაობის შედეგების შესახებ გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ს. არუთინოვი (მოსკოვი). მან აღნიშნა, რომ სექციის მონაწილეთა გამოსვლების ძირითადი მიმართულება მიეძღვნა ეთნოგრაფიული პრობლემების ფართო სპექტრს, სახალხო დღესასწაულებს, საბჭოთა წეს-ჩვეულების განვითარებასა და ფუნქციონირებას, საქორწინო წეს-ჩვეულებების ტიპებს, საოჯახო ყოფის ეთნიკურ თავისებურებებს, ყოფით ურთიერთობებს და სსრ კავშირის ხალხთა მატერიალურ კულტურას.

VII სექციის — „ინტერნაციონალურ გარემოში ეროვნული ჯგუფების სოციალურ-კულტურული განვითარება“ — მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. გურვიჩმა (მოსკოვი); ანგარიშში აისახა თავის ეროვნული გარემოს გარეთ მცხოვრები მცირე ხალხების და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ყოფისა და კულტურის თავისებურებების ნაკლები შესწავლულობა. მომხსენებელმა მიუთითა აღნიშნული ეროვნული ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის გამოვლენისა და გაცნობიერების აუცილებლობაზე.

კონფერენციაზე, რომელიც ატარებდა დისციპლინათშორისო ხასიათს გაშუქდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ეროვნული ფაქტორების ახალი წყაროები.

მოხსენებათა გამო გამართული კამათის მსვლელობაში მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიც აისახა საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში ეროვნული საკითხის მიღწეული დონე და ეთნოსის სოციალური განვითარების თანამედროვე ტენდენციების თეორიულ პრობლემების შუქზე ეროვნული ფაქტორების სისტემის შესწავლულობა.

რეზოლუციაში აღინიშნა იმის აუცილებლობა, რომ საჭიროა საზოგადოებათმცოდნეთა ყურადღების კონცენტრაცია სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ეთნიკურ ფაქტორებზე, განსაკუთრებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური წვლილის ზრდის შესწავლაზე; როგორც მნიშვნელოვანი ასპექტი დასახელებულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური სტრუქტურის კვლავწარმოების პრობლემა, მკვიდრი მოსახლეობის ბაზაზე მუშათა კლასის ფორმირება, შრომითი რეზერვების განაწილება და გადანაწილება, ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ეროვნული წვლილის გათანაბრება. რეზოლუციაში მითითებული იქნა, რომ აუცილებელია გაძლიერებული ყურადღება მიექცეს ადამიანის ფაქტორს, ეროვნული თვითშეგნების გამდიდრებას, ინტერნაციონალური ცხოვრების განვითარებას და საბჭოთა საზოგადოების სულიერი პოტენციალის დონის ამაღლებას.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში მოხსენებებით მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა: ისტორიის მეცნ. კანდიდატებმა მ. ქანთარიამ და ტ. კინკაძემ, უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ი. კეცხოველმა, აგრეთვე ენათმეცნიერმა დ. ჭანტურიშვილმა.

ᲗᲐᲗᲐ ᲙᲘᲜᲙᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა მეცნიერთა XXI სამეცნიერო სესია

1986 წლის 13, 14 და 16 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩატარდა ახალგაზრდა მეცნიერთა მორიგი, XXI სამეცნიერო სესია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

სესიამ მოისმინა 21 მოხსენება. საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის ცალკეული საკითხები იყო გაშუქებული ახალგაზრდა მეცნიერთა ა. დაუშვილის („ორენოვნების შესახებ“), ო. მანჯგალაძის („საქართველოს მშრომელთა მონაწილეობა განთავისუფლებული რაიონების სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში დიდი სამამულო ომის პერიოდში“) და რ. მაღალაშვილი („კადრების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები დიდი სამამულო ომის პერიოდში“) მოხსენებებში.

ძველი ისტორიის საკითხებს მიუძღვნეს მოხსენებები შ. ასათიანმა — „დასავლეთ ამიერკავკასიის ზოგიერთი ქვეყნის ლოკალიზაცია ურარტული წყაროების მიხედვით“, ი. მაჭავარიანმა — „სუბიექტურ-ობიექტური მიმართებანი ხურიურარტულში (ფუძე-ენისა და დიალექტების ტიპოლოგიური დახასიათებისათვის)“, ე. ასტახიშვილმა — „ნუზის საქალაქო ნაგებობათა ტიპები“, ა. სარჯველაძემ — „ზოგიერთი ძველი ქართული სოციალურ-პოლიტიკური ტერმინის შესახებ“.

საქართველოს ახალი ისტორიისა და შუა საუკუნეების ისტორიული გეოგრაფიის საკითხები იყო განხილული მ. ტყავაშვილის („საქართველო-დაღისტნის პოლიტიკური ურთიერთობა XIX საუკუნის დასაწყისში“), ლ. ბენდიანიშვილის („ირანის რევოლუცია და ქართული სოციალ-დემოკრატიული პრესა“) და მ. ფუტკარაძის („ლეკიანობა და ქართლ-კახეთის პოლიტიკური გეოგრაფია XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში“) მოხსენებებში.

სესიაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი მოხსენებები წყაროთმცოდნეობაში. ქართული წყაროთმცოდნეობის საკითხები იყო გაშუქებული მ. ქადაგიძის („ივ. ჯავახიშვილი—თამარის მეორე ისტორიის მკვლევარი“), ე. აბაშიძის („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკის ქართული წყაროების საკითხისათვის“), ლ. პატარიძის („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზოგიერთი სიმბოლური მნიშვნელობის განმარტებისათვის“) და გ. არახამიას („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ბაგრატიონების შესახებ“) მოხსენებებში.

ახალგაზრდა ეთნოგრაფებიდან სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ნ. ლამბაშიძე — „ქრისტიანულ წმინდანთა ხალხური გააზრება“, ნ. ომარაშვილი — „ავარელთა საოჯახო ყოფიდან“, ლ. ფიფია — „სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან“, ი. გოგინაშვილი — „ნათესაობის სისტემა ქსნის ხეობის ქართველ მოსახლეობაში“, ზ. ჯინჯიხაშვილი — „კარვობა ქართველ ებრაელთა ყოფაში“, ნ. მგელაძე — „ერთი სუფიქსის სოციალური ფუნქციის განსაზღვრისათვის დასავლეთ საქართველოში“, ბ. გძელიძე — „უქმი დღეების ერთი სახეობის შესახებ მთიულეთის, გუდამაყრის, ჰართლისა და ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“.

სესიაზე წარმოდგენილი მოხსენებების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რ. კიკნაძემ, გრ. გიორგაძემ, თ. ოჩიაურმა, გ. ყორანაშვილმა, ნ. ხაზარაძემ, ჯ. ლომაშვილმა, ნ. მინდაძემ.

სხდომებს თავმჯდომარეობდნენ აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი, რ. კიკნაძე, მ. ჩხარტიშვილი, მ. ხარბედია.

სესიაზე წაკითხული მოხსენებები დაიბეჭდება ახალგაზრდა მეცნიერთა კრებულში.

**ზურაბ ჯამბურია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი ნიორაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია და სხდომა

1986 წლის 22—24 ოქტომბერს ქ. ქუთაისში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესია თემაზე: „კავკასიისა და მოსაზღვრე ტერიტორიების პალეოლითი". სესია მიეძღვნა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ყაფლანის ძე ნიორაძის დაბადების 100 წლისთავს.

გ. ნიორაძე — პირველი ქართველი პროფესიონალი არქეოლოგი, — რომელმაც განათლება მოსკოვის, ბერლინისა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში მიიღო, — ფართო მეცნიერული ინტერესების მქონე მკვლევარი იყო. მისი კვლევის უმთავრეს მიმართულებათა პრობლემატიკა მოიცავს როგორც საკუთრივ არქეოლოგიის, ისე ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის აქტუალურ მიმართულებებს. სადღეისოდ, ყველა ამ სამეცნიერო დისციპლინის სპეციალისტი გ. ნიორაძის ნამოღვაწევში ფუძემდებლურ დებულებებსა და მოსაზრებებს პოულობს. გ. ნიორაძემ მაინც განსაკუთრებით არქეოლოგიას დასდო ამაგი, მან საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას საქართველოში. მთელი თავისი ძალა და ენერგია მოახმარა საქართველოს მდიდარი წარსულის, ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის მეცნიერული სიღრმით შესწავლას.

1925 წელს გ. ნიორაძე საქართველოში დაბრუნებისთანავე ინიშნება საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიისა დაა ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ, ამავე დროიდან კითხულობს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში, ხოლო 1934 წლიდან გარდაცვალებამდე, 1951 წლის 10 დეკემბრამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ არქეოლოგიის კათედრას. 1935 წელს დაინიშნა საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო 1933—1943 წწ. განაგებდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (შემდგომში ისტორიის ინსტიტუტი) არქეოლოგიის განყოფილებას.

გ. ნიორაძის არქეოლოგიური გამოკვლევები მოიცავს დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის ძეგლებს ძველი ქვისხანის მღვიმე-საცხოვრისებიდან ფეოდალურ ხანამდე. განსაკუთრებით დიდია გ. ნიორაძის დამსახურება ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში პალეოლითის შესწავლის საქმეში. მის მიერ ძველიქვისხანის ძეგლების აღმოჩენებმა და გამოკვლევებმა მტკიცე საფუძველი მოამზადა ქართული პალეოლითმცოდნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

გ. ნიორაძის მეცნიერული ინტერესები არ იფარგლებოდა მხოლოდ ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების კვლევით. არაერთი გამოკვლევა უძღვნა მან მოგვიანო ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გ. ნიორაძის გამოკვლევებს ქართლის ძველი დედაქალაქის — მცხეთის არქეოლოგიური ისტორიისათვის. 1925—26 წწ. კარსნის ხევის შესართავთან მის მიერ წამოწყებული გათხრებით ჩაეყარა საფუძველი „დიდი მცხეთის" არქეოლოგიური კვლევის საბჭოურ ეტაპს.

გ. ნიორაძე სათავეში ედგა საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ფონდების შესწავლასა და სისტემატიზაციას. 1934 წელს გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით მუზეუმში მოწყობილი გამოფენა „წინაკლასობრივი საზოგადოება საქართველოში" — იყო პირველი მეცნიერული, არქეოლოგიური გამოფენა საქართველოში.

ქ. ქუთაისში გამართული სესია, რომელიც კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ტერიტორიების პალეოლითის რიგ მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა, თუ ერთი მხრივ პალეოლითის დარგში გ. ნიორაძის ღვაწლის დაფასებას მოწმობდა, მეორე მხრივ იყო ერთგვარი შეჯამება იმ დიდი საველე სამუშაოებისა და კვლევა-ძიებისა, რომელთაც დღეს ასე წარმატებით ახორციელებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში მომუშავე ძველიქვის ხანის სპეციალისტები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნის, ორჯონიკიძის, სოხუმის, თბილისის დაწესებულებათა 60-ზე მეტმა მეცნიერმა.

ქუთაისის საზოგადოებრიობის სახელით დამსწრეთ მიესალმა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დავით წერეთელი.

სამეცნიერო სესიის მოწვევა ქ. ქუთაისში არ იყო შემთხვევითი. სწორედ ქუთაისში დაიწყო გ. ნიორაძემ პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობა, სადაც მან 1910 წლიდან 1917 წლამდე დაჰყო. ქუთაისის მახლობლად მდებარეობს აგრეთვე ძველიქვის ხანის მღვიმე-ნამოსახლარები, რომელთაც იკვლევდა მეცნიერი და რომელთა დათვალიერებაც სესიის პროგრამით იყო გათვალისწინებული.

გ. ნიორაძის დამსახურებაზე ქართული საისტორიოგრაფიო მეცნიერების წინაშე, მის ღვაწლსა და ამაგზე მეცნიერების ისეთი დარგების განვითარების საქმეში, როგორიცაა არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია, ისაუბრეს მისმა მოწაფეებმა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. ო. ჯაფარიძემ, დოც. დ. თუშაბრამიშვილმა. სესიაზე მოსმენილ იქნა ოცდაათამდე მოხსენება, რომლებიც ეხებოდნენ ძველიქვის ხანის მთელ რიგ საპრობლემო საკითხებს, რომელთა გადაჭრას მეოთხეული (პლეისტოცენი, ჰოლოცენი) პერიოდის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

ვ. ლუბინის (ლენინგრადი) მოხსენება მიეძღვნა სამხრეთ-ოსეთში მდებარე კუდარო I და კუდარო III მღვიმეების კვლევას, აღინიშნა, რომ კუდარო I-ში 10 კულტურული ფენაა დადასტურებული. აქედან: ენეოლითური, ფინალური პალეოლითის, მეზოლითური; ოთხი — მუსტიეური და სამი — აშელური დროის. ანალოგიური სურათი შეინიშნება კუდარო III-შიც. კავკასიის პალეოლითზე, მის თავისებურებაზე და აქედან გამომდინარე მისი ადგილის შესახებ პალეოლითის სისტემატიკაში ისაუბრა გ. გრიგორიევმა (ლენინგრადი).

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახალი მღვიმური სადგომების შესახებ დამსწრეთ მოახსენეს მ. ჰუსეინოვმა და ა. ჯაფაროვმა (ბაქო). ესენია: გაზმა, რომელიც მუსტიეური პერიოდის პირველ მღვიმურ სადგომს წარმოადგენს ნახიჩევანში, და ასევე პირველი მღვიმური ძეგლი ბუზეირი თალიშის მთებში, რომლის მე-3 და მე-5 ფენებში პალეოლითელი ადამიანის ქვის ნაწარმია აღმოჩენილი.

ლ. ტარასოვის (ლენინგრადი) მოხსენება ეხებოდა პალეოლითური პერიოდის ახალ ძეგლებს მთიან ყირიმში. მომხსენებელმა დაახასიათა ყირიმის ცნობილი ძეგლები სიურენ I და სიურენ III, სადაც ამ უკანასკნელ წლებში ორი კულტურული ფენა დადასტურდა: გვიანმეზოლითური (ჰოლოცენური) და გვიანპალეოლითური (პლეისტოცენური).

ზ. ქიქოძის (თბილისი) მოხსენების თემა იყო: „პალეოლითის ახალი კვლევა-ძიების შესახებ სამხრეთ-საქართველოს მთიანეთში".

დონის აუზის პალეოლითზე ისაუბრა ნ. პრასლოვმა (ლენინგრადი), გ. გრიგორიევას (ლენინგრადი) მოხსენება კი მიეძღვნა ანეტოვკა II-ის არქეოლოგიურ გათხრებს. „ხოსტის მღვიმეები დასავლეთ ამიერკავკასიაში", ასეთი იყო ი. კორობკოვის (ლენინგრადი) საუბრის თემა.

ნ. თუშაბრამიშვილის (თბილისი) მოხსენება ეხებოდა ჭიათურის რაიონში, სოფ. ქვემო ზოდის ტერიტორიაზე მდებარე ზედაპალეოლითური და მუსტიეური ფენების შემცველი მღვიმის — სამგლე კლდის შესწავლას, მის ადგილს საქართველოს პალეოლითურ ძეგლებს შორის.

ლ. გოლოვანოვამ (ლენინგრადი) წარმოადგინა მოხსენება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ახალი ქვედაპალეოლითური მღვიმური სადგომების შესახებ.

ნ. ანისიუტკინმა (ლენინგრადი) მოხსენებაში „სამხრეთ დასავლეთ რუსეთის ვაკის პალეოლითი" კარგად წარმოაჩინა საბჭოთა კავშირის სამხრეთ-დასავლეთის მუსტიეს ქრონოლოგია, დაახასიათა მოლდავეთისა და მისი მიმდებარე უკრაინის რაიონების მუსტიეური ძეგლები.

მ. მანსუროვის (ბაქო) მოხსენება მდ. მტკვრის შუა აუზის ახალ პალეოლითურ ძეგლებს ეხებოდა. მან ისაუბრა უკანასკნელ წლებში დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პალეოლითური ძეგლების შესახებ.

აღმოსავლეთ ევროპის გვიანი პალეოლითის ადრეული ეტაპის არქეოლოგიური კულტურების თავისებურებათა შესახებ დამსწრეთ მოახსენა მ. ანიკოვიჩმა (ლენინგრადი). ეს თავისებურებანი, აღნიშნა მომხსენებელმა, გამოიხატება იმით, რომ აღნიშნული პერიოდის მთელ მანძილზე (40000—25000 წლის წინ) არსებობენ კულტურები აშკარად გამოხატული მუსტიერული ნიშნებით და კულტურები, სადაც მუსტიერული ელემენტები სრულიად გამორიცხულია. ჩრდილოეთ ოსეთის ქვის ხანა კარგად წარმოაჩინა ნ. გიჯრატიმ (ორჯონიკიძე), რამაც სესიის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. თ. მეშველიანის (თბილისი) მოხსენება მიეძღვნა საქართველოს ადრეზედაპალეოლითის ზოგიერთ საკითხს.

დ. რუსტამოვის (ბაქო) მოხსენება შეეხებოდა გობუსტანში მთა კიჩიკდაშზე მდებარე ქვის ხანის სადგომს. მომხსენებელმა დაახასია-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თა გაიაარასის მეზოლითურ სადგომზე მიკვლეული ქვის იარაღები, რაც ძეგლს გობუსტანის სხვა მეზოლითური ხანის ძეგლებიდან განასხვავებს; განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კულტურული ფენის ქვეშ მიკვლეული კედლის მხატვრობა, სადაც ხარები და ქალის ფიგურებია გამოსახული.

ბუნებრივზურგიანი დანების ტიპოლოგიის საკითხს მიუძღვნა მოხსენება რ. კაზარიანმა (ერევანი), მან ისაუბრა იარაღის მორფოლოგიურ ნიშნებზე და მის დანიშნულებაზე პირველყოფილი ადამიანის სამეურნეო საქმიანობაში.

აფიანჩას მღვიმის ახალ აღმოჩენებს შეეხო ლ. ქორქიას (თბილისი) მოხსენება. წარმოდგენილი იყო 1985—86 წწ. მღვიმეში მიკვლეული მე-4 და მე-5 ფენების ზედაპალეოლითური მასალები. მ. გაბუნიას (თბილისი) მოხსენება მიეძღვნა ქვის ხანის ახალ სადგომს სამხრეთ-საქართველოს მთიანეთში—ბავრა II ეხს. მომხსენებელმა დაახასიათა ძეგლის მეზოლითური კულტურული ფენის როგორც არქეოლოგიური, ასევე პალეონტოლოგიური მასალები. მდ. წყალწითელას ხეობის პალეოლითზე მოუთხრო სესიის მონაწილეებს მ. ნიორაძემ (თბილისი). მან დაახასიათა კარსტული მღვიმეების საკაჟიას, ორთვალასა და ჭახათის ქვედაპალეოლითურ კულტურულ ფენებში მიკვლეული არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ანთროპოლოგიური და პალინოლოგიური მასალები და წარმოაჩინა უძველეს დროში ხეობის დასახლების სურათი. საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგის წარმომადგენლებიც: გეოლოგები, გეომორფოლოგები, პალეონტოლოგები, პალინოლოგები. მხოლოდ მათთან ერთად კომპლექსური კვლევის გზითაა შესაძლებელი იმ ბუნებრივი გარემოს რეკონსტრუქცია, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება პალეოლითელ ადამიანს.

საყურადღებო იყო პ. დოლუხანოვის (ლენინგრადი) მოხსენება „კავკასიისა და წინა აზიის ბუნებრივი გარემოს ევოლუცია და სამეურნეო-კულტურული განვითარება გვიანპლეისტოცენში“. მომხსენებლის აზრით, პალეოგეოგრაფიული რეკონსტრუქცია საშუალებას იძლევა ხმელთაშუა, შავი და კასპიის ზღვების აუზებში უკანასკნელი გამყინვარების მაქსიმალური განვითარების დროს (20—16 ათასი წლის წინ) გრილი და მშრალი კლიმატური პირობების არსებობა ვივარაუდოთ.

ანთროპოგენის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მცენარეულობის განვითარების ძირითად ეტაპებს მიეძღვნა ი. შატილოვას (თბილისი) მოხსენება. სპოროვან-მტვრის კომპლექსების შესწავლის საფუძველზე ავტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კოლხეთის ჰავა პლიოცენის დასაწყისში ნოტიო-სუბტროპიკული უნდა ყოფილიყო, ხოლო ეოპლეისტოცენის ბოლოს ზომიერად — ნოტიო.

ვორონცოვის მღვიმის (აფხაზეთი) პალინოლოგიურ დახასიათებას ეხებოდა გ. ლევკოვსკაიას (ლენინგრადი) მოხსენება, რომელიც ზედაპლეისტოცენში აღნიშნულ რეგიონში ცივი ფაზების არსებობას ადასტურებს.

„ახალი პალეონტოლოგიური მონაპოვრები აღმოსავლეთ საქართველოში“ — ასეთი იყო პალეონტოლოგების ა. ვეკუას და ზ. ვეკუას მოხსენების თემა. მომხსენებლები შეეხნენ არქეოლოგიური გათხრების შედეგად შეგროვილ მდიდარ პალეონტოლოგიურ მასალას — დმანისიდან, არუხლოდან და წითელი გორებიდან. მათ წინასწარული ანალიზის საფუძველზე შუა საუკუნეების დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ტბიურ ნალექებში გაჭრილ სამეურნეო ორმოების კედლებში მიკვლეული ფაუნა და შესაბამისად ტბური ნალექებიც ქვედა პლეისტოცენით დაათარიღეს.

აფიანჩას მღვიმის ზედაპალეოლითისა და მუსტიეს ფენების ქვის ინდუსტრიას და პალეოზოოლოგიურ მასალებს ეხებოდა ლ. წერეთლის, ლ. ქორქიას და ა. ვეკუას მოხსენება. როგორც მათ აღნიშნეს, ფაუნის ეკოლოგიური შემადგენლობა მთლიანად ფაუნის სითბოსმოყვარულ ფორმებზე მიუთითებს, რაც იმ დროს სითბოსა და შედარებით ნოტიო კლიმატურ პირობებს უნდა მოწმობდეს.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ჯ. ჯიშკარიანის (თბილისი) მოხსენება, რომელიც წყალტუბოს კარსტულ მღვიმეს ეხებოდა და ნ. ურუშაძის (თბილისი) მოხსენება, სადაც გაშუქებული იყო სიმბოლიკა პალეოლითში.

წაკითხული მოხსენებების გარშემო გაიმართა საყურადღებო დისკუსია, რომელიც ხელს შეუწყობს კავკასიის ძველიქვის ხანის სხვადასხვა საპრობლემო საკითხების შემდგომ კვლევაძიებას. აღინიშნა სამეცნიერო სესიის კარგი ორგანიზაცია, განხილული საკითხების აქტუალობა.

სესიის მონაწილენი გაეცნენ ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, დაათვალიერეს ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენის ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები, თეთრი მღვიმე, წყალწითელას ხეობის მღვიმე-ნამოსახლარები — საკაჟია, ორთვალა, გაეცნენ აგრეთვე ვანის ნაქალაქარს, იყვნენ ნავენახევში, დაათვალიერეს ნავენახევის ულამაზესი კარსტული მღვიმე (თერჯოლის რაიონი), წყალტუბოს რაიონის სოფ. ჩუნეშში ესტუმრნენ ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმს. იყვნენ აგრეთვე სოფ. ძირულაში (ზესტაფონის რაიონი), პროფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. ნიორაძის მშობლიურ სოფელში, სადაც მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად სახლს გაუკეთდა მემორიალური დაფა.

გ. ნიორაძის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, აკად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების ერთობლივი სხდომა, რომელიც გაიმართა 1986 წლის 12 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს მდივანმა ა. აფაქიძემ, რომელმაც ისაუბრა გ. ნიორაძის დიდ დამსახურებაზე ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე, ხაზგასმით აღნიშნა, მისი დიდი წვლილი ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ჩასახვა-განვითარების საქმეში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო. ჯაფარიძე შეეხო გ. ნიორაძის მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღნიშნა მისი, პირველი ქართველი პროფესიონალი არქეოლოგის, დიდი ღვაწლი უნივერსიტეტში არქეოლოგიის კათედრის ჩამოყალიბებისა და კვალიფიციური კადრების გამოზრდის საქმეში. გ. ნიორაძის სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეეხო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ჯავახიშვილი. მან ისაუბრა გ. ნიორაძის იმ დიდ სამეცნიერო სამუშაოებზე არქეოლოგიურ ფონდებში და არქეოლოგიურ განყოფილებაში, მუზეუმის ხაზით ჩატარებულ იმ საველე კვლევა-ძიებაზე, რასაც შედეგად მოჰყვა მის მიერ 1934 წელს მუზეუმში პირველი მეცნიერული არქეოლოგიური გამოფენის „წინაკლასობრივი საზოგადოება საქართველოში“ მოწყობა, პროფ. გ. ნიორაძის მოღვაწეობას ანთროპოლოგიაში, მის პროფესიულ-ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებას, მეცნიერის მიერ ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად ანთროპოლოგიური მასალების კომპლექსურ შესწავლას შეეხო პროფ. მ. აბდუშელიშვილი.

სხდომაზე მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი მ. ლორთქიფანიძე, პროფ. გ. ჟორდანია. მათ გაიხსენეს გ. ნიორაძის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, რაც იმ შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის მაღალი ადამიანური თვისებების მანიშნებელიც იყო. დიდი ინტერესით დაათვალიერა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ აგრეთვე გ. ნიორაძის ცხოვრების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალების გამოფენა.

დავით თუშაბრამიშვილი
მედეა ნიორაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი წიგნები

### გამომცემლობა „მეცნიერება“

ა. ლეჟავა, ქართველი და უკრაინელი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, 160 გვ. ტირ. 2.000.

მ. გაფრინდაშვილი, ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში, 144 გვ. ტირ. 2.000.

მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიისათვის.

ნ. პაიჭაძე, მარქსიზმის კლასიკოსები ომების და მშვიდობის შესახებ, 184 გვ. ტირ. 1600.

პ. რატიანი, საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები, 384 გვ. ტირ. 3.000.

ლ. ფრუიძე, რაჭა ეთნოგრაფის თვალით, 64 გვ. ტირ. 20.000.

თ. ცაგარეიშვილი, მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, ტირ. 1.000.

დ. შავდია, ლენინური გვარდიის ერთგული ჯარისკაცი, ტირ. 2.000.

სვანეთის წერილობითი ძეგლები, I (X—XVIII სს.), ტექსტები გამოსაცამად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, 310 გვ. ტირ. 2.000.

ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტირ. 1.000.

ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1978—1982, რედაქტ. პ. ზაქარაია, 324 გვ. ტირ. 2.500.

Полевые археологические исследования в 1983 году, 64

ფასი 1 მან. 30 კაპ. ინდექსი 76197

ნ 19/71